

835 12
003 11

විජය තොරතුරු

විජය තොරතුරු
විජය තොරතුරු

:: සාම්ප්‍රදායික ජාතිකාලීන ::



ඇංග්‍රීස් වෙළඳ 11



ԱՐԵՎԻ ՀԱՅՈՒԹ

Խաչերամիա պալմինշտառ

Ճեղուկ զարդ „Կոն Խար“, շնչա թյուղնո „Վոն օդոց“;
շնչա օվալ „Ռամյա“, շնչա թյուղնո „Ռա զանցլյա“;
„Խաօտքը?“ – մոխանմելքածնուա մամոն, ույ լեշը օվո: „Խաօդան?“
ուժուրուա ձռու առա մարդու եեռյա բարեղլուսա –
օգո տանը վմյօթու մենահուլյա մոմայլուսա.

ԺՈՂՈՎՐԴ ԽՄԱՋՈՋ

Հանաձամուճան
Հորանոյոյոն
Հրության Շոծուճան

ԿՒՆ
ՀԲԳ
ԸՆԼ

ՀՀ
2003
Օգոստոս



არანუზი

საინტერნეტო ჟურნალი

2003 11



რედაქტორ-გამომცემელი

ბუბა კუდავა

სარედაქციო ჯგუფი

თრირიკე ასათიანი

მთელ ბაილოუპვილი (ასუნისმგებელი მდივანი)

შალვა გლოვალი

ლევან თაჭთაძივალი

მარმე კავთიაშვილი

გიორგი კალანდია

გოლიო კუკატაძე

ნინო მილიაშვილი

გრიგორი საიონიძე

თავა შარლ შაპე

თემო ჯოჯუა

ნომრის სამეცნიერო რედაქტორები

ბუბა კუდავა

გრიგორი საიონიძე

სტილისტი-რედაქტორი

თამარ გაბელაძე

მხატვარი

დეა ჯაბუა

ბათუმის წარმომადგენლობის სეკლინგვანელი

ლაშა ასლანიშვილი

© პრეზენტაცია

სამეცნიერო სტატიები რეცენზირდება სარეცენზო საბჭოს მიერ.

მასალის გადაბეჭდვა რედაქციის თანხმობის გარეშე დაუშევდელია.

გამოვის 1994 წლიდან

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17^ა, 25-05-22, 899 25-05-22, 893 25-05-22, artanuji@ip.osgf.ge

ბათუმის წარმომადგენლობა: 6000 ბათუმი, ჭავჭავაძის 77, არქიტეკტორი მუზეუმი, 2-19-81.

artanuji_batumi@yahoo.com

გრიგორი საიმილე

- 6 წმ. მღვდელმოწამე გრიგორი (ფერაძე).
ტრიპარი და კონდაკი
- 7 წმ. მღვდელმოწამე არქიმანდრი გრი-
გორ ფერაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა)
- 25 გენეალოგიური ტაბულა ერთეულების
ერთეულების გენეალოგიური ტაბულა

11. 2003

სარკვევი

მთარგმნელი
ეთერ კვირიკაშვილი

- პროზა
ბედისწერა

მთარგმნელი
ამბროსი გრიმიკაშვილი

- მოგონება
ქართული კულტურის სამსახურში

მთარგმნელი
ეთერ კვირიკაშვილი

- კუგლიცისტიკა
როგორ უნდა აღვნიშნოთ ემიგრაციაში
შოთა რუსთაველის ოუბილე?
- 59 შოთა რუსთაველის რელიგია
- 63 ვინ არის ჩვენთვის შოთა რუსთაველი?

მთარგმნელი
თამარ ჭავაშვილი

- მარიამ ჩხარტიშვილი
- საქართველოს ეკლესიის უძველესი
ისტორიის პრობლემები
- 79 საქართველოს ეკლესიის უძველესი
ისტორია XXI საუკუნის გადასახელიდან
- 87 პატროლოგიის ვაგება, ამოცანები და
მეთოლები შართლმაღილებლურ
თეოლოგიაში

მთარგმნელი
ეთერ კვირიკაშვილი

- 97 მასალები გრიგორ ფერაძის ცხოვრებისა
და მოღვაწეობის შესახებ

მამაკა გრიგორი საიმილე

- 111 რაძლენიმე საბუთი გრიგორ ფერაძისა და
ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობის
ისტორიიდან

The present special issue of "Artanuji" is dedicated to the life of prominent Georgian ecclesiastical and theologian – archimandrite Grigol Peradze (1899-1942), a fervent servant to his own country and faith.

After annexation of the Georgian republic by the Soviet Russia (1921), he continued education at the universities of Berlin and Bonn studying theology. In 1926 Grigol Peradze defended his Ph. D. on the "History of the Georgian monasticism from its origination until 1064" at the university of Bonn.

His scholar activities especially fruitful were in the 1930s – he worked under the supervision of Paul Peeters in Brussels, studied Georgian manuscripts in the libraries of the British Museum in London and Oxford university, regularly participated in the international scientific conferences, etc.

Grigol Peradze was devoid of possibility to return back to his homeland because of totalitarian regime established in Georgia.

He took monastic vows in 1931 and was ordained priest. Peradze founded St. Nino church in Paris (being the only Georgian church abroad during decades) in the same year and began to publish scientific journal "Jvari Vazisa" ("Cross of Vine").

Since 1933 Grigol Peradze was a Professor of Patrology at the faculty of Orthodox Theology of Warsaw university, proceeding at the same time with intensive scholar researches: numerous important written monuments of Georgian culture had been discovered by him in archives of Romania, Bulgaria, Austria, Italy, Greece.

His fruitful ecclesiastic and scientific activities were brought to end by the unleashing of World War II in 1939, when Fascist Germany occupied Poland. Peradze did not leave the country, which by that time had already become his second homeland; he shared the horror of war with Polish people so dear to his heart, sacrificing eventually his own life. He was martyred in a concentration camp on December 6 1942 by entering gas-chamber instead of a Jewish prisoner who had large family.

Grigol Peradze was canonized in 1995 by the Council of Orthodox Church of Georgia establishing Fiest Day for Priest Martyr Grigol on 6th December.

The present issue of "Artanuji" offers to reader the following:

- The introduction by Gocha Saitidze - "Priest Martyr Archimandrite Grigol Peradze" (pp. 7-24).
- Family tree of Grigol Peradze (25-26).
- "Fate" and "Way to the victory" - two autobiographic stories by Grigol Peradze (27-36).
- "In service of the Georgian culture" - memoirs written by Father Grigol in 1940 ordered to him by the Center of oriental Studies which had published the author's researches (37-56).
- "How should we celebrate anniversary of Shota Rustaveli in emigration?", "Religion of Shota Rustaveli" and "What does Shota Rustaveli mean to us?" - scientific-journalistic essays on Shota Rustaveli dating to the 1930s (57-64).
- Problems of the ancient history of the Georgian church" - paper delivered by Grigol Peradze in 1932 at Oxford University. The article by Mariam Chkhartishvili (D. Sc.) titled "Ancient history of the Georgian church in the context of the 21st century" dealing with the issues analyzed in the referred paper of Grigol Peradze and relevant developments in the modern Georgian historiography (65-86).
- "Understanding of patrology, its tasks and approaches in the Orthodox theology" - official speech made by Father Grigol during his inauguration at Warsaw university in 1933 (87-96).
- "Materials on life and activity of Grigol Peradze" - publication by Tamar Chumburidze based on the documents discovered in the archive of prominent German theologian Johannes Lepsius and providing information about the German period of life of Grigol Peradze (97-110).
- "A few documents on the history of relations of Grigol Peradze and Ivane Javakhishvili" prepared by Gocha Saitidze represent four letters of Grigol Peradze sent to Ivane Javakhishvili from abroad (1920-1930s) and preserved at the K. Kekelidze Institute of Manuscripts (111-119).



1942 წელს ოსმენტის საკონცენტრაციო ბანაკში დასრულდა სიცოცხლე ქრისტიანების შემარტინისა.

ამით თითქოს არაფერი შეცვლილა, მსოფლიო თმის შემზარავი მასშტაბების პირობებში ეს მხოლოდ „კიდევ ერთი“ იქო.

თითქოს არაფერი შეცვლილა არც პატარა საქართველოსთვის.

არაფერი შეცვლილა არც იმით, რომ ეს პატიმარი მოწამებრივად აღესრულა და არც იმით, რომ პატიმარი გრიგოლ ფერაძე იქო.

სამწუხაოთ, კაცობრივი მოყვარეობის ისტორიაში ეს არ უოფილა უწვევდო რამ. ასე იქო დღემუდამ.

ასე იქო ქართველთა ისტორიაშიც.

ასეთი ჯვარი ერგოთ არჩილ მეფესა თუ ქეთევან დედოფალს, ლუარსაბ შეფეხსა თუ თუკმარე მდგდებლს, ხალოუაშვილსა თუ ქსნის ერისთავებს...

ამ მხრივ კერაფერი შეცვალა XX საუკუნეში. მხოლოდ რეინის მარწუხები და მახვილები ჩანაცვლდა გაზის გამერით.

ართან ადამიანები, რომელთაც დიდი ვალი აქვთ ქვეუნისა.

არიან ადამიანები, რომელთა წინამეც დიდი ვალი იქნებანას.

საქართველო კანონია გრიგოლ ფერაძის წინაძე. ამ სახელს თითქოს არ უაქმინეთ სახელისამართოები ტაბუ. აგურ, თითქოს გამოგვერა შინი 100 წლის იუბილეეც.

ჩვენის თაობაში შემკვიდრეობით მიიღო ეს ვალი.

მოკრძალებულ ნაღვაწეს, რომელიც თქვენს ხელოაა, ჩროველ ამ შემნებით წარმადგენთ მკითხველთა წინაძე.





წმ. მღგდელიშტამე გრიგოლი (ფერაძე)

ტროპარი: უღელი იგი ქრისტესი მოიდე
გრიგოლი, და მხართა შენთა ზედა უტვირთე
ჯვარი მისი, ვინაცა უკხოთა აღმსარებლობათა
შორის მართლმადიდუბლობისა სიტყვასა ასწა-
ვებდი და უკანასკნელი სულიცა თვისი დასდევ
მოყვასისათვის. დაუცხრობლად ეველრე მხო-
ლოსა ღმერთსა ჩვენ ყოველთაოვის.

კონდაკი: რომელმან ღმერთი დაუსაბამო
მართლმადიდებლობით ისიბრძნისმეტყველე და
მსხვერპლად სუნიდ სუნნელად თვისი
შესწირენ ქრისტესა და გვირგვინი უხრწნელი
მოიგე გრიგოლ, მას ეველრე ჩვენთვის ღვაწლით
შემოსილო.

წმ. გრიგოლ მოწამე არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე

(ცხოვრება და მოღვაწეობა)



გრიგოლ ფერაძე

ისტორიის შეცნოებათა კანონისტი,
თსუ საქართველოს ისტორიის კათეპტის დოკუმენტი

გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წლის 13 სექტემბერს სოფ. ბაკურციხეში (ახლ. გურჯაანის რაიონი), მღვდელ რომანზ ფერაძისა და მარიამ სამაღალაშვილის ოჯახში. როგორც თანასოფლებით იგონებუნ, რომანზი „ერთგული იყო თავისი მრევლისა. პურს ძალით არავის ართმევდა და თვითონ ღარიბებს აძლევდა ხოლმე. მან გახსნა სოფლისათვის სკოლა და ჭიდევ დიდი სიკეთე უყო სოფელს“ (21. 5).



მძიმელუბი –
რომანზ ფერაძე და
მარიამ სამაღალაშვილი

რომანზ ფერაძე 1905 წელს უეცარი ავადმყოფობით გარდაიცვალა და დედას გახაზრდელად სამი ობოლი ბავშვი – არჩილი, გრიგოლი და ვასო – დარჩა. მარიამს ძალიან გაუჭირდა და გრიგოლი ბიძამ, ყვარლის ეკლესიის მობლვარმა გიორგი ფერაძემ წაიყვანა თავისთან. სასკოლო ასაკის მიღწევამდე გრიგოლი ყვარელმი დარჩა, შემდეგ კი დედამ თბილისში გაღმოიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა.



ყვარელი. წმ. იოანე
ნათლისმცემლის ეკლესია.

1913 წელს გრიგოლ ფერაძემ დაამთავრა სასწავლებელი და მაშინვე ჩაეგა საოჯახო ფერწულში, მხარში ამოუღვა დედას. განსაკუთრებული ყურადღებით უკლიდა პატარი ვასოს, რომელიც შემდგომში ხშირად იგონებდა – ვივოს ჩემოვის არა მარტო ძმობა, მამობაც გაუწევია (21. 5; 22. 10).



ქავა – ვახილ ფერაძე

გრიგოლის ბედზე, მის ცხოვრებისეულ არჩევანზე დიდი გავლენა მოუხდებია ოჯახურ ტრადიციას, რომლის მიხედვით, ოჯახის ერთ-ერთი წევრი სასულიერო პირი უნდა გამხდარიყო. „ჩემი წინაპრები მწყემსები იყვნენ და დიდ დროს თვალებისაგან მოშორებით, თავისთ ფარასთან ერთად ატარებდნენ ულაბნოში, რომელიც მხოლოდ ზამთარისა და ადრეულ გაჩაფხულზე ამტკანდებოდა ხოლმე. ერთხელ, ზამთრის წყნარ საღამოს არაჩვეულებრივი რამ მოხდა (მწყემსების ზეციური



თბილისის სახულიერო
სემინარია (ამჟამად
ხელოვნების მუზეუმი)



თბილისის უნივერსიტეტი



გრიგოლ ლეონიძე
სახატი ფოტოფიზ. 1918.

სასწაული მოევლინათ – გ. ს.), რამაც ერთ-ერთი მწყემსისა და მთელი მისი შთამომავლობის ბედი გადაწყვიტა” – აღნიშნავდა გრიგოლ ფერაძე, ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობაში „ბეჭისწერა“ (იხ. ქვემოთ, გვ. 27). „ერთ-ერთი კუთხი“

სასულიერო სასწავლებლის დამტკაფიქერების შემდეგ გრიგოლ ფერაძე თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა, რომლის რექტორიც იმხანად იყო კორნელი კეპელიძე – შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებული. მასისა და ჭაბუკას შორის იმთავთვე თბილი, მამაშვილური ურთიერთდამოკიდებულება დამყარდა (12. 10).

1918 წელს გრიგოლი ახალგახსნილი ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმუტყველების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. იმავდროულად დაიწყო მუშაობა მასწავლებლად გორის მაზრის სოფელ ზემო ჩანდაკში. მომდევნო წელს იგი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ჯარში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწევის (12. 10).

1921 წლის დასაწყისში გრიგოლ ფერაძე მშობლიურ უნივერსიტეტს დაუბრუნდა. როცა ბოლშევიკები თავს დაესხნენ საქართველოს, სამივე ძმა სამშობლოს დამცემთა ჭიგებში ჩადგა. შემდგომში გრიგოლი წერდა: „მთელი საქართველო სისხლში ცურავდა. სამსკუ ძმა ფრთხოების ვიყავით. დედაჩემი თბილისში იყო, არაფერი იცოდა ჩექნს შესახებ. სამი ძმიდან პირველი მე დაკარული სახლში... დრო არ მქონდა დასვენებაზე მეფიქრა. უნდა მეჩქარა, რათა უმცროსი ძმა მომეტებნა. სხვადასხვა ცნობა მოდიოდა მის შესახებ... ძლივს მივაგენი დაკარგულ ძმას, რომელსაც ჩემი ჩასვლის დღეს ფეხი მოჭკვეთეს“ (იხ. ქვემოთ, გვ. 33).

ამაო გამოდგა აველაფერი, ჩეხის ქვეყანას წითლები დაეპატრონნენ. მათ შეუტიეს ყოველივე ქართულს, ყოველივე წმინდას, მათ შორის, საქართველოს ეკლესიასაც. შიშმა დაისადგურა ირგვლივ. გრიგოლ ფერაძე 1921 წლის მარტიდან სოფ. მანავში მასწავლებლობდა (13. 8; 15. 38).

1 მაისს იგი თბილისში ჩამოვიდა, რათა აღდვოშის დღესასწაული სხვებთან ერთად ეშეიმა, მაგრამ... ტრაგიკულია ამ დღის მისეული აღწერა: „სიონის ხავათედრო ტაძარში ... მორწმუნეთა სიმცირე იგრძნობოდა. თვით კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ერისკაცობაში ლონგინოს თქროპირიძე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატ-

რიარქი 1918-1921 წლებში – გ. ს.) წირავდა რამდენიმე ძღვდელთან ერთად...

ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ, ეკლესიიდან გამოსვლისას, პატრიარქმა შემამჩნია და მომესალმა – „ქრისტე აღსდგა“. ავტომატურად ვუპასუხე, როგორც წესი იყო და თან გამოვყევი. ახალი დღე იწყებოდა. პატრიარქის სასახლისკენ მიმავალი, აღდგომის დღეებში ყოველთვის ხალხმრავალი ქუჩა ახლა სრულიად დაცარიელებულიყო, ფანჯრის დარაბებიც მიეხურათ...

პატრიარქი მარტო მიღიოდა. არცერთი მღვდელი არ აცილებდა მას. მე შორიახლოს მივყვებოდი. ქუჩის ქუთხეში ორი წითელარმიელი გამოჩნდა. ზიზღით შეხედეს პატრიარქს და გზა განავრძეს... სასახლეში შესვლისას პატრიარქი შეჩერდა, თითქოს იგრძნო, რომ უკან მიუყვებოდი. ორივე ხელი ჩამავლო და ტკივილითა და დარღით სავსე მამობრივი ხმით მითხრა – „სულიურად დაცემული ვარ. წალი აქვთან, გადაარჩინე მენი ახალგაზრდობა.“ შევიგრძენი მამაშვილური მზრუნველობა, სიმწარე, ტკივილი და ხევდაც“ (იხ. ქვემოთ, გვ. 34).

გრიგოლმა ნათლად დაინახა, თუ რა უფსკრულისაკენ მიექანებოდა შისი სამშობლო, თუ რას უქადდა ბოლშევიკური იდეოლოგია ყოველივე წმინდას, რაც ჭრის ქართველ ქრისტიანთა უკანასკნელი ურთისების შორის, მძვინვარებს რმები, ძმა ძმას არ ინდობს, საზოგადოებაში ქლასობრივი განსხვავებებია. დღევანდელობის დროშებად მოგვევლინნენ ლამაზი ლოზუნები, რომელთა მიღმაც სიბინძურე და თვალოშაქცობა იფარება“ (იხ. ქვემოთ, გვ. 35).

1921 წლის შემოდგომაზე გარეკასეთის სამღვდელოებამ გრიგოლ ფერაძე გელათში გამართულ შესამუსავებელი ქრისტიანი თავის წარმომადგენლად შიავლინა, საღაც, ქორნელი ქეპელიძისა და მიტროპოლიტ ნაზარის (ლექავა) შუამდგომლობით, მისი კვრობაში სასწავლებლად გაგზავნის საკითხი დაისვა. გრიგოლის ბედით თვით ქათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია, საქართველოს ქათალიკოს-პატრიარქი 1921-1927 წლებში) და საქართველოში მცხოვრები ცნობილი გერმანელი მოღვაწე არტურ ლაისტი დაინტერესდნენ (15. 38).

1921 წლის 6 სექტემბერს ქათალიკოს-პატრიარქი თბილისში გერმანიის საელჩოს სწერდა: „საქართველოს ეკლესია ამჟამად კრიტიკულ მდგომარეობაშია, რაც ახალგაზრდა, განათლებული სასულიერო პირების დიდი ნაკლებობის გამო უფრო უარესდება... ახლა ... შეგვიძლია ...“



ქათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქტომბერიძე)



ქათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია)



რუსეთის XI არმია თბილისში. 1921.



არტურ ლაისტი

მიტროპოლიტი ნახოდკი
(ლუჟავა)ბერლინის პუმბოლდტის
უნივერსიტეტი

გავგზავნოთ ახალგაზრდა თეოლოგები გერმანიაში, სადაც თეოლოგია როგორც მუცნიერება ძალიან მასკო დონეზე.

გრიგოლ ფერაძე ამ ქართველობაზ პირებითა, რომელსაც განზრახული აქვს მომავალში თავისი ცოდნა და ენერგია ქართულ ეკლესიას მოახმაროს! მუს ხატართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ამ ღვთის შოთაწონ საქმეში მას კურთხევას ვაძლევ და შესამე საეკლესიო კრებამაც ურთხმად დაადგინა შესაძლებლობის ფარგლებში მატერიალურად დაეხმაროს ნიჭიერ ახალგაზრდას“ (იხ. ქვემოთ, გვ. 99).

არტურ ლაისტმა კი 1921 წლის 10 ოქტომბერს სარეკომენდაციო წერილი გაუგზავნა გერმანიის ქალაქ პოტსდამში მცხოვრებ ცნობილ თეოლოგია და საზოგადო მოღვაწეს, „აღმოსავლური სამისიონერო საზოგადოების“ დამარსებელს – დოქტორ იოპანეს ლეფსოუსის, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნავდა: „ბატონი ფერაძე ძალიან მონდომებულია და მე იგი ძალიან თბილად წარმომიდგინა ქართული ეკლესიის მწევებსმოავარმა (კათალიკოსიმა). თუმცა ახალგაზრდა კაცის ფულადი სახსრების სიმცირისა და ქართული ეკლესიის მმართველობის ამჟამინდელი გაჭირვების გამო საქმარისი ფინანსური შესატანის იმედი არ უნდა გვქონდეს. მაგრამ გერმანიის კულტურული პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ეკლესიის ჩართვა გერმანული მეცნიერების გავლენის სფეროში და ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ ახალგაზრდა კაცები ბერლინში ფინანსურ დახმარებას გაუწევდნენ“ (იხ. ქვემოთ, გვ. 99-100).

ლეფსოუსმა გრიგოლ ფერაძე 1922 წლის იანვარში მიიღო, სტიპენდია დაუნიშნა და ყოველწლიური ხელი შეუწყო, რათა იგი ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გამხდარიყო. შემონახულია გრიგოლ ფერაძისა და იოპანეს ლეფსოუსის მიმოწერა, საიდანაც ნათლად ჩანს თუ როგორ ჩრუნავდა გერმანელი მეცნიერი ქართველ ახალგაზრდაზე. გრიგოლი დიდად ემადლიერებოდა თავის მფარველს. იგი ერთ-ერთ მოგონებაში წერდა: „აატარა წერილი ვერ დაიტევს ყოველივეს, რაც სწავლის 4 წლის განმავლობაში შთამავონა დოქტორმა ლეფსოუსიმა. ეს მოელი ცხოვრების პროგრამაა, ცხოვრების, რომელიც აღვსილი იქნება ამ მრავალმხრივი და ღვთისაგან უშურელად მომადლებული კაცისაგან მიღებული შთაბეჭდილებებით“ (19. 92).

1922 წლის მაისში გრიგოლ ფერაძე ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. აქ მას ასწავლიდნენ გამოჩენილი მეცნიერები: ადოლფ ფონ პარნაკი, კარლ ბროკელმანი, ბრუნო მაისნერი,

ადოლფ დაისმანი. გრიგოლი განსაკუთრებით ამ უკანასკნელს ემადლიერებოდა. ლეფსიუსის სარეკომენდაციო წერილით აღჭურვილი ქართველი ახალგაზრდა პროფ. ა. დაისმანმა გულთბილად მიიღო და შემდგომში მისთვის მზრუნველობა და რჩევა-დარიგება არ მოუკლია (31).

ბერლინის უნივერსიტეტში გრიგოლ ფერაძე საში წლის მანძილზე, 1925 წლის აპრილამდე სწავლობდა. მას სისტემატურად მოსდომდა ცნობები სამშობლოდან, იცოდა თუ როგორ ებრძოდნენ ბოლშევიკები ქართველ პატრიოტებს, ხვრეტდნენ, აწამებდნენ, როგორ ჩაახშვეს სისხლში 1924 წლის აჯანყება. იმ ზანებში იყო დოქტორ ლეფსიუსს სწერდა: „ცუდი ცნობები მომდის ჩემი ქვეყნის შესახებ. არუც ულობა, ჩაგვრა, ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარის მკვლელობა... ის ჩემი მეგობარი და მასწავლებელი იყო და ძალიან ბევრი გააკეთა ჩემი გერმანიაში გამოგზავნისათვის. 68 წლის მიტროპოლიტი ერთ წელიწადზე მეტხანს ციხეში იჯდა. ახლახან ვამოუშვეს და ქუთაისში ცხოვრობდა... მასთან ერთად დავკარგე ყოველივე საუკუთესო, რაც სამშობლოსთან მაკავშირებდა და მახარებდა“ (იხ. ქვემოთ, გვ. 106).

ყველაფრის მიუხედავად, გრიგოლი გულმოლგინედ სწავლობდა, სურდა კარგი სპეციალისტი დამსდარიყო და ამით გამოსდგომოდა თავის ქვეყანას. 1924 წლის ბოლოს, ლეფსიუსის რჩევით, მან თხოვნით მიმართა ბონის უნივერსიტეტის პროფესორის, დოქტორ ჰაინრიხ გუსენის, რათა იყი უნივერსიტეტში მიღებაში დახმარებოდა. გუსენიც ძალზე ყურადღებიანი, თბილი პიროვნება გამოდგა და ფერაძე უნივერსიტეტში მიიღო. გრიგოლის თქმით, გუსენი იყო „ოქროს გულის მქონე, უაღრესად კულტურული ადამიანი, რომელსაც სიკვდილამდე შერჩა სიყვარული და ნდობა ადამიანთა მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით განიცდიდა მათგან იმედგაცრუებას“ (იხ. ქვემოთ, გვ. 38).

ბონის უნივერსიტეტში სწავლა გრიგოლ ფერაძემ 1925 წლის 29 აპრილს დაიწყო. ყმაწვილი მოხიბლა გერმანიის ამ პატარია ქალაქმა. მიზეზი მარტივი იყო — ლამაზი, კოპტია ბონი მას თავის სამშობლოს, სათაყვანებელ საქართველოს აგონებდა: „იქ ყველაფერი ჩემითვის ახლობელი და კარგად ხაცხობი იყო. ქალაქის გარეუბნებში მშვენიერი კორაკები, რბილი კლიმატი და ბარაქიანი მიწები უფრო მეტად მომავრნებდა ჩემი სამშობლოს ბუნებას, კიდრე ბერლინი და მისი შემოგარენი... აქ ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ უნივერსიტეტი ყველაზე წინ და ყველაფერზე მაღლა იდგა. ასეთ აღვილას ძალიან



ოლქანეს ლეფსიუსი



კარლ ბროკელმანი



ალოდაფ ფონ ჰარნაკი

მაღე შეიძლება ივრმნო თავი როგორც საკუთარ სახლში” (იხ. ქვემოთ, გვ. 38-39).



პაულ პეტერსი


1926 წლის თებერვლის ბოლოს გრიგოლ ფერაძემ ბონში წარადგინა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართული ბერძონაზენობის ისტორია მისთვის დახმარების 1064 წლამდე“. ამ ნაშრომისათვის მას 1927 წლის 17 დეკემბერს ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა (12. 10; 17. 11).

1926-1927 წლებში, ბრიუსელში, ცხობილი ორიენტალისტის – პაულ პეტერსის ხელმძღვანელობით გრიგოლი აღმოსავლურ ენებში იღრმავებდა ცოდნას, ესტრებოდა ლექციებს ლუგანის ქათოლიკურ უნივერსიტეტში (12. 10; 15. 38). სწორედ ბელგიაში ყოფნისას შეიტყო უსაყვარლესი მასწავლებლის – იოპანეს ლეფსიუსის ვარდაცვალების ამბავი. ამ დროისათვის გრიგოლ ფერაძე უკვე შესანიშნავად ფლობდა ძველებრუულ, სირიულ, არაბულ, კოპტურ, ძველბერისულ, ლათინურ, ძველსომხურ, სლავურ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს.

1927 წლის აპრილში გრიგოლს დაენიშნა ერთწლიანი სტიპენდია ინგლისში, სადაც დაიწყო ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმსა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების შესწავლა (12. 10). მაგრამ აქ მუმაობამ მას დიდხანს არ მოუწია. ბონში გარდაიცვალა პროფ. გუსენი და გერმანულებს სურდათ, რომ მისი ადგილი სწორედ გრიგოლ ფერაძეს დაუკავებინა. გრიგოლი დათანხმდა წინადადებას, დატოვა ინგლისი და ბონში ჩავიდა, სადაც ჯერ ქართული და სომხური ენების ლექტორად, ხოლო შემდეგ ქართულ-სომხური ფილოლოგიის პრივატ-დოცენტად მუშაობდა.

ამაყდროულად იგი ბევრს წერდა და სშირად კითხულობდა მოსსენებებს სამეცნიერო კონფერენციებზე, რამაც მას საერთაშორისო ავტორიტეტი მოუხვევა. 1927 წელს ლოზანაში გამართულ კონფერენციაზე გრიგოლი საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლად მიიწვიეს; 1928 წელს ბონში ორიენტალისტთა შეკრებაზე ფერაძის მოხსენების შემდეგ გამოიტანეს რეზოლუცია ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელობისა და გერმანიის უნივერსიტეტებში მისი სწავლების აუცილებლობის შესახებ (15. 38); 1930 წელს გრიგოლ ფერაძემ მონაწილეობა მიიღო ვენაში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში. აქვედან იგი გრაცში გაემგზავრა, სადაც ადგილობრივ ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერებს გაეცნო.

გრიგოლ ფერაძის ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა... და ამ წარმატებების კვალდაკვალ მის სულში



ოქსფორდის უნივერსიტეტი

სიხარულის ნაცვლად სევდა ისადგურებდა. გრიგოლს ხომ თავისი ცოდნის გამოყენება, სტუდენტების დამოძღვრა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში სურდა...

ჯერ კიდევ 1921 წელს, როცა ბერლინში მიემ-გზავრებოდა, გრიგოლ ფერაძეს იმედი ჰქონდა, რომ სწავლის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნდებოდა, მაგრამ საბჭოთა საკონსულოში მას პასპორტი წაართვეს. შექმნილ ექსტრემალურ ვითარებაში იოპანეს ლეფსიუსმა და მისმა მეგობარმა ფრიტიოზ ნანსენმა გრიგოლს დევნილისათვის განკუთვნილი პასპორტი გაუკუთეს, როგორც გამოირკვა, თურმე სამუდამოდ.

1926 წელს, საღოქტორო დისტრიციის დაცვის შემდეგ, გრიგოლ ფერაძემ განცხადებით მიმართა საბჭოთა საელჩოს, სადაც სამშობლოში დაბრუნების ნებართვას ითხოვდა, მაგრამ... საბჭოთა კავშირის მეცნიერი თეოლოგები არ სჭირდებოდა (29. 4).

„ნუოუ ბოროტების მომძლავრებაზე არ მიგვითითებს... ახალგაზრდის ცხოვრება, რომელიც სიცოცხლის საუკე-თესო პერიოდში იძულებულია მიატოვოს საშმობლო და შეელა უცხო მხარეში ეძიოს?“ – წერდა გრიგოლი (იხ. ქუმრთ, გვ. 36).

იგი ხშირად უგზავნიდა წერილებს საქართველოში კორნელი კეკელიძეს, რომელიც რჩევა-დარიგებებს სთხოვდა... 1929 წლის იანვარში გრიგოლ ფერაძე მას-სწავლებელს თავის დარდს უწიარესდა: „საშინლად ვიტანჯები. არაურის ხალისი არ მაქვს, თუმცა ნივთიერად სრულიად უჩრუნველყოფილი ვარ. რისთვის ვიტანჯე ამდენი ხანი, რისთვის ვისწავლე, რისთვის მოვარე თითქმის მოული ევროპა? რატომ არ მიშვებუნ სახლში, რა დავაშვე? შეიძლება სამეცნიერო კარიერას მოლად თავი დავანებო და საექლესიო სამსახურს შევუდგე. სახლში ხომ მაინც არ მიშვებენ? (მიზეზი არ ვთცი!)... მაუსედავად დიდი სიყვარულისა მეცნიერებისადმი, იგი სრულიად არ მაკ-მაყოფილებს!“ (15. 37).

მაგრამ ვინ მისცემდა უნივერსიტეტის პროფესორს მოსწავლისათვის საპასუხო წერილის გაგზავნის უფლებას? გრიგოლს თავად უნდა ეპოვა გზა, რომელსაც იგი დაადგებოდა... და ეს გზაც გამონახა – იმავე 1929 წელს მან პარიზში წმ. ნინოს სახელობის ეკლესია დაარსა. ეს კი ასე მოხდა: 1929 წელს გრიგოლი მძიმედ დავადდა და მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. გრიგოლის თქმით, გამოჯანმრთელებიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ საოცარი სულიერი აღმაფრუნა იგრძნო. „მხოლოდ პარიზში ჩემს მომავალ მუშაობაზე ვლაპარაკობდი, მო-



კენა



კორნელი კეკელიძე

უთმენლად ველოდი აღდგომის არდაღებებს, რათა რაც შეიძლება მაღე ჩავსულიყავი იქ და დამუწერ მღვდლის მოვალეობის შესრულება“ (იხ. ქვემოთ, გვ. 44-45).



მარიში

გრიგოლ ფერაძის მღვდლად ქურთხევის პროცესი მაინც გაჭიანურდა. იგი არჩევანის წინაშე მდგრადა; ან ბონის უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა და მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება, ან პარიზში ქართული ეკლესიის წინამდღვრობა და ფინანსერი სიდუხჭირე. საბოლოოდ გრიგოლმა მღვდლობა ამჯობინა. 1931 წლის აპრილში იგი ლონდონის წმ. სოფიოს ბერძნულ საკათედრო ტაძარში ბერად აღიკვეცა, 25 მაისს პარიზში მღვდლად ეჭურთხა, ხოლო 31 მაისს უკვე პირველი ღვთისმსახურებაც აღავლინა (12. 10; 17. 11). მისი აზრით, საფრანგეთის დედაქალაქში ქართული ეკლესიის არსებობა დიდ სარგებელს მოუტანდა ქართველობას – პარიზი ხომ ქართული ემიგრაციის ცენტრი იყო.

მავრამ მამა გრიგოლი იმასაც ქარიგად ხედავდა, რომ ჩვენი ემიგრაცია დაქსაქსული, ვათითო კაცებული იყო და ცდილობდა, თავის ქადაგებებში მათვის ცხოვრების უმთავრესი აზრი, მიზანი ეჩვენებინა. ამიტომაც ამბობდა: „ჩვენს აზროვნებას ფართო პორიზონტი უნდა მიეცეს, რომ რაღაცა გავაკეთოთ, რომ სრულიად უმიზნოდ და უშედეგულ, უკვალოდ არ გაქრეს ჩვენი ცხოვრება. დიახ, ჩვენი ერის მოწოდების, დანიშნულების ცხადყოფად ვართ ჩვენ, რომ ვევედროთ ღმერთს, ვილოცოთ, ვიმუშაოთ და ვიფიქროთ. დაუ, ღმერთმა თითოეულ ჩვენგანს განუნათლოს გონება ამ მხრით“ (15. 42).

გრიგოლ ფერაძეს ინტენსიური სამეცნიერო მოღვაწეობა არც მღვდლად ქურთხევის შემდეგ შეუწყისტია. 1931 წელს მან პარიზში დაიწყო სამეცნიერო უურნალის – „ჯვარი ვაჩისა“ – გამოცემა, რომელშიც სისტემატურად ბეჭდავდა საკუთარ სტატიებსაც (15. 37).

1932 წელს მამა გრიგოლმა ბონის უნივერსიტეტში მუშაობას თავი საბოლოოდ დაანება და, ფაქტობრივად, უსახსროდ დარჩა. მხოლოდ ეკლესიის წინამდღვრობა მას ცხოვრების სარჩოს ვერ მისცემდა. ამავე დროს სამშობლოდან მიიღო ცნობა დედის გარდაცვალების შესახებ. „ახლა უკვე შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ბოლო ფიზიკური ძაფი (რადგან სულიერად და კულტურულად სამშობლოსთან ყოველთვის ძალზე მჭიდროდ ვიყავი დაკავშირებული) გაწყდა ჩემსა და ჩემს სამშობლოს შორის“ (იხ. ქვემოთ, გვ. 48).

ამიტომაც დათანხმდა იგი მეგობრის, სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტის დიონისე ვალევდინსკის მიწვევას



გრიგოლ ფერაძის დედა – მარიამ სამახალაშვილი

ვარშავის უნივერსიტეტში მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე პატროლოვითის (წმინდა მამათა ცხოვრების შემსწავლელი მეცნიერების) პროფესორად და კათედრის ხელმძღვანელად მუშაობის დაწყების თაობაზე (12. 10; 17. 11).


1933 წელს გრიგოლ ფერაძე ვარშავაში დასახლდა და დაიწყო უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა (პირველი ლექცია მან 7 დეკემბერს წაიკითხა პოლონურ ენაზე, რომელიც უმოკლეს დროში შეისწავლა), ხოლო სააღდვომო, საჩაფესელო და სამობარი არდადეგებს პარიზში, თავის მრევლობან ატარებდა (12. 10; 17. 11).

მამა გრიგოლი ჩვეული გულითადობითა და სიყვარულით მოექიდა დაკისრებულ საქმეს, ყოველნაირად ეხმარებოდა და მხარში ედგა ხელმოკლე სტუდენტებს. თანამედროვეთა გადმოცემით, მისი ლექციები იყო „არაჩვეულებრივად ცოცხალი, ხშირად მათ საფუძვლად ედო სრულიად უცნობი წყაროები, რის გამოც სხვადასხვა კურსის მრავალრიცხოვან სტუდენტთა ჯგუფებსა და, აგრეთვე, სხვა დარგების მოსწავლეებს იწიდავდა. იგი თავს არ ზოგავდა, რათა ახალგაზრდობისათვის თავისი უდიდესი ცოდნა და შრომის გამოყდილება გადაეცა“ (4. 41).

1934 წელს ლონდონის წმ. სიონის საკათედრო ტაძარში გრიგოლ ფერაძე არქიმანდრიტად აკურთხეს. ამ პერიოდიდან იწყება მისი მოგზაურობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული ქართული სიძეელების მოსაძიებლად, და თუკი შესაძლებელი იქნებოდა, შესასყიდადაც. ამ სამეცნიერო მივლინებებს ივი საკუთარი ხელფასიდან დანაზოვი თანხმო აფინანსებდა.

1935 წელს მამა გრიგოლი ათონის მთაწე გაუმჯნავრა, გზად რემანეთი და ბულგარეთი მოინახულა, სადაც ქართული კულტურის არაერთ ნიმუშსაც მოავნო (18. 303). განსაკუთრებით ფასეული იყო XI საუკუნეში მოღვაწე ბიზანტიის დიდი დომესტიკოსის – გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაარსებული პეტრიწონის (დღევანდელი ბაზილის) მონასტრის ტიპიკონის ქართული ხელნაწერის აღმოჩენა სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში; დიდი მოწამეების – ანტონის, იოანესა და ეკსტათის წამების ბერძნული ვერსიის მივნება ათონის მთაწე (12. 10; 17. 12).

ათონზე ძის მოგზაურობას უკავშირდება ერთი უნიკალური რელიგიის ისტორია, რის შესახებაც თავის მოვლენებები მოგვითხრობს გენერალი შალვა მალლაკელიძე: „ლონდონის ბიბლიოთეკი საზოგადოების დავალებით იგი იყო ათონის მონასტერში, საიდანაც ... მან ჩამოიტანა



ათონის იურითა მონასტერი



პეტრიწონის ქართველობის მონასტრის სამკალე



სიმონ ბერეჟიანი,
გიქტორ ნოზაძე,
დავით შარჯანიშვილი,
შალვა მაღლაკელიძე



ჯერის მონასტერი
იერუსალიმში

უძველესი ქართული გარდამოხსნა. ერთხელ პარიზში მე
და ვიქტორ ნოზაძეს (გრიგოლსა და დიდ ქართველ
მეცნიერს – ვიქტორ ნოზაძეს ახალგაზრდობიდან ახლო
მეგობრობა აკავშირებდათ – გ. ს.) გვაჟინება, რომ ამ
გარდამოხსნის შესყიდვა სდომების სამართლებრივის რიზა-
ხანს, მაგრამ უარი ვუთხარით. რატომ, უთხრა ვიქტორ
ნოზაძემ ნახევრად ხუმრობით, შე დალოცვებილ, იქნებ
დაგეპარვოს და შავს კი იგი თავის მუზეუმში ექნებაო.
ისე, არც ვიქტორ ნოზაძე იყო ამის გამყიდველი, უპა-
ტიოსნესი კაცი იყო თვითონ და ისე, ნახევრად ხუმრობით
უთხრა. ამის პასუხად გრიგოლმა ამოილო უკვე დაწერილი
ბარათი რიზა-ხანისადმი, სადაც იგი მას სწერდა, რომ ამ
უძველესი გარდამოხსნის აღვილი მხოლოდ საქართველოს
მუზეუმშიაო...

ვარშავაში გრიგოლს ერთი პატარა ოთახი პქონდა
და ამ გარდამოხსნას თვალისწინებით უფრთხილდებოდა,
არ იშორებდა... მართლაც საოცარი კაცი იყო” (5. 100;
11; 26. 379).

1936 წელს, საზაფხულო არდადევების დროს, მამა
გრიგოლმა დიდი ხნის ნატურა აისრულა – გაემგზავრა
იერუსალიმსა და სირიაში, რათა ადგილზე გასცნობოდა
წმინდანთა ისტორიასა და ქართულ სიძველეებს, მოეხილა
წმინდა მიწა.

ამ მოგზაურობის „მოგონებები“ გრივლელ ფერაძემ
პოლონურ უურნალში – „სლოვო“ – გამოაქვეყნა, სადაც
ლოკუმენტური სიზუსტით წარმოაჩინა ქართველთა მოღვა-
წეობა წმინდა მიწაზე V-XIX საუკუნეებში (12. 10; 17.
12). გარდა ამისა, არქიმანდრიტმა ლაიფციგის უნივერ-
სიტეტის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა იერუსალიმის ჯვრის
მონასტრის აღაპების ე. წ. „ტიშენდორფისეული“ ნუსხა
(17. 12). 1937 წლის შემოდგომაზე იტალიისა და აკსტრიის
ბიბლიოთეკებში მუშაობაც ძალზე ნაყოფიერი გამოდგა
(12. 10).

საბერისერიოდ, გრიგოლ ფერაძე თავისი მოგზაურო-
ბებისა და სამეცნიერო მივლინებების ჩანაწერებს სისტე-
მატურად აქვეყნებდა უურნალ-გაზეთებში, რამაც მისი
მეცნიერული მემკვიდრეობის აღნიშნული მხარე შემოგ-
ვინახა.

ასე თავგანწირვით ემსახურებოდა სამშობლოს ადა-
მიანი, რომელსაც ბედმა იმულებით უცხოეთში მარტოსუ-
ლობა, მშობელი ქვეყნისაგან ფიზიკურად შორს ყოფნა
არგუნა, მაგრამ მას მტკიცედ სწამდა: „არაა ის გამორიყული
და საბრალო, რომელმაც სამშობლო დასტოვა. დიახ,
ამგვარი არაა გამორიყული და საბრალო, არა! საბრალო

ას, რომელიც აღარაა შესისხლხორცებული ორგანულად, თავისი ძარღვით, სისხლით და ხორცით სამშობლოსთან, რომელიც თავისი წინაპრების ანდერძს აღარ გრძნობს, რომელსაც ბუნება აღარაფერს აღარ ეუბნება“ (15. 41).

როგორც აღვნიშნეთ, მამა გრიგოლს მისმა მოღვაწეობამ საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში უდიდესი ავტორიტეტი მოუხვეჭა. მის მრავალმხრივ საქმიანობას იგნორირებას მხოლოდ საბჭოთა სისტემა უწევდა. აქ, როგორც წესი გრიგოლ ფერაძის ნაშრომების არათუ დაბეჭდვა, არამედ სქოლიოში დამოწმება და, უბრალოდ, სახელის ხსენებაც კი სასტიკად იკრძალებოდა (9. 3). საილუსტრაციოდ ერთ მავალითს მოეიტანთ: 1937 წელს, როდესაც მთელს მსოფლიოში ფართოდ აღინიშნებოდა მოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილე, გრიგოლ ფერაძემ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ერთბაშად სამი ნაშრომი უძღვნა, ვარშავაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენებაც წაიკითხა (14. 15). იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებები, რასაკვირველია, საქართველოშიც ტარადებოდა, გამოიცემოდა სამეცნიერო ქრებულები თუ წიგნები, რომელთაგან ერთ-ერთს სავალადო ბეჭი ეწია: ცნობილი ლიტერატორის – გაიოზ იმედაშვილის წიგნი საბჭოთა ცენზურამ აკრძალა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორს სქოლიოში მითითებული პქონდა გრიგოლ ფერაძის ნაშრომი შოთა რუსთაველის შესახებ (29. 4).

მამა გრიგოლი კარგად ამჩნევდა, თუ რა უფსკრული იყო მის სამშობლოში წარმოქმნილი მასასა და პიროვნებას შორის, იცოდა იმ რეპრესიების შესახებ, რომელსაც საქართველოს უამრავი საამაყო შვილი ეწირებოდა (მათ შორის, მისი უფროსი ძმა არჩილიც, რომელიც მუჟლლებობან ურთად 1937 წელს დახვრიტეს – 21. 6; 23. 11) და ყოველივე ამის ძიუხედავად, ერთს გადარჩენის ერთადერთ გზას იგი მაინც პიროვნების შინაგან თავისუფლებაში ხედავდა, რომელიც ხებისმიერ პირობებში შეინარჩუნებდა სულის სიმწნევეს და ერთხელ არჩეულ ცხოვრებისეულ პრინციპებს საკუთარი სიცოცხლის ფასადაც არ უღალატებდა. იგი აღნიშნავდა: „ადამიანი, რომელიც მასისიდან არის ამოსული და განთავისუფლებული, უკვე მასსაზედ მაღლა სდგას. ის უკვე აზროვნებს და ფიქრობს იმ კუდლების იქთაც, რომელიც მასსას აზროვნებას უსაზღვრავს; ის მუმაობს და მოქმედებს იმ საგნისათვის, რომელიც მას აქმაყოფილებს, რომელსაც იგი სიკვდილამდის არ უღალატებს. და ეს იმ დროს, როცა მასსა ერთი ბელადიდან მეორე ბელადისკენ გარდის და თავის წინამდლოლს სწორედ მაშინ სტოვებს,



შოთა რუსთაველი.
მინიატიურა. XVII ს.



გრიგოლის ძმა – არჩილ
უერაძე



როცა უკანასკნელს იგი სჭირდება. იგი ერთ დღეს ყვა-
ვილებს უგებს ვისმეს და მეორე დღეს „ჯვარს აცვი
იგით“ — გაიძახის. პიროვნების ცხოვრება და აზრი
ცხოვრების ერთი და იგივეა, და ის ატარებს უდიდეს
პასუხისმგებლობას. ეს პიროვნება ქმნის უკვლევი ღირებუ-
ლებას წარმავალში და ყოველდღიურ ჭირი-ურსამში ექვება
წარუვალს, იმ დროს, როდესაც მასსა მხოლოდ მომენტით
სცხოვრობს ჭუჭყა და მტკვერში“ (15. 43).

და სწამდა გრიგოლ ფერაძეს, რომ მხოლოდ ის,
„ვინც თავისთვის ზნეობრივად იცავს და უფრთხილდება,
იცავს და უფრთხილდება სამშობლოსაც“ (15. 44).

1939 წლის 1 სექტემბერს ნაცისტური გერმანია
თავს დაესხა მეზობელ პოლონეთს და დაიწყო მეორე
მსოფლიო ომი. მამა გრიგოლისათვის უკვე, ფაქტობრივად,
შეუძლებელი იყო მეცნიერებული მუშაობა. აკი წერდა იგი
1940 წელს თავის ავტობიოგრაფიაში: „რას ჩიშჩავს
ახლა სამუცნიერო გეგმები, რა ფასი აქვს კაბინეტში
გამოკეტვას, რათა თავი შესწირო აბსტრაქტული პრობლე-
მების გაშუქებას, რომლებიც უმუტესად კოლეგების მეტად
ვიწრო წრეს აინტერესებს, მაშინ როცა ჩეენ ირგვლივ
ცხოვრება, სავსე საშინელი ისტორიული ძოვლენებით,
გადამწყვეტ გავლენას ახდენს ცალკეული ხალხების
გადარჩენასა თუ ვაქრობაზე“ (იხ. ქვემოთ, გვ. 37).

თუმცა იგი მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი
და თავის ავტობიოგრაფიას შემდეგი სიტყვებით ამთავ-
რებდა: „ლვთის წყალობის იძედითა და რწმენით სავსე,
კვლავაც სასოებით შევყურებ მომავალს“ (იხ. ქვემოთ,
გვ. 56).

ცხოვრების როგორი, აუტანელი პირობების მიუწედავად,
არქიმანდრიტი ამგვარ ვითარებაშიც ახერხებდა მშობელი
ერისთვის სამსახურის გაწევას. მას დიდი ხნის მევობრობა
აკავშირებდა ექვთიმე თაყაოშვილთან, რომელსაც ემიგ-
რანტული მთავრობის მიერ გატანილი ეროვნული სა-
კანძურის სისტემატიზებაში ეხმარებოდა (3. 4; 7. 261).
ფაშისტების მიერ საფრანგეთის დაპყრობის შემდეგ კი
მოხდა ერთი, ქართველი ერისათვის მეტად მნიშვნელოვანი
ფაქტი, რის შესახებაც შესანიშნავად მოგვითხრობს თავის
სტატიაში — „გაიღო მსხვერპლი სამშობლოსა და მო-
ყვასისათვის, ეს რჩეულოთა ხვედრია“ — მამა გრიგოლის
ძმისწელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი რობანოზ
ფერაძე: „იყო მომენტი, როცა ქართველი მენშევიკების
მიერ გატანილ განმს გერმანელი ოკუპანტები უნდა და-
პატრონებოდნენ. ისინი სანამ განმს გაიტანდნენ, ექსპერტის



ექვთიმე თაყაოშვილი

დავალეს, განესაზღვრა მისი მატერიალური ღირებულება. ექსპერტის დასკვნა ცალსახა იყო: „განძს არავითარი მატერიალური ღირებულება არ გააჩნია, მას მარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვს ქართველი ერისათვის“. საკმარის იყო, გერმანელებს განძეულობიდან თუნდაც ერთი ფეთი გაეხსნათ, რომ აღნიშნული დასკვნის აუტორს სიკვდილი არ ასცდებოდა. ეს ექსპერტი მამა გრიგოლი იყო“ (21. 6; 22. 10).

1940 წლიდან გრიგოლ ფერაძე უკვე მუდმივად კარშავაში ცხოვრობდა – მან გადაწყვიტა, არ დაეტოვებინა პოლონეთი და ბოლომდე გაეზიარებინა საყვარელი ერის ჭირ-ვარამი. თანამედროვეები მოგვიანებით იხსენებდნენ: „გარშავის დაბომბვის დროს, არტილერიის კანონადაში, გავისულდა გრიგოლი საშიშ ადგილებზე, დაჭრილებს უკლიდა და მკვდრებს მარხავდა. ისეთი დაბომბვის დროს მიღიოდა, რომ ჩვენ გვეშინოდა ხოლმე“ (5. 100).

არა მარტო დახოცილებსა და დაჭრილებზე ზრუნავდა მამა გრიგოლი, ივი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ყოველნაირად ეხმარებოდა პოლონელებსა და ებრაელებს, ცდილობდა დაღუპვისაგან ეხსნა ისინი (12. 10).

მისი ამგვარი საქმიანობა არ მოსწონდათ ანტიპოლონურად განწყობილ, გერმანელთა მხარეზე მყოფ ქართველებს, რომლებიც ყველაფერს კადრულობდნენ, რათა თავიანთი ბატონებისათვის ერთგული სამსახური დაემტკიცებინათ.

ერთხელ, აშშ-ში ყოფნისას, რევაზ თაბუკაშვილს იქ მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულებმ, მამა გრიგოლის მეგობარმა, ცნობილმა მეცნიერმა გიორგი ნაკაშიძემ უთხრა: „ფერაძე იშვიათად განათლებული, მაგრამ უბედური ადამიანი იყო, გულასდილი და ძალზე უბრალო. გაცი ვერ მიწვდებოდა, რომ იგი ასე განათლებული იყო. ჩვენებმა დაუწეუს ბრძოლა და მტრობა. ბევრი ცილი დასწამეს მას. ამ ბრძოლაში ყველაფერს კადრულობდნენ. უკვე 1940 წლის დეკემბერში იგი ჩვენთან საუბარში დიდ შემფოთებას გამოიწვამდა თავისი ბეჭის შესახებ. ბოლოს იგი გერმანელებთან დააბეჭდეს და დააბრალეს ფაშისტებისაგან დეენილი ებრაელების გამოქომაგება და პოლონელ იატაკქვეშელებთან თანამშრომლობა (8; 26. 386-387).

1942 წლის 4 მაისს გრიგოლ ფერაძე გესტაპომ კარშავაში დააპატიმრა. მეორე დღეს გერმანელთა ბრძანებით მისი მყუდრო ბინა ბრუკოვის ჭეჩა № 22-ში დაღუქა მართლმადიდებლური უნივერსიტეტის დეკანოზმა უან კოვალენსკიმ (9. 8; 26. 388).



გრიგოლის ძმისშვილი –
რომანოზ ფერაძე



რევაზ თაბუკაშვილი

არქიმანდრიტის დაპატიმრებიდან მესამე დღეს გიორგი ნაკაშიძე მიტროპოლიტმა დიონისემ დაიბარა და სთხოვა ერთობლივი ძალებით ეცადათ მამა გრიგორის განთავისუფლება, მაგრამ მათ სურვილს განხორციელება არ ეწერა. გიორგი ნაკაშიძემ და ქართველებურთულებმა მყისვე გამოარკვიეს, რომ ბრძანება და პატიმრობის შესახებ უშუალოდ ბერლინიდან მოღიოდა (14. 15).

28 მაისს გერმანელმა პოლიციელებმა ბინა გაჩხრიკეს და მის ბიბლიოთეკაში, წიგნების უკან, ამერიკული და ინგლისური ვალუტა აღმოაჩინეს, რომელიც, მათი მტკიცებით, ეპუთვნოდა ებრაელთა დახმარების ფონდს და არქიმანდრიტის წინააღმდევ უტფუარ ნივთმტკიცებას წარმოადგენდა (8; 26. 389).

ამჟამად თითქმის დანამდვილებით შეგვიძლია კოქიათ, რომ აღნიშნული ვალუტა სამალავში გრიგოლ ფერაძეს არ შეუნახავს. არსებობს ზეპირი თუ წერილობითი მასალა, რომელიც მოუთითებუნ, თუ როგორ მოხვდა ფული წიგნების უკან და ვისი ნახელავი იყო ეს, მაგრამ იმის გამო, რომ აქ კანკრეტულ პირებზეა საუბარი, რომელთა შოამომავლები დღესაც ცოცხლები არიან და ცნობები ოფიციალური დოკუმენტებით ჯერჯერობით არ დასტურდება, თავს შევიკავებდით მათი გვარების დასახელებისაგან (5. 100; 14. 15; 26. 379; 29. 4; 30). აი, რას ამბობდა ამის შესახებ გიორგი ნაკაშიძე: „ვიცი, ვინც იყო ამ საქმეში გარეული, მაგრამ არ ვიტყვი, ანდა რას უშველის თქმა? ისიც ვიცი, რომ ფერაძის დღიური გესტაპოში დაჭრინდათ და იქ უთარგმნიდნენ გერმანელებს... ეს ჩვენი სირცხვილია, ჩვენი ლიდი სირცხვილი“ (14. 15).

დაპატიმრებული გრიგოლ ფერაძე ვარშავის პავიაკის ციხეში ჩასვეს, სადაც გერმანელები თარჯიშნად იყენებდნენ. 1942 წლის 10 ივნისს მამა გრიგოლმა თავისი ბინა მინდობილობით ვადასცა ვარშავის სამიტროპოლიტოს დიაკვანს – გიორგი ბერკმან-კარენინს, 20 ივნისს გაზავნილი წერილით (რომელიც ფაქტობრივად ანდერძს წარმოადგენდა) კი მას საკუთარი უძრავ-მოძრავი ქონების შემდგომი განმგებლობაც ჩააბარა: „ჩემი ბინა ავეჯითურთ გთხოვთ, ვადასცეთ ვინმე კანცელარიის მუშაკს. ჩემი არდაბრუნების შემთხვევაში ჩემს ბიბლიოთეკას სამიტროპოლიტოს უუნდერძებ. ნივთები (ტანაცმელი, თეორეტიკი, ფეხსაცმელები, ყველა სხვა ნივთი) გაყიდეთ, ხოლო მიღებული თანხა ვადაეცით ჩვენი სამრევლოს ობოლ ბავშვთა სახლს, ჩემი ქართული წიგნები და საბუთები (აგრეთვე, ხატები) ომის შემდეგ უნდა ვადაეცეს ქართულ ეპლესიას“ (13. 8).



წმ. გრიგოლ ფერაძე

გიორგი ბერკმან-კარენინმა ციხეში მყოფ მამა გრიგოლს უდიდესი სითბოთი და სიყვარულით გამსჭვალული რამდენიმე ბარათი გაუგზავნა, რომლებმიც იმედს გამოჰკამდა, რომ იგი მაღე გათავისუფლდებოდა, თავის მრევლსა და საყვარელ საქმეს დაუბრუნდებოდა (13. 8). მაგრამ, სამწუხაროდ, მის ნატკრას ასრულება არ ეწერა – გრიგოლ ფერაძე ჯერ მაუთპაუზენის, ხოლო 1942 წლის ნიემბერში ოსვენციმის (იგივე აუშვიცის) საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს. ამის შემდეგ წყდება დოკუმენტური მონაცემები მისი ცხოვრების შესახებ. არსებობს მხოლოდ ბანაკის ადმინისტრაციის ოფიციალური ცნობა, რომლის მიხედვითაც 1942 წლის 6 დეკემბერს, 16 საათსა და 45 წუთზე, მამა გრიგოლი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გარდაიცვალა. ამასვე ადასტურებს პოლონეთის იმდროინდელი მთავრობის წარმომადგენლის ჩანაწერებიც: „ბანაკი ოსვენციმი. აქ გარდაიცვალა რამდენიმე კვირის წინ მოყვანილი გრიგოლ ფერაძე, პროფესორი, თეოლოგი, მართლმადიდებელი ქართველი, გამოჩენილი მეცნიერი“ (12. 10).

ამდენად, დოკუმენტური წყაროებიდან ირკვევა, რომ არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე მართლაც 1942 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა, მაგრამ რა ვითარებაში, ზუსტად არ არის ცნობილი.

არსებობს ორი ვერსია გრიგოლ ფერაძის დაღუპვის გარემოებასთან დაკავშირებით: პირველის მიხედვით, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გერმანელი ოფიცერი მოუკლავთ, ბანაკის ადმინისტრაციას მკვლელი ვერ უპოვა, ყველა ტუსაღი, დიდიან-პატარიანად, მთავარ მოედანზე გამოურევავს, საშინელ ყინვაში გაუშიშვლებია და უთქვაში – ასე დედიშობილა იდგებით ყინულზე, ვიდრე მკვლელი ან გამოჩნდებათ. მაშინ პატიმრების მწერივს გრიგოლ ფერაძე გამოეყო. იგი ჯერ ძაღლებს დააგლევინეს, ხოლო შემდეგ ბენზინი გადაასხეს და ბანაკის თვალწინ დაწვეს (12. 10).

მეორე, უფრო გავრცელებული ცნობის თანახმად, რომელიც გრიგოლ ფერაძის ჯვართან ერთად მიტროპოლიტ დიონისეს გადასცა ბანაკიდან დაბრუნებულმა ყოფილმა პატიმარმა, მამა გრიგოლი თავისი ნებით შევიდა გაზის კამერაში იმ ტუსაღის სანაცვლოდ, რომელსაც მრავალმვილიანი ოჯახი ჰყავდა (4. 41; 7. 261; 12. 10).

ასე დაიღუპა დიდი ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე. საბერნიეროდ, ჩვენ, მის შთამომავლებს, შემოგვრჩა მეცნიერის



გიორგი ნაკაშიძე

უამრავი გამოქვეყნებული ნაშრომი, მოუცონუბა, ლექსი, მოხსრობა, კიბისტოლარული შემკვიდრეობა... მაგრამ, სამწუხაროდ, სრულიად დაიკარგა ძისი უძლიდრეული პიტლიოსთვევა ვარშავაში, გამოუქვეყნებული ნაშრომები, უძვირფასები ნივთები, რომლებიც სამეცნიერო მივლინებულების წამოქმნიდა, დაიკარგა ის „ვარდამოსსნაც“... შემდგომში მათი მოძიების არაერთი მცდელობა უშედევოდ დასრულდა (15. 37).

მაგრამ მამა გრიგოლის საქმიანობას უკვალოდ არ ჩაუკლია. მას კარგად ადასტურებს ისიც, რომ იგი ძალზე პოპულარულია უცხოეთის თეოლოგიური წრეებში, ხოლო პოლონეთში მის წსოვნასა და ღვაწლის ამ ერთს წინაშე მოწიწებით სცემენ პატივს. მისი სახელი ამოტკიფრულია უნივერსიტეტისა და, აგრეთვე, წმ. ოთახე კლემაქების სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის ომში დაღუპული მოღვაწეების შემორიალურ დაფებზე (12. 10; 17. 12). გრიგოლ ფერაძის სახელის უკვდავსაყოფად იღვნის შეცნიერთა მთელი ჯგუფი მისი ბიბლიოგრაფის, საქართველოს დიდი მეცნიერის, ვარშავის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის მღვდლის – პეტრიკ პაპროცკის მეთაურიბით. რეჟისორმა უფა ლიუბახმა კი, თამარ და ლატავრა დულარიძეებთან ერთად, გადაიღო დოკუმენტური ფილმი „თუთრი ანგელოზის ძიებაში“.

ფილმს გრიგოლ ფერაძეზე ამზადებდა სულმნათი რევაზ თაბუკაშვილიც. მასალა მას ფაქტობრივად მზად ჰქონდა, მაგრამ დამონტაჟება კლარ მოასწრო. რევაზ თაბუკაშვილის გარდაცვალების შემდევ ფილმი მისმა მოწაუებმა და თანამოაზრებმა დაასრულეს. ამ სტრიქონების ავტორმა 1998 წელს ტელეკომპანია „იბერიაში“ მოამზადა საგანგებო ფილმი გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მასალები გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ცალკე თავის სახით წარმოდგენილია პროფ. გურამ შარაძის 3-ტომიან გამოკვლევაში „უცხოეთის ცის ქანები“ (26. 377-396). პროფ. გორგა ჯაფარიძემ 1995 წელს გამოსცა მამა გრიგოლის ნაშრომი „უცხოელ პოლიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერების და ქართული მონასტრების შესახებ“. მას წამდლვარებული აქვს ნარკვენი გრ. ფერაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, ბოლოში კი ერთვის გრ. ფერაძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია. „არტანუჯის“ აღნიშნული ნომერი უკვე მზადიყო დასაბეჭდად, როცა გამოიცა წიგნი – წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე). „მამაო ჩვენოს“ განმარტება. ქადაგებული. ნარკვენები. თბ. 2001 (რედაქტორი



ვარშავის უნივერსიტეტი



ესი ლიუბახი
(უკანა პლანზე –
წმ. გრიგოლის ბატი)

— სალომე გოგინაშვილი). მასში წარმოდგენილია პარიზში გამომავალ უერნალში — „ჯვარი ვაზისა“ — დაბეჭდილი მასალები.

პარიზში ფუნქციონირებას ვანაკრიმობს გრიგოლ ფერაძის მიერ დაარსებული წმ. ნინოს სახელობის ეკლესია, რომელსაც შესი სიკვდილის შემდეგ ათეული წლების განმავლობაში უძღვებოდა მამა ილია (მელია). დღეს იქ წირვა-ლოცვას მამა არჩილი (დავრიშაშვილი) აღავლუნს (10. 16).

მაღლიერმა ქართველმა ხალხმა ღირსეულად დააფასა თავისი დიდი შვილის ღვაწლი — 1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხეთის ხევტიცხოვლის საპატიორქო ტაძარში გამართულმა საქართველოს მართლმადიდებელი აკტოკეფალური ეკლესის ვაფართოებულმა კრებამ კათალიკოს ამბრისისთან, მიტროპოლიტ ნაზარისთან, გაბრიელ ეპისკოპოსსა და სხვა გამოჩენილ მამულიშვილებთან ერთად მამა გრიგოლი წმინდანად შერაცხა. „წმინდა მდვდელმოწამე“ არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის ხსენების დღე 6 დეკემბერი დადგინდა (27. 3).



მამა ილია (მელია)

* * *

დახასრულს, გვეურს შემოგთავაზოთ მოკლე ანოტაცია იმ მასალებისა, რომელსაც უერნალ „არტანუჯის“ წინამდებარე ნომერში იპილავთ:

- გრიგოლ ფერაძის ორი ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხოვნა „ბედისწერა“ და „გზა გამარჯვებისაკენ“.
- მოვონებები „ქართული კულტურის სამსახურში“, რომელიც მამა გრიგოლმა 1940 წელს თავისი სამეცნიერო ნაშრომების გამომცემლის — აღმოსავლეთის კალეგის ცენტრის დაკვეთით დაწერა.
- 30-იან წლებში შექმნილი სამეცნიერო-პუბლიცისტური ნარკვენები შოთა რუსთაველის შესახებ: „როგორ უხდა აღვნიშნოთ ემიგრაციაში შოთა რუსთაველის თებილე?“, „შოთა რუსთაველის რელიგია“ და „შინ არას ჩეკინოვას შოთა რუსთაველი?“.
- სამეცნიერო ნამრობი „საქართველოს ეკლესის უძველესი ისტორიის პრობლემები“ (მოხსენება, რომელიც გრიგოლ ფერაძემ ოქსფორდის უნივერსიტეტში წაიკითხა 1932 წლის მაისში). ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის — მარიამ ჩხარტიშვილის სტატია „საქართველოს ეკლესის უძველესი ისტორია XXI საუკუნის გადასახედიდან“ ეძღვნება გრიგოლ ფერაძის აღნიშნულ ნაშრობში განხილულ საკითხებს და გვიჩვენებს თუ რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.
- მამა გრიგოლის საინაუგურაციო გამოსვლა ვარშავის უნივერსიტეტში 1933 წლის 7 დეკემბერს თემაზე: „პატროლოგის გაგება, ამოცანები და მეთოდები მართლმადიდებლურ თეოლოგიაში“.

■ თამარ ჭუმბერიძის მიერ მომზადებული პუბლიკაცია „მასალები გრივოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ“ (გამოჩენილი გერმანელი ოეოლოგის – იოჰანეს ლეფსიუსის არქივში აღმოჩენილი დოკუმენტები, რომლებიც ძვირფას ცნობებს შეიცავენ გრივოლ ფერაძის ცხოვრება-მოღვაწეობის გერმანული პერიოდის შესახებ).

■ გონი საიონიძის მიერ მომზადებული „რამდენიმე სტატუსი გრივოლ ფერაძისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობის ისტორიულობაზე“, სალიც ქვეყნდება პ. კიკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული გრივოლ ფერაძის მიერ ივანე ჯავახიშვილისადმი უცხოეთიდან გამოიგზავნილი ოთხი წერილი (1920-30-იანი წლები).

ლიტერატურა

1. დაკით ბუზუკაშვილი. „თავი ჭირსა არ დამრიდად“ (გრივოლ ფერაძის დაბადების 95 წლისთავის გამო). გამ. „ლიტერატურული საქართველო“. 17. VI. 1994.
2. გრივოლ ფერაძის დაბადების 85 წლია. მოღონეობის უნივერსიტეტის პროფესორი (ცხოვრება და მოღვაწეობა). უკრ. „ჯვარი კაზისა.“ თბ. № 2. 1983.
3. რექ დავიდოვი. გაზის კამერიდან – უკლავებაში. გამ. „ურმუნისტი“. 31. I. 1990.
4. მ. ლენჩევსკი. მოძღვარი, პროფესორი, დოქტორი, არქისტორიტი გრივოლ ფერაძე. უკრ. „ჯვარი კაზისა“. თბ. № 2. 1983.
5. შალვა მაღლაგელიძე. მოკონებანი. უკრ. „უანთადი“. № 7. 1991.
6. იოსებ მეგრელიძე. გრივოლ ფერაძე. გამ. „სამშობლი“. 24. X. 1969.
7. იოსებ მეგრელიძე. გრივოლ ფერაძე. ქართული საბჭოთა კულტურული. 10. თბ. 1986.
8. ილია მელია. მამა გრივოლ ფერაძის ტრაგიკული სიკვდილის 40 წლისთავის გამო. უკრ. „გუმაგი“. პარაზი. № 4. 1985; № 7. 1985; № 12. 1987.
9. დამანა მელიქიშვილი. წმინდა მღვდელობისტის არქიმანიდობის გრივოლ ფერაძე. გამ. „ბურჯი კრიონებისა“. № 12. 1997.
10. პაატა ნაცვლიშვილი. მამა არჩილი (პარაზი). გამ. „სამშობლი“. № 19-20. 1991.
11. ვიქტორ ნოზაძე გრივოლ ფერაძე. უკრ. „მამელი“. ბურნეს-აირესი. № 5. 1952.
12. პეტრიკ პაპროცკი. არქიმანიდობის გრივოლ ფერაძე. გამ. „ლიტერატურული საქართველო“. 22. V. 1987.
13. პეტრიკ პაპროცკი. გრივოლ ფერაძე. გამ. „კრი“. 26. VI. 1991.
14. პეტრიკ პაპროცკი. სახოლუსიერო გზას არ დაგარგავს. მოამზადა ამბროსი გრიმიკაშვილმა. გამ. „ლიტერატურული საქართველო“. 17. I. 1997.
15. ნუსარი პაპუაშვილი. გრივოლ ფერაძე. უკრ. „ჯვარი კაზისა“. თბ. № 3. 1988.
16. გიგი ქორდანია. მომზე მოღონეობის მიწაზე. გამ. „ჩანალები ვანათონება“. 12. VIII. 1964.
17. გრივოლ ფერაძე. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერების და ქართველი მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურიო გონი ჯაფარიძე. თბ. 1995.
18. გრივოლ ფერაძე. ქართული კლემენტის გაელება ბალკანეთის ხალხების კულტურაზე. ინგლისურიდან თარგმნა ნათელა ფრენაძემ. უკრ. „საუნკე“. № 4. 1983.
19. გრივოლ ფერაძე. ჩემი სწავლა-კანათლების წლები გერმანიაში. უკრ. „რელიგია“. № 6. 1992.
20. რომანი ფერაძე. კაზით „ურის“ რედაქტორი. გამ. „კრი“. 17. VII. 1991.
21. რომანი ფერაძე. გაიცი მსხვერილი სამშობლოსა და მოცემისათვის. ეს რჩეულთა ხელირია. გამ. „საღიტერატურო გაზეთი“. № 4. 1998.
22. რომანი ფერაძე. გაიცი მსხვერილი სამშობლოსა და მოცემისათვის. ეს რჩეულთა ხელირია. გამ. „ობილისის უნივერსიტეტი“. 4 III. 1999.
23. რომანი ფერაძე. ოკრი ანგლელის დაბრუნება (დოკუმენტური ძოთხოვისა). გამ. „ქართველი კლეტურა“. 10-16 VII. 1998.
24. რომანი ფერაძე. წმინდა მღვდელობისტი. გამ. „ციცინათულა“. № 36. 1999.
25. გურამ შარაძე. მეცნიერის თვალსაწიფრი. გამ. „ლიტერატურული საქართველო“. 17. VII. 1987.
26. გურამ შარაძე. უცხოეთის ცის კუკ. 2. თბ. 1993.
27. მარინე ჩხაიძე. საუკლესით ქრის. გამ. „საქართველო“. 22-29 IX. 1995.
28. თეა ცაგურიშვილი. არქიმანიდობის გრივოლ ფერაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა). გამ. „საქართველოს რეპარატური“. 23. I. 1997.
29. Тамара Дуларидзе. Странник (о жизни и смерти настыря Григория Перадзе). газ. „Русская мысль“. 13-19. VII. 1995.
30. Ing. Kandelaki (Oberst, Vorsitzender der Georgischen Kolonie in Warschau). Abschrift an den Leiter der Kaukasischen Vertrauensstelle Herrn Dr. Alschibaja (Januar 1941).
31. Gr. Peradze. S. p. profesor D. dr. Adolf Deissmann. „Poiska Stronica Slowa“. № 16. 1937.

კავლე ფერაძის გთავაობაგლობა

(1815-2003)

შემდგენლები:

ტატანა ზერამე
0ლია ფერაძე
რომანოზ ფერაძე

ივანე

ილია
ისტორიკოსი

გიორგი
ირაკლი
პატიოლიტი
ბიბია
პეტერი
ნიკოლა
ივან

სიმონ

რომანოზ
(1861-1905)

მდვდელი
„[¶]

ვახოვ
(1903-1982)
პედაგოგი
გრიგოლ
(1899-1942)
მეცნიერი თეოლოგი,
პროფესორი,
არქიმანდრიტი,
წმ. მღვდელმოწამე

ალექს
(1894-1937)
ოფიცერი;
რეპრესირებული

გიორგი

მსახურობდა
მღვდლად ყეარელში

დავით
პედაგოგი;
ცხოვრისძა თელავში

ლუბა

ნიკოლაზ

ანა

პეტრი

აპოსტ

პავლე

ლავრენტი

ტატანა

ლადო

იავა


იანოზ

ნიკონ

დარისპან

იამარ

კავლე



ბ მ დ ი ს ტ ე რ ა



საქართველო
მთავრობის
მინისტრი



ბრიგოლ ფერადი

(პოლონეურიდან თარგმნა ეთერ კვირიკაშვილმა)

ჩემი წინაპრები მწყემსები იყვნენ და დიდ დროს თვალისწისაგან მომღერებით, თავიანთ ფარასთან ერთად ატარებდნენ უდაბნოში, რომელიც მხოლოდ ზამთარსა და ადრეულ გაზაფხულზე ამწვანდებოდა ზოლმე. ერთხელ, ზამთრის წყნარ საღამოს, არაჩვეულებრივი რამ მოხდა. რამაც ქრის-ერთი მწყემსისა და მთელი მისი შთამომავლობის ბედი გადაწყვიტა.

შესაძლოა, ეს იყო შობის წინა საღამო. იმ უდაბნოში, სადაც ორი მეტხვარე თავის ფარას მწყემსავდა, ზამთრის საღამოები ძალიან თბილია. კოცონთან მჯდომი მწყემსები შეიძლება თავიანთ წინამორბედთ იხსენებდნენ, ოდესლაც, სხვა უდაბნოში, ურსკვლავებით მოჭედილ კაზე ანგელოზთა ჯგუფი რომ იხილეს, ჯგუფი, რომელმაც კაცობრიობას უდიდესი საოცრება — მაცხოვნის დაბადება და ახალი ცხოვნების დასაწყისი უწინასწარმეტყველა.

ორივე მწყემსი იმ საღამოს ღირსებითა და სისაღავით იყო სავსე. გამოიწვიას, როდესაც ჩვეულებისამებრ მონასტრის ზარები ბერებს ციხერის ლოცვაზე უხმობენ, მოვლემარე მწყემსები რეკვის უცნაურმა ჰარმონიამ გამოაუხიზლა. უდაბნო მოცილებული იყო დასახლებული პუნქტებიდან და წმინდა აღგოლებიდან. უახლოესი მონასტერი 100 კილომეტრის მომორებით მდებარეობდა. რეკლემ ანგელოზთა ზარები და უხმობელნენ ღვთაებრივ სელექტს საღვთო ციხერის ლოცვაზე. ანგელოზთა

ზარების მოსმენა კი მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც უზუნაესი ჩათვლის ღირსად სამუდამი ცხოვრისათვის.

ორივე მწყემსის გული არამიწიერი სიხარულით აღიქცა. კიდან მოსულ ნიმანს მათთვის სიზმრებისა და ოცნებების ახდენა, მიწიერი ხეტიალის დასასრული მოჰქონდა. ერთ-ერთი მათგანი დაუყოვნებლივ გამოეთხოვა მუქრანის და უახლოესი მონასტრის ნანგრევები: მიაშურა, რათა ამქვეყნიურ ყოველდღიურობას, ცხოვრების ურიამელს მის სულში ჩაღვრილი ანგელოზთა ზარების ხმა არ დაეფარა. შეორე მწყემსმა კი ამ არაჩვეულებრივ მელოდიაში სულ სხვა მინიშნება შეიგრძნო: მოისურვა, მისი შთამომავლები სულთა მწყემსები გამხდარიყვნენ – უკამავლები ღმერთსა და ადამიანებს შორის. იგი მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და შვილი სამონასტრო სკოლაში მიაბარა.

ამ პერიოდიდან ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო – ფარის მწყემსები სულის მწყემსებად იქცნენ. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში ჩემს წინაპრები აღარასოდეს სწვევიათ მსგავსი ხდაპრული გამოცხადება, არასდროს მოუსმენიათ ანგელოზთა ზარების მელოდია, თითოეულმა მათგანმა მაინც შშენიურად უწყოდა ღვთიური არსის საიდუმლოება. ბაეშეობაში ხშირად მოუყოლიათ ჩვენთვის ეს ნამდვილი, ულამაზესი ამბავი ორი ბედნიერი მწყემსის შესახებ.

იგი სძრავდა ჩვენს სულებს, აღგვაფრთოვანებდა წინაპრებით და გვავსებდა მოუთმენელი სურვილით – იქნებ ოდესშე შეგვხვედროდა ანგელოზთა მხილველი ადამიანი. დღეს ბერიური ვარ – ბედმა გამიღიმა, შესაძლოა იმიტომ, რომ ფარისა და სულების იმ მწყემსთაგან უკანასკნელი ვარ, ვინაც ეს უდიდესი ოცნება აისრულა. ყველაფერი კი ასე მოხდა.

* * *

სოფელი მოის ფერდობის ჩაყოლებაზე მდებარეობდა. აქ არის ბულვარი დრომის ნაპრალებმა დააზიანა მოედნები, ქუჩები, ეზოები, შენობები. რაძლენიმე სახლი დაუდევარ მოსახლეებს თავზეც ჩამოენგრათ. დაუცემ, უმწეო და უგერგილო ადამიანებს მხოლოდ სახისაულის იმედიდა ჰქონდათ.

1921 წლის გვიანი ზაფხული იღვა. საქართველოში უკვე ბოლშევეკები ბატონობდნენ. დაახლოებით ერთ თვეს გმუშაობდი ამ სოფელში მურე მასწავლებლად. სახლი, რომელშიც ვცხოვრობდი, ჯერჯერობით მყარად იღვა. ეზოს მარჯვივაც და მარცხნივაც სოფლისკენ მიმავალი გზა ჩაუდიოდა. ჩემი სახლის აივნიდან ჭარვად მოჩანდა სოფელი, მომორებით რკინიგზა, იმის იქით კი უდაბნო, ნამდვილი უდაბნო, გველებითა და მორიელებით სავსე. როდესაც მზე ამოიწვერებოდა, ოქროსფერად ბრწყინავდა იქაურობა. ცივილიზაციის საზღვარი სოფელსა და უდაბნოს მორის მქროლავი მატარებლები იყო. სახლიდან მარცხნივ, დიდ მინდორზე, ახლახან ნაკურობი ახალი ლაბაზი ეკლესია წამომართულიყო. მარჯვენა მხარეს მიმავალი გზა დაბალ ქოხებსა და ვენახებს შორის იკარგებოდა, შემდეგ კლდეს მოუყვებოდა, რომლის წვერზეც ციხესიმაგრე იღვა. კლდის ქვეშ მცხოვრები არც კი ფიქრობდნენ, რომ ძველი ციხე შეიძლებოდა ყოველ წუთს ჩამონაგრულიყო. ეს ღონიერი, უბრალო და გაუნათლებელი ხალხი ბედისწერას იყო მინდობილი.

ძალიან სწრაფად დაუუახლოვდი და შევეჩი სოფლელებს.

გლეხურ სახლში, რომელშიც ვცხოვრობდი, მხოლოდ ორი ოთახი იყო. ერთში პატრონი ცხოვრობდა ცოლთან, შვილებსა და მოხუც დედასთან ერთად

(რომელსაც ჯერ კიდევ არ სურდა ხელიდან გაუშვა ოჯახის მმართველის სადაცები). მეორე ოთახში მე და სახლის მეპატრონის უსინათლო დეიდა ვიყავით. ბრძა მოხუცი ამ სახლში დაბადებულა, გათხოვების შემდეგ კი ქალაქში /გადასულა. ძალე უშვილოდ დაქვრივებულა კიდეც. მარტო დარჩენილს პანსიონის მსგავსი სასწავლებელი გაუჩხნია, სადაც გლეხის გოგონებს წერა-კითხვას, კურვასა და საჭმლის მომზადებას ასწავლიდა. ქალი თურმე მეტისმეტად შეაცილა უშცუოდა მათ.

— რეინის წკეპლით ვცემდი, ამიტომაც დამსაჯა ღმერთმა და თვალის ჩინი წამართვა, — სინანულით ჰყვებოდა მოხუცი.

მოთმინებით იტანდა მისჯილ ხვედრის იმ იმუსი, რომ ლეიტის წინაშე განწმენდოლი წარდგებოდა. ამ სახლში იგი ოჯახის ქმაყოფაზე ცხოვრობდა, რაღგანაც ყველაფერი, რაც კი ეკუთვნოდა, თავის დროზე ქალაქში მზითვად წაეღო. მთელი დღეები იჯდა დეიდა მართა აივანზე, უსმენდა ქალების ლაპარაკს, ჩხუბს და წუხლა სოფლის ველურ ჩვეულებებზე. მთელი ოჯახი გულითადად ეპყრობოდა, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა სოფლის წეს-ჩვეულებათა კიცხვის საბაბი არ მიეცათ.

უბედური, ბრძა ქალი ჩემდამი უდიდეს კეთილგანწყობას ამჟღავნებდა და ფოელთვის „შვილიკოთი“ მომმართავდა. იმ სოფლის ძლვდელს ფსალმუნები არ ჰქონდა და მე დიდი სიამოვნებით ვეხმარებოდი წირვის ჩატარებაში. მასპინძლები დიდად ამაყობდნენ ჩემი ჩიჭითა და უნარით. დეიდა მართას სურდა, როცა გარდაიცვლებოდა, მე დამეკრძალა.

არდადეგები იყო. მასწავლებლებს ხელფასს არ გვაძლევდნენ და ამიტომ რაიმე სხვა სამუშაოზე უნდა მეფიქრა. სოფელთან მორიახლოს ერთი სომენი კაცის კენახი იყო. ჩემდამი კეთილგანწყობილმა სიამოვნებით მიმიღო ვენახში სამუშაოდ. მთელ დღეს იქ ვატარებდი, დიღის ჩუთის ნახევრიდან მზის ჩასვლამდე. გავიცანი იქ მომუშავე უბრალო ხალხი, მათი ბუნება, მათი სული — ზარმაცი, უმნი აღნაგრძის, ფლეგმატური, ჭუჭყიანი და პრიმიტიული ადამიანები. სიამოვნებით ჩხუბობდნენ, ცდილობდნენ ერთმანეთი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. არავის ენდობოდნენ, მხოლოდ საკუთარ თავზე წუხდნენ. მაკრამ საკმარისი იყო, კინძეს მათ სულში ლრმად ჩამალული უაქიზი სიმები შეერჩია, რომ მაშინვე, თითქოს ჯადოსნურმა კვერთხმა იმოქმედა, იცვლებოდა ეს ხალხი — იმსჭვალებოდა თავგანწირვის, სიყვარულისა და გმირობის სურვილით, თვალებში მზის შუქი კლერებოდა.

ერთ დღეს, სახლში დაბრუნებულს, ამბავი დამხვდა, რომ შეიძლება პირველი მასწავლებელი გავმხდარიყავი, ხელფასს კი პაპიროსის სახით მივიღებდი. მეორე დღეს კვირა იყო და სოფლის პირველ მასწავლებელთან წავდი. იმ დროს მივედი, როცა იგი პაპიროსებს საჭმელზე უცვლიდა ერთ-ერთ მწყემსს. ჩემდაუნებურად მათ საუბარს შევესწარი:

— გასართობი გექნებათ, — უბნებოდა მასწავლებელი სიცილით, — ზაფხულის გრძელ დღეებში შეგიძლიათ მოსწიოთ და შეიძოვლოთ ცხოვრების გზა.

— საძოვრებზე საერთოდ არ არის მოწყენილობა, — უპასუხა მწყემსმა, — გუქრავთ, ვმდერით, მოხუცები სხვადასხვა ამბებს ჰყვებიან.

— ერთსა და იმავე ისტორიებს, — მოუთმენლად შეაწყვეტინა მასწავლებელმა,
— არ გბეზრდებათ?

— რას ამბობთ, ამ ამბებს ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვისმენთ.

დავუიქრდი ჩვენს ღვთისმსახურებაზე. იქაც ხომ ყოველ კვირას, ყოველდღე ერთსა და იმავეს იმეორებდნენ ერთნაირი ვზნებითა და აღფრთოვანებით, მუდამ სავსენი ლოცვათა საიდუმლოებებითა და მათი ბრწყინვალე პოუტურობით. ახალგაზრდა მწყემსი აღბათ საერთოდაც დამავიწყდებოდა, მეორე კორე სომხის ვენახში რომ არ გაძოჩენილიყო — საღილი მოუტანა ერთ-ერთ გლეხს. მე ძველი ქავლის ჩრდილში ვიწექი და წიგნს კეითხულობდი. სხვებიც იქვე, ჩემ გვერდით ისხდნენ. შორიდან მომესმოდა იმ მწყემსის ხმა. არც მიცდია მომესმინა მისი საუბრისთვის, მაგრამ წიგნიდან ამოვარდნილი ბარათი ქარმა მწყემსისკენ გააქროლა. მან ბარათი აიღო, მზერა შეაჩერა ნახატზე, რომელზეც თეთრი ანგელოზი იყო გამოსახული. ბარათი დამიბრუნა და მითხრა:

— მეც მინახავს ასეთი ანგელოზი.

გლეხებმა ჩაიცინეს ამ სიტყვებზე. ერთ-ერთმა კი პერი:

— სად ნახე ანგელოზი?

— უდაბნოში. იქ კლდეში ნაკვეთი ეკლესია. შარშან ცხვრის ფარას ვმწყემსავდი. ნათელი ღამე იყო. სხვა მწყემსებთან ერთად მეც დავინახე როგორ გამოფრინდა ამ ეკლესიდან თეთრი ანგელოზი. უნდა წახვიდე იქ, — მომიბრუნდა მე, — იქნებ შენც ნახო ის ანგელოზი.

— მე არ ვიცი, სად არის ეს ეკლესია. იქნებ წამომყვე? — ვთხოვე.

— სიამოვნებით წამოვალო.

— ამ პერით უდაბნოში მგზავრობა ძალიან სახიფათოა, — თქვა ერთ-ერთმა გლეხმა, — ახლა ბალახებში ბეკრია უხსენებელი. — გადააფუროთხა მან.

— მერე დრო აღარ მექნება, — თქვა მიხამ (ასე ერქვა იმ ახალგაზრდა მწყემსი), — საძოვრებზე ვიქნები წასასვლელი.

— იქნებ, უკუთხი იყოს, თუკი დაფიცლით, — კუპასუხე,

— კალავ იქნება კარგი დღეები და რამდენიმე დღესასწაულიც უწევს.

— დღესასწაულები არ გაკლიათ, — ირონიულად ჩაიქირქილა ერთ-ერთმა მოხუცმა გლეხმა, — ბავშვები უმეტესად სახლში არიან, ვიდრე სკოლაში.

— რისოვის უნდა იარონ სკოლაში, რას ისმენენ იქ ჭკვიანურს? — დაამატა ვიღაცამ.

— შეგვირდი და სიტყვას არ გავტეხ, — მითხრა მწყემსიმა, — იმ ეკლესიაში შეიძლება ნებისმიერმა წაგიყვანოს, მაგრამ იმ ანგელოზის ჩვენებას მხოლოდ მე შევძლებ.



სახეზე აღმურა გადაპერა, თვალები აენთო, პაპიროსი პირიდან გადმოუვარდა, აღგზნებული იყო. რას თვიქრებდა, იმ მომენტში მის მაგიკურად ბედისწერა თუ ლაპარაკობდა.

— ადრე ანგელოზი იმიტომ დაინახე, რომ არ ეწეოდი, ახლა კი ეწევი და ვეღარ დაინახავ. ანგელოზებს თამბაქოს სუნი არ უყვართ. — ვუთხარი.

— მხოლოდ გუმინდლიდან ვეწევი. სიმართლე ვითხრა, პაპიროსი სულ არ მსიამოვნებს, მაგრამ განათლებული ხალხი ამბობს, მოწევა კაცობის ნიშანია.

ეს თქვა და რამდენიმე კოლოფი სიგარეტი მდინარისკენ მოისროლა. ჩემთვის აღარ შეძოუხედავს და აღარც საუბარი გაუგრძელებია — მის თვალში მეც განათლებულ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნოდი.

მეორე დღეს, სამშაბათს, ადრიან დიღით მიხა მომადვა. მასპინძლებია, რომელთაც არაური იცოდნენ ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ, გაოცებულები ჩემს გადარწმუნებას შეეცადნენ.

— უმჯობესია, სამუშაოდ წახვიდე, ამ მკზავრობის გამო ზომ რომ დღეს გაცედენ. — მიმტკიცებდა უსინათლო.

— თეთრი ანგელოზის საძებნელად შორს წასვლა საჭირო არ არის. ნებისმიერი კეთილი ადამიანი თავადაა ანგელოზი, — დაამატა მისმა მულმა — შეიძლება გველებმა დაგვიძინოთ, მზემ დაგწვათ, თავს თათარი დაგესხათ, რისოვისდა მიღიხაროთ?

მიხას არაურის გაგონება არ სურდა. მათ არც კი ელაპარაკებოდა. ამაღელვა მასთან დაახლოების საშუალებამ. შეიძლებოდა, მისგან ბევრი საინტერესო რამ გაძუვო. იქნებ სწორედ იმ უდაბნოში მივდიოდით, სადაც ჩემმა წინაპარშა გამოცხადება იხილა.

— რაკი არ იშლით, წადით, მაგრამ ვშიშობ, რომ იმ უდაბნოში ბედისწერას გადაეყრებით! — გვითხრა დეიდა მართამ.

უდაბნო რკინიგზის ხაზს იქით იწყებოდა. როდესაც მივუახლოვდით, მზე უკვე ამოსულიყო. სამინელად ცხელოდა. ნიავი ოდნავადაც არ ქროდა.

ვირი ჯოუტი ცხოველია და მისოვის უცხო თითოეული ჩემი მოძრაობა, შესაძლოა, ცუდი შედეგით დამთავრებულიყო. ძალიან წყნარად ვიჯექი და თუმცა სადაცე მაგრად მეჭირა, ამავე დროს თავისუფლად მოძრაობის საშუალებას ვაძლევდი. ბალახი გადამწვარი იყო. რამდენჯერმე მკაფიოდ მოგვესმა გველის გასრიალების ჩმა. შიშმა შემიპყრო — რატომ მივისწრაფვით ასეთი საფრთხისკენ?!

— უკან დავბრუნდეთ, — მივუბრუნდი თანამჯზავრს.
— არა, არა, — მპასუხობდა იგი, — იმ ეკლესიასთან უნდა მივიდეთ. არასდროს ინანებ. ძალე იქ ვიქნებით.

წინ მხოლოდ ქვეშის ზღვას ვწედავდი, რომელიც გასავლელი გვქონდა. არავითარი სიმწვანე, არც დასახლება, არანაირი თავშესაფარი ირგველივ. სახედარი შევაჩირე და უკან მოვიხედე. მიხა მიწაზე იწვა. კირიდან გადახრილიყო, წონასწორობა დაეკარგა და დავარდნილიყო გველზე, რომელსაც მისოვის ქუხლზე ებინა. ფეხზე ცხვრის ტყავის ქალამნები ეცვა. გველის შხამს თხელ ფეხსაცმელებში იოლად შეეღწია და სხეულში შესულიყო. უნდოდა არ შეემჩნია, გაღიმებაც სცადა, მაგრამ დავინახე სახე რა სწრაფად ეცვლებოდა.

— არაუერია, — მითხრა, — განვაკრძოთ გზა.
დაბრუნება გადავწყვიტე. მიხა თათქოს სიზმარში იყო. ძარტო ერთი, რკინიგზამდე სწრაფად მისვლის სურვილი მამოძრავებდა. გვიან გამახსენდა, რომ ნაკბენიდან შხამი მაშინვე უნდა ამომეწოვა. ვირიდან ჩამოვხტი, ქალამანი გავუხსენი და დავუწყე იარას წოვა. სამწუხაროდ, უკვე გვიან იყო.

— ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ განახე თეთრი ანგელოზი. — ეს მისი ბოლო სიტყვები იყო.

— შენ თვითონ იქნები თეთრი ანგელოზი, — ვფიქრობდი ჩემთვის, — მაგრამ არ ძინდა, რომ ასეთ მდგომარეობაში გნახო.

კიდევ ერთხელ მივწვდი ტუჩებით მის დამტვერილ, ჭუჭყან ჭრილობას და ისეთი შეგრძნება დამუჯფლა, თოთქის ძველ, მტვრიან რელიკვიას, ერთურთი წმინდანის ცხედარს ვკოცნიდი.

ცოცხალ-ძვლდარი მივიყვანე მიხა სოფელში. არასდროს კურთილვარ ასე შეძრწუნებული. მართალია, მის სიკვდილში ბრალი არ მიშიმდოდა — მაგრამ დიდი პასუხისმგებლობა მაინც ტვირთად მარტვა. თავს დამნაშავედ ვკრძნობდა, რატომ მაშინვე არ წავიყვანე იმ უდაბნოში არსებულ სასწაულმოქმედ წყაროსკენ, რომელიც გველის ნაკბენს ძალიან შველის. უსინათლო მიცავდა და პასუხებს ჩემ მაგივრად იძლეოდა. ამ უბედურებაში ყველა ბედისწერის ხელს ჩედავდა. სადაც ეს სიტყვა გაჩნდება, ადამიანები დათრგუნვილნი და დამცირებულნი ხდებიან, არც ურთ მათვანს აღარაფერთ რჩება სათქმელი, არავითარ პროტესტს არ გამოთქვამს, არც იწყევლება, არც განიკითხავს.

მიხა იმავე ღამეს გარდაიცვალა. სახსოვრად მისი საფლავის ქვაზე ლექსი ამოვკვეთე, საფლავზე კი ბროწეულის ხე დავრგე.

მთელი სოფელი შეძრული იყო. მიხას საფლავთან დიდხანს იკრიბებოდნენ საძოვარზე მიმავალი მისი თანატოლები. მწყემსები საფლავზე წითელ ღვინოს აპკურებდნენ და პურს ტეხდნენ.

ჩემი სახლის აივნიდან კარგად ვხედავდი საფლავს და იმ ადამიანებს, იქ რომ დადიოდნენ.

გზა გამარჯვების დღესასწაულია

გრიმილი შემოსილია

(პოლონური თარგმანი ეთერ კვირიკაშვილმა)

აღდგომა გამარჯვების დღესასწაულია, რომელიც შეებასა და აღფრთვანებას ჰქონის ადამიანს. ბევრის მოქმედია თავად ის ფაქტიც, რომ იგი გაზაფხულზე მობრძანდება, როდესაც ბუნება ზამთრის ძილისაგან იღვიძებს და ნაირგვარი ფერებით ირთვება. ჩვენთან, სადაც გაზაფხული ძალიან ჰგავს შემოდგომას, ბუნების ამ ტრიუმფს ადამიანი ისე მკვეთრად ვუწოდება, როგორც მაგალითად ანატოლიაში, სადაც გადამზარი უდაბნოები გაზაფხულზე ყვავილების ფაფუკი ხალიჩით იუპარიუბა.

გაზაფხული აღმაფრუნის პერიოდია, ბუნების გამოღვიძების, სიცოცხლის, სილამაზის, ისეთი სილამაზის, როგორიც მხოლოდ ბუნებას ახასიათებს. წელიწადის ამ დროს დააწესა ქრისტიანულმა ეკლესიამ დღესასწაულთა დღესასწაული, სიხარული სიხარულთავანი – აღდგომის დღესასწაული, სიკვდილისა და ჯოჯონეთის (ჰადესის) დათრგუნვის, სატანისა და მისი ძალის დამარცხების ზეიმი. უნებურად სწორედ ამ დღეს გადაეშლება ადამიანს თვალწინ წარსულის სურათები, ნათლად წარმოუდგება სამშობლო, მშობლიური სახლი, ახალგაზრდობის წლები. სამწუხაროდ, ჩვენი თაობისათვის მოვონებები უფრო მეტად სევდიანია, ვიდრე მხიარული.

მაგონდება აღდგომის დღესასწაული სამშობლოს დატოვების წინ – 1921 წლის 1 მაისი. ეს იყო წელი, როდესაც მთელი საქართველო სისხლში ცურავდა. სამხედრო ძმა ფრონტზე ვიყავით. დედაჩემი თბილისში იყო, არაფერი იცოდა ჩვენს შესახებ. სამი ძმიდან პირველი მე დავბრუნდი სახლში. ბინა გაქურდული დამხვდა. ქალაქი შიმშილობდა. დრო არ მქონდა დასუენებაზე მეფიქრა. უნდა მეჩქარა, რათა უმცროსი ძმა მოშეძებნა. სხვადასხვა ცნობა მოდიოდა ძმის შესახებ, სხვადასხვა ამბავი აღწევდა დედის სმენას. საქართველოს სამი ქალაქი მოუკარა (K, B და S, სადაც სამხედრო პოსპიტლები მდებარეობდა) იძინებით, იქნებ მეპოვა იგი. რკინიგზები ბევრგან განადგურებული იყო, უმეტესად ფეხით დავდიოდი, ნიდების უმეტესობა აუფეთქებინათ და წითელარმი-ელები ცდილობდნენ ძათ აღდგენას. ხილზე გადას-ვლის უფლება რომ მივეღო, მათთან ერთი დღე მაინც უნდა გემუშავა. B-ში უშედეგო ძებნის შემდეგ K-ში ძლივს მივავენი დაკარგულ ძმას, რომელსაც ჩემი ჩასვლის დღეს ფეხი მოპკვეთებ.

თბილისში იმავე „ოდისეით“ დავბრუნდი. დიდი შაბათი იდგა. ბინის კარები და დამხვდა. როგორც მეხობლებმა მიოხერქეს, დედას წინა დღეს, წითელ პარასკევს, ჩემი ძმის წერილი მიეღო და შვილის სანახავად გამგზავრება გადაუწყვიტა, ამიტომაც რკინიგზის სადგურში წასულიყო. მეც სასწრაულდ მივაშურე. მატა-



რებლუბი არარეგულარულად მოძრაობდნენ. ვაკონებში მოხვედრას მხოლოდ მამაკაცები ახერხებდნენ ძალის გამოყენებით, ქალები კი მთელი დღეების განმავლობაში რიგს ელოდნენ. დედაც მათთან ერთად, წინა დღიდან მოყოლებული, ბოლეთების დაკატილ სალაროსთან იდგა. ხელი მოვკიდე და ვთხოვე, რომ დაუცადა ვზების აღდგენამდე, მერე კი ორივენი ერთად მოვახერხებდით წასკდოს! დედა-ჯიუტობდა, მაგრამ როცა შეამჩნია, გამვლელ-გამომვლელთა ფურადღებას-ჭიშკრის, ჩემს ნებას დაჰყვა.



გადატანილი ტანჯვით დაღლილი, ნერვიულობისაგან გამოფიტული ქალი, რომელსაც აღბათ არასდროს გაუცენია აღდგომის დიდი დღესასწაული, იმ დღეს ეკლესიაში ვერ წავიდა და სახლში დარჩა.

* * *

სიონის საკათედრო ტაძარში, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ეკლესიაში, რომელიც აგებულია X საუკუნეში*, რომელშიც ინახება ღვთისმშობლის რამდენიმე საუცხოო ხატი და საქართველოს უწმინდესი რელიკვია — წმ. ნინოს ჯვარი, იმ დღეს მორწმუნეთა სიმცირე იგრძნობოდა. თვით კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე წირავდა რამდენიმე მღვდელთან ერთად. შესასვლელთან შევჩერდი — ვერაფერს ვწედავდი, თითქოს გავქვავდი, ვერც პატრიარქთან მივედი, როდესაც მორწმუნენი მიუახლოვდნენ. ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ, ეკლესიიდან გამოსვლისას, პატრიარქმა შემამჩნია და მომესალმა — „ქრისტე აღსდგა“. ავტომატურად ვუპასუხე, როგორც წესი იყო და თან გამოვყევი. ახალი დღე იწყებოდა. პატრიარქის სასახლისაკენ მიმავალი, აღდგომის დღეებში ყოველთვის ხალხმრავალი ქუჩა ახლა სრულიად დაცარიელებულიყო, ფანჯრის დარაბებიც მიეხურათ. ეტყობოდა, რომ ქალაქი ვერ აღიქვამდა უდიდესი დღესასწაულით მონიშვებულ სიხარულს. პატრიარქი მარტო მიდიოდა, არცერთი მღვდელი არ აცილებდა. მე შორიახლოს მიყვებოდი. ქუჩის კუთხეში ორი წითელარმიელი გამოჩნდა, ზინდით შეხედეს პატრიარქს და გზა განავრმეს. თუმცა ერთ-ერთი სახლის კარებთან მჯდარი ზედამხედველი მისი უწმინდესობის დანახვისას ფეხზე წამოდგა.

სასახლეში შესვლისას პატრიარქი შეჩერდა, თითქოს იგრძნო, რომ უგან მიყვებოდი. ორივე ხელი ჩამავლო და ტკივილითა და დარდით სავსე მამობრივი სმით მითხრა — „სულიერად დაცემული ვარ. წადი აქედან, გადაარჩინე შენი ახალგაზრდობა.“ შევიგრძენი მამაშვილური მზრუნველობა, სიმწარე, ტკივილი და სევდაც.

* * *

იმ დღეს ქალაქში უმიზნოდ ვნერჩალობდი. მოქედავად დაკატილი მაღაზიებისა, ქუჩაში დიდი მოძრაობა იყო. მმიერი და სასოწარკვეთილი ხალხი (უმეტესობა ყოფილი სახელმწიფო მოხელეთა ოჯახის წევრები) ქუჩაში ყიდდა უკანასკნელ ნივთებს, რათა გროშები ეშოვათ პურის საყიდლად. უფრო დაბლი, ვაკვირდებოდი ამ ხალხს და ყოველი მსრიდან ვერძნობდი ომისშემდგომ აკონიას. ადამიანები, რომლებიც არასდროს იცნობდნენ ქუჩას, დღეს მის კუთხეებში ტრიალებდნენ. ერთ-ერთი

* ასეა დედამი (რედ.).

ყოფილი უმაღლესი მოხელის ცოლიც, ორ ქალიშვილთან ერთად, ხელში რაღაც ნივთებით ქუჩაში გამოსულიყო. ერთი გოგონა გვერდით ედგა, მეორე წინ და უკან დადიოდა, თითქოს ვინძეს ეძებდა. უცბად კივილი გაისმა — კიდაც კაცმა ქალს ხელიდან ნივთი გამოგლივა და გაიქცა. ხალხით გარშემორტყმულ, გაწილებულ ქალს ნერვული შეტევა დაეწყო. მისი უმწეო ქალიშვილები ტიროდნენ. იქნებ ეს მათი ოჯახის უკანასკნელი ქონება იყო? მაგრამ დატრიალებული სამაჯი არად მოგეწვენებოდათ იმასთან შედარებით, რასაც შიმშილით სიკვდილი ჰქვია. გამჭვილობა ნაწილმა ვერ გაიგო რა ხდებოდა და ატირებული ქალის ბედი იმ წმინდა დღეს არც არავის აინტერესებდა. ასეთი იყო ჩემს სამშობლოში გატარებული უკანასკნელი აღდვომის დღე.

* * *

აღდგომის დღესასწაული არის სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვება, სიკეთის ბოროტებაზე აღზევება. ამ დღეს ქრისტემ დაანგრია ჯოჯონეთი და დაამარცხა სატანა. ჩვენი ეკლესია ზეიმობს ამ მოვლენას, თუმცა რეალურად ძალიან მორს არის ის დღე, როდესაც ეკლესია ჩვენს ცოდვიან დედამიწაზე სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებას იდღესასწაულებს. მწარე სინამდვილე უფრო და უფრო გვამორებს მას.

სიძულვილს დაუსადგურებდა ერების მორის, მძინვარებს ომები, ძმა ძმას არ ინდობს, საზოგადოებაში კლასობრივი განსხვავებებია. დღევანდელობის დროშებად მოგვევლინნენ ლამაზი ლოზუნგები, რომელთა მიღმაც სიბინძურე და თვალობმაქცობა იყარება.

ჩუთე სირელყოფილებისა და სიწმინდის „მიღწევის ნაცელად შევძლებთ იმას, რომ, როგორც ქრისტე ეჭვობს, „ხოლო მო-რამ-ვიდეს ქე კაცისაა, პოვოს-მეა სარწმუნოებაა ქუეყანასა ზედა?“ (ლუკა 18. 8).

აღდგომის დღესასწაული უდიდესი დღეა. მართლმადიდებელი ეკლესია მთელი წლის განმავლობაში ამზადებს თავის შვილებს ამ დღისათვის, ხოლო როდესაც იგი ახლოვდება, სამზადისი განსაკუთრებული ლოცვებისა და მარხვის სახეს იღებს.

ჩვენს ეკლესიას ამ დღესასწაულისათვის შემორჩა ძველქართული პათოსი და ცდილობს ეს განწყობა წლიდან წლამდე შეინარჩუნოს. აღდგომის დღესასწაული უწმინდესია ეკლესიათვის, მაგრამ განა ასეთივე ღირებულებისაა იგი ხალხისათვის?

ადამიანები უდიდეს ძალისხმევას ზარჯავენ, რათა ამ დღეს კარგად დანაყრდნენ და ბლობად დაღიონ, მღოცველთა ჯგუფები ეკლესიებს მხოლოდ შუაღამის ლოცვების დროს თუ ავსებს. აქედან გამომდინარე, განა შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ეს დღესასწაული მათვეის წმინდაა? თუკი შობის დღესასწაულში ხალხი მთელ თავის შემოქმედებით პათოსს აქსოვს, რაც კალანდით გამოიხატება, აღდგომისათვის ამას ვერ ახერხებს. შობის დღეს იგი დგას საოცრების წინაშე და კრძნობს, რომ მის ცხოვრებაში იწყება ახალი ეპოქა, რომ ზამთრის ყინვაში დაიბადა მზე სიმართლისა. აღდგომა კი ქრისტეს გამარჯვებაა სიკვდილზე, სიკეთის ამაღლება ბოროტებაზე... თუმცა,



ბოროტება ძლიერია, წარმოიქმნება თუ არა, მაშინვე ავიტროებს სიკეთეს და არ აძლევს გამარჯვების საშუალებას. ამიტომაცაა, რომ რაღანაც ხალხიც ცხოვრებაში ვერ ხედავს ამ გამარჯვების ხელშესახებ შედეგებს, აღდგომის დოქტორიანულს ვერ უძღვნის მთელ თავის სულს.

ნუთუ ბოროტების მომძლავრებაზე არ მიგვითითებს დედამიწა—ტკივილი? ტკივილი იმ ქალისა, რომელსაც არასოდეს გაუცდენია არც ჟრომის ღვთისებრაზება, იმ დიდ ღამეს კი სახლში დარჩა. ან ქვეყნის უმაღლესი საეკლესიო პირის „აღსარება“ თავისი მრევლის ახალგაზრდა წევრის წინაშე? ან ახალგაზრდის ცხოვრება, რომელიც სიცოცხლის საუკეთესო პერიოდში იძულებულია მიატოვოს სამშობლი და შეელა უცხო მხარეში ეძიოს?

* * *

ქრისტე გამარჯვებასთან წამებითა და ჯვარცმით მიეიდა. თეით მასაც კი, ღვთის ძეს, სიმწრითა და მოთმინებით სავსე ფიალა უნდა შეესვა, ეკლიან გზაზე უნდა უვლო. გამარჯვებისაკენ გზა ხომ ყოველთვის ეკლიანია და ჯვარცმაზე გადის.

უდიდესი სიხარულის დღეებში ჩვენი თავის მიმართ კრიტიკული უნდა ვიყოთ. ქრისტეს ცხოვრებისა და წამების მაგალითის გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ და ვაღიაროთ, რომ ეკლესია მოწოდებულია ბრძოლისა და გამარჯვებისათვის. მიზანს იგი მიაღწევს მხოლოდ მოთმინების, ეკლიან გზაზე სიარულის, გოლგოთისა და ჯვარცმის გზით. სხვა გზა ქრისტეს პრინციპების საწინააღმდეგოა, იმ პრინციპებისა, რომლებიც მიზნის მისაღწევად მოითხოვენ ადამიანის მთელს არსებას. სხვა გზა მხოლოდ ბოროტებას ესმარება და კეთილმოსურნეობისა და კეთილსინდისიერების მქონე ადამიანის კატასტროფისკენ, ტრაგედიისკენ მიაქანებს. და ეს ემართება არა ცალკეულ ადამიანს, არამედ მთელ საზოგადოებას, მთელ ერს.

თუკი გავითვალისწინებთ ამ საშიშროებებს და მაინც დაეიწყებთ საკუთარი თავის დამშვიდებას არარსებული გამარჯვებებით, განა არ იქნება ეს ქრისტესა და მისი ეკლესიის დალატი? განა ამით არ ჩავიდენთ უდიდეს ცოდვას?

* * *

აღდგომის დღე უნდა გახდეს მთელი ჩვენი საქმიანობის, ჩვენი ცხოვრების შემოწმებული, რწმენის, ღვთის, სინდისისა და ხალხის მიმართ ჩვენი დამოკიდებულების განმსაზღვრელი.

უველას, კინც ამ დიდ დღეს განიცდის მსგავს უკიდეგანო დარღვევა და სუვდას, ვესალმები —

ქრისტე აღსდგა!

Droga do zwycięstwa [გზა გამარჯვებისაკენ].

ეურნ. „Polska Stronica Słowa“. 2. fasc. 18-19. 2/V. Warszawa. 1937. გვ. 4-5.

ქართული პულტურის სამსახური

გრიშმალიშვილის
სამეცნიერო

(პლატონური თარგმნა ამბროსი გრიშმიკაშვილმა)

1926 წელს ქურნალ „Der Orient“-ში აღუწერე ჩემი სწავლის პერიოდი გერმანიაში, ასევე ჩემი პროფესორები და მომავალი სამეცნიერო გეგმები.¹ მას შემდეგ უკვე თოთხმეტმა წელმა განვლო. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა – განსაკუთრებით ბოლო წლებში – არა მხოლოდ კერძო პირთა, არამედ მთელი სახელმწიფოებისა და ხალხების ცხოვრებაშიც.

რას ნიშნავს ახლა სამეცნიერო გეგმები, რა ფასი აქს კაბინეტში ვამოკეტვას, რათა თავი შესწირო აბსტ-რაქტული პრობლემების გამუქებას, რომლებიც უმეტესად კოლეგიების მეტად ვიწრო წრეს აინტერესებს, მაშინ როცა ჩვენ ირგვლივ ცხოვრება, სავსე საშინელი ისტორიული მოვლენებით, გადამწყვეტ გავლენას ახდენს ცალკეული ხალხების გადარჩენასა თუ გაქრობაზე. ისეთი შთაბეჭ-დილება მრჩება, რომ ჩვენი პლანეტის მცხოვრები პასუხს ავებენ თავიანთი წინაპრების ცოდვებზე, თუმცა საბოლოო ანგარიშსწორების დღე ჯერაც არ დამდგარა.

კუიქრობ, ასეთი ვითარება ხელს არ უწყობს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კულტურულ მუშაობას. მეცნიერისათვის ხომ მშეიდი გარემო და შესაფერისი ატმოსფეროა აუცილებელი. სამაგიეროდ, ასეთი დრო სრულიად შესაფერისია ადრე შექმნილი ნაშრომების გადახედვისა და უკვე შესრულებული სამუშაოს თავმოყრისათვის. ამავე დროს, მომავლის გეგმებში საჭიროა განვლილ პერიოდში მომხდარი მოვლენების გათვალისწინებაც. ყოველი გარეკანებული პერიოდის შემდეგ საკუთარი საქმიანობის შეჯამება ჩამდებრდება სასარგებლობა.

გერმანული მეცნიერების შესწავლა დავიწყე მისი აყვავების პერიოდში. ისეთი ფიგურები, როგორებიც არიან ჰარნაკი, ჰოლი, დაისმანი, ბაუდისინი, გრესენი და კრისტიანი, ყოველ თაობაში როლი იბადებიან, ისინი მრავალი თაობის სწრაფვისა და სულიერი ღვწის გეირგვინს წარმოადგენენ. ახლა რომ ვიწყებდე სწავლას, მათ დახმარებას სრულიად სხეულების შევაფასებდი და გამოვიყენებდი, მაგრამ სინანული ჰქონ გვიანაა.

სიმართლე რომ ითქვას, მე არა ვარ თეოლოგი. არასოდეს ვანიჭებდი დად შიშვნულობას წმინდა თეოლოგიურ მეცნიერებას. დოგმატიკას მხოლოდ იმიტომ



გრიშმალიშვილი

¹ Gi. Peradze. Die Ausbildungszeit unserer georgischen Theologen in Deutschland [ჩავნი ქართველი თეოლოგების სწავლა-განათლების წლები გერმანიაში]. Der Orient. 8. Heft 5-6. 1926. გვ. 80-83 (რედ.).

ვსწავლობდი, რომ იძულებული კიყავი – ამ საკანში ხომ შემდეგ გამოცდა უნდა ჩამებარებინა; ასევე არ მაღელვებდა ქრისტიანული მსოფლმხედველობის პრობლემატიკა და სხვა რელიგიებთან თუ თანამედროვე სულიერ მიმდინარეობებთან მიხი დაპირისპირება, ყოველივე ის, რაც ტერმინ აპოლოგეტიკით გამოიჩინა; არასოდეს მიგრძნია წრევადასული სიყვარული სისტემური თეოლოგიის მიმართ.

საქართველოს საეკლესიო ხელისუფლებას, რომელმაც 1921 წელს გერმანიაში გამავზავნა თეოლოგიის შესასწავლად, სურდა განსაკუორებული ყურადღება დამეტმო აპოლოგეტიკისა და თანამედროვე სასულიერო მიმდინარეობებთან ქრისტიანთა კამათისათვის, განსაკუთრებით ათეიზმისათვის და ასევე ქრისტიანობის კონფრონტაციისათვის სოციალიზმისა და კომუნიზმითან. მაგრამ ვერმანიაში ერთი წლის ცხოვრების შემდეგ მიგხვდი, რომ გული არ მიმიწევდა ამ სახის მეცნიერებებისაკენ. ადამიანი, რომელიც მაშინ მეზმარებოდა თავისი რჩევებით და მამობრივ მზრუნველობას იჩენდა, იყო დოქტორი ლევსიუსი. ძირითადად ამან განაპირობა ჩემი დაინტერესება ბიბლიური და ისტორიული თეოლოგითა და აღმოსავლური ენებით – ძველებრძულით, სირიულით, სომხურით. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ მივუბრუნდი ქართული ეკლესიისა და ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიის კვლევას. ამ მიზნით გავეცანი იმდროინდელი სამეცნიერო მუშაობის მეთოდებს და საერთოდ მთელ ეკროპაში ვსწავლობდი ჭველაფერს, რაც შემდეგ დამეხმარებოდა საქართველოსთან დაკავშირებული პრობლემების კვლევაში.

ამგვარად, სამი წლის განმავლობაში ვსწავლობდი ბერლინში და ვცხოვრობდი პოტსდამში. კვირაში ერთხელ შემეძლო მენახა დოქტორი ლევსიუსი, რომელიც პირადად მასწავლიდა სხვადასხვა თეოლოგიურ საგანს. დღემდე ნათლად მახსოვს თუ როგორ ვკითხულობდით ერთად იოანეს სახარებას. იოანეს ლევსიუსს განსაკუთრებით უყვარდა სიყვარულისა და სულის მეოხი სახარება – იოანეს სახარების სიმბოლო ხომ არწივია. ლევსიუსის მთელი ძალალკულტურული ცხოვრება სახარების გაელენით განვითარდა.

ქართული წიგნების ძიებისას გავიცანი პროფესორი ჰაინრიხ გუსენი. იგი უაღრესად შშვიდი ბუნების მეცნიერი იყო, უნების გენიოსი – სრულყოფილად ფლობდა არა მხოლოდ ინგლისურს, ურანგულსა და რუსულს, არამედ აღმოსავლურ ენებსაც: სომხურს, ქართულს, კოპტურს, ეთიოპურს, არამეულს, სირიულს, იცოდა ასევე ლათინური და ბერძნულიც. ჰქონდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც სავსე იყო აღმოსავლური წიგნებით. ოქროს გულის მქონე, უაღრესად კულტურულ ადამიანს, სიკვდილამდე შერჩა სიყვარული და ნდობა ადამიანთა მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით განიცდიდა მათგან იმედგაცრუებას. მრავალი სხვა მუკნიეროსაგან განსხვავდით, იგი არ იყო არც „წიგნების ჭია“ და არც მათი გულგაციებული ავტორი. წერაზე მეტად სიცოცხლეს აფასებდა, ამიტომ თავისი ცოდნის ამოუწურავი საგანმურიდან არცოუ ისე ბევრი რამ დაუტოვა მთამომავლობას, მაგრამ რაც დაწერა, საუკუნეებს გაუძლებს.

ბერნი.

უნივერსიტეტის შენობა.

მეტად სიცოცხლეს აფასებდა, ამიტომ თავისი ცოდნის ამოუწურავი საგანმურიდან არცოუ ისე ბევრი რამ დაუტოვა მთამომავლობას, მაგრამ რაც დაწერა, საუკუნეებს გაუძლებს.

ბერლინიდან ბონში მასთან გავემვზავრე – ერთი სამყაროდან მეორეში და ამ მეორე სამყარომ ისე მიმიშიდა, რომ დიდხანს უკან აღარ გამოვბრუნებულვარ. იქ ყველაფერი ჩემთვის ახლობელი და კარგად ნაცნობი იყო. ქალაქის გარუებნებში

შევნიური კორაკები, რბილი კლიმატი და ბარაქიანი მიწები უფრო შეტან მოძაგონებდა ჩემი სამშობლოს ბუნებას, ვიდრე ბერლინი და მისი შემოგარენი. იქაური ხალხიც უფრო გულიდა და თბილი მომუჩენა. ძალზე მომეწონა აგრეთვე ცხოვრება პატარა საუნივერსიტეტო ქალაქში, სადაც ყველაფერი სასწავლებლის გარშემო ტრიალებდა, მისთვის არსებობდა და სხვა არაფერი აინტერესებდა.

აქ ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ უნივერსიტეტი ჩველაზე წინ და ყველაფერზე მაღლა იდგა. ასეთ აღვილას ძალიან მაღლე შეიძლება იგრძნო თავი როგორც საკუთარ სახლში. ადამიანი მაღლე ეჩვევა აქაურობას და შეუძლია მხოლოდ თავისი საქმიანობით შემოიფარგლოს. ის, რაც მე დაქტორობა ღევჟსიუსმა ჩამავონა, კიდევ უფრო გააძლიერა პროფესორობა გუსენმა. უკვე დრო იყო დამეწყო ქართულ თემატიკაზე მუშაობა. ჩემი ნაშრომის – „ქართული სამონასტრო ცხოვრების ისტორია“ – საჭიროებიდან გამომდინარე, მან ლიდსულოვნად დამითმო მთელი თავისი ბიბლიოთეკა, ასევე უშურველად მეხმარებოდა თავისი მდიდარი ცოდნა-გამოცდილებითაც. მისი მეობებით ვაკიცანი ცნობილი მეცნიერი, ორიენტალისტთა მუკუდ მიჩნეული პაულ პუეტერსიც. სწორედ ამ ნაცნობობას, რომელიც შემდგომში პირად მუკუდრობაში გადაიზარდა, კუმადლი ძალზე ბევრ შემოქმედებით იმპულსს.

ჩემი პირველი ნაშრომი, სამწუხაროდ, აქამდე სრულად არ დაბეჭდილა. პირველი განყოფილება – „მონასტრული ცხოვრების დასაწყისი საქართველოში“ – გამოქვეყნდა „Zeitschrift für Kirchengeschichte“-ში!¹ შეკვეთი ნაწილი დაბეჭდა ურანგულმა ფურნალმა „Revue d' histoire ecclésiastique“-ში,² ხოლო დასკვნითი ნაწილი დაისტამბა ბერნში გამომავალ „Internationale kirchliche Zeitschrift“-ში.³ მთელი ნაშრომის ერთად დაბეჭდვის თაობაზე მოლაპარაკება მქონდა გამომცემლობა „ეკლესიის მამათა ბიბლიოთეკასთან“. იქნებ ომის შემდგომ შევძლო ამ ნაშრომის გამოქვეყნება.

კისძადენში სტუმრობისას, 1925 წლის შემოდგომაზე, უკანასკნელად ვნახე ლექტორო ღევჟსიუსმი. იგი 1926 წლის თებერვალში გარდაიცვალა, მე კი თვის ბოლოს დავიცავი საღვანელოს ღისებრიტაცია.

სწავლის დასრულებისა და დოქტორის ხარისხის მოპოვების შემდეგ, სახლში დაბრუნება და ეპლესიაში ან უნივერსიტეტში მუშაობის დაწყება მსურდა. ამ მიზნით განცხადება გავუგზავნე საბჭოთა საელჩოს. ვინაიდან პასუხი არ ჩანდა,

¹ Gr. Peradze. Die Anfänge des Mönchtums in Georgien [ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში]. ZFK (Zeitschrift für Kirchengeschichte). [Neue Folge. 10]. 47. Heft 1. 1928. გვ. 34-75 (რედ.).

² Gr. Peradze. L'activité littéraire des moines géorgiens au monastère d'Iviron au mont Athos [ქართველ მერითა ლიტერატურული მოღვაწეობა ათონის მოის ივორისის მონასტერში]. Revue d'histoire ecclésiastique. 27. fasc. 3. 1927. გვ. 530-539 (რედ.).

³ Gr. Peradze. Über das georgische Mönchtum [ქართველ ბერმონაზვნობის შესახებ]. Internationale kirchliche Zeitschrift [Neue Folge. 16]. 34. Heft 3. [135]. 1926. გვ. 152-168 (რედ.).



პოტის მონასტერი

ვერმანის აღმოსავლეთის მისის იმდროინდელი დირექტორის წინადაღებით, სამეცნიერო მივლინებით ბელგიაში გავემგზავრე, რათა გარკვეული ხნით მემუშავა ისეთ გამოჩენილ ქართველობრივთან, როგორიც იყო ბოლანდისტია პატი პეტერისა. მას 1926 წლის შობის აღდაღევების დროს შევხვდი ბრიუხველში. უამორახული მქონდა აკრეთვე გარკვეული დრო დამუშმი კათოლიკური ოკულოგიას შესწავლისათვის ლუვენის ცნობილ მეცნ უნივერსიტეტში. ბელგიაში წერილი ადნავ მეტი დრო დავყავი — 1926 წლიდან 1927 წლის აპრილამდე. ვსწავლობდი მეცნ ქართულ წიგნებს ბოლანდისტების მდიდარ ბიბლიოთეკაში, პეტერსთან ვსაუბრობდი ქართული პავიოვრაფიისა და ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებზე. იქვე მოვამჩადე დასაბეჭდად ზემოთ ნახსენები სამეცნიერო ნაშრომიც. ჩვენი ერთობლივი განხილვისა და კამათის შედეგად იმვა ორი ნაშრომი: ერთი პეტერსის — „L'eglise géorgienne du Elibanion au Mont Admirale“, მეორე კი ჩემი — „Die Probleme der ältesten Kirchengeschichte Georgiens“.¹

პატი ლეონ XIII-ის ცნობილი ბულის შემდეგ, რომელიც კრძალავდა სქოლასტიკური ფილოსოფიის შესწავლას, ლუვენის უნივერსიტეტი განსაკუთრებული ინტერესით შეუდგა ისეთი სახელგანთქმული ფილოსოფიას-სქოლასტიკოსის მემკვიდრეობის გაცნობას, როგორიც იყო თომა აკვინელი. აქ არსებობდა სემინარია, რომელიც ამ პრობლემებზე მუშაობდა. ამრიგად, შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი ფილოსოფიის ამ მიმართულებას, მაგრამ აზროვნების სქოლასტიკური მეთოდი ჩემთვის საკმაოდ უცხო აღმოჩნდა. მას მცირე რამ პქონდა საერთო ჩემს მომავალ გეგმებთან, ამიტომ მის ნაცვლად ეკლესიის ისტორიის, პატრიოლოგიისა და ორიენტალისტიკის შესწავლა დავიწყე. გარდა ამისა, შევუდექი ფრანგული ენის, ფრანგული ლიტერატურისა და ფლამანდიური ხელოვნების შესწავლასაც. იქ ყოფნისას, როგორც სტუდენტში ძალიან ბევრი ვიმოგზაურე ამ ქვეყნაში და დავათვალიერე ბევრი ქალაქი, მათი მშვენიერი ხელოვნების გაღღერები, ეკლესიები, მონასტრები.

1927 წლის აპრილის ბოლოს ბელგიიდან ინგლისში გავემგზავრე, რათა ლონდონში, ბრიტანეთის მუნიციპალიტეტისა და, უწინარეს ყოვლისა, ბოლოების (ოქსფორდის ცნობილ უნივერსიტეტში) გავცნობოდი იქ შემონახულ ბელნაწერებს. სამწუხაროდ, დიდხანს დარჩენა არ შემეძლო — ბონში პროფესორ გუსენის გარდაცვალების შემდეგ (1927 წლის აპრილი) აღმოსავლეთის სემინარიამ მისი ადგილის დაკავება შემომთავაზა. ვფიქრობ, მთელ გერმანიაში ვერ მოიძებნებოდა ერთი მეცნიერიც კი, რომელიც მას თუნდაც ნაწილობრივ მაინც შეცვლიდა. პეტერსის გარდა არ მეგულებოდა სხვა ვინმე, ვინც მასავით იქნებოდა დაუფლებული ყველა აღმოსავლურ ქრისტიანულ ენას. მე ლექციები უნდა წამეკითხა მხოლოდ ძველი სომხური და ძველი ქართული ენების შესახებ. ისევ არ ჩანდა ჩემი განცხადების პასუხი საბჭოთა საელჩოდან, მე კი მსურდა რაიმე მოკრძალებული სამეცნიერო თანამდებობა მაინც დამეჭირა, სადაც ჩემთვის საინტერესო პრობლემებზე დაუბრულებლად მუშაობას შევძლებდი. მივხვდი იმასაც, რომ სულიერად და მეცნიერულად თავის სამშობლოსთან დაკავშირებულ ადამიანს მისი კულტურის პოპულარიზაციისათვის უფრო მეტის გაკეთება შეეძლო, თუ ის სახლვარგარეთ იმუშავებდა.

¹ Gr. Peradze. Die Probleme der ältesten Kirchengeschichte Georgiens [საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორიის პრობლემები]. Oriens Christianus [3e série]. 29. Bd. 7. 1932. გვ. 153-171 (რედ.).

ბონში კუელაზე ხელისაყრელი პირობები იყო ჩემი მიზნების მისაღწევად. პროფესორ გუსტავის ბიბლიოთეკა, რომელიც მან კოლონიის კარდინალს უანდერდა, ოცდაათი წლით გადაეცა ბონის უნივერსიტეტს, სადაც ყოველთვის იყო ქართული და სომხური ენებით დაინტერესებული რამდენიმე ადამიანი.

მაშინ რომ უფრო გამოცდილი ვყოფილიფავი, ან ვინმეს ერჩია

ჩემთვის, შემეძლო ამ მოლაპარაკების პროცესში სამეცნიერო უნივერსიტეტის მეცნიერების ან სტიპენდიის მიღებისთვისაც მიმეღწია. იმ დროს ის მატერიალურად უზრუნველყოფილი ვიყავი. მუშაობის გაგრძელება

უსაყვარლესი მასწავლებლის შემდევ, მისი სამეცნიერო კეგმებისა

და ამოცანების შესრულება ჩემთვის უდიდესი პატივი იყო.

ამიტომ წინადადებაზე დადებითად ვუპასუხე. ივნისის ბოლოს

ყველა საჭირო ფორმალობის შესახერელებლად ბონში უნდა

გამოვცხადებულიფავი.

1927 წლის აგვისტოში ლოზანაში გაიმართა მსოფლიო კონფერენცია თემაზე: „რწმენა და საეკლესიო წყობა“, რომელზეც მიმეწვის როგორც ქართული ეკლესიის წარმომადგენელი, კონკრეტურიასთან დაკავშირებული ჩემი საქმიანობის შესახებ და ასევე ჩემი მოსსენება ნაწილობრივ უკვე დავტეჭდე ფურნალ „Der Orient“-ის ფურცლებზე!

ბონში 1932 წლის აპრილამდე დავრჩი. აღმოსავლეთის სემინარია პროფესორ პაულ კალეს ხელმძღვანელობით აღმავლობას განიცლიდა. აქ მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურული ენა ისწავლებოდა.

მისი ბიბლიოთეკა ყოველდღიურად მდიდრდებოდა, ამერიკიდანაც კი უგზავნიდნენ ხელნაწერებს გამოკვლევებისათვის. მაშინ სემინარიაში ღერეტის კითხულობდა ლიტერატურული ტექსტების ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ანტონ ბაუმშტარკი. მისი ინიციატივითა და თანამშრომლობით შეიქმნა ჩვენი ერთობლივი ნაშრომი: „Die Weihnachtsfeier Jerusalems im siebten Jahrhundert“² და ორი ნაშრომიც ლიტერატურის ისტორიის სფეროდან: „Zur vorbyzantinischen Liturgie Georgiens“³ და „Les Monuments liturgiques prébyzantins en langue géorgienne“.⁴ და კიდევ ერთი – „Die altgeorgische Literatur und ihre Probleme“.⁵

მეცნიერებლი მუშაობისას მხარში დგომისათვის გულწრფელ მადლობას ვუხდი ასევე მღვდელს, პროფესორ ერკარდს, ცნობილ პატროლოგსა და ბიზანტოლოგს.



თომა აკვინელი

¹ Gr. Peradze. Die Weltkonferenz in Lausanne für Glauben und Kirchenverfassung [ლუზანის მსოფლიო კონფერენცია რწმენისა და საეკლესიო მდგომარეობის შესახებ]. Der Orient. 9. Heft 9-10. 1927. გვ. 106-108 (რედ.).

² An. Baumstark, Gr. Peradze. Die Weihnachtsfeier Jerusalems im siebten Jahrhundert [საშობაო დღესასწაული იერუსალიმში VII საუკუნეში]. Oriens Christianus [3e série]. 23. Bd. 1. 1927. გვ. 310-318 (რედ.).

³ Gr. Peradze. Zur vorbyzantinischen Liturgie Georgiens [საქართველოს წინარებიზანტიური ლიტერატურის შესახებ]. Le Muséon. 42. fasc. 2. 1929. გვ. 90-99 (რედ.).

⁴ Gr. Peradze. Les Monuments liturgiques prébyzantins en langue géorgienne [წინარებიზანტიური ლიტერატურული ძეგლები ქართულ ენაზე]. Le Muséon. 45. fasc. 4. 1932. გვ. 255-272 (რედ.).

⁵ Gr. Peradze. Die altgeorgische Literatur und ihre Probleme [ძველი ქართული ლიტერატურა და მისი პრობლემები]. Oriens Christianus [3e série]. 24. Bd. 2. 1927. გვ. 205-222 (რედ.).

მისი წყალტით დავწერე ნაშრომი – „Die altchristliche Literatur in der georgischen Überlieferung“.¹ განსაკუთრებით მჭიდრო მეცნიერული კავშირები მქონდა კათოლიკური თეოლოგიის განყოფილების ახალი აღთქმის შევლევართან, პროფესორ პაინრის ბოგელსთან. პროფესორმა თავისი მეცნიერული / ცხოვრება შესწირა „Diatessaronu“-ს პრობლემის კვლევას. მისი შესწავლა კუნძულურებით



მნიშვნელოვანია სახარების ტექსტების შეცდის ტრაქციის, ანუ სხვაგვარად რომ კოქვათ, თავდაპირველი ფორმის დაბრუნებისათვის. სახარებისადმი სიყვარული, სახარების შეული ტექსტებისა და ასევე იქსოს ცხოვრების შესწავლისადმი ინტერესი ჯერ კიდევ დოქტორმა ლეფსიუსმა შოთამაზონა პოტსდამში. მას ხომ დიდი წვლილი აქვს შეტანილი ამ საქმეში.

ბონში ქრისტიანული აღმოსავლეთის სფეროში ჩემი დასერტაციის ოემად შევარჩიე მარკოზის სახარების ქართული ტექსტები. ჯერ კიდევ აღრე, პროფესორ გუსენთან კონტაქტების მეოხებით შევძელი მარკოზის ტექსტების იმვიათი ეგზემპლარების მოპოვება, რომლებიც თარიღდებოდა 913 და 995 წლებით. პროფესორმა

კალუქ ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ აღმოსავლეთის სემინარიისათვის ჩამოიტანა სახარების კველაზე ძველი ქართული ტექსტის ფოტოლითოგრაფია; იგი 897 წლით თარიღდებოდა.² მარკოზის სახარების ტექსტის „Codex Vaticanus“-ში დაბეჭდვის შემდეგ დავიწყე ქართულ ტექსტთან შედარების ერთობ მძიმე და მოსაწყენი შრომა.

პროფესორ ბაუმშტარის სემინარებზე მრავალი წლის განმავლობაში კსწავლობით აღმოსავლეულ (არაბულ, სირიულ, ქართულ, სომხურ, ეთიოპურ და კოპტურ) ენებზე სახარების თარგმნის პრობლემებს და ასევე ტექსტების კრიტიკულ შინაარსს. ბაუმშტარის გამოკვლევა სახარების ქართული ტექსტების შესახებ ჩვენი ერთობლივი ჩამომის შესავალივით მოგვევლინა. სახარების ქართულად თარგმნის პრობლემის ვანმაზოგადებელი, საკუთარი კვლევის შეჯეგები წარვუდგინე 1930 წელს ვენაში ვამართულ ორიენტალისტთა VI ვერმანულ კონფერენციას. ამ ნაშრომის წყალობით, რომელიც მცირე ხნის შემდეგ გამოქვეყნდა კიდევ, გავიცანი ქართველოლოგიისა და ორიენტალისტიკის, ასევე შედარებითი ფილოლოგიის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელს, გენიალურ შეკვეთარს, პროფესორ ნიკო მარს. ჩვენი მოკრძალებული მეცნიერული კონტაქტები შემდგომ თანდათან მჭიდრო ურთიერთობაში გადაიზარდა. პროფესორი მარი 1931 წლის დასაწყისში მცირე ხნით ჩამოვიდა ბონში. მას განჩრახული ჰქონდა პირადად გასცნობოდა ბონის უნივერსიტეტის ქართულ-სომხური განყოფილების მრომებს. მაშინ შემომთავაზა მის ასისტენტად ლენინგრადში გადასვლა, მაგრამ თავში სულ სხვა ჩანაფიქრი მიტრიალებდა. მძიმე ავადმყოფობა მქონდა გადატანილი და გადავწყვიტე პარიზში წავსულიყვავი, რათა იქაურ ქართველ

¹ Gr. Peradze. Die altchristliche Literatur in der georgischen Überlieferung [ძველი ქრისტიანული ლიტერატურა ქართულ გადმოცემებში]. Oriens Christianus [3e série], 25-26. Bd. 3-4. 1929. გვ. 109-116 (რედ.).

² იგულისხმება ადიშის სახარება, თარიღიან ქართულ ლითოგრაფია შემთხვევაში ნუსხა (რედ.).

ემიგრანტთა შორის სასულიერო მოღვაწეობა წამომეწყო. პროფესორი მარი ძალიან ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ ამვარი გადაწყვეტილება დიდად აყნებდა ჩემს სწავლასა და სამომავლო გეგმებს. გამიზიარა ქართულ ემიგრაციასთან ურთიერთობის საკუთარი გამოცდილება. სამწუხაროდ, მაშინ კარგად არ ვიცნობდი ჩვენს ემიგრაციას და მისი დასკუნები წმინდა თეორიულ მსჯელობად შეჩვენებოდა. აძიგომაც შეარად ვიდეს ჩემს პოზიციაზე, რითაც მისი მეგობრობაც და მხარეთვერთვაც დავკარგე. ჩაწერილი მაქვს ჩვენი მაშინდელი საუბარი და ოდესმე აღბათ გაძოვაშვაშებ.

გარდა იმ ანგარიშისა და მოკლე სტატიის „Orientalische Literatur-Zeitung“-ში, სახარების ქართული კურსიების თემაზე ორსაათიანი მოხსენება წავიკითხე ოქსიორდში 1932 წლის 11 თე 13 მაისს. ეს ხელნაწერი არ გამომიქვეყნებია, ვინაიდან მისი კიდევ უფრო კაფვაროւება მინდოდა. იგი ჩემი მრავალწლიანი დაძაბული მუშაობის შედეგია და კვლავ დაუცემუნდებოდი. რათა საბოლოოდ მომემზადებინა დასაბეჭდად, მაგრამ ეს აქამდე კერძო მოვახერხე.

ამასობაში მარკოზისეულ და მათესეულ სახარებათა ქართული ტექსტები გამოქვეყნდა ბლუკის „Patrologia Orientalis“-ში. ბლუკი იძლევა ქართულ ტექსტს ლათინურ თარგმანთან ერთად. ასევე მინდოდა ამ ტექსტების გადამუშავებული გარიანტების გამოქვეყნებაც. ვფლობ ერთი ხელნაწერით მეტს, ვიდრე ბლუკი (კერძოდ, 1936 წლის ჯრუქის სახარებას). ომამდე მცირე ხნით ადრე (1939 წელს) მოღაპარაკება გავმართე ფურნალ „Biblica“-ს (რომი) რედაქციასთან. თავიდან ვაჩრეასტული მქონდა ერთად გამომუქვეყნებინა ჯრუქის მარკოზის ტექსტსა და სხვა კერსიების შორის განსხვავებები, მაგრამ მაღლ ომიც დაიწყო.

ბონში ცხოვრებისას, 1930 წელს დავათვალიერე ძველი ქართული ხელოვნების გამოფენა ბერლინში. ამის შესახებ წერილიც დავბეჭდე ფურნალ „Der Orient“-ში.¹ ბონში ჩემი მუშაობის პერიოდში ჩატანდა ორიენტალისტიკის V და VI გერმანული კონფერენციები – 1928 წელს ბონში, ხოლო 1930 წელს ვენაში. მე ორივეგან მივიღე მონაწილეობა. ბონში ვიღოაპარაკე საქართველოს პრობიზანტიური ლიტურეგიკის, ვენაში კი სახარების ქართული თარგმანების პრობლემატიკის შესახებ. ბონის ფრილობის ბოლო დღეს, 1928 წლის 25 აგვისტოს V სექციის (ქრისტიანული აღმოსავლეთი) მონაწილეობმა შემდეგი დადგენილება მიიღეს: „„ძველი ქართულის, მისი კერ კიდევ წინარებისანტიური ლიტერატურის ძეგლებისა და ლიტურეგიული ტექსტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გერმანული ორიენტალისტური კონფერენციის სექცია ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას განსაკუთრებული შერუცვულობით მოვაკოდოთ ქართული კულტურის შესწავლის საქმეს.“

რეზოლუცია გადაეცნავნა პრუსიის კულტურის მინისტრის (მაშინ მინისტრად მუშაობდა ორიენტალისტი ბეკერი, რომელსაც მანამდე ბონში პროფესორის თანამდებობა ეკავა). ეს იყო უდავოდ დიდი წარმატება გერმანიაში ქართული კულტურის შესწავლის საქმეში, რის უშუალო გამოხატულებადაც იქცა ძველი ქართული ფილოლოგიის კაოზდრის დაარსება.



ნიკო მარი

¹ Gr. Peradze. Zur Ausstellung der georgischen Kunst [ქართული ხელოვნების გამოფენის შესახებ]. Der Orient. 12. Heft 4. 1930. გვ. 120-122 (რედ.).

ვენაში ორიენტალისტების ყრილობის დასრულების შემდეგ გავემგზავრე გრაცი, რათა გავცნობოდი მდიდრულ ქართულ კოლექციას, რომელიც ეპუთვნოდა 1927 წელს გარდაცვლილ ცნობილ ლინგვისტს – პუგო შუპარდტს, ეს კოლაქცია ასეთი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება. ბიბლიოთეკის დირექტორის/თხოვნით მაშინ მოვაწესირიგე დაბუჭდილი ქართული წიგნების კატალოგი ეშეუტირველეს ყოვლისა შაინც ქართული ხელნაწერები მაინტერესებდა, გრძელებული შეკვეთის შაკობის საგალობლის ქართული ვერსია, რომელიც შემდგომ გამოვაქვეყნე ფრანგულ ენაზე.

ბონის პერიოდს მიეკუთვნია ასევე ნატართველოს კულტურის ისტორიიდან – „Der Heilige Georg im Leben und in der Frömmigkeit des georgischen Volkes“,¹ „Das Mönchtum in der orientalischen Kirche“,² გარდა ამისა, წერილი „საქართველო“ – პროტესტანტული თეოლოგიური და რელიგიოს-მცოდნეობის ენციკლოპედიისათვის,³ რამდენიმე რეცენზია ქართული კულტურის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე.

როგორც ზემოთ აღვნიშვნე, 1932 წლის 1 აპრილს სინანულითა და გულისტკივილით დავტოვე ბონი და პარიზში გადავედი, რათა მხოლოდ სახულისერი ცხოვრებით მეცნოვრა მართლმადიდებელ ემიგრანტ ქართველის შორის. ჩემი კავშირი პარიზელ ქართველებთან 1929 წლიდან იწყება. ამ წლის დასაწყისში პარიზში დაარსდა კომიტეტი, რომლის ამოცანაც სამრეცლოს შექმნა იყო. სწორედ მაშინ ბონში თანამშრომლობის წინადადებით მომმართეს და მეც საშოათ არიდა-დეგების დროს იქითკენ გავეშურე. პარიზში პირველად ვიყავი. ჩემი მიზანი იყო ადგილზე შემესწავლა მდგომარეობა და პირადად გამეცხო როგორც მრევლი, ისე კომიტეტის წევრებიც. რადგან სამეცნიერო ინტერესებს ჩემთვის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა, პარიზი არ მომეჩვენა შესაფერის ადგილად, იქაური მრევ-ლისგანაც ნაკლებმოსალოდნელი იყო ჩემი მისწრაფებებისა და საქმიანობისადმი მხარდაჭერა. ამიტომ უარი განვაცხადე იქ სულიერ მოძღვრად დარჩენაზე და ბონში დაებრუნდი, რათა გამეგრძელებინა მუშაობა აღმოსავლეთის სემინარიაში.

მაგრამ მაშინ მოხდა ორი მოვლენა, რომლებმაც მაიძულა დავთანხმებოდი პარიზელ ემიგრანტთა წინადადებას: 1. ბონში ჩემი დაბრუნების შემდეგ კონსტანტინოპოლისან პარიზში ჩავიდა ქართველი მღვდელი – უნიტი (კონსტანტინოპოლის არსებობს უნიტური მიძღინარეობის ქართული მონასტერი), ამიტომ მართლმადიდებლური ეკლესიის დარსება და მართლ-მადიდებელი მღვდლის ყოფნა პარიზში აუცილებელი გახდა;

2. 1930 წელს, როდესაც მძიმედ ავადმყოფი ვიწუქი უნივერსიტეტის კლინიკაში და სიკვდილს ვებრძოდი, ჩემთან წინადადებით მოვიდა პარიზის სამრეცლოს წარმომადგენელი. ამრიგად, მივიღე მი პატივება პარიზში.



პუგო შუპარდტი

¹ Gr. Peradze. Der Heilige Georg im Leben und in der Frömmigkeit des georgischen Volkes [წმინდა გიორგი ქართველი ხალხის ფოფულებასა და რწმუნაში]. Der Orient. 12. Heft 2. 1930. გვ. 45-52 (რედ.).

² Gr. Peradze. Das Mönchtum in der orientalischen Kirche [ბერმონაზენობა აღმოსავლეთ კულტები]. Der Orient. 12. Heft 3. 1930. გვ. 85-89 (რედ.).

³ Gr. Peradze. Georgien. „Die Religion in Geschichte und Gegenwart“ [საქართველო. „რელიგია ისტორიასა და თანამედროვეობაში“]. T. 2. 1927. გვ. 1031-1033 (რედ.).

პოსპიტლის დატოვებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ყოველდღიური საქმეებით ვიყავი დაკავებული, საოცარი სულიერი აღმაფრინა კივრიშნი, თითქოს პარმი დაკლივლიკებდი. მხოლოდ პარიზში ჩემს მომავალი მუშაობაზე ვლაპარაჭობდი, მოუთმენლად ველოდი აღდგომის არდადეგებს, რათა რაც შეიძლება მაღალ ჩავსულიყვავი იქ და მღვდლის მოვალეობის შესრულება დამეწყო. კერც ცნობილმა პროფესორმა კალემ, ვერც ნაცნობმა პროფესორმა მარმა (რომელიც უფრეს ბედის ირონიათ, სწორედ იმ ხანებში ჩამოვიდა ლენინგრადიდან, გადმომცა მოკითხვა ჩემი შორეული სამშობლოსთ და შემომთავაზა მუშაობის დაწყების პერსპექტივები) ურ გადამათქმევინეს შიღებული გადაწყვიტილება. ამჟეჟნად არავის შეეძლო მისი შეცვლა, დედაჩემსაც კი, რომელიც წერილით მირჩევდა უკან დაბრუნებას. მისი აზრით, თუ არჩეულ გზაზე სიარულს გავაგრძელებდი, სამშობლოს ხილვას გერარასოდეს შევძლებდი. ყველანაირი მცდელობა ამაო იყო — რადგან გადაწყვეტილება მივიღე, მტკიცედ ვიდექი მასზე და 1931 წლის 18 თუ 19 აპრილს ლონდონის ბერძნულ ეკლესიაში ბერად აღვიკვეცე, მეორე დღეს კი დიაკვნადაც მაკურთხეს. მღვდლად მაკურთხა მსოფლიო საპატრიარქო საყდრის ევთარქოსმა არქიეპისკოპოსმა გერმანოზმა, რომლის რეზიდენციაც ლონდონში იყო. კურთხევის ცერემონიალი პარიზის ბერძნულ ეკლესიაში 1932 წლის 25 მაისს ჩატარდა.

ჩემთვის დაიწყო სრულიად სხვაგვარი, ახალი ცხოვრება, რომელიც ასევე შეურდა შემეწირა ქართული კულტურისათვის. ქართველი ხალხის ისტორიაში კულტურისა თუ სულიერი ცხოვრების განვითარებას ხომ უპირატესად ბერებმა დაამჩნიეს დიდი კვალი. რატომ არ უნდა დაგვეარსებინა ჩვენც ასეთი კურა პარიზში? იქ მდებარეობდა ქართული უმსგრაციის მთავარი ცენტრი, ემიგრაცია კი განათლებული ხალხისაგან შედგებოდა! მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ შეიძლება იყო ნახტავლი, შესაძლოა მინისტრიც და მაინც ვერ იქცე კულტურულ აღამიანად. ჩემს დანიშნულებას აღვიქვამდი მისიონერის მოვალეობად და უკრძალებდი, საჭირო იყო, რაღაც ძალა ამომდგომოდა მხარში. როდესაც მისიონერები ინდოეთში ან სადე სხვაგან მიღიოდნენ, მათ თანადგომას მშობლიური სამრეკლო უცხადებდა. მე დაგვიანებით დავიწყე ასეთ მხარდამჭერითა ძიება, მაგრამ ამაռდ. ამიტომ უკავშირო ვიყავი საკუთარი თავით, რადგან დაკარგე მკითხვასი დრო, რომელიც შემჰქონელ შემეწირა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

ემიგრაციის ახალი თაობა (აღმოსავლეთში აღამიანი ახალგაზრდად ითვლება, კიდრე სულ არ გათეთნდება და კბილები არ დასცვივა) უმეტესად უმეშევარი, ავადმყოფი და გაუნათლებელი იყო. სამაგიუროდ, „ძველი დამსახურებებით“ დამიმებული, ათასგვარი პოლიტიკურ დაჯგუფებაში ჩათრიული უფროსი თაობა თავისი მიზნების მისაღწევად მებრძოლებსა და მხარდამჭერებს ახალგაზრდებს შორის ეძებდა. უმიზნო პოლიტიკური ბრძოლები, სულისშემსუთველი მძიმე ატმოსფერო დაუფლებოდა ჩვენს გმიგრაციას. რამდენიმე თვეში ჩემი ენთუზიაზმი ჩაქრა. როგორც სრულიად უცხოს ძიება, ისე კითხულობდი რელიგიურად შენებარე ნაწარმოებს — „ქრესტიან პიმნის“, რომელიც ბონში ლოგინში მწოდიანე ავადმყოფა დაწწერე.

მაინც უცდილობით კარგად შემესრულებინა ჩემი მოვალეობა და, ამასთან, მცირე დროც გამომენახა სამეცნიერო მუშაობისათვის. პარიზში დიდხანის არ გაეჩირებულვარ — ბონიდან საფრანგეთის დედაქალაქში გადავედი 1932 წლის აპრილის დასაწყისში. მაისიდან ივლისის შუა რიცხვებამდე უკვე ინგლისში ვიმყოფებოდი, სადაც ოქსფორდის უნივერსიტეტის თხოვნით წავიკითხე თთხი ლექცია „Examination School“-ში და მივიღე პონორარი 50 კირვანქა სტურლინგის

ოდენობით. აღნიშნული თანხით შემუძლო გარკვეული დროის მანძილზე უშვილუკულად მეცნიერა ინკლინაცია და შემუშავა პრიტანეთის მუზეუმსა და ბრძლეანში. ამ ბიბლიოთეკებში დაცულია 75 ქართული ხელნაწერი. ზოგიერთი მათგანი ძალზე ძვირფასია. მაშინ პირადად გავიცანი სახელვანთქმული ინგლისელი / შეცნიერი, პროფესიონალი ფ. ს. ბურლიტ-კემბრიჯი – სახარების ძველი სრულფულ ტექსტების გამომცემელი. ბურლიტი რამდენიმე შემცინაზელა კემბრიჯში. ჩემი შრომით ძალზე დაინტერესებული ცდილობდა რამე მოკრძალებული სამეცნიერო თანამდებობა გამოენახა. რამდენჯერმე გაუმგზავრა ლონდონში, რათა პირადად დაუჭირა მხარი ჩემი განცხადებისათვის როგორულერის ფონდიდან სტიპენ-დოს დანიშვნის თაობაზე.



მამა გრიგოლი (ფერაძე)

ივლისიდან ავგისტოს შემდეგ პარიზში კიმიტუფებოდი, შემდევ გავემგზავრე ბონში, სათაც ძალზე მიმიწევდა გული. ბედმა გამიღიმა, რადგან ზუსტად მაშინ აღმოსავლეთის განყოფილებამ თბილისიდან შიდო ჩემ მიერ შეგვეთილი ყოფელ-თვიური ქართული ფერნალ „მნათობის“ შედი თუ რვა ნომერი. ყურადღებით წავიკითხე ისინი, ამოვა-წერე საინტერესო აღგილები და მოგვიანებით, როდესაც გამომიჩნდა დრო და შშვილი გარემო, წესრიგში მოვიყვანე და გამოვაჲვენე სათაურით – „Das geistige Leben in heutigen Sowjetgeorgien im Spiegel der schönen Literatur“.¹ ბონიდან პოლონეთში გაემგზავრე, რათა იქაური ქართული ემიგრაცია გამეცნი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ურთადერთი მღვდელი კარ საქართველოს ფარგლებს გარეთ. მაშინ კარშავაში მცირე წნით გავჩერდი და კრაკოვშიც წავედი, რათა ჩარტორისკების მუზეუმში არსებული ქართული ხელნაწერები შემუშავდა. იქაური აღმოსავლეთის სემინარიის მიწვევით წავიკითხე ლექცია რუსულ ენაზე ვარშავაში მიტროპოლიტ ლომინისეს შუამდვომლობის წყალობით კონტაქტი დავამყარე პოლონეთის კულტურის სამინისტროსთან, სადაც დაინტერესდნენ, ვარშავაში მართლ-მადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე მუშაობას წომ არ ვისურვებდი. თანხმობა განვაცხადე და ჩემი შეცნიერული მზადყოფნის დასაბუთების მიზნით სამინისტ-როში დავტოვე ზოგიერთი ნამრობის ასლი (რომლებიც შემთხვევით თან აღმომაჩნდა).

მიტროპოლიტი დიონისე 1927 წელს ლოზანაში, საერთაშორისო კონფერენციიდან გაუიცანი. ჯერ კიდევ მაშინ შემუძლო ვარშავაში გადასცელა და იქ მუშაობის დაწყება. მაგრამ მაშინ ბონში დარჩენა ვაძლეობინე, სადაც გაცილებით უკუაესი პირობები იყო მეცნიერული მუშაობისათვის. დაახლოებით 1932 წლის ნოემბრის ბოლოს ბერლინ-პოტსდამის გავლით პარიზში დაებრუნდი, რადგან ქრისტეშობის დღესასწაულის გატარება ჩემს მრეცვლთან ურთად მსურდა. მომავალში მინდოლა მუშაობის დაწყება ვარშავის უნივერსიტეტში პატროლოგიის ლექტორად. არც პარიზში, არც ბონში გულხელდაკრევილი არ ვძლდარვარ, ყოველთვის პოულობდა რაიმე სამეცნიერო საქმეს და ახლაც მუშაობის დაწყების წინადადებით ეჭვს აღგილას ვიყავი შესული. ვარშავა მეშვიდე იყო.

¹ Gr. Peradze, Das geistige Leben in heutigen Sowjetgeorgien im Spiegel der schönen Literatur [სულიერი ცხოვრება თანამედროვე საქართველოში მხატვრული ლიტერატურის შუქწე]. Schriften der Albertus – Universität, Bd. 14, 1938, გვ. 270-288 (რედ.).

რაღვან პარიზში დასახლება მსურდა, უპირველესად აქ მინდოდა გამომეტებნა მოკრძალებული თანამდებობა. პარიზის „უნივერსიტეტის ახალი აღთქმის ცნობილმა პროფესიული ანტრანტმა მკვლევარმა პროფესორმა პ. გოგულემა, რომელთანაც /პრიალი ნაცნობობა მაკავშირებდა, რეკომენდაცია მომცა „College de France“-ის ცნობილ ბიზანტიოლოგ გაბრიელ მილეტთან, რათა ლექციები წამეკითხა ძველი ქართული ლიტერატურის თემაზე, თუმცა ისიც მითხრა, რომ ასეთი შესაძლებლობა კარგდებოდა მხოლოდ 1934 წლიდან და ეს არ იქნებოდა მუდმივი სამუშაო, მხოლოდ ერთ ან რო წელს იყ გასტანდა.

ბრიტანულის ბიბლიურ საზოგადოებასთან შიწერ-შოწერა მქონდა უკვე 1929 წლიდან. იგი ჩემი ქურთხვეისთანავე, 1931 წელს, არქიეპისკოპოს ვერმანოზთან ერთად მოვინახელე. არქიეპისკოპოსის შეამდგომლობით ბიბლიის თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნის შესაძლებლობა მომცეს. ამას ოთხი-ხუთი წელი დასჭირდებოდა, რის შემდეგაც ვალდებულებას ვკისრულობდი მომზადებული ორიგინალი გადამეცა საზოგადოებისათვის დასაბუჭდად. ამგვარად შსურდა შემეთავსებინა სასარგებლო და საჭირო საქმე სასიამოვნოსთან და ამავე დროს უფრო ინტენსიური გარესადა სამრეკლოს მუშაობა. ეს მცდელობაც მარცხით დასრულდა. ინკლისელები განსაკუთრებულ ფურადღებას ფინანსურ მხარეს აქცევდნენ. ეს საქმე საზოგადოებას შევგბას კერ მოუტანდა, რაღვან ხელავდნენ, რომ ქართველი ემიგრაცია ვერ ამჟღავნებდა მაღალ კულტურას. ამასთან, არც თვით საქართველოს შემდგომი ბედი იყო გარკვეული.

პარიზში არსებობდა წმ. სერგის სახელობის თეოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც მისტიკოლოგიური უცლოვიუსი ხელმძღვანელობდა. აქ ლექციებს კითხულობდნენ თეოლოგის რეხი პროფესორები და, კულტურობ, მართლმადიდებლური იურილოგიის ინსტიტუტებს შორის, იგი მნიშვნელობით მეორეა მსოფლიოში (ათენის ინსტიტუტის შემდეგ). საქმაოდ კარგად კუცნილდი ზოგიერთ აქაურ პროფესორს, მიტროპოლიტთან კი ახლო, მეცნიერებით ურთიერთობა მაკავშირებდა. მიუხედავად იმისა, რომ შემეძლო, არასოდეს მიცდია ამ ინსტიტუტში მუშაობის დაწყება. ეს რომ გამეკეთებინა, მაშინ ამჟღაბული გავხდებოდი გარკვეულ იერარქიულ დაქვემდებარებაში მოვქცეულიყავი რუს მიტროპოლიტთან. ჩვენი სამრეკლოს მოული ძალისხმევა კი იქით იყო მიმართული, რომ შეენარჩუნებინა ძველქართველი მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალური მდგრიმარეობა. პარიზში ვერ ვიპოვე ისეთი სამუშაო, რომელიც შემაძლებინებდა სელიერი მობდვრის საქმიანობის შეთავსებას სამეცნიერო კვლევებთან. ამიტომ სამსახურის ძიება სხვა აღილას დავიწყე.

თავიდან კერძანიაზე ვფიქრობდი, მაგრამ ბონში დაბრუნება არ შემეძლო (იუმცა შესაუერისი კანდიდატურა ვერ მონახეს და ჩემი შტატი კვლავ თავისუფალი იყ), რაღვან იქაური ხელისუფლება პარიზში ჩემი მოღვაწეობის წინააღმდეგი იყ. მათ წამომიუენეს პირობა — მუდმივად უნდა გავჩერებულიყავი ან იქ, ან აქ ამ დროს გამახსენდა ორიენტალისტთა კონფერენციის გადაწყვეტილება და მისი რეალურად განხორციელება მოვსინჯე. დახმარება ვთხოვე ბერლინელ პროფესორებს — დაისმანია და ლიცმანი. როგორც შემდგომ მათი წერილებიდან გაირკვა, პროფესორებს ყველაფერი უცდიათ, რაც კი შესაძლებელი იყო. მოკრძალებულ კათედრას,



კრაკოვი

რომლის გახსნაც დაუგეგმათ, განზრახული პქონდა მჭიდრო კონტაქტების დამყარება პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის საეკლესიო მამების კომისიასთან, მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარი სფერო კი უნდა გამხდარიყო ქართული სახელუსიო ლაშ-წერლობის ძეგლები. არაფერო პქონდათ იმის საწინააღმდეგოც, რომ არადევების პერიოდში მომენასულებინა ჩემი სამრევლო პარიზში (შეძეძლო სადმე სხვაგანაც გამესსნა მომცრო ქართული სამრევლო). უფრო მეტიც, უდირთობის რომ ასეთ მოგზაურობას, რომელიც სამეცნიერო მიზნებთანაც იქნებოდა დაკავშირებული, შეუძლო სარგებლობა მოეტანა სწავლების პროცესისათვის. ამრიგად, მაშინ, როდესაც მეჩვენებოდა, რომ საქმეს კარგი პირი უჩანდა, ჩავედი ბერლინში, რათა შეუხვეულოდი ამ საქმისათვის საჭირო ადამიანებს... მაგრამ დავკარგე ეს თანამდებობა, იქნებ ჩემი მოუხერხებლობის გამოც.

ეს იყო მესამე შესაძლებლობა. მეოთხე ოქსფორდი იყო. იქაური უნივერსიტეტი ფლობის უორდოროპების საკვარეულოს მიერ დაწესებულ მნიშვნელოვან სტიპენდიას, რომელიც მისართულია ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებისაკენ. წინათ იქ ლექციებს კითხულობდა ცნობილი არმენოლოგი ფ. კონბეარი და მამინ მისი ადგილი ჯერ კიდევ თავისუფალი იყო, სომხურის და ქართულის სწავლების ერთმანეთთან დაკავშირება კი იოლად შეიძლებოდა. გარდა ამისა, ოქსფორდის ცნობილ ბიბლიოთეკაში, ბოდლეანში, დაცულია მრავალი ქართული ნაბეჭდი წიგნი და ასევე 75 ნაწილობრივ ჯერაც შეუსწავლელი ქართული ხელნაწერი. მე იქ მიმიწვიეს ოთხი ლექციის წასაკითხად, მაგრამ კათედრის დაარსება გადაიდო, რადგან ენის შესწავლის მსურველი არავინ აღმოჩნდა. ფ. კონბეარი მდიდარი ადამიანი იყო და ლექციებს საკუთარი სიამოვნებისათვის ატარებდა. მის ლექციებზე შევხვდი უდიდეს მეცნიერს – ფ. კ. ბურლიტს, რომლის დახმარებითაც როკველერის უონდის სტიპენდიის მიღება ვცალ. იგი 3-5 წლით უნიშნება იმ მკვლევარებს, რომელთა მოღვაწეობისთვისაც საჭირო ხდება სამეცნიერო მოგზაურობები. ჩემს მიზანს შეადგენდა აღმოსავლეთში (არაბულ ქალაქებში, თურქეთში, სპარსეთში) ქართული ხელნაწერებისა და სხვა უძველესი ძეგლების მოძიება. გარდა ამისა, განზრახული მქონდა თანამედროვე არაბული ენის შესწავლა და ეურანის კვლევის იქ არსებული დონის გაცხობა. ეს ძოხუცი მეცნიერი ჩემთვის სტიპენდიის საკითხის მისაგვარებლად ლონდონშიც კი გაუმჯგვრა, მაგრამ რევორც მისი წერილებიდან ირკვევა, ჩეუნი მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

საინტერესოა ავრეთვე ჩემი დასაქმების უილბლოდ დასრულებული შემდგომი ცდაც. თრი ნაცნობი კათოლიკე მეცნიერი (დაილობდა ჩემთვის ვატიკანში სტიპენდიის გამონახვას), რათა განმეხორციელებინა კვლევაძიებითი სამუშაოები ქართულ ხელნაწერებზე ატალიაში. „მისმა ბრწყინვალებამ, რომელსაც ჩენ მივმართეთ, თქვენი თხოვნა აუდიუნციაზე წარუდგინა წმინდა პაპს პოუს XI-ს“ – მწერლნენ შემდეგ ისინი. ასეთი კულტოლოგინე მცდელობის მიუხედავად, იმედი ამჯერადაც გამოცრუვდა.

ამრიგად, ჩემი ყველა გვემა წარუმატებლად დასრულდა. 1933 წელს პარიზში შევხვდი. წერილის მხოლოდ ვარმავიდან ვეღოდებოდი. იანვარში ძალაშე სამწუხარო ცნობა მივიღე სამშობლოდა: 1932 წლის 19 დეკემბერს გარდაიცვალა დედაჩემი. ახლა უკვე შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ბოლო ფიზიკური მაფი (რადგან სულიერად და ძულტურულად სამშობლოსთან ყოველთვის ძალაშე მჭიდროდ ვიყავი დაკავშირებული) გაწყდა ჩემსა და ჩემს სამშობლოს შორის. უპირველეს ყოვლისა, ვწუხდი, რომ პარიზში გადასვლით დედას ასეთი დიდი დარდი გავუჩინე და ახლა, როდესაც პორიზონტზე შექის მცირე სხივები აკიაფდა, ანუ ვარშავაში

კულტურის შესაძლებლობა მოშევა, საიდანაც მისთვის მცირეოდენი დახმარების გაწევა მაინც შემეძლო, სიკვდილმა წამართვა. მისი გარდაცვალების თაობაზე ურთიერთსაწინააღმდევო ინფორმაციას კლებულობდი. ოფიციალური განცხადების თანახმად, დედა ჩანვრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ჩემი ძმა / კი შეწერდა, რომ დეკემბერში დედამ მოელი დამე პურის რიგში გაატარა. დილით უგონოდ შეოფი უცხო ადამიანებმა მოიყვანეს და მაღვე კიღეც გართამარცვალა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სიმართლეს მიმაღლავენ. შენახული მაქვს დედაჩემის ყველა წერილი და მსურს აღვწერო მისი ცხოვრება, როგორც კი სააშისო ლრო და სიმშვიდე შოშეცემა.

1933 წლის ზაფხულძა იმედის სტივი ჩამისახა, რომელსაც შესაძლოა კეთილის-შეოფელი გავლენა მოეხდინა როგორც პარიზის ქართულ მრეკლამე, ასევე ჩემს შრომაზე ქართული კულტურის სფეროში. ქართველმა ალექსანდრე მდივანმა, რომელიც ევროპასა და ამერიკაში ცნობილი იყო თავისი მრავალრიცხვანი ქორწინებებით მდიდარ ქალებზე, გამოძებნა ახალი საცოლე და სურდა მასზე ჯვარი უკლესიაში დაეწერა. არ მინდოდა ამ საქმეში ჩავრულიყავთ, მითუმეტეს, რომ პირველ ცოლთან ითიციალურად განქორწინებული არ იყო, მაგრამ დაკიანხმდი, იღებდ იმ პირობით, თუ დოკუმენტებს რუსულ უკლესიაში შეიტანდა. ივნისში თუ ივლისში, რამდენიმე ქართველის თანხლებით, მდივანმა საჩიმოდ დაიფიცა რუსული ჰქონის ზღურბლზე, რომ ქორწინების შემდეგ პარიზში პატარა ქართულ სამრეკლოს აშენებდა მღვდლის ოთახითურთ, მაგრამ როდესაც დავაპირე შემქსრულებინა ცერემონიალი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, კულარსად ვიპოვეთ ნეფე. ერთხელ, როდესაც დიდია და მდიდრულ სასტუმროებში აღექსანდრე მდივნის უშედეგოდ ძებნის შემდეგ ჩაღვლიანი და დარ- დანი დავბრუნდი, ჩემი ღა- რიბული სასტუმროს ნობერ- ში პოლონეთის კულტურის სამინისტროდან ითიციალუ- რი მოწევეა დამსვდა. იგი უწყებოდა, რომ უარმავაში ჩასვლა და სამუშაოს დაწ- ყება შემუტლო. სასწრაფოდ მოვაგვარე ყველა საქმე და პორფილიკ მატარებლით უარ- შეისყენ გავეშეურე.

არასახამისუნო სიტუა- ციის მოუხედავად, შევძელი პარიზში ყოფნა სამეცნიერო

მიზნებისათვის გამომუშენებინა. პირად ბიბლიოთეკას ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მეცნიერობან ვინახავდი, მაგრამ მოუხედავად ამისა, მაინც მოვახერხე მასალების შევროვება პარიზის მდიდარ ბიბლიოთეკებში, ბრიტანეთის მუზეუმსა და ოქსფორდის ბოლოებანში. აგრეთვე შევძელი გამოსაცემად მომემზადებინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ქართული სამეცნიერო ნაშრომი. მათ დაბეჭდვასთან დაკავშირებული დიდი სირთულეების მოუხედავად პუბლიკაციები აშ პერიოდიდანაც მაქს. ერთი ქართველი ემიგრანტის ქადალდებში გადავაწყდი თორმეტი მოციქულის ქადაგების ქართულ თარგმანს, რომელიც დავბეჭდე „Zeitschrift der Neutestament-



ოქსფორდის უნივერსიტეტი


lichen Wissenschaft“-ში.¹ ცნობილი ლიტურგისტის პ. კ. კოდრინგტონის თხოვნით ვთარგმნე პეტრეს ლიტურგიის ქართული ვერსია ფრანგულ ენაზე, რომელიც ჩაერთო ნაშრომში „The Liturgy of Saint Peter“.² ოთხი წლის შემდეგ პარიზში, სამეცნიერო წელიწლებული დავბეჭდე ქართულ ენაზე მხოლოდ ჩემ მიერ რედაქტირებული „ჯვარი ვაზისა“; ოქსფორდში წაკითხული დაუქცევის ციკლი, აგრეთვე ლექციები „College de France“-ში (1933 წლის მარტში) სწორედ პარიზში ცხოვრების დროს მოვაძხადე.

პოლონერი ენის შესასწავლად 1933 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებამდე კრაკოვში ერთ პოლონერ ოჯახში ვცხოვრობდი. იქვე მოვამზადე მოხსენება ინაუგურაციისათვის, რომლის გამართვაც უნივერსიტეტის დიდ დარბაზში მხოლოდ 1933 წლის 7 დეკემბერს მოხერხდა (სხვადასხვა გარემოების გამო ვარშავის უნივერსიტეტში 1933 წლის შემოდგომიდან სწავლა შეწყვეტილი იყო).

ამდენ წარუმატებლობას, წესით, ჰკუა უნდა ესწავლებინა, უფრო ბრძენი და წინდახედული გავეხადე. სამინისტროში გამართული მოლაპარაკებების დროს ყურადღებას ძირითადად ორ მომენტზე ვამახვილებდი: 1. პარიზში თავისუფლად გამგზავრებაზე წელიწადში მინიმუმ ორჯერ და ასევე საზღვარგარეთული პასპორტის მიღებაზე, რათა არადალებების დროს სამეცნიერო მიზნებით სანგრძლივი მოგზაურობის საშუალება მქონოდა; 2. მოვითხოვდი აგრეთვე, რომ საქართველოს ავტოკეფალური

ეკლესია ეცნო პოლონერის მართლმადიდებლურ ავტოკეფალურ ეკლესიას და მათ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარებულიყო. ორივე თხოვნის შესრულებას შემძირდნენ. ამგვარად, დავსახლდა აქ და ობის დაწყებამდე, 1939 წლის სექტემბრამდე, კმუშაობდი ვარშავის უნივერსიტეტის მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე. ვარშავაში მოღვაწეობის პერიოდში წელიწადში ორჯერ მივემგზავრებოდი პარიზში ჩემს სამწევლოში, ხოლო ზაფხულის არდადებებზე კაწყიბდი სამეცნიერო მოგზაურობას ქართველი კულტურის მეცნიერების მისამიერად.

სამეცნიერო საქმიანობისათვის მისაბამ მაგალითად მიმაჩნდა ცნობილი ქართველი სწავლებული ალექსანდრე ცაგარელი, რომელმაც პირველმა დაიწყო ქართველი ხელნაწერების მიძიება მოულ მხოლელობის და საუცდელი ჩაუყარა მათ კატალოგიზაციას. ძველქართველი ლიტურატურის მეცნიერებად დამუშავების უს პირნერი დიდი ხნის მანძილზე პროფესორად მუშაობდა პეტერბურგში და გარდაიცვალა ოციოდე წლის წინათ თბილისში. მის გვალზე მიძავალი კოცნებობდი მენახა ის ხელნაწერებიც, რომლებიც მისთვის XIX საუკუნის ბოლოს მიუწვდომელი აღმოჩნდა.



უკრნალი „ჯვარი ვაზისამ“. რედაქტორი – გრიგოლ გერამე-პარიზი. 1930-იანი წ.

ლიტურნალი „ჯვარი ვაზისამ“. რედაქტორი – გრიგოლ გერამე-პარიზი. 1930-იანი წ.

¹ Gr. Peradze. Die „Lehre der zwölf Apostel“ in der georgischen Überlieferung [„თორმეტი მოციქულის სწავლაზე“ ქართულ გადმოცემებში]. Zeitschrift für die neutestamentliche Wissenschaft und die Kunde der älteren Kirche. 31. Heft 2. 1932. gg. 111-116, 206 (რედ.).

² H. W. Codrington. The Liturgy of Saint Peter [წმინდა პეტრეს ლიტურგია]. Kyrios. 2. fasc. 3. 1937. gg. 260-262 (რედ.).

1934 წლის ზაფხულის არდადეგებზე გავემგზავრე გერმანიაში, სადაც აღვ-წერე ლიპსიკისა და გეტინგენის ბიბლიოთეკებში, აგრეთვე ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები. ისინი ლიპსიკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პალესტინის წმინდა ჯვრის მონასტერიდან ტიშენდორფმა ჩამოიტანა. როდესაც მის ძემკვიდრეობას ვსწავ-ლობდი, ხელთ ჩამივარდა კორესპონდენცია, რომელიც შე- ეხებოდა ცნობილი Codex Sinaiticus-ის აღმოჩენასა და გამოქვეყნებას. განსაკუთრებით დამაინტერესა ტიშენდორფის მიმოწერის ცნობილ რუს მეცნიერთან, არქიმანდრიტ პორფირი უსაქნისკისთან. ამ ნაწილის ასლი ადგილზევა გადავიდა, დანარჩენი კი გადასაღებად გადავეცი ფოტოგრაფს და ვარ- მაყაში დაბრუნების შემდეგ დავბეჭდე. გამოვაქვეყნე აკრეთვე დოკუმენტები, რომლებიც უხერხა როგორც თავად Codex-ის ტექსტს, ასევე მისი აღმოჩენის ისტორიას. პროფესიონალ კარლ შმიდტი დაინტერესდა ამ ნამომით, სურდა შეებეჭდო მისი აღმოჩენის და გამოკვლევა. არ ვიცი, გამოიაქვეყნა რაიმე ამ თემაზე, თუ მისი ნამუშევარი დღესაც ელის მკვლევარის ხელს.

სიამოვნებით დავრჩებოდი გერმანიაში მთელი არდადეგების მანძილზე, მაგრამ მაღიან შეურდა მონაწილეობა მიმელო პოლონური ენისა და კულტურის კურსებში, რომელიც სექტემბრის თვეში ეწყობოდა უკანონიათვის ვარმავის უნივერსიტეტში.

შემდეგი, 1935 წლის არდადეგები უფრო მოშორებით — რუმინეთში, ბულგარეთსა და საბერძნეთში გავატარე. რუმინეთსა და ბულგარეთში არსებული ქართული კულტურის ძევლების შესახებ პროფესორად დაგარეცდა გაცილებით მეტი იცოდა.

საბერძნეთში ვესტუმრე შეორდნდ ათონის წმინდა მთაზე მდებარე ცნობილ მონასტერს, სადაც დაახლოებით უქვე თვემდე დავრჩი. განზრახული მქონდა იქ უფრო დიდხანს გაჩერება, ხოლო იქიდან თესალოიაზე მეტეორის ცნობილ მონასტერში წასვლა, სადაც ასევე მუგულებოდა ქართული ხელნაწერები, მაგრამ ათონის მთაზე მაღარია შემეყარა. საბედნიუროდ, ძალა მოვიკრიბე და უკან გამობრუნებულმა ბელგარეთში კიდევ ათი დღე გავატარე — ბაჩოვის ძველი მონასტერი მოვინახულე. იგი ქართველის მიერ არის აშენებული ქალაქ პლოვდივის მახლობლად. ათონის მთაზე მოგზაურობიდან ჩამოვიტანე ძალზე საინტერესო მასალები. იქ შეკნედი ქვეს ქართველ ბერს და მათგან შევიტყვე ქართველ ბერთა ცხოვრების ახალი მსები ათონის მთაზე.

ივერთა ძველ ქართულ მონასტერში, სადაც ამჟამად ბერძნები ცხოვრობენ, გადავიწერე უძველესი, 978 წლით დათარიღებული ქართული ბიბლიის ხელნაწერის ნაწილი. აქვე შევისყიდე ათონის მონასტრის X საუკუნის ქართულ ხელნაწერთა XIX საუკუნის ასლები. ათონის მონასტერშივე შევიძინე XVIII საუკუნეში დაბეჭდილი მრავალი იშვიათი წიგნი. ათონის ერთ-ერთ მონასტერში აღმოვაჩინე სამი ვილნელი წმინდანის — ანტონის, ოთანესა და ვესტახის წამების აქამდე უცნობი აღწერა. იქნე გადავიდე მათი ასლები. ბულგარეთში გამობრუნებულს, ბედნიერება მქონდა სოფიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში აღმომჩინა აქამდე უცნობი ბაჩოვოს მონასტრის ტიპიკონი. ომამდე მცირე ხნით ადრე მივიღე მისი მშვენიერი ფოტოახლი, რომელიც ბელგარეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ იყო შესრულებული. როდესაც მშვიდობა დამყარდება, განზრახული მაქვეს, მის შესახებ გამოკვლევა გამოვაქვეყნო. ჩემი



აღესანდრე ცაგარელი

¹ იგულისხმება თმვის ბიბლია (რედ.).

კვლევის შედეგები დავბეჭდე სამეცნიერო ნაშრომში: „Die Einflüsse der georgischen Kultur auf die Kultur der Balkanvölker“.¹

სიმძიმედებ, რომელიც მოვიპოვე შემდგომ აკადემიურ წელიწის, სამუალება მომცა, დამესრულებინა პარიზში წამოწყებული სამუშაოები და ჩამეტოთ ისინი სამეცნიერო ნაშრომში, რომელიც უხებოდა ინგლისში არსებულ ქართულ ხელ-

ნაწერებს, ნიშანების სათაური იყო: „Das geistige Leben in heutigen Sowjetgeorgien im Spiegel der schönen Literatur“. ასევე ვამოვაქვეყნე აქამდე უცხობი მონოფიზიტური მიმართულების აპოკრიფული სახარება.

1936 წლის ზაფხულის არდალეგებზე იერუსალიმსა და სირიაში გავემგზავრე, როთაც შესაძლებლობა მომეცა სრულად შემესწავლა არა მხოლოდ წმინდანთა ისტორია მისი მსვლელობის აღვიღებში, არამედ დამეთვალისერებინა და

ათონის ივერთა მონასტერი

აღმეწერა საქართველოს „ნაშთნი ძველი დიდებისა“. სამწუხაროდ, ჩემი იქ ყოფნა ძალზე დამაბულ დროს დაემთხვა და იერუსალიმს გარეთ მოგზაურობა სახიფათო იყო. ამიტომ იძულებული გაუხდი ჭარი მეთქვა თავდაპირველი გეგმის განხორციელებაზე, რომელიც სირიის მონასტელებასაც ითვალისწინებდა. ყოველ შემთხვევაში, საჭეალება მომეცა აღმომეჩინა რამდენიმე ქართული წარწერა, რომლებიც ყურადღების შილდა დარჩა XIX საუკუნის 80-იან წლებში პრივატორ ცავარელს. ვგონებ, პირველი ქართველი ვიფავი, რომელმაც შეძლო შეა საუკუნეების შემდეგ ენახა წმ. სვიმონ მესვეტე მცირის მონასტერის ნანგრევები. სწორედ ამ მონასტერში დაირწა ქართული კულტურის აკვანი – V თუ VI საუკუნეში საქართველოში წამოვიდნენ მისიონერი ბერები, ხოლო XI-XII საუკუნეების მიჯნაზე აქ ცხოვრიბდა მაღლების ცნობილი მამა ეფრემ მცირე.

ჩვენი მეცნიერის, კათა პუნარში ობოლ სომეხთა სახლის დირექტორის, ანდრანიკ კაკუქიანის დასმარებით შევძელი კასთეს მთაზე მდებარე წმ. ბარლაამის მონასტრის მონასტელება. ამ წმინდანის ბიოგრაფია შხოლოდ ქართულ ენაზეა შემონახული. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე დამასკოში, ანტიოქიასა და სირიის მცირე ქალაქებში მოგზაურობამ. მეჩვენებოდა თითქოს სახლში ვიფავი, ისე ჰგავდა იქაური ყოველდღიური ცხოვრება და ქუჩებში ადამიანთა საქმიანობა ყოველივე იმას, რაც საქართველოდან მანსოვდა.

ამ მოგზაურობიდანაც საინტერესო მასალები ჩამოვიტანე, მათ შორის აღხანიშნავია VII-VIII საუკუნეების რამდენიმე ქართული პალიმფსესტი. იერუსალიმის

¹ Gr. Peradze. Die Einflüsse der georgischen Kultur auf die Kultur der Balkanvölker [ქართული კულტურის გავლენა ბალკანითი ხალხების კულტურებზე]. Der Orient. 18. Heft 1. 1936. გვ. 1-9 (რუს.).

ბერძოლ საპატირიარქო ბიბლიოთეკაში მუშაობისას, პატრიარქ ტიმოთეს წყალობით, ფურადღება მივაქციე ხელნაწერის მინდვრებზე გაკეთებულ წარწერებს, რომელიც მეცნიერებაში „*memento*“-ს სახელითა ცნობილი. რომელიმე ბერი ან მღლიცელი ამ სახით ხელნაწერს წარწერდა მნიშვნელოვანი მოვლენის, თავისი თუ მონასტრის ცხოვრების, ასევე რაიმე ადგილობრივი შემთხვევის შესახებ. ეს წარწერები მაღლზე შიძენელოვანია მონასტრის ისტორიის შესასწავლად. პროფესორმა ცაგარელმა თავის კატალოგში ბევრი ასეთი წარწერა შეიტანა. მათზე ძალზე ინტენსიურად მუშაობდა პროფესორი ნ. მარი (1902 წ.). პროფესორმა ბლუიკმა კი, რომელიც პალესტინაში შედარებით ბოლო ჩანაბში (1923 წლის 19 დეკემბრიდან 1924 წლის 3 დეკემბრამდე) იმყოფებოდა და ასევე გამოსცა ქართული ხელნაწერები, თავის შრომებში „*memento*“-ს წარწერები ჩაკლებად გამოიყენა. საბედნიეროდ, მიუკლელი რამდენიმე ასეთ აქამდე უცნობ და გამოუქვეყნებულ წარწერას.

წმინდა მიწაზე გამოკვლეულების წარმოება უსახერელოდ მეოძღვდა. მე ვანსაკუორებით მაინტერესებდა პილიგრიმთა ჩანაწერები, რომლებიც პალესტინაში ჩასვლამდე საკმაოდ დიდი რაოდენობით დავამუშავე სხვადასხვა ენაზე. ლიპსიკში, გერმანიაში მცხოვრებ პალესტინელთა კავშირის ბიბლიოთეკაში, ასევე პარიზში, ლონდონში და საერთოდ ყველგან, ხადაც კი ხელი მიმიწვდებოდა, დავეძებდი ასეთ ჩანაწერები. XVI საუკუნიდან ქართველი ბერები იძულებული ხდებოდნენ მიეტოვებისათ თავიანთი მონასტრები წმინდა მიწაზე. მათი ახალი ბიბადარისი — ბერძნები, სომხები, ლათინები კი უძველეს მონასტრებში ანადგურებდნენ და აქრობდნენ ქართველთა ყოველგვარ ნაკვალევს. ერთადერთი, რისი განადგურებაც მათ ვერ შეძლეს, იყო პილიგრიმთა ჩანაწერებში ქართული მონასტრებისა და ქართველი ბერების მოსხენიება. თავდაპირველად ასეთ ჩანაწერებს კავრლებდი მნიშვნელოვანი ცნობისმოყვარეობის გამო. დროითა ვანმავლობაში ეს მასალები ისე გაზიარდა, რომ ბევრი ნაცნობი მირჩევდა მათ გამოქვეყნებას. ოლონდ თავდაპირველად მსურდა ამ მონასტრების პირადად ნახვა და ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

ამ საინტერესო სამუშაომ საკმაო დრო მოიხოვა. ვარმავაში დაბრუნების შემდეგ თხნდათან იმვა ერთგვარი მოსხენება პალესტინაში ქართული მონასტრებისა და ქართველი ბერების შესახებ, რომელიც არაქართველ პილიგრიმთა ჩანაწერებს უყრდნობდა. ეს არის ცოდნის ამოუწურავი, უპირატესად ხელნაწერებში შემონახული საგანმური და ისიც ცხადია, რომ ყველაფრის შეგროვება შეუძლებელიცაა. ვანზრახული მქონდა ეს სამუშაო თანდათან შემუვსო. პალესტინაში დღიურის ვწერდი. თავდაპირველად იგი გამოქვეყნდა პოლონურ ქაზე ჩვენს საკულტოს გაზეთში „Slowo“. დღიური მოიცავს პერიოდს 7 ივლისიდან 28 სექტემბრამდე. იგი გამოიცა 17 აგვისტოს.¹ ვფიქრობ, დანარჩენი ნაწილი განადგურდა სტამბაში ლის დროს. ამავე ზანებს განეკუთვნება ჩემი პატარა



იერუსალამი

¹ Gr. Peradze. An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as revealed in the Writings of Non-Georgian Pilgrims [უცხოულ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ]. Georgica. 2. fasc. 4-5. 1937. ვე. 181-246 (რედ.).

სტატია „Ein Dokument der mittelalterlichen Liturgiegeschichte Georgiens“¹ და რამდენიმე მცირე წერილიც.

ამ მოგზაურობებმა „დაშრიტა“ ჩემი ფინანსები და ვალექტიკ კი დამჯერი (ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მივიღე ფული სამეცნიერო მიზნებისათვის. ეს მოხდა ბონში, როდესაც გამომიყვეს 60 თუ 90 მარკა 1930 წელს, ბერლინში მოწყობილი ქართული კულტურის გამოფენაზე გასამგზვირებელი მუსეუმის შემდეგ თავად უნდა დამეცინანსებინა საკუთარი მოგზაურობები). ამიტომ 1937 წლის ზაუბულის არღადეგებზე შედარებით ახლოს გავიმგზავრე — ავსტრიაში, რათა ხელახლა შემესწავლა გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთურაში დაცული შეპარდტის ქართული კოლექცია. განსაკუთრებით მაინტერესებრი ქართული ხელნაწერები, რომლებიც შეიცავდნენ X საუკუნით დათარიღებულ ლოცვანთა ტექსტებს. შედარებისათვის ლოცვების დაბეჭდილი ქართული ეგზემპლარიც კი შევიძინე. გარდა ამისა, განზრაახული მქონდა შემესწავლა შოთა რუსთაველის ეპოქის ამსახველი ქართული ლიტერატურა, რაღაც 1937 წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარებულიყო XII საუკუნის ამ უდიდესი პოეტის იუბილე. ვარშავაში საიუბილეო სხდომაზე შეუნდა წარმომეთქვა სიტყვა მისი ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულებების შესახებ... მაგრამ იმუდგაცრუება მელოდა. ლოცვანის ხელნაწერი მხოლოდ უძნიშვნელოდ და არაარსებითად განსხვავდებოდა ქართული „textus receptus“-გან, ხოლო ამ ბრწყინვალე ქართველ პოეტზე მასში ძალზე მცირე რამ იყო ნათქვამი. ამიტომაც კისარვებლე შმეენიერი ამინდებით და არღადეგები დასასკვნებლად, ვენის ვარეუბნებში სასეირნოდ გამოვიყენე.



რომ. წმ. პეტრეს ტაძარი.

ვარშავაში დაბრუნებისთანავე დავწერე ნაშრომი ავსტრიაში დაცული ქართული ხელნაწერების შესახებ, რომელიც იძავებს წელს დაიბეჭდა ვენაში, უკრაინ „Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes“-ში.² ამის შემდეგ მზადება დავიწყი რუსთაველის თებილებათვის, უნდა ვაღიარო, რომ, როგორც ქართული საუკლესიო ლიტერატურის თაყვანისმცემელი, კვლავაც მცირე დროს ვუთმობდი მის უკვდავ შემოქმედებას, მაგრამ საუკლესიანი შესწავლის შემდეგ „კეუზისტუარისანი“ ჩემთვის უაღრესად ძვირფასი განდა და ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ შოთა რუსთაველი საქართველოში რელიგიური აზროვნების მამამთავარიცაა.

ვარშავაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ენერგიული დახმარებით იუბილე ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. ჩემი მოხსენება დაიბეჭდა წიგნში, რომელიც გამოსცა ვარშავის ქართველთა კომიტეტმა.³ გარდა ამისა გამოვაჩვიდნე რაძლენიშე რეცენზია და პატარ-პატარა წერილები.

¹ Gr. Peradze. Ein Dokument der mittelalterlichen Liturgiegeschichte Georgiens [ცრონა დოკუმენტი საქართველოს შეა საუკუნეების ლიტერატურის ისტორიიდან]. Kyrios. I. iasc. 1. 1936. გვ. 74-79 (რედ.).

² Gr. Peradze. Über die georgischen Handschriften in Österreich [ავსტრიაში არსებული ქართული ხელნაწერების შესახებ]. Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes. 47. Heft 3-4. 1940. გვ. 219-232 (რედ.).

³ Gr. Peradze. Religia Szota Rustaweli'ego [შოთა რუსთაველის რელიგია]. წიგნში: G. Nakasidze Szota Rustaweli. Warszawa. 1937. გვ. 13-15 (რედ.).

1937/38 აკადემიური წელი მიეძღვნა დიონისიე არეოპაგელს. ჩვენს მიტრო-ამლიტსაც დონისე პეტრი და ამ წელს აღინიშნებოდა მიხი მღვდლად კურთხევის 40 წლისთავიც. ამიტომ დიდი სურვილი მქონდა მისთვის მიმეძღვნა გამოყენება დონისე არეოპაგელის მექვიდორეობის შესახებ. ოქსფორდში ყოფნის დროს გადაწყვილ დოკუმენტებს შორის იყო ასევე მოციქულების – პეტრისა და პავლეს მოწიმეობრივი სკუდილის აქამდე გამოუქვეყნებელი აპოკრიფები, რომელშიც დონისტერული გამოყვანილია როგორც ეფესოს ეპისკოპოსის – ტიმოთეს ისტორიის მოწმე. მას ქრისტიანულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული წერილების ფორმა აქვს. დიდი ხანია მინდოდა მს საინტერესო ტექსტის გამოქვეყნება, როს თაობაზე მომოწიმერაც მქონდა პროფესორ ლიცეანთან. ვყოფილობდი, რადგან ტექსტის ბერძნული ხელნაწერი შემონახული უნდა ყოფილიყო ფლორიუნციაში და მისი ადგილზე შემოწმების გარეშე ვერ გადამეწყვიტა ჩემი ხელნაწერის გამოქვეყნება.

ამიტომ ქრისტემობის დღესასწაულის არდადევებზე, 1937/38 წლებში, პარიზის ნაცელად იტალიაში გაფუმვზავრებს იყო ჩემი პირველი მოგზაურობა იტალიაში. ვნანობდი, რომ აღრე ვერ მოვაჩერისე ხელოვნებისა და პოეზიის ამ უმცველესი ქვეყნის გაცნობა. ამდენ ძევლის, შენარჩუნებულ ტრადიციებსა და ხელოვნების დახვეწილ გავებას ძნელად თუ შეხვდება ადამიანი სადმე სხვაგან. არდადევების ძვირე დრო ძირითადად ფლორიუნციის ბიბლიოთეკაში ხელნაწერის ბერძნული ვარიანტის ძიებაში გავატარე. თუმცა იმდენი დრო მაინც მრჩებოდა, რომ მომენახულებინა სიენა, რომი, ნეაპოლი და პომპეი. ის, რასაც ადამიანი მათი ხილვისას შეიგრძნობს, მოვლი სიცოცხლის მანძილზე მზის სხივივით თან დაპყვება. თუ შემოხვევა მომეცემოდა, ვეძებდი ქართველ ხელნაწერებისაც და სახლში ჩამოვიტანე უაღრესად საინტერესო, თუმცა ძვირე რაოდენობის, მასალები. ვარშავაში დაბრუნების შემდეგ გამოვაქვეყნე სამცველი ნამრობი – „Apokryficzny list Dionizego Areopagity do biskupa Tymoteusza z Efesu“¹. 1937/38 აკადემიური წლის ბოლოს შემომთავაზეს თანამშრომლობა პოლონურ სერიულ გამოცემაში – „ეკლესიის მამათა წერილები“. დაუთანხმდი და დასაწყისისათვის გადავწყვიტე გამოსაქვეყნებლად მომემზადებინა მოწამეთა ცხოვრებები. ამროგად, 1938 წლის არდადეგაბი მოწამეთა ცხოვრების შესწავლას მივუძღვენი. რომის ცხობილი კოლეგიუმის დათვალიურების გარდა, ჩრდილოეთ იტალიასა და სამხრეთ საფრანგეთში წმინდა მოწამეთა სისხლით ნაკურთხი ადგილების მონახულებასაც ვაპირებდი. ამ მოგზაურობების დროს ჩავაღწიე მონტენებლომდეც, საღაც XIX საუკუნეში ქართველ უნიტ ბერებს მცირე სემინარია პეტრი და გახსნილი. აქაური კათოლიკური არქივიდან გადმოვიწერე ბევრი საინტერესო დოკუმენტი სემინარიის მუშაობის შესახებ, რისი სამულებაც მოძება მონტენებლოს ეპისკოპოსმა.

1938 წლის სექტემბერში მონაწილეობა მივიღე ბრიუსელში გამართულ ორინტალისტთა საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში. თვის ბოლოს ვარშავაში



წმ. პავლე და წმ. პეტრე
ხახულის ხატის
ფრაგმენტი. X ს.

¹ Gr. Peradze. Apokryficzny list Dionizego Areopagity do biskupa Tymoteusza z Efesu [დიონისე არეოპაგელის აპოკრიფული წერილი ევენეცი ეპისკოპოს ტიმოთესის]. Elpis. II. fasc. 1-2. 1937. გვ. III-142 (რედ.).

დაბრუნებულმა მოვამზადე სამეცნიერო ნაშრომი ამ კონფერენციის ქრისტიანულორიენტალისტურ სექციაზე წაკითხული მოხსენებების საფუძველზე და დასაბუჭიდად გადავაცი ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის „Elpis“-ს იქვე მოვათავსე რამდენიმე რეცენზიაც.

დაიწყო ომი. მთელი აკადემიური წლის განმავლობაში ვშეძაოდი ნაშრომზე წამებულთა ცხოვრების შესახებ. ხელნაწერი გამოსაცემაზე წარმედგინა 1939 წლის ქრისტემობის დღესასწაულისათვის. დასაბუჭიდად შოვამზადე პარეტო მოხსენება პატროლოგიის სფეროდან. მაისის ბოლოს მიმიწვიეს ბიზანტილოგთა საერთაშორისო კონკრეტულ უნდა გამართულიყო 1939 წლის 9 იქტიმბერის აღფინავი. მოწვევაზე დავთანხმდი და მის თავმჯდომარეს, პოლუკლინი გაბრიელ მილეტს გახაცნობად შეკრავაზე ურანგულ ენაზე მომზადებული რეფერატი ბაჩკოვის მონასტრის შინაგანაწესის შესახებ. მოხსენების შემოკლებული ვარანტი მისთვის აღრიცხვე მქონდა გადავზაუნილი. თუმა დაამტკიცეს.

განსაკუთრებით დამაინტერესა კართაგენის ნანგრევებმა და თავის ტუნისმა (კონფერენციის მონაწილეთთათვის ამ ქვეყანაში ექსკურსიაც იყო დაგევმილი). აქ ხომ უამრავმა ქრისტიანმა დაღვარა თავისი წმინდა სისხლი ქრისტიანობის დასაცავად. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევანი წმინდანები – პერპეტუა და ფელიციტა. ყოველი თეოლოგი თცნებობს იმ ქვეყნის მონაწელებაზე, სადაც მოღვაწეობდნენ ეკლესიის უდიდესი მამები – კიპრიანე, ტერტიულიანე, ავგუსტინე, ქვეყნისა, რომელიც წმინდა მიწისა და რომის შემდგომ გახდა ეკლესიის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი, მსოფლიო ღირებულებების მქონე მოვლენების ასპარეზი. ივლისის მუჟა რიცხვებში, როდესაც სავარეო საქმეთა სამინისტროს მივმართე პასპორტის ასაღებად, განმიცხადეს, რომ წასვლა შემეძლო, მაგრამ უკან გამობრუნებისას შესაძლოა პრობლემები გამჩენოდა. უარი კოქი მოგზაურობაზე, რადგან ვარმავაში მაქვს საქმით დიდი ბიბლიოთურა, დაახლოებით თრი ათასი ტომი, მათ შორის იშვიათი ქართული პატრისტიკული წიგნები. ვფიქრობდი, რომ არ შემეძლო ბედის ანაბარა მიმეტოვებინა ევროპაში მთელი ჩემი ცხოვრების ნამოღვაწარი, მთელი ეს სიძლიდრე, ამიტომ ვარმავაში დავრჩი, იქ ვიფავი მისი აღების დროსაც, მიუხედავად იმისა, რომ უცხოელებს ქალაქის დატოვების ნება დართეს. ღმერთს მადლობას ვწირავ, რადგან როგორც ჩემი ბიბლიოთურა, ასევე მოკრძალებული ბინა ხელუხლებლად გადარჩა. ღვთის წყალობის იმედითა და რწმენით სავსე. კვლავაც სასოებით შევფურებ მომავალს.

16 იქტიმბერი, 1940 წ.

Im Dienste der georgischen Kultur (1926-1940)

[ქართული კულტურის სამსახურში (1926-1940)].

Aus der Welt des Ostens. Königsberg. 1940. გვ. 30-50.

W służbie kultury gruzińskiej [ქართული კულტურის სამსახურში].

Jęz. „Przegląd Prawosławny“. Białystok. 1996. № 9. გვ. 8-12; № 10. გვ. 14-17.

აღნიშნული სტატია გრიგოლ ფერაძემ დაწერა 1940 წელს ვარმავაში, აღმოსავლეთის კვლევის ცენტრის დაკვეთით, გერმანულ ენაზე. მოგვიანებით ანა პეიბიშევსკამ თარგმნა და გამოაქვეყნა პოლონურად, სამწუხაროდ, გერმანული ვარიანტი ჩვენთვის არ იყო ხელმისაწვდომი, ამიტომ სტატია თარგმნილია პოლონურიდან (რედ.).

როგორ ჰდა აღვენოვლით მიმდრაცხაში გრიმა რუსთაველის იმპოლე?

საქართველოს
ეროვნული მუზეუმი

გრიმატლ ფერაძე

(პოლიტიკური და საზოგადო ეროვნული კვირიკაშვილმა)

1935 წელს 750 წელი შესრულდა საქართველოს დიდი მეფის – თამარის (1185-1214)¹ გავიდან ასვლიდან. ასევე 750 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დიდმა ქართველმა პოეტმა – შოთა რუსთაველმა დედოფლს მოუძღვნა თავისი უდიდესი ქმნილება „კეუნისტყაოსანი“.

მე არ შევეხები პოემის შინაარსსა და მისი საყოველთაო პოპულარობის საკითხს, რადგანაც ეს უკვე გააკეთა „Wscho'd“-ის ფურცლებზე ქართველი ლიტერატურის ერთ-ერთმა საუკეთესო მცოდნემ – დოქტ. გიორგი ნაკაშიძე („Wscho'd“, № 1, მაისი, 1934). მინდა მჩოდლოდ აზრი გამოვთქვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა აღინიშნოს დიდი პოეტის იუბილე ქართველ ემიგრანტთა მიერ.

საქართველოდან მოსული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ იქ ემზადებიან პოეტის იუბილეს აღსანიშნავად. უკვე არსებობს პროექტი ძეგლისა, რომელიც თბილისში უნდა დაიდგას. ჩვენ, ემიგრანტმა ქართველებმა, მოუნედავად იმისა, რომ გაფანტულნი ვით, დიდი პოეტის იუბილეს აღნიშვნა რამენაირად უნდა მოვაწეროთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ძძიმე წუთებში შოთა რუსთაველი გვმატებდა სელიერ მხნეობას, გამძლეობის უნარს, უკვეთესი მოძალის იმედს. ყოველდღიურად კიმეორებთ ძის ავორიზმებს – „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითვირსა“, „წყალნი წავლენ და წაძოვლენ, ჭირმანი დარჩებთანო“² და ა. შ. მეორე მხრივ, შოთა რუსთაველის იუბილეს აღნიშვნის აუცილებლობას ქართველი ემიგრაციის წინაშე მდგარი ამოცანებიც განაირობებს. ისინი ძირითადად შეიხვდა ქართველი კულტურის შესწავლასა და მის განმტკიცებას დასაცულებით.



გრიმატლ
ფერაძე



შოთა რუსთაველი მიაღმევს
თამარ მეუეს „კეუნისტყაოსანს“.
მიხით ზიჩის ნახატი.

¹ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მიღებულია ქრისტენებით თამარი 1184-1213 წლებში მცირდა (რედ.).

² ა) კრიკოლ ფერაძე ცდება, „წყალნი წავლენ და წაძოვლენ“ ხალხური ანდაზა (რედ.).

ჩვენი ემიგრანტების შორის ბევრნი არიან „კეფხისტყაოსნის“ კარგად მცოდნენი. ღორქ. გ. ნაკაშიძის ზემოთ მოხსენიებულ სტატიაში მის მიერ ჩამოთვლილ პიროვნებებს უნდა დავუმატოთ ანდრო გუგუშვილისა და ვიქტორ ნოზაძის სახელები. აღნიშნულ საკითხზე დაიბეჭდა რამდენიმე ნაშრომი.



იოანე პეტრიწი.

მოქანდაკე — ჯუნა მიქატაძე.

ვფიქრობ, ემიგრაციაში ჩვენი მუშაობები რამდენიმე მნიშვნელია უნდა იყოს ქართველ მეცნიერობაში. მაგრა ჩვენი მუშაობები შესრულებული სამუშაოს სრულყოფისაკენ. აქ უნდა გავაკეთოთ და დაკრიტიკოთ ის, რაც საქართველოში შეუძლებელია.

შოთა რუსთაველი ლვოისმოში ადამიანი იყო, სიცოცხლის ბოლოს კი ბერად აღიკვეცა. მისი პოემა სავსეა წმინდა წერილისა და ლიტურგიკული ლიტერატურის ნიმუშებით. აღნიშნული საკითხებით პოეტი დიდად იყო დაინტერესებული. რა ვიცით ამის შესახებ? არცერთი ნამუშევარი არ ვაგვაჩნია პოეტისა, რომელიც ამ საკითხებისადმი იქნებოდა მიძღვნილი, არადა, რამდენად მნიშვნელოვანია ეს. შოთა რუსთაველი ცხოვრიბდა საქართველოში ქრისტიანული ფილოსოფიის — ნეოპლატონიზმის აყვავების პერიოდში. ცხადია, იგი იცნობდა ქართველი ფილოსოფოსის — იოანე პეტრიწის ნაშრომებს, რომლებიც თარგმნილი იყო სომხურ ენაზეც. მას უნდა სცოდნოდა დიონისე არეოპაგელის ფილოსოფია. პოემა სწორედ ამ ნაშრომების გავლენით იქმნებოდა და ეს გავლენა მეცნიერებაში უნდა გამოიძელავნოს. ეს არის ჩვენი უმთავრესი აძლევანა.

როგორც ვიცით, შოთა რუსთაველი თავისი ცხოვრების მიწურულს ბერად აღიკვეცა იურუსალიმთან მდებარე ჯვრის ქართულ მონასტერში. აქვე იპოვეს პოეტის ფრესკა. ჯვრის მონასტერი იყო ქართული კულტურის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი და დიდი ხნის განმავლობაში ქართველებს ეკუთვნოდა, მხეოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებში აღმოჩნდა ბერძენთა ხელში. მონასტრის კედლებზე შემონახულია ქართული წარწერები. აქ არსებული ხელჩარერები გადაეცა იურუსალიმში მყოფ ბერძენ პატრიარქს. პროფესორმა ცაგარელმა აღწერა 1888 წელს პალესტინაში თავისი მოგზაურობა და გამოსცა ივი, ჯვრის მონასტრის ფრესკებითა და ფოტოსურათებით იღუსტრირებული, მაგრამ ამ თემაზე სხვა ნაშრომი ჯერ არ ჩანს.

ქართულმა ემიგრაციამ უნდა მოჰყიდოს ჩელი ამ საქმეს. აუცილებელია ექსპედიცია მოვაწყოთ ჯვრის მონასტერში, ფოტოსურათზე აღვაძეჭდოთ ყველა ქართული ძეგლი და თუკი, მატერიალურ შესაძლებლობათა სიმწირის გამო ვერ გამოვცემთ, მაშინ ისინი უკროპის ერთ-ერთ უდიდეს ბიბლიოთეკას უნდა გადავცეთ.

ამ გზით მოვახერხებთ პატივი მიუაგრო ჩვენს უდიდეს პოეტს.

W jaki sposób uciecic na emigracji jubileusz Szoty Rustawelego?

[როგორ უნდა აღვნიშნოთ ემიგრაციაში შოთა რუსთაველის იუბილე?].

უკრ. „Wschód-Orient“. № 7. Warszawa. 1936. გვ. 86-87.

მოთა რუსთაველის რეაზიანი

ბრძანებული შესრულება

ბრძანებული შესრულება

(პოლონეურიდან თარგმა ეთერ კეირიკაშვილმა)

შოთა რუსთაველი თავის პოემა – „ვეფხისტყაოსანში“ დიდ ინტერესს იჩინს რელიგიური საკონქისტოსადმი. პოემის გმირები, ფიზიკურად და სულიერად ლამაზი აღამიანები, ისწრაფვიან სრულყოფებისაკენ, სულიერი განვითარების უმაღლესი საფეხურისაკენ. პოემის ლაიტმოტივად გასდევს იესოს მიერ სახარებაში მოცემული იღებლი – „იყვენით ოქეენ სრულ, უითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“ (მათგ 5. 48). მიუხედავად ამისა, „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ქრისტიანული ქმნილება, ამ სიტყვის სრული გავებით. გრიგოლ ფერაძე ქრისტიანობა, გარდა სახარებისა, მოცავს დოგმებს, კალვინის, სამღვდელოებას. რუსთაველთან არ გვხვდება ასეთი ქრისტიანობა. იგი არღვევს აღამიანის შეკრისული ქრისტიანობის ამ სამ მირითად ნაწილს შორის გავლებულ სახლვარს და ავთარებს საკუთარ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მსოფლმხედვებლებას. პოეტი შეიძლება ჩაითვალოს ქრისტიანობას უდიდეს რელიგიმატიონიად, ანალი რელიგიის უფრემდებლადაც ჟი. სილამაზისა და სრულყოფილებისაკენ სწრაფვის რელიგიისა, რელიგიისა, რომელიც ტყუილს უდიდეს ცოდვად მიიჩნევს, ქადაგებს სიუკარულსა და კეთილგანწყობას ლარიბებისა და ქვრივ-ობლების მიმართ და სულის უდიდეს არისტოკრატულობას განუყოფელს ხდის ყოფისა და ურთიერთობების დემოკრატიულობისაგან. რასაკვირველია, შოთა რუსთაველი ქრისტიანობის დიდ გავლენას განიცდის, მან მშვენივრად იცის ძველი და ანალი აღთქმის წმინდა წერილები და მათ ცატირებასაც ხმირად მიმართავს. ასევე კარგად იცხობს ქრისტიან ფილოსოფოსებს – მისტიკოსებს, წარმართ ფილოსოფოსებს – ნეოპლატონისტებს, იცის სუფიზმი და მაპმადიანობა, ზოროასტრიზმი და ძველი ქართული წარმართული რელიგია. გენიოსი პოეტი საკუთარ პრიზმაში ატარებს ზოგად-საკაცობრით კულტურის როგორც შინიშებ ხუთ ძარითად ყუნდამუნტს ქრისტიანობას, მაპმადიანობას, წარმართულ ფილოსოფიას, ქართულ წარმართობასა და ზოროასტრიზმს. ამ რელიგიათა ანუ მსოფლიშედველობათა გავლენას და მათგან მიღებულ იმპულსიებს ასუმავს შემოქმედის გენიალური ნიჭის საშუალებით.



შოთა რუსთაველი.
მისიაღ დერებულის ხახატი

ასეთი პოეტი საკუთარ პრიზმაში ატარებს ზოგად-საკაცობრით კულტურის როგორც შინიშებ ხუთ ძარითად ყუნდამუნტს ქრისტიანობას, მაპმადიანობას, წარმართულ ფილოსოფიას, ქართულ წარმართობასა და ზოროასტრიზმს. ამ რელიგიათა ანუ მსოფლიშედველობათა გავლენას და მათგან მიღებულ იმპულსიებს ასუმავს შემოქმედის გენიალური ნიჭის საშუალებით.

საჭირო იქნებოდა ეს ქმნილება ძირფესვიანად გამოგვეკვლია, რათა პასუხი გაგვეცა კითხვაზე – რა არის პოემაში საკუთარი და რა ჩასესისგან ან გადმოტანილი საიდანმე, მაგრამ თუკი ასე მივუდგებით საკითხს, მაშინ ასეთივე კითხვა, შეიძლება გაჩნდეს ნეტარი ღვთივექურთხეული ავგუსტინეს ნაშრომთა, ან ქრისტეს/ქადაგებათა მიმართაც კი.

ადამიანის მარადიული სულისაოვის არ არსებობს დადგენილი საზღვრები და წინააღმდეგობები. იგი არსებობს ღვთისა და მისი მარადიული სიმართლის მიებოთ და ამ სიმართლის ყოველდღიურ ცხოვრებაში გადატანით. ახალი შესაძლოა იყოს ფორმულირება, ლამაზი და ფერადოვანი ენა, სურათები და გმირები, მაგრამ ყოველივე ამაში არეკლილია ის მარადიული, ძველი და ახალი სიმართლე.

მაგალითად მოვიყვანდი შოთა რესტავრელის მხოლოდ ერთ აუთოიზმს: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა – დაკარგულია“¹. ამ სტროფის პირველწყაროდ ყველა ჩათვლის უფლის სიტყვებს: „რამეთუ რომელსა უნდეს სულისა თუსისა განრინქმამ, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს, მან აცხოვნოს იგი“ (ლუკა 17. 33).



ნეტარი ავგუსტინე

გლომენტი ალექსანდრიული თავის ქმნილებაში ამბობს: „ის კი არ არის მდიდარი, ვინც რაიმეს ფლობს, არამედ ის, ვინც გასცემს. ქონების მიხედვით კი არ არის ადამიანი ბედნიერი, არამედ გაცემის მიხედვით“². ერთ-ერთი ცნობილი ფილოსოფოსი აღნიშნავს: „ჩვენში საუკეთესოა არა სამართლიანობა, წინდახედულება, ის, რაც გონებას ექვემდებარება, არამედ ის, რაშიც საკუთარ თავს მოლიანად ვხარჯავთ“³. აქსელ მუნტეს „წმინდა მიქაელის წიგნში“ იმავე სენტენციის სხვა პერიფრაზს შევხვდი:

Bin der Poet, der sich vollendet,

wenn er sein eingenst Gut verschwendet.⁴

კლიმენტი ალექსანდრიული თავის ქმნილებაში ამბობს: „ის კი არ არის მდიდარი, ვინც რაიმეს ფლობს, არამედ ის, ვინც გასცემს. ქონების მიხედვით კი არ არის ადამიანი ბედნიერი, არამედ გაცემის მიხედვით“⁵. ერთ-ერთი ცნობილი ფილოსოფოსი აღნიშნავს: „ჩვენში საუკეთესოა არა სამართლიანობა, წინდახედულება, ის, რაც გონებას ექვემდებარება, არამედ ის, რაშიც საკუთარ თავს მოლიანად ვხარჯავთ“⁶. აქსელ მუნტეს „წმინდა მიქაელის წიგნში“ იმავე სენტენციის სხვა პერიფრაზს შევხვდი:

Ce n'est rien donner aux hommes

que de ne pas se donner soi-même.*

ან იმავე წიგნში სხვა ადგილას: „რასაც შენთვის ინახავ – ჰკარივავ, რასაც სხვას აძლევ – ის არის სამუდამოდ შენი“⁷.

განა ეს უკანასკნელი ფორმულირება არ შეიძლებოდა ყოფილიყო უშუალოდ აძლებული შოთა რესტავრელის ნაშრომიდან? მე მაინც მგონია, რომ ქრისტეს

¹ სტროფი 50, ციტირებულია ჩებინაშვილის გამოცემიდან, სპ, 1860.

² Faust, Zweiter Teil (გამოცემა 13-17 Seeman, Berlin-Leipzig), გვ. 46.

მე ვარ პოეტი, მხოლოდ მაშინ ხარ სრულქმნილი პოეტი.

თუქი ყველაფერს, საკუთარს, შინაგამს, გასცემ – გერმ. (რედ.).

³ Berdenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur. II (Freiburg und Br. Herder 1914), გვ. 92.

⁴ Beim Titius, Beiträge zur Religionsphilosophie (Göttingen, Vandenhoeck 1937), გვ. 33.

* სხვა ადამიანს ნე გაუკეთებ იმას, რასაც საკუთარს არ გაუკეთებ – ფრანგ. (რედ.).

⁵ გერმანული გამოცემა (ლათაშვილი, Paul List, 1931), იზ. ეპიკრაფტი წიგნისთვის, გვ. 427.

მარადოული სიტყვა საუკეთესოდ გამოიხატა ქართველ პოეტთან. ფაქტია, რომ ამ ჭუშიარიტებით რუსთაველი არ მიმართავს ელიტას, არც პოეტს, როგორც ამას ვოუკ აკვთებს, არც ფილოსოფობის, როგორც ამას ცნობილი ფილოსოფობის სჩადის, არც მდიდარს, როგორც კლიმენტი აღუქსანდრიული და საბოლოოდ – არც აქსელ მუნტე-სავით ბედისაგან განებივრებულს, არამედ იგი ქრისტეს შეგაუსად მიმართავს ჩვეულებრივ, უბრალო, გაუნათლებელ ხალხს.



იოანე გოლიფგანგ ვოგო

შოთა რუსთაველი ამ სიმართლეს და ანდერძი ვადმოსცემს იხე, როგორც ქრისტემ გააკეთა – მწის, ყვავილებისა და არაჩვეულებრივი ფერების მემვეობით, ჩვეულებრივი და უბრალო ენით, რომელიც არ საჭიროებს არც განათლებას, არც რომელ დამატებით ცოდნას მათ გასაგებად. ეს ქმნილება იპყრობს და აღამაღლებს შეღას, ვისაც იგი წაუკითხავს. დიდი სურვილი უჩნდება მის წამკითხველს კლავ გამეორებისა და იმდენჯერ კითხულობს, სანამ არ დაიხსიმებს.

ავტორს აინტერესებს არა მარტო ამქვეყნიური ცხოვრება, ადამიანის კავშირი ღმერთთან, არამედ იმქვეყნიური ყოფაც. იგი არაჩვეულებრივად მნიშვნელოვან და საინტერესო პასუხებს იძლევა სულის შესახებ არსებულ კითხვებზე. ისეთი კრიმინალური მუსუფლება, რომ თავის ლამაზ და ყველასათვის გასაგები შინაარსის მქონე პოემაში, შოთა რუსთაველს უნდოდა ახალი რელიგიის – ქართველი რელიგიის კონცეფციის მემორავაზება. ამ მიზნით იგი მიმართავს და იშველიებს ქართულ წარმართობას, გამოხატულს ხალხურ წეს-ჩვეულებებში, მითოლოგიასა და ხალხურ ტრადიციებში. ყველაფერს კრებს თავისი ქვეყნის ხანგრძლივი ისტორიისაგან, მოვლი თავისი ცხოვრებისაგან, საკუთარი მისწრაფებებისა და ბედნიური დღეებისაგან. პოეტი უაღრესად დიდ პატივს სცემს ქრისტიანობას და თავისი რელიგიისათვის მისგან იღებს ყოველივე საუკუთესოს.

მოგვცა კი მან რაიმე ახალი? მნელია ამაზე საუბარი. ამ კითხვაზე რომ პასუხი გაგვეცა, საჭირო აქნებოდა ნაწარმოებისა და ასევე მრავალი სხვა საკითხის საუკეთესო ცოდნა. უმიგრაციაში ამ საკითხების შესასწავლად საჭირო მასალის მომზება მნელია. ჩემი აზრით, ნაწარმოებში ახალი ელემენტებია: აქტორობა, ადამიანის ბრძოლა და დანართებით უკეთესი ყოფისა და ბნელ ძალებზე გამარჯვებისათვის. ადამიანის ცხოვრებაში არ ხვდება დაუძლეველი წინააღმდეგობები, ბოროტება მხოლოდ დროებითი მოვლენა. პოემაში პასიურ-აპოკალიფსური განწყობილება არ იგრძნობა, პირიქით, სინათლე მხოლოდ ასამიანის ბრძოლის შედევრად დამკიდრდება. როგორც მიიჩნევთ, სიცოცხლის ბოლოს შოთა რუსთაველი ბერად აღიგება. ჩემი აზრით, მას შეგვიძლია ბერი კუწოდოთ ჯერ კიდევ პოემის შუქმნამდე. ასეთი პოემის შემქმნელი ადამიანი მზად იქნებოდა ტანჯვით დაეცვა საკუთარი შეხედულებები და არ გამოკეტილიდა მონასტრის კედლებში.

სამწუხაროდ, ეს ნაწარმოები არ არის სათანადოდ გაგებული. XII საუკუნეში, პოემის შექმნის პერიოდში, სამდვდელოებას საქართველოში ძალიან დიდი გავლენა ქონდა. სწორედ მათვან იღევნებოდა ეს ნამრობი. ქართველი დილებულები კი

აღურთოვანებულის იყვნენ მხოლოდ სხარტი აფორიზმებით, სენტენციებით, ლამაზი ადამიანუბის სიყვარულით, — de l'esprit de la jeunesse de visage et jeunesse du coeur*, იმ სიყვარულით, რომელიც „კეთხისტყაოსნის“ თითოვეული სტრიქონიდან აჩავებს. მაგრამ მისი სიღრმისეული გაგება სამწუხაროდ მათ ბოლომდე ვერ შეძლეს.

ეს პოემა ესმოდა მხოლოდ უბრალო ხალხს, უბრალო ქართველ გლეხს, რომელიც მთლიანად ითვისებდა ქმნილებიდან მოწოდებულ შეგონებებს. „კეთხისტყაოსნი“ მისთვის იყო სახარება, რომელიც თითქმის ზეპირად იცოდა და რომლის ციტატებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდა.

ახლა მაგონდება ერთ-ერთი გლეხის შეკითხვა, რომელიც მოვისმინე 1919 წელს სოფელში მასწავლებლად ყოფნის დროს: „რომელი ქმნილებაა უფრო საინტერესო — სახარება თუ «კეთხისტყაოსნი»?“ სახარება — კუპასუხე. მან უნდობლად შემომხედა. სხვა პასუხს მოელოდა.

••

Religia Szoty Rustaweli'ego [ზოთა რუსთაველის რელიგია].

წიგნში: G. Nakasidze. Szota Rustaweli. Warszawa. 1937. გვ. 13-15.

* სახისა და გულის ახალგაზრდული სულისკვეთება — ფრანგ. (რედ.).

306 პრის ჩვენი გამოსახული?

ირაკლი
გერებელი
პრიზრის
პრიზრის

(პოლიტიკური თარიღის უთერ კვირიკაშვილმა)



პრის ჩვენი გამოსახული.
სერგო ქაბულიძის ნახატი.

ეს ქადაგება, რომელიც წარმოითქმა ქართველი სადღესასწაულო ღვთისმსახურების დროს 1937 წლის 11 დეკემბერს კარმავის საბიტრისმოლიტის უკანაში, უძღვნება რუსთაველის შემოქმედების 750 წლისთვის.

დღეს აქ შევიკრიბეთ, რათა პატივი მივაგოთ უდიდეს ქართველ პოეტს – მოთა რუსთაველს, რომელმაც 750 წლის წინ შექმნა დიდებული და განუმეორებული პოემა „ვეფხისტყაოსანი“. პოემა დაწერილია ლამაზი უნით და გაჯერებულია მაღალი გულტურით, რელიგიურ-ფილოსოფიური ფასიულისტებით. მას შემდეგ მთელი საქართველო ამ ქმნილებაზე იჩრდება – ესაა ჩვენი მეორე სახარება. თუმცა ქართველი ხალხის ხასიათში არის კუთილმობილური და ამაღლებული თვისებები, ამისთვის პოემას უნდა ვეძალდებორიებოდეთ, იმ პოემას, რომლის აფორიზმებიც შეპირად იცის ჩვეულებრივმა, გაუნათლებელმა გლეხმაც ჩვენი ქვეყნის ყველაზე ძნელად ძისადგომ გუთხეშიც კი. გმირობა, პატრიტიზმი, ერთგულება, თავდადება, სიმართლის სიყვარული და ცბილი, პირფერი, ძოლალატე ხალხის სიძულვილი, ღვთისა და მოყვასის სიყვარული – აი, ყოველივე ის, რაც ამ უკვდავი პოემის თითოეული სტრიქონიდან იკითხება. ეს ნაწარმოები საქართველოს აყვავების პერიოდში ზემოქმედებდა ჩვენზე, რათა საკუთარი თავი არ დაგვეპარვა, ჩოლო ძნელებობის უამს სიმშვიდესა და უკეთესი მომავლის იმედს გვიჩრეავდა.

ნაწარმოები შეიქმნა საქართველოს აყვავების, მისი ისტორიული ცხოვნების ოქროს ხანაში. მასში აისახა ქვეყნის უდიდესი გულტურია, ერთს სიმდიდრე და სიძლიერე. ასეთ ქმნილებას, საკუქის აზრით, ხიცოცხლით, ახალგაზრდობის სიყვარულით, გმირობით, მხილოდ უდიდესი აღმავლობის ხანა წარმოშობს. ტყვეობისა და დარდის პერიოდში კი ყოველთვის იქმნება პესიმისტური. შემგუებლური ან შურისგებით სავსე ნაწარმოებები და არა ისეთი ქმნილებები, რომლებიც გამოხატავენ დიდ გრძნობებსა და იმ მისიას, ერს რომ გამოარჩევს სხვა ერებს შორის. შეძლებ ეს მოტივები თეორიებში იუანტება და ძალიან ჩშირად ისინი რომელიმე მწერლის ჩანაფიქრში პოულობს გაძოხატულებას. მათ შეუძლიათ ჭონკრეტულ წუთებში შვების მოცემა, მძიმე წუთებში ერის ხსნა მორალური დაცემისაგან, ერის მისიის შესხებ იდეის გადარჩენა განაღვეურებისაგან, მაგრამ ეს იდეები არ არიან მუდმივნი – დადგება თუ არა ნათელი, მზიანი წუთები, ისინი კარგავენ ფურადოვნებას და

მხოლოდ ისტორიულ მნიშვნელობას იძენენ თაობათა ცხოვრებაში. სულ სხვაგვარად გამოიყურება დიდი აყვავებისა და ძლიერების პერიოდში შექმნილი ნაწარმოებები, იმ პერიოდში, როდესაც ერთ ასრულებს თავის მისიას ღვთისათ და ჩატბის წინაშე არა მარტო ქაღალდზე, არამედ ნამდვილად, რეალურად, როდესაც კეთილდღეობა, ციკილიზაცია და კულტურა უძალლეს მწვერვალს აღწევს... ასეთი უკრიოლი შობილი უდიდესი ქმნილება ჟოველთვის გამოკვეთს კეთილშობილი, ამაღლებული სულის მქონე ადამიანის ტიპს, რომელიც ისტრაფვის მხოლოდ უძალლესი მორალური სრულყოფილებისაკენ, სულიერი ამაღლებისაკენ. ასეთი იდეალი ერთსათვის მაგალითად რჩება ტკივილების, განცდებისა და უიღბლობის დროს, რათა გასაჭიროა არ გატეხოს ერთს სიამაყე, მისი სწრაფვა სრულყოფილებისაკენ, მისი სიყვარული სინათლის, მზისა და სიმართლის მიმართ. ეს სულიერი ღირსება, ეს სწრაფვა დიდი კულტურისაკენ, ეს სიყვარული არამიწიერი სამყაროს მიმართ თითოეული ადამიანისათვის უდიდესი სიმდიდრეა და აკეთილშობილების არა მარტო „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“, არამედ მასაც, რომელსაც არაფერი გააჩნია. უფრო მეტსაც ვიტყვი, ასინი უქონელ ადამიანს უფრო კარგად წარმოაჩენის ღვთისა და პატიოსანი ადამიანის წინაშე, ვიდრე ქედმაღალსა და ცინიზმით საკენა, რომელსაც ქონება რამედ მიაჩნია და სინამდვილეში კი თავისი ქმედებით იმასაც კარგავს, რაც ვაჩნია. მარადიული მხოლოდ ის არის, რაც აგებულია კლდეზე, მაგარ ფუნდამენტზე – ასეთი რამ კი სიმართლის სიყვარული და კეთილსინდისიერებაა. მატყეარა და ცბიერი ადამიანი არა მარტო ციურ სასულეველს ვერ დაიმკუიდრებს, არამედ სააქაოშიც ვერ შექმნის ვერაფერს დიდს, ძლიერს, მუდმივსა და მყარის. ღმერთი არასდროს დაეხმარება ცბიერ ჭალხს – იგი მათ არასოდეს თვლის თავისი მიზნების, მისისა და სიმართლისათვის შესაფერისად.

შოთა რუსთაველი უნდა ყოფილიყო ზეშთავონებული, ძალიან წმინდა და ნათელი ადამიანი. ქართული საზოგადოებაც, რომელიც მას გარს ეხვია, ასევე უნდა ყოფილიყო მეტად ამაღლებული, მსწრაფი უდიდესი და მარადიული პრინციპებისაკენ. ამ საზოგადოებამ შოთავონა პოეტი – ჩვენი ხალხის სიამაყე იმ ოქროს ეპოქიდან, საქართველოს უდიდესი სიძლიერის პერიოდიდან. გაქრა ვზები და ხიდები, უდაბნოებში ოდესებაც არისებული არისები, უდიდესი კათედრალები და ეკლესიები, ციხე-სიმაგრეები და ქალაქები ნანგრევებიდ იქცა, დაპატარავდა საზღვრები და ჩაქრა ქართული იარაღის ძლიერებისა და დიდების ხმა. ეს ქმნილება კი შემოგვრჩა როგორც ყველაზე ნათელი გამოვლინება ჩვენი ძლიერებისა, რაც გვამდიდრებს და დღესაც, ისევე როგორც 750 წლის წინ, უკეთესი ცხოვრების იმედით გვავსებს.

დღეს მაღლობა უნდა გადავუჩალოთ განგებას, რაღვანაც ასე გამოარჩია ჩვენი ქვეყანა და ამ საზეიმო ღვთისმსახურების დროს მოვიჩხენიოთ ჩვენი უდიდესი თანამემამულე და ყველა ის, ვინც მას უხმარებოდა. ამინ!

საქართველოს მკლების უძღვესი ისტორიის პრიბლები

卷之三

[View Details](#)

ગુજરાત ચૈરન્મે

(კურიოსიტეტის მუზეუმის მიერ დაცული მუზეუმური მატარებელი)

I.

ბოლო დროს როგორც ქართულ, ისე უვროპულ მეცნიერებაში გაიზარდა ინტერესი საქართველოში ქრისტიანობის დასაწყისი პერიოდის პრობლემებისადმი. მე დაკარგიდნობი პროფ. პ. კეკელიძის გამოკვლევას, რომელიც ვამოქვეყნებისთანავე ითარებს გურიაში ულად, აგრძელებს ამავე პრიმიტიული გერმანული ჭყლურის – პროფ. მარკვარტის წერილს, რომელიც მისი ბოლო ნაშრომი აღმოჩნდა. მე კი ბედნიერება მქონდა დაბუჭდვამდე დიდი ხნით აღრენ თავად აუტორისაგან მცოდნოდა მის შესახებ. პ. კეკელიძის წიგნის განხილვისას¹ ზოგიერთი ციტატა სწორედ ამ ნაშრომიდან მოვიხმა.

ქრისტიანობის დასაწყისით პერიოდი საქართველოში პრიბლუმებით იყო აღხვესე, დანამდვილებით მხოლოდ რამდენიმე ფაქტია ცნობილი. ამის მიზენი იხსა, რომ ბევრი წყარო არ შემოგვრჩა და ცნობები, რომლებიც IV საუკუნის მოვლენებს ასახავს, მხოლოდ X საუკუნისაა. ამასთან, ეს ცნობები გაბნეულია სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროში იმდროინდელი ქრისტიანული აღმოსავლეთის თაოქმის უკუღა უნაზე და ახლა მნელი მოსაპოვებელია. პირველი ამოცანა იქნებოდა ამ ცნობების თავმოყრა და გარკვეული სახით წყაროთა კრიბულის გამოცემა. ასეთი ცდები იყო კიდეც-გველისხმობა ვასტულ საუკუნეში გამოცემულ ხახანაშვილისა და ჯანაშვილის ნაშრომებს. სამწუხაროდ, იხინი საქმარისად კრიტიკული არ ყოფილა და დღესათვის გამოუსადევარია, მათ უმეტეს, რომ უმნიშვნელოვანესი წყაროები საქართველოში ქრისტიანობის დასაწყის პერიოდზე უფრო მოვვიანებით აღმოჩნდა.² ქართველმა მეცნიერებმა მხოლოდ რამდენიმე პრიბლუმა ამოვლივეს საერთო ჯაჭვიდან და შეცალჩენ ამ საკითხებზე პასუხის გაცემას. ჩემი მიზანი არ არის აქ მათი განხილვა, თუმცა შეგნებული მაქვს, რომ ყველას, ვინც ამ პრიბლუმებზე მუშაობს, თავისთვის მაინც უნდა პქრიდეს გაკუთებული ასეთი მიმოხილვა, რათა ზუსტად იცოდეს, როგორ დგას ქართლის მოქცევის ისტორიის ეს თუ ის საკითხი არა მარტო ქართულ, არამედ სომხურ, სირიულ, ბერძნულ, ქოპტურ და უთომპირუ წყაროების. ზემოთ დასახულებულ ნაშრომში კ. კეკელიძე უყრინობა ძირითადად ქართულ და ბერძნულ წყაროებს და სწორედ ესაა ძისი ნაშრომის მეთოდოლოგიური შეცდომა. ჩემი მიზანი აქ უფრო ის იქნება. რომ საჭურავი პლატიკა გამოვხატო ბოლო ხანებში დასმული პრიბლუმების მიმართ

* პისნებია, წაკითხული იქავთ 1932 წლის 24 მაისს (რედ.).

და, უპირველეს ყოვლისა, გავაანალიზო ერთი მთავარი წყარო – ე. წ. „აჩალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“.

საკითხთა წყებიდან მკვლევარი დღემდე ყველაზე არაარსებითს იხილავდნენ, ამიტომაც ისინი აღვიდად გადასაწყვეტი ჩანდა. შათ შორის პირველი იყო, რომ ქართულ წყაროებში IX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს უწმუნეს განმანათლებლად მიიჩნევდნენ წმ. გრიგოლ პაროქელს, ე. ი. სომხეთში ჭიშნანათლებელს. იმ დროს, როდესაც საქართველოს ეკლესია დამორჩა სომხეთისას და პოლემიკა თრივე მხრიდან ძალიან ცხარე გახდა, ქართველი აპოლოგეტებიდან არცერთს არ მოსვლდა აზრად, უარეფო გრიგოლი როგორც პირველი მოციქული და საქართველოში ქრისტიანობის შემომტანი. პირიქით, IX საუკუნეში კათალიკოსი არსენი თავის ნაშრომში – „განყოფილოვის ქართველთა და სომებთა“ – ამბობს, რომ ქართული ეპლესია ერთგულად იდგა ის რწმუნაზე, რომელიც მან წმ. გრიგოლისაგან მიიღო და რა თქმა უნდა, სომხები იყვნენ ისინი, ვინც დაარღვიეს წმ. გრიგოლის ანდერიძა.³ ლექციონარებიც არ ასახელებენ წმ. ნინოს და ქართულ ინომასტების სახელი ნინო ჩვენ მიერ განხილული დროისათვის საერთოდ არ გვხვდება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართული ინომასტიკა ძალიან (კულადაა შესწავლილი). მთელი ქართული პატიოგრაფიული და პატრისტიკული ლიტერატურა დამილით უკლის გვერდს ამ წმინდას, რომელსც შემდეგდროინდელ ლიტერატურაში ასე დიდი და ნათელი მისა ხვდა წილად... და უცემ X საუკუნეში აღიმართება ის ჩვენ წინაშე, მწერალთა მიერ განდალებული და წმინდა ქალუნდარში მოხსენიებული. ეპლესიაში ჩეიმით აღინიშნება მისი სახელი. აპირებენ დაწერონ მისი ცხოვრება, მას მიაწერონ ქადაგებებიც⁴ და მთელი მისი ცხოვრება მისივე პირით გადმოსცენ. მას შემდეგ, რაც წმ. ნინომ ქართულ წმინდანთა შორის დაიმკვიდრა ადგილი და საქართველოს განმანათლებლად იქნა მიჩნეული, ქართულ მატიანეებში და ქართული პატრისტიკის ფურცლებშე მყისვე ქრისტე წმ. გრიგოლის სახელი. უცნაური კი ისაა, რომ სომხები ამას არც აპროტესტებენ და არც ცდილობენ იმდროინდელ განათლებულ სამყაროს ქართველთა დონისძიებანი გააცნონ, პირიქით, თვითონაც ახსენებენ თავიანთ ქრონიკებში წმ. ნინოს სახელს და წერენ, რომ ეს სახელი თავად გადმოგვცეს. სომხურ ქრონიკებში ცდილობენ, იგი დაკავშირონ წმ. გრიგოლთან და სომხებ ქალწულებთან – როგორიმესთან, ვაიანესა და სხვებთან, რომელთა სახელებიც. სამწუხაროდ, ცხობილი არაა. ქართულ წყაროებში, მართალია, გრიგოლის სახელის ხსენებას უხერხელად თავს არიდებენ, მაგრამ, სამავისროდ, ეს ქალწულები აქაც ჩნდებიან. საქმე ამითაც არ მთავრდება – ქართულ ქრონიკებში ეს სომეხი ქალწულები მისიონერულ მოღვაწეობას ეწევთან და ნინო მათი მეგობარია. ქართული და სომხური ქრონიკების შედარებიდან ისიც კი გამომდინარეობს, რომ ქართველებმა და სომხებმა ბევრი რამ გაკეთეს „ნინოს ცხოვრების“ შექმნისათვის. თუმცა მთავარი მასალა ბერძნულიდან მოდის. ამ ორი ხალხის (და ბერძნების) გადმოცემის



მირიან შემა. სკოლიცხოველი.
ფრესკის ფრაგმენტი.

დღესასწაული აღინიშნება. მისი სახელი. აპირებენ დაწერონ მისი ცხოვრება, მას მიაწერონ ქადაგებებიც⁴ და მთელი მისი ცხოვრება მისივე პირით გადმოსცენ. მას შემდეგ, რაც წმ. ნინომ ქართულ წმინდანთა შორის დაიმკვიდრა ადგილი და საქართველოს განმანათლებლად იქნა მიჩნეული, ქართულ მატიანეებში და ქართული პატრისტიკის ფურცლებშე მყისვე ქრისტე წმ. გრიგოლის სახელი. უცნაური კი ისაა, რომ სომხები ამას არც აპროტესტებენ და არც ცდილობენ იმდროინდელ განათლებულ სამყაროს ქართველთა დონისძიებანი გააცნონ, პირიქით, თვითონაც ახსენებენ თავიანთ ქრონიკებში წმ. ნინოს სახელს და წერენ, რომ ეს სახელი თავად გადმოგვცეს. სომხურ ქრონიკებში ცდილობენ, იგი დაკავშირონ წმ. გრიგოლთან და სომხებ ქალწულებთან – როგორიმესთან, ვაიანესა და სხვებთან, რომელთა სახელებიც. სამწუხაროდ, ცხობილი არაა. ქართულ წყაროებში, მართალია, გრიგოლის სახელის ხსენებას უხერხელად თავს არიდებენ, მაგრამ, სამავისროდ, ეს ქალწულები აქაც ჩნდებიან. საქმე ამითაც არ მთავრდება – ქართულ ქრონიკებში ეს სომეხი ქალწულები მისიონერულ მოღვაწეობას ეწევთან და ნინო მათი მეგობარია. ქართული და სომხური ქრონიკების შედარებიდან ისიც კი გამომდინარეობს, რომ ქართველებმა და სომხებმა ბევრი რამ გაკეთეს „ნინოს ცხოვრების“ შექმნისათვის. თუმცა მთავარი მასალა ბერძნულიდან მოდის. ამ ორი ხალხის (და ბერძნების) გადმოცემის

საურთო ხახე და სომხურის სიძველე⁵ უკვე იმას მოწმობს, რომ მას საფუძვლად მაინც ისტორიული მოვლენა უდევს. ასე დგება პრობლემა: გრიგორი თუ ნინო? პრობლემა წყდება ხომხურისა და უძველესი ქართული გაღმოცემის სასარგებლოდ. ამ მიმართულების ფელაზე თვალსაჩინო წარმომადგენლოდ ნ. მარი უნდა მიუიჩიოთ. მისთვის, ისევე როგორც ამ საკითხებზე მომუშავე ყველა მკლევრისათვის, ნინო, რასაკირველია, ისტორიული პიროვნებაა. მაგრამ თუ ის აღმოსავლეთ საქართველოს განმანათლებელი არ არის, მაშინ იგი შემოსული უნდა იყოს რომელიდაც ქვეყნიდან ან საქართველოს რომელიმე პროვინციიდან. მარისათვის ნინო სამეცნიელოს განმანათლებელი იყო, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციიდან.⁶ ამის მიხედვით, ცხადია, ნინოს არაფერი აქვს საურთო აღმოსავლეთ საქართველოსთან. შეიძლებოდა მარის მსგავსად ის ვეემებნა დასავლეთ საქართველოს რომელიმე სხვა პროვინციაში, საღაც განათლება უფრო მაღალ დონეზე იღვა, ვიდრე სამეცნიელოში. ქართველები, როგორც ეს ჩანს მარის გამოკიდებულის შემდეგ ვამოქვეყნებული ნაშრომების მიხედვით, მაინც ვერ ურიგდებოდნენ იმ აზრს, რომ ნინო საღლაც სხვაგან მოღვაწეობდა და არა აღმოსავლეთ საქართველოში და ცდილობდნენ, გადაუწინათ ქართული ტრადიცია. მაგალითად, ქაქაბაძისათვის⁷ ნინო დაღესტნის ტომების მისიონერია, ე. ი. მას წმინდანი ბევრად უფრო აღმოსავლეთით გადაპყავს სამოღვაწეოდ, კეკელიძე კი თავის ზემოხსენებულ ნაშრომში XII საუკუნის საქართველოს რუკითა და გეოგრაფიული ძლებარეობით ცდილობს IV საუკუნის საქართველოს კავშირ-ურთიერთობებში ორიენტირებას. აღმოსავლეთ საქართველო მაშინ თუ ნაწილად იყო გაყოფილი: კლასიკური ხანის შეურლების იბერიად და გოგარენელ, გრიგოლი მოციქულად იყო გოგარენეში, ნინო კი იბერიაში.

განმანათლებლის პრობლემისაგან განუყოფელია მეფის საკითხი. ქართული და სომხური წყაროების მიხედვით, საქართველოს პირველ ქრისტიან მეფეს მირიანი ჰქონა. ბერძნული წყაროები ქართლის მოქცევის შესახებ ცირხაში საერთოდ არ ახსენებუნ მეფისა და განმანათლებლის სახელებს. მათთან ლაპარაკია ტყვე ქალზე გაურკვეველია, ეს გამოთქმა უნდა გავიგოთ პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით (წმ. ნინოს ცხოვრების ახალი რედაქცია, 68 / 69). რეფინუსის ინფორმატორი, რომელსაც უამბია მისთვის საქართველოს მოქცევის ისტორია, არის ვინმე ბაკური, რომელსაც ზოგი საქართველოს ადრინდელ მეფედ მიიჩნევს, ზოგი — მეფური წარმომავლობის კაცად და იერუსალიმში ბიზანტიური ჯარების სარიდლად რეფინუსის დროს.⁸


ეპისკოპოს პეტრე მარტელის სირიული ცხოვრების აღმოჩენით უცებ ჩნდება ვიღაც სხვა მეფე და, რაც გასოცარია, სახელად ბაკური, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს პირველ ქრისტიან მეფედ ყოფნის პრეტენზია. აქედან კვლავ წარმოიშვა დიდებისა; მირიანი თუ ბაკური?



წმ. ნინო. მიოძღვიძის ხატი.
XVII ს.



სომხეთის მუჭვი თრდატი.
წმ. კრიგოლ
განმანათლებელი (პართველი)
და წმ. რიფსიმე



ღია საქურთხველი ჯავახეგმი, ფარაონის ტბასთან.
აღვიღდი, საიდანაც შემოვიდა წმ. ნინო საქართველოში.

და ქართლის გაქრისტიანება? საქართველოში გაუცემულებული ოვალსაზრისით, ქართველთა მოქცევა მოხდა კონსტანტინეს მეუღლის წლებში და სავარაუდო დროდ მიჩნეული იყო კონსტანტინეს მეფობის მთელი პერიოდი – დასაწყისოდან ბოლომდე. კეკელიძის გამოკვლევის დიდი დამსახურება იყო, რომ მან ყველა ქრონილოგიური საკითხი მკაცრ კრიტიკას დაუქვემდებარა და საქართველოს მოქცევისათვის 355-356 წლები დაადგინა, ქრისტიანობის დასაწყისი საქართველოში არიანული წარმოშობისად მიიჩნია და კონსტანტინეს ვაჟის – კონსტანტიუსის დროს გადაიტანა. აქ დაწერილებით ვერ შევეხებით კეკელიძის არგუმენტებს და ვერ გავიძეორებთ, რაც უკვე 1930 წელს ვთქვით ამ ნაშრომის განხილვისას.⁹ შევეცალუ, უარმევო კეკელიძის არგუმენტები, თუმცა მტკიცება შემთხვევითი არ იყო. საინტერესოა, რომ განსვენებული მარკვარტიც იმავე დასკვნებამდე მივიდა.

თუმცა კეკელიძე ასე საოცრად ემოხვევა მარკვარტს, ქართველი მკვლევარნი (მაგალითად, ჯავახიშვილი) მას არ ეთანხმებან და ცდილობენ, გადაარჩინონ მცენი ტრადიცია. სხვათა შეხედულებები, შეიძლება მაღალ მნიშვნელოვანიც, ჩემთვის, სამწუხაროდ, უცნობი დარჩა. ძირითადად ეს სამი დიდი პრობლემაა, რომელთაც ქართველი მკვლევარნი საქართველოში ქრისტიანობის დასაწყისის განხილვისას ისევ და ისევ ეხებიან. ამას ემატება შეოთხევა და ისევე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი: საიდან აიღო „წმ. ნინოს ცხოვრების“ ავტორმა თავისი მასალა? ნინოს IV საუკუნეში უნდა ეცხოვო, უძველესი „ცხოვრების“ ხელნაწერი, რომელშიც ისაა შემონახული, X საუკუნისა (973 წლის). ბერძნული და სომხური წყაროები ნაწილობრივ უკვე აღმოჩენილია, მაგრამ ამით პრობლემა გადაჭრილი არ არის, პირიქით, უფრო საინტერესოა, საიდან შეიძლებოდა შეეთხზა ავტორს სხვა დეტალები, რომლებიც არც ბერძნულ, არც სომხურ გადმოცემებში ან ლიტერატურაში არ დასტურდება?¹⁰

პეტრე იმერი.

იერუსალიმის ჯვრის
მონასტრის ფრესკა.

ეს საკითხი დაისვა ქართველ მკვლევართა მიერ: ჯავახიშვილი ბაკურისაკენ გადაიხსარა, კეტელიძეს მირთანი უკრო/სარწმუნოდ მიაჩნდა, და ბუქეტის, მარკვარტისაუცის შემოიწყოფის პირველი არიანული, ბაკური კი პირველი მართლმადიდებელი (ბერძნული აღმსარებლობის) მეფე.

მესამე პრობლემა ქართლის მოქცევისა ქრონილოგიის სფეროშია: როდის და რომელი ბიზანტიილი კეისრის დროს მოხ-



პეტრე იმერი.

იერუსალიმის ჯვრის
მონასტრის ფრესკა.

ძირითადად ეს ოთხი პრობლემაა. მე ზოგიერთ მათვანს დაწერილებით შევეხები.

II.

პირველ რიგში, ცხადია, რომ ცნობაში გრიგოლზე — აღმოსავლეთ საქართველოს განმანათლებელზე და ლევენდაძე წმ. ნინოზე მხოლოდ X საუკუნეში, შეიძლება IX საუკუნის ბოლოს ძოადწია აღმოსავლეთ საქართველომდე. საიდან მოდის ეს ცნობა? მარის მიხედვით, როგორც ზემოთ დავინახეთ, იგი უნდა მოდიოდეს სამეგრელოდან, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან წარსულში მეგრელების რაიმე უფრო მაღალ კულტურულ დონეზე არაუკით ვიცით. ადამიანები კი, რომლებიც ნინოზე წერენ, შეიძლება მხოლოდ იმ პროვინციიდან ყოფილიყვნენ, სადაც ის მოღვაწეობდა, რადგან ისინი დიდი პათოსითა და დამაჯერებლობით წერენ. საჭიროა იმჟამინდელი საქართველოს პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის ზუსტება წარმოდგენა. იმდროინდელ საქართველოში ჭემმარიტი კულტურის მატარებელსა და ვანკოსარებულ ტომს მესხები წარმოადგენდნენ. ეს ტომი ცნოვრობდა დღევანდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით ბათუმის მიდამოებში. ისინი იყვნენ იმდროინდელი ქართული კულტურის მოწინავე წარმომადგენლები და პოლიტიკურადაც დიდი გავლენა პქონდათ საქართველოში. ქართველი ქრისტიანულობის არაბთა ბატონობისას ერთიანობისა და დამოუკიდებელი სამეფოს შექმნის იდეას სწორედ ძათ უძადლის და არა მარტო იდეის შექმნას, არამედ მის რეალიზაციასა და წარმატებასაც. შეიძლება ისეც წარმოვიდგინოთ, რომ მესხებმა ახალ ქართულ დედაქალაქში, რომელიც მათ პოლიტიკურად და კულტურულად დაიკყრეს, თავიანთი პროვინციიდან ჩამოიტანეს გადმოცემა და საკუთარი მხარის განმანათლებელი აქციეს მოედი აღმოსავლეთი საქართველოს განმანათლებლად. ქართველებმა ეს აზრი დიდი წინააღმდევობის გარეშე მიიღეს, რადგან წმ. გრიგოლი და თავიანთი ქრისტიანობის სომხური წარმოშობა უკვე ტვირთად აწვათ.



ქრისტიანი წმ. I დიდი

III.

ნინოს ტრიუმფით სვლა რომ მესხეთიდან იწყება, ეს ალბათ იქიდანაც ჩანს, რომ იგი ქართულ ქრონიკებში წმ. გორგის ნათესავად არის გამოყვანილი. მოედო ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ძალიან სუსტ საფუძველზე დგას და ისტორიული მუცნიურებისათვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ერთი პუნქტი კი საინტერესო და გასათვალისწინებელია. ერთ ნაშრომში, რომელიც რაძლების წინ გამოვაჭვებულ ენაზე და რომელშიც ვიხილავდი წმ. გორგის ადგილს ქართველების ცნოვრებასა და ღვთისმოსაობაში, შევძლი, ყოველ შემთხვევაში ასე მცონია, მეჩვენებინა სამი სხვადასხვა ფუნდი გიორგის სახისა საქართველოში. რადგან ეს ნაშრომი ერთ პატარა ქურნალში გამოქვეყნდა და ამატომ მჩელად ჩელმისაწვდომია, თავს ნებას მივცემ, რომ მას ძალიან მოკლეს შევეხო.¹¹

წმ. გორგი.
ფერწერული ხატი.
მესტია.



წმ. გიორგი
ხალხურის ხატის
ფრაგმენტი. XI ს.

წმ. გიორგი მთელ შცირე აზიაში სამი სახით გვევლინება. პირველად, როგორც ხალხური ეპოსის ნაყოფი, მისი ცხოვრება აისახა ე. წ. ხალხურ წიგნში აზე დადიანოსის რედაქციაში. წმ. გიორგი გვევლინება როგორც დიდი გმირი, კოლიათი და მთელი წიგნი ისეთი სასწაულო ეპოსის სავსე, რომ ეკლესია მოკირებული აღმოჩნდა, უძირდება და უფრო უკრძალული პირველი წიგნი. რომის გაყლენით კარგა ზნის შემდეგ იგივე გააგეთა მხოფლიო პატრიარქმა ნიკოლაოსმა და ასევე რამდენიმე წლის შემდეგ დიდმა ქართველმა საეკლესიო მამამ გქვთიშემ. ათონიდან საქართველოს გაგჩავნილ წერილში იგი ამ ხალხურ წიგნს აკრძალულად ასახელებს. ამას მოჰყვა ხელნაწერთა განადგურება, მაგრამ ვენაში, იქაურ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, მივაკვლიერ უძველეს ხელნაწერს. სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია, არსებობს თუ არა საქართველოში დადიანოსის რედაქციის ხელნაწერი. ესაა წმ. გიორგის პირველი სახე, რომელიც ეკლესიამ უარყო; მეორე წმინდა გიორგი ხალხური ლვონისმოსაობის პროდუქტია. ხალხური წიგნის, ე. ი. ხალხის ლიტერატურული ქმნილების აკრძალვას მისთვის ხელი არ შეუძლია შემდეგშიც კიდევბინა თავისი გიორგი. გიორგი შეერწყა წარმართულ კერპებს და მასზე გადატანილი იქნა წარმართული ელემენტები. ასე გვივლინება ის ღამის ღამიაჯოან, წმინდა ხეებთან და ა. შ. კავშირში. არაბთა შემოჭრას და მაპმადიანთა გამარჯვებას ხალხური ლვონისმოსაობის ეს ნაყოფი კი არ გაუნადგურებია, პირიქით, მისი განვითარება გამოიწვია — ესაა გიორგი — el-hidr *; და ბოლოს, მესამე გიორგის ვხედავთ ამ პირველი ორისაგან ხალხის შემოქმედებისაგან — განსხვავებით, წარჩინებულთა განათლებულ წრეებში. აქ გიორგი ომის გმირია, ქვეყნისა და ჯარის პატრიონი. მხოლოდ ბევრად გვიან, დახლოებით VIII საუკუნეში, იწევს ის წინ და ბიზანტიელი პავიოგრაფები ცდილობენ შექმნან წმ. გიორგის ცხოვრება. უცნაურია. ალბათ წყაროების სიმწირემ აიძულა ისინი, თუ მთავარ წყაროდ არ გახდიდნენ დაგმობილ და აკრძალულ ხალხურ წიგნს, ბევრი რამ მაინც აეღოთ იქიდან. წყაროებთან მიმართებამ ბევრი სერიოზული მკვლევარი აიძულა ეჭვი შეეტანა წმ. გიორგის ისტორიულობაში. ამას ისიც უძალება, რომ ეკლესიის დიდი ისტორიკოსი ევსევი კესარიელი თავის ნაშრომში — „პალესტინელ მარტივილთა შესახებ“ — წმ. გიორგის საერთოდ არ ასახელებს. ისინი ხომ თანამედროვენი იყვნენ!



წმ. გიორგი ათავისუფლების
მეცნიერების ასული. XV ს.

წმ. გიორგის არსებობაში ეჭვის შეტანა თანამედროვე ქვლევისა ან თანამედროვე მეცნიერების გონიერების შედევგი კი არ არის, არამედ იგი ბევრად უფრო ადრინდელი წარმოშობისაა. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პავიოგრაფის — ნიკიტა-

* არაბულად და თურქულად ჩიმნავს წმინდას, შემცეს (მთარგმ.).

დავით პაფლალონელის შენიშვნა, რომლის მიხედვით, ხალხური წიგნი თავისი ფანტასტიკური სასწაულებით თვითონ ემმაჯის შეთხზულია. ასე რომ, წმ. გიორგის პიროვნების ისტორიულობაში ეჭვი უნდა შევიტანოთ. მე კი მრავალ ვარ დარჩემუნებული, რომ წმ. გიორგი ისტორიული პიროვნება იყო, მისი მარტვილობა და სამშობლი, თუ უშუალოდ საქართველოში არა, რომელიმე მეზობელ ქვეყანაში უნდა ვეძიოთ.

საინტერესოა, რომ წმ. გიორგი საქართველოშიც სამი სახოთ არსებობს. ერთი, როგორც ხალხური ფანტაზიის ნაყოფი, დადიანოსის წიგნის პარალელურად, წიგნისა, რომელიც, სამწუხაროდ, ქართულ ენაზე ჯერ არ არის გამოცემული და შესწავლილი. რომ ყოფილიყო ამ რედაქციის ბერძნულობან შედარების შესაძლებლობა, ჩემი აზრით, ქართულ დედანში ზოგი ასალი და საინტერესო მომენტი გამოჩნდებოდა. დადიანოსის წიგნის პარალელურად, მე მეორი, ჩანს წმ. გიორგის თვისებების გადატანა ერთ-ერთ ზღაპრის გმირზე – ნაცარქექიაზე. პატარია, უღონო ადამიანი ამარცხებს დევებსა და გოლიათებს მხოლოდ თავისი მოხერხებით. ის არის ლარიბი, დაჩაგრუელი ხალხის წარმომადგენელი. ქრისტიანობის გავლენით მისი სახე ნათელი და სახიამოვნოა. თუ უძველეს ზღაპრებში იგი მხოლოდ საკუთარი თავის, ან თავისი ძმებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობისათვის იბრძვის, მოგვიანებით ჰქონდებოდი ხალხის სიკეთისათვის მებრძოლად გვევლინება. როდესაც ძველ ზღაპრებში მხოლოდ მოხერხებითა და მოტყუებით ცდილობს თავისი მიზნების შესრულებას, რასაც აღწევს კიდევ, განვითარების ბოლო სტადიებში, რომლებიც ერთმა ნიჭიერმა ქართველმა მწერალმა კოტე მაყაშვილმა აღწერა, იგი უკვე მამაცი ადამიანია და ბნელ ძალებს თავისი გამბედაობითა და მამაცი მოქმედებით ამარცხებს – ეს ერთი სახეა; შეორე გიორგი – el hidr აღმოსავლეთიდან მოდის. როგორ მოვიდა ის საქართველოში, ეს ჯერ კიდევ სერიოზულად საკვლევია; მესამე გიორგი – წმინდანი, ქვეყნისა და ჯარის პატრონი, ბიზანტიიდან მოდის. ასე კვარაულობ, თუმცა დაბეჯითებით ვერ ვამტკიცებ, რადგან ქართული დედნები მაკლია. მაგრამ გზა, რომელსაც მიპყება იგი ქართულ პროვინციებში, რათა საქართველოს დედაქალაქს – მცხვთას თუ თბილისს – მოაღწიოს, მესხეთზე გადის. მესხებისათვის ის ბევრად ადრე იყო ცნობილი, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოსთვის და მესხები იყენენ ისინი, ვინც წმ. გიორგი გააცნეს აღმოსავლეთ საქართველოს. მე შევიცადე ეს ქართული ონომასტიკის მაგალითზე დამკავშირებინა, თუმცა ძალიან საჭოჭმანოდ მეჩვენებოდა, რადგან ქართულში არათერია უფრო გაურკვეველი და ბუნდოვანი, ვიდრე საკუთარი სახელები. ძალიან ბევრი მასალაც მიუწოდომელია. იმის საფუძვლებზე კი, რაც ხელო მქონდა, მეორი შევძლი მეჩვენებინა, რომ თუმცი X საუკუნემდე გიორგის სახელით მეფე საერთოდ არ გვყოლია საქართველოში, ბაგრატიონთა დინასტიის დამკვიდრების შემდეგ, XI საუკუნის დასაწყისიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, საქართველოს ტახტზე გიორგები ჩნდებიან. ასევეა ბერების სახელთან დაკავშირებითაც. თითქმის ყველა ბერს, რომელიც ტაო-ქლარჯევითიდან მოდის, ე. ი. კვლავ მესხეთის კულტურულ წრეს კუთვნის, გიორგი ჰქვია. ამას ემატება ისიც, რომ ურთადერთი საერო პირი,



კოლეგი მაყაშვილი

რომელსაც გიორგი პეტრი, არის გიორგი ჩორჩანელი (VIII ს.), წმ. სერაპიონ ზარზმელის საქმის ხელშემწყობი, კვლავ მესხეთიდან. ძოფვანილი მაგალითები, რა თქმა უნდა, ჩემი მოსაზრების დასამტკიცებლად არ კმარა, რადგან სახელები, განსაკუთრებით პირთა, ძალიან ცოტა შემოვვრჩა და ბევრი რამ არ უციო იმ დროის შესახებ, მაგრამ ეს ძოსაზრებები მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანია. საინტერესოა კიდევ ერთი უცნაური ფაქტი, კერძოდ ის, რომ X საუკუნეების წელი გიორგის სახელობის ეკლესიები ძალიან ცოტაა, მერე კი საქართველოში მთა და გორაკიც არაა, წმ. გიორგის სახელს რომ არ ატარებდეს, სადმე მაინც წელიწადის ყოველ დღეს წმ. გიორგის დღესასწაულია, თითქმის ყოველ მეორე ქართველს გიორგი პეტრია. მის პატივსაცემად ზეიძობენ ეროვნულ დღესასწაულს 9 ნოემბერს, რაც იერუსალიმის ცნობილ განჩინებაშიც არის მოხსენიებული და კვლავ განსაკუთრებით მესხი ბერები იმრამვიან ამ დღესასწაულის შენარჩუნებისათვის. დღესასწაული დაარსდა ერთი სასწაულებრივი განკურნების ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც დღევანდელ დასავლეთ საქართველოში მოხდა.

ამ ფაქტებმა მიბიძვა მევარაუდა, რომ წმ. გიორგი მესხების მემვეობით მოვიდა აღმოსავლეთ საქართველოში. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ მხოლოდ გიორგის, მყომართა წმინდანს, რომელიც 1000 წლამდე ქვეით მეომრად იყო ცნობილი, შემდეგ კი მხედარი გახდა და მხოლოდ XII საუკუნეში მოკლა გველებაპი. გიორგის სახემ ქართულ მიწაზე ბევრი რამ შეიძინა. სამწუხაროდ, აძანე დაწვრილებით ვერაფერს ვიტყვი, ვერც ვერაფერს დავამტკიცებ გადაჭრით, რადგან აქ, ვეროპაში, შესაბამისი მასალა მაკლია. მე მხოლოდ მსურს ყურადღება მიკაელევანი ქართველ მეცნიერებს ამ საკითხებისა და პრობლემებისაღმი.

წმ. ნინო ქართულ გადმოცემებში წმ. გიორგისთან არის დაკავშირებული. შესაძლოა, ეს გადმოცემებიც იმაზე მიუთითებს, რომ ისიც იმავე ქავენის ტრადიციიდან მოდის, საიდანაც წმ. გიორგი?

IV.

წმ. ნინოს რომ სომხებიც იცნობენ და მისი სახელიც პირველად მათვან გავიგეთ, როგორც უკვე მოვუთითეთ, არა მარტო საუკეთესო საბუთია მის ისტორიულ პიროვნებად მისაჩინევად, არამედ კიდევ ერთ არანაკლებ საინტერესო ფაქტზეც მეტყველებს: მესხეთი წმ. ნინოს მოღვაწეობის სანამი ურთისროვლად ქართველებითა და სომხებით დასახლებული პროვინცია იყო. არაბულმა მახვილმა და ქოლერამ აქ სომხური მოსახლეობა მოსპონ და მათი ადგილი მოღიანად ქართველებმა დაიკავეს ქართველი ბერების მეთაურობით. ბერები ნაწილობრივ სომხების მიერ მიტოვებულ მონასტრებში მკვიდრდებოდნენ. მათ მიჰყებოდნენ ქართველი კოლონისტები, რომლებიც, აღბათ, დარჩენილ სომხურ მოსახლეობას მეერივნენ და ამ რევიონში შეიქმნა განსაკუთრებული კულტურა, რომელიც მოელი ქართველი ერისათვის სასარვებლო აღმოჩნდა. ბერების კულტურული მოღვაწეობის ძველებმა ბევრი რამ შემოგვინახა, რაც ქრისტიანულ ლიტერატურაში ჩაიკარგა. მაგალითად, ცნობილ შატბერდის ხელნაწერში დაცულია იპოლიტე რომაელის თხზულებების ნაწილი. უძველესი ქართული ოთხთავები – ტბეთის (995 წ.), ოპიზის (913 წ.), პარხლის (973 წ.) – სწორედ ამ კუთხიდანაა.¹² შესაძლოა, წმ. ნინო მისიონერი იყო საქართველოს აღნიშნულ პროვინციაში იმ დროს, როდესაც აქ სომხებიც

ცხოვრობდნენ, შემდეგ კი ქართველი კოლონისტები ქაფანაში არსებულ ტრადიციას იცავდნენ. როდესაც ამ მხარემ რამდენიმე საუკუნის შემდეგ მთელ საქართველოშე პოლიტიკური და კულტურული ძეგლები მუშაობისა მთიპოვა, მან თრივე ქართულ დედაქალაქში მიიჭანა თავისი პროვინციის უს ტრადიციები.

V.

ნინო გახდა აღმოხავლეთ საქართველოს განმანათლებელი და ახლა საჭირო შეიქნა მისი ცხოვრების დაწერა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე შოღწეული უძველესი ცხოვრება, რომელსაც აღმომჩენ თაყაიშვილის მიხედვით „წმ. ნინოს ცხოვრების ახალი რედაქცია“ ან „ქართლის მოქალაქის შეორუ ნაწილი“ პქვა, გვაქვს ცხობილ შატბერდის ხელნაწერში, ე. ი. ის მესხეთის ერთ-ერთი მონასტრიდანაა.¹³ ორივე ნაშრომის ვრცელ შესავალში შატბერდის ხელნაწერი უფრო დეტალურადაა აღწერილი და სხვადასხვა ისაგოვიური საკითხი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ განმარტებულია ისე, რომ „წმ. ნინოს ცხოვრების ახალი რედაქციის“ წყაროების დაწვრილებით არ განიხილავს. მე აქ დუმილით გვერდს ავუკლი წყაროებს, რომლებიც აღიარებულია შევლენართა მიერ. ესენია ბერძენი მწერლების ცნობები; *Historia Ecclesiastica*-ს სომხური თარიღმანთ, რომელიც ბერძნული ორივინალისათვის უცნობ სხვადასხვა საინტერესო ცნობას გვაწვდის; მოვსეს ხორენაცის შელამაზებული ცნობები. რომლებიც შეტწილად შეიძლება აგათანგელოსის „სომხეთის მოქცევიდან“ მოღიოდეს.¹⁴ თქვენს ყურადღებას შეკაჩურებ ურთ სოფლიად სხვა წყაროზე. რომელიც ისევ და ისევ თვალწინ მიღვება ხოლმე ე. წ. „წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტის“ კითხვისას. ბერძნული და სომხური წყაროების გვერდით ავტორს ხომ უნდა გამოიყენებინა მშობლიური წყაროებიც, რადგან, ჯერ ერთი, საიდან აქვს მას ყველაფერი ის, რაც არც ბერძნული და არც სომხური გაღმოცემებით არ ასხსნება? ძალიან მოსახურებული იქნებოდა სიახლეები ავტორის პოეტური ფანტაზიით აგვენებინა, მაგრამ პოეტურ ფანტაზიას მხოლოდ მაშინ უნდა მივმართოთ, როდესაც წყაროების ან ფაქტების დახმარებით წინ ვეღარ წავალო. ასეა „წმ. ნინოს ცხოვრების“ შემთხვევაშიც. ზემოთქმულს შეიძლება დაუკავშიროთ: თუკი ავტორის ქონცეცცია გარკვევით გავიგეთ, მაშინ პრობლემის ნაზვარი გადაწყვეტილი იქნება. რა ტენდენცია პქონდა ან შეიძლება პქონდა „წმ. ნინოს ცხოვრების“ ავტორს? პირველი ტენდენცია შეიძლებოდა ყოფილოყო მხოლოდ შემდეგი: მცხეთის ძცხოვრებთათვის განემარტა, რომ ნინო მათი განმანათლებელი იყო. ამიტომ ის ხომ უცდებოდა, თავისი მოთხრობა რაც შეიძლება დამაჯერებლად ვაღმოეცა. მას ამისათვის სჭირდებოდა რაიმე ქრისტიანი, რომელიც ეხებოდა ქრისტიანობის შემოსვლას ქროლში ან საკუთრივ მცხეთაში და რომელსაც ის შემდგვ საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენებდა. დაწვრილებითი ანალიზი „წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტის“ მართლაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ქალაქ მცხეთის ასეთი ქრონიკა უნდა არსებულიყო, რომელიც შემდეგ გადაუმუშავებიათ.

გამომცემელი პროფ. თაყაიშვილი დარწმუნებულია, რომ „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა და ეს „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ერთი და იმავე



წმ. ნინოს ზაფი. XIX ს.

ავტორისავან მომდინარეობს და მეორე სხვა არაფერია, თუ არა პირველის გავრ-
ძელება, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ წინაა ორი სრულიად განსხვავი ხელი
და განსხვავებული ეპოქა. „ქართლის მოქანვის“ ამბავი უფრო ძველია, კიდრე „წმ.
ნინოს ცხოვრება“.

„ახალი გარიანტი“ იწყება შესავლით — ნინო სიკვდილზე ზირპანი! მას გარს
ახვევიან დედანი და მღვდლები, რომლებსაც სურო გაიყონ შინ ცხოვრების
ისტორია, კიდრე ის განშორდება მათ. ნინო ძოუთხრობს თავის თავვადასავალს,
და ხალომე — მეფე მირიანის რძალი (მისი ვაჟის — რევის მუჟელლე) — იწერს მას
(1-3). შემდეგი თავის სათაურია: „ცხორებამ წმიდისა ნინომნი“ (4-9). ნინო
ჰყუება თავის მშობლებზე, თავის დაბადებაზე, თავის აღზრდაზე იერუსალიმში,
აღმზრდელ ბიძაზე, რომელიც იერუსალიმის პატრიარქი იყო, ხნიერ დვოისმოსავ
ქალზე, რომლისგანაც შეიტყო, რომ ქართველებს თავიანთ დედაქალაქში აქვთ
ქრისტიანობის კველაზე დიდი სიწმინდე — ქრისტეს კვართი და რომ ეს ხალხი
ჯერ კიდევ წარმართოა. ის გადაწყვეტს, წავიდეს, რათა ეს ხალხი ქრისტიანად
მოაქციოს. შემდეგ თავში (10-20) ამ ქვეყნის ძებნის სიძმელეებზე ჰყუება. ის
ჩამოდის, როდესაც აქ დიდი წარმართული დღესასწაული აღინიშნება. ამ დღესას-
წაულის აღწერაა მე-6 თავი (ჩანს, მე-5 თავი აკლია). მისი ღორცვის შემდეგ
ბუნების მრისსანება ამ კერპებს მიწას ანარცხებს. ის თავშესაფარს სასახლის
მებაღის უმვილო ოჯახში იპოვის და მისი ღორცვით ამ ოჯახს ბავშვები უჩნდება.
შემდეგ ნინო ჰყუება თავის სიზმარს: იგი ხედავს ჩიტებს, რომლებიც მდინარეში
განიბანებიან, მერე სასახლის ბაღში ყურძენს ქუნკავენ, ყვავილებში დაფრინავენ და
ქსმის, როგორ ეუბნებიან, რომ ბაღი მას ეკუთვნის. ეს შმეგნიერი და ფრანცისკანულად
შთამბეჭდავთ. ხილვა ხშირად მეორდება. ნინო უამბობს




ექთომე თაფიაშვილი

ამას თავის მევობარ ხიდონიას, უბრაველი რაბინის ასულის,
რომელიც განუმარტავს, რომ ის მოწოდებულია განაცხადოს
უდანაშაულოდ დასჯილის სახელი. ეს აღვიდუ მნიშვნელო-
ვანია და ასე ელერს: „და უთხარ ესე დასა ჩემსა, ასულსა
აბიათარისასა. მომიგო და მრექვა მე მან: «უცხოვო და აქა
შობილო, ტყუო და ტყუეთა მქსნელო, უწყო, რამეთუ შენზე
მოიწია ახალი იგი ქამი და შენ მიერ ისმეს ჰამბავი იგი,
მუელი, მამათა ჩუენთა ნაქმარი, ზეცისა მის ქაცისა უბრა-
ლომსა სისხლისა უსამართლოდ დათხევისამ, რომლითაცა
ქმნა ღმერთმან ჰურიათა სირცხვილი, ცის კიდეთა განბნებამ,
მეურბისა დაცემამ და ტაძრისა მის წმიდისა მოღებამ,

ერისა მის უცხომსა მოგებამ და თუსად წოდებამ, და დიდებამ მათა მიცემად». და კუალად თქვა: «იერუსალიმ, იერუსალიმ, ვითარ განვიმარტვან შვილნი შენნი
და შეიკრებ ყოველთა ცის კიდისა ნათესავთა ურთეთა ქუემე შენთა. აპა ესერა
აქაცა მოსრულ არს დედაქაცი ესე და შეცვალოს ყოველი წესი ქუეყანისამ
ამის». და მომექცა მე და მრექვა: «ჩუენებამ შეჩი არს ესე, რამეთუ აღვიდუ ესე
სამოთხისამ შენ მიერ იქნეს სამოთხეში სადიდებულიდ ღმრთისა, რომლისამ არს
დიდებამ აწ და მარადის და უკუნიო უკუნისამდე (20-28). ამჟნ.»“ ამას
მოსდევს მე-7, მე-8, მე-9 და მე-11 თავები (აკლია მე-10 თავი). ეს თავები
სათაურის მიხედვით სიდონიას ნაამბობი უნდა იყოს. მოთხრობილია, როგორი
დამოკიდებულება პქონდათ ებრაელებს იერუსალიმთან ქრისტეს მიწიური

ცხოვრის დროს და როგორ ჩამოიტანეს ქრისტეს კვართი მცხეთაში (29-35), ნამდობია ქალწულების შესახებ, რომელებიც ნინოს გარს აჩვევიან, დედოფლის განკურნების შესახებ. მოუხედავად ერთი დიდებულის განკურნებას, მეფის დამოკიდებულება ჯერ კიდევ უარყოფითია (36-40). შემდეგ მოთხრობილია მეფის ნადირობის ამბავი (40-49) და მისი მოქცევა. უნდა მოიჭრას ხე, როგორც ჩანს, წმინდა ზე. ამას მოსდევს სვეტის სასწაული. მე-11 თავში (49-50) ამ სვეტთან დაკავშირებით ორი სასწაულია მოთხრობილი. ამას მოსდევს მე-12 თავი (51-55): მონათხრობი აბიათარისა, რომელიც აღრე ებრაელი რაბინი იყო და ნინომ მონათლა. ამ თავშია და ბოლო თავის დასასრულმა, სადაც ლაპარაკია წმინდა ზის მოჭრაზე, ჩემი აზრით, შემოგვინახეს ქალაქ მცხეთაში ქრისტიანობის ისტორიის ყველაზე ძველი ნაწილი, რაც აღმართ უკვე II საუკუნის შუა (ან ბოლო) წლებში უნდა მოშედარიყო. მე-13 თავს (55-60) სათაურად აქვს: „პატიოსნისა ჯუარისათუს“ და ეკუთვნის თავის, მცხეთის პირველ ეპისკოპოსს. მე-14 თავი (60-67) ისევ პატიოსნი ჯვრის აღმართვის ისტორიასა და სასწაულებს ეხება, იგი მხოლოდ მე-11 თავის შელამაზებაა. ამას მოსდევს ბოლოსწინა თავი მეფე მირიანის მოქცევის შესახებ (68-72). უპირველეს ყოვლისა, მოთხრობილია სვეტის სასწაულისა და ორი კლესის აგების ამბავი. ეს თავიც სხვა არაფერია, თუ არა გამეორება (რა თქმა უნდა, სხვა რედაქციით) მე-13 თავში მოთხრობილი ამბისა და ბოლოს – მეფე მირიანის ანდერძი (72-73). ესაა მოკლე შინაარსი ამ დიდად საინტერესო დოკუმენტისა. „ცხოვრება“, რახაცირველია, ნაკლულად შემოგვრნა, აკლია მე-2, მე-3, მე-5 და მე-10 თავები. თუ მათ ცალ-ცალკე შევადარებთ ერთმანეთს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ისინი ერთმანეთზე არ არის ფამოკიდებული და რომ რედაქტორს ამ თავების გაერთიანების მეტი არაფერი გაუქეთებია. ბერიძნული და სომხური წყაროების გარდა მას ხელთ პქონდა პატიოსნი ჯვრის სასწაულების აღწერა. ეს ნაწილი შეიძლებოდა ნინოს სიკედილიდან დიდი ნინის მერე შექმნილიყო. აკტორიმა გამოიყენა ასევე ქრონიკა, რომელიც მოგვითხრობდა ქრისტეს კვართზე და ქრისტიანობის გაერცელების შესახებ მცხეთულ ებრაელებში ნინოს მიერ. მაინც გარემონტ ვხედავთ, რომ ნინო მიდის ხალხთან, რომლებიც უკვე ქრისტიანები არიან. თუ შებაღის კოლის სახელი – ანასტოს (26), რომელთანაც პპოვა ნინომ თავშესავარი, არაუკრის გვეუბნება მისი ქრისტიანობის შესახებ, სამაგიუროდ, უთუოდ ამაზე მეტყველებს აბიათარის ასულის შიბართვა, რომელიც, შეიძლება ითქვას, წმ. ნინოს მოუწოდებს ქვეყნის მოქცევისაკენ. ის ქრისტიანი ჩანს, თუმცა შემდეგ წერია, რომ მამასთან ერთად ნინომ მონათლა (27-28). მის მამასთან – აბიათართან დაკავშირებითაც ძალიან უცნაური გარემოებაა. თავის მონათხრობში აღნიშნავს, რომ ნინომ მოაქცია, მე კი მაინც მგონია, რომ ის არ არის ნინოს თანამედროვე, რადგან, ჯერ ურთი, ის გვაცნობს ებრაელი ძლვდელმთავრის წერილს, რომელიც აღმართ იყრესალიმის დანგრევიდან არცოუ დიდი ჩნის მერე მისწერა მას ტიტუსმა. მიხი მამა ებრაელი რაბინი იყო მცხეთაში, ქრისტეს თანამედროვე (32-33) და ნომ წარმოუდგენელია, მამასა და შვილს შორის 300 წელი იყოს განსხვავება. და ბოლოს, თუმცა იგი წმინდა ნინოს სანდო პირად გვევლინება (ნინომ მონათლა, 53), როდესაც ნინო კაპიასის მოიველთა მოქცევას კისრულობს, მას მცხეთაში ტოვებს თავის წარმომადგენლად (60), მაგრამ გვრჩება შთაბეჭდილება (ერთი ადგილი ამას გარკვევით ამხელს), რომ ნინო ამ კაცს საერთოდ არ იცნობს და ცდილობს მისი ასულის მონათხრობით გაიგოს სად არის დაკრძალული ქრისტეს კვართი და



მირიან შეფისა და ნანა
დედოფლის საფლავები.
მცხეთა, სამთავროს მონასტერი.

წინასწარმეტყველ ულიას სამოსი (რომელიც ასევე
მცხეთაში უნდა იყოს) (35). ეს ყველაფერი და
ასევე ორი ძალიან უცნაური აღმოჩი, რომლის
თარიღმანსაც მოვიყვან, უფლებას მაძღვანს ვაძტკიცო,
რომ აბიათარი უნდა იყოს წარმომადგენელი მცხეთის
იუდეველ-ქრისტიანთა მრავალობას წარმოდგენ აღმათ
უკვე II საუკუნეში არსებობდა აქ. 54-ე გვერდზე
ივი თავის თავგადასავალში გვიყვება: მას შემდეგ,
რაც მცხეთის მცხოვრებლები მოინათლნენ, „და მათ
დღეთა შემემურვნეს ფრიად პურიანი მცხეთელნი
ჩემ ზედა და დასცეს ხს ივი კილამო, რომელი
დგა კარის ზედა ბავინისასა, რომელი განაშუენებდა
ადგილსა მას, რამეთუ გარდაერთხნეს რტონი მისნი
ფლელსა მას სტოვასა ბავინისასა. და იწყეს სადამოვაკე
წარსლევად თუნიერ ხოლო ბარაბუანთასა, რომელნიცა
მოინათლნეს ორმეოც და ათი სული სახლისა მათისამ.
და მკუდრ იქმნეს მცხეთას შინა. და მოუბორა მირიან
შეფებან დაბად ერთი, რომელსა პრექან ციხედიდი,

და იყვნეს დიდ წინაშე მეფისა და ქრისტეანეთასა მადლითა ნეტარისა ნინო სითა
და მოძღვრებითა მისითა.“ ისეთი მთაბუჭლილება მრჩება, თითქოს ზემოთ მონასტრობის
განმარტება მოცემული იყოს 59-60 გვერდებზე. იქ წერია: „მაშინ დაუტევა
წმიდამან ნინო მცხეთაშ ქალაქი და წარვიდა მთეულოთა ხარებად პირუტყუთ-
სახეთა მათ ქაცთა და შემუსრებად კერპთა მათ. ხოლო აქა შინა დაუტევა
აბიათარ, პურია-ყოფილი ივი მღღელი, რომელი იყო მეორეს პავლე, რომელი არა
დაპიცხებოდა ღამე და დღე ქადაგებასა ქრისტესსა, დიდებასა მისსა, ვიდრემდის
სივლტოლად იწყეს ჰურიათა. ხოლო ბავინისათვის აიტელებდა მეფესა, რათა არა
შეძრან ნაშენები ივი მისი, არამედ რამთა შესძინოს აღმენებამ.“ როდესაც ამ
ადგილს გაითხულობ, არ შემიძლა დავუპარო ეჭვი, რომ ივი არ გაუთვნის მთელ
ამ მოსხრობას. ნინო დგას თავისი დიდებისა და გავლენის მწვერვალზე და
მიემართება ქართლის სხვა პროექტის საქადაგებლიად, თავის ნაცვლად კი
მცხეთაში აბიათარის ტოვებს. ებრაელებს სამუალება ეძლევათ შური იძიონ. ისინი
ჭრიან ლამაზ ხეს, რომელიც სინაგოგის შესასვლელთან ან მასთან ახლოს იდგა
და აღბათ ქართველ წარმართების წმინდა ხედ მიაჩნდათ, რათა წარმართები
წააქეზონ აბიათარის წინააღმდეგ, თვითონ კი გარბიან. მეფეს ამის გამო სურს
გაბრაელთა სინაგოგის დანგრევა. აქ გვაჯეს ცნობა, რომელიც სრულიად არ შეეჯირება
ნინოს დროის, რადგან თითქოს მეფეს, გარდა იძისა, რომ მისი (ნინოს) მითოვებით
მოჭრევინოს წმინდა ხეები¹⁵, სხვა საქმე არა აქვს.

ვითარება კი ასეთი უნდა იყოს: აბიათარი, იუდეველი-ქრისტიანი და იმედოვნელი
რაბინი, იყენებს თავის სინაგოგას, რათა იქ ქრისტიანობა იქადაგოს. კრისერვატორი
გაბრაელები ამის წინააღმდეგნი არიან და სურთ წარმართები აამხედრონ აბიათარის
წინააღმდეგ, ამიტომ ჭრიან ხეს, რომელსაც ასე აფასებდნენ, და გარბიან. აბიათარი
დგას გაბრაზებული წარმართი მმართველის წინაშე. აპირებენ სინაგოგის დანგრევას,
მაგრამ მისი თხოვნით (შეიძლება ეს გულმოწყვალებაც იყოს) სინაგოგას აღარ

ანგრევენ, თუმცა აბიათარს გადააყენებენ და მღვდლად ამაღლდებიან კლიას ტომისანი.

აქ საქმე გვაქვს ქრისტიანული კალესიის პერიოდთან, როცა ქრისტიანობა, როგორც ებრაული სექტა, ებრაელთა შორისაც არსებობდა. ასეთი პერიოდი, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი არ ყოფილია, მაგრამ საქართველოში, რჯოფებული ქრისტიანობის ცენტრს ძალიან დამორჩილი იყო, შეიძლება უფრთხოების გავრცელებულიყო. მეფეში, რომლის წინაშეც პასუხისმგებელია აბიათარი, შეუძლებელია მირიანის შეცნობა.

უკვე წმ. ნინოს ცხოვრების კითხვისა და კვლევის დროს შეიძლება ზოგი რამ დავუშეათ, მავალითად. წარმართული წეს-ჩვეულებებზე მსჯელობისას ჩანს ორმავი დამოკიდებულება: ხევი ჯერ მიაქვთ შორს და შხოლოდ შემდეგ აკეთებენ მისგან ჯვარს; ამ ადგილის თავს ანუბებენ, შემდგომში კი მოჭრილი ხის ადგილზე ქრისტიანულ მაღასიასაც კი აგებენ; შეიძლება ეს ფაქტი საქართველოში ქრისტიანობის განვითარების სხვადასხვა ფენაზე მიგვანიშნებს.¹⁶ სხვადასხვა გადმოცემისან უკვე შეიძლება ზოგი ახალი თვალსაზრისის შემუშავება. ამჯერად, უპირველეს ყოვლისა, მხურდა ქართველ მკვლევართა ეურადღება მიმექცია ჩვენი ძველი კულტურის ამ დოკუმენტისათვის და განმეოყო ისინი შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

1. კავკასიური ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრისტიანული საკითხები. „მიმომხილველი“. I. თბ. 1926; გერმანულად: Die Bekehrung Georgiens zum Christentum. Morgenland. Darstellungen aus Geschichte und Kultur des Ostens, Heft 18. Berlin. 1928. გვრ. AB. 47. 1929. 409-410. პ. პეტრესისა და ჩემი რეცენზიები. ZKG. 49. Gotha. 1930. 95-99. Jos. Markwart. Die Bekehrung Iberiens und die beiden ältesten Dokumente der iberischen Kirche. Caucasica. fasc. 7. Leipzig. 1931. 111-167; P. Peeters. Les débuts du christianisme en Géorgie d'après les sources hagiographiques. AB. 50. 1932. 5-58. Aur. Palmieri-ის ნაშრომების შესახებ იხ. Peeters-იან მე-10 გვერდზე. შენ. 2. მთავარი ქართველი წყარო — წმ. ნინოს ცხოვრება ინვენიტურად ნათარგმნია M. B. Wardrop-ისა და J. O. Wardrop-ის მიერ. Studia biblica et ecclesiastica V. Oxford. 1905. fasc. 1; მდრ. AB. 20. 338-339.

2. ამის შესახებ დაწკრილებით და ლიტერატურის მითოლებით იხილეთ ჩემი რეცენზიაში. ZKG. დასახელებულ ნაშრომში.

3. გამოსიცა ეთნდანიამ. „ქრონიკები“. I. 313-332. თბ. 1895.

4. ქარაგებანი ქრისტიულობისა და ნათლისლების დღესასწაულებზე. des AM. zu Tiflis. № 19, 95.

5. Peeters. დასახ. ნაშრ. გვ. 464.

6. შდრ. Bleichsteiner. Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes. B. XXXVI. 3-4. 1929. 351. მარის სტატია ჩემთვის, სამწუხაროდ, ხელმისაწვდომი არ იყო.

7. კავკასიის შრომა ვერ მოვიძე. იგი დასავლეთ კუროპას ბიბლიოთეკებში არ უნდა იყოს. იხ. Peeters. დასახ. ნაშრ. 10. შენ. 2.

8. ბაკურის საკითხთან დაკავშირებით იხ. Peeters. დასახ. ნაშრ. გვ. 33-38.

9. იხ. დასახ. ნაშრ.

10. შდრ. წყაროთა წყება: Peeters. დასახ. ნაშრ. კვ. 50; აგათანგელოსის წიგნი, წმ. ვიორგის წამება, კინსტანტინეს ცხოვრება, ლეგანდა ქრისტეს წმინდა კვართის შესახებ, წმ. სპეციაპეს, ელასიპეს და მელასიპეს მარტვილება, კინსტანტინეს ჯვრის ხილვა და სხვ.

11. Skizzen zur Kulturgeschichte Georgiens. I. Der hl. Georg im Leben und Frömmigkeit des georgischen Volkes. Orient-Potsdam. 1929; იქვე არის ლიტერატურაც.

12. რა მაღალი იყო ამ პროვინციის კულტურული დონე, გარკვეული ჩანს, მაგალითად, პეტერსის ნაშრომიდან.

13. მოქცევა ქართლისამ. თბ. 1890; წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი. თბ. 1891. რუსული თარგმანი მისივე: Сборник по описанию местностей и племен Кавказа. XXVIII. ეს შატბერდული ხელნაწერი (ამჟამად წერა-კითხვის გამაურცელებელი საზოგადოების ხელნაწ. № 1141) შეიცავს, სხვათა შორის, როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ თხზულებებს, როგორიცაა: იპოლიტების განსჯარი, კრიკოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის“ და ეპიფანე კვიპრელის „თუაღმაფა“. შდრ. ჩემი წერილი: Die alt-christliche Literatur in der georgischen Überlieferung. Oriens Christianus. 3. სერია V. 1930.

14. აგათანგელოსის თხზულების ქართული თარგმანის ურთადერთა ხელნაწერი 1836 წელს ჯურ კილუ ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკამი იყო, 1889 წელს კი ცაგარელმა იქ. სამწუხაროდ, ველარ ნახა.

15. ამ ქრისტიანი, გარდა სინაგოგასთან მდგრადი ჩისა, ლაპარაკია კოდევ სამ ხეზე: მათვან ერთი ხე მეფის ბაღმია (44-49), მეორე ქალაქერეთ დგას. დაბოლოებს, ლაპარაკია აღრინდელ ხეზე, რომელიც არავის უნახავს „ეითარცა სმენიო ვიციო ჩისა მისთუს აღვისა“. კ. ი. ნინომ ყველა ამ ხეს უნდა ძიხედოს და მეუე თანხმდება, თუმცა მას ცრუმორწმუნებრივი მიში აქვს ამ ხეებისა ან იმ ადგილებისა, სადაც ისინი იდგა. შდრ. კვ. 70; მეფეს ეშინია შევიდეს ეკლესიაში, სადაც კრის დროს ჭმინდა ხე იდგა, ხოლო სადაც ნინოს ჩილვები პქონდა, ქალაქის ვერცერთი მცხოვრები ვერ ბედავდა შესკლას, მხოლოდ მღვდლები შედიოდნენ, რომელებიც იქ კვირაობით გალობდნენ). „მოქცევა ქართლისამ“-ში მოთხრობილია: „შემდგომად მეფის ნათლისლებისა, ითხოვდნენ ხეს, რათა ჯეარი გაეკეთებინათ“. აქაც, რა თქმა უნდა, ლაპარაკია წმინდა ხეზე, რადგან იმ დროს მთელი საქართველო უწოდი დოდი ტყე იყო და შეიძლებოდა დიდი თხოვნის გარეშეც მოეჭრათ ხეები.

16. P. Peeters. დასახ. ნაშრ. კვ. 51. შენ. 3. იგი ლაპარაკობს ფენებზე, რომელსაც მე ვასხვავებ „ნინოს ცხოვრების ახალ ვარიანტში“ (და არა „ქართლის მოქცევაში“). პირველი ფენა: II საუკუნე; მეორე ფენა: წმ. ნინოს დრო – IV საუკუნე, ქრისტიანობის დასაწყისი, სახელმწიფოში მხოლოდ ხეებს ჭრიან; მესამე ფენა: მოჭრილი ხეების აღვიღზე ეკლესიებს აგებენ. აღბაო, მეფე ვახტანგ გორგასლის დრო (V ს.); დაბოლოს, მეოთხე ფენა: IX-X საუკუნეების მოვლენები. უპირველეს ყოვლისა, ამ ცხოვრებაში მოცემულია აღწერა ქართული წარმართობისა.

Die Probleme der ältesten kirchengeschichte Georgiens

[საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორიის პრობლემები].

ფურნ. „Oriens Christianus“. Wiesbaden. [3e série]. 29. Bd. 7. 1932. გვ. 153-171.

საქართველოს მკლავის უძველესი ისტორია XXI საუკუნის გადასახლება

ერისთავი

სამინისტრო

მარიამ ჩხერიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა ღონისძიები,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
წყაროთმცოდნების განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომედი

„საქართველოს უკლესის უძველესი ისტორიის პრიბლები“ ერთ-ერთია იმ მოსსენებათაგან, რომლებიც 1932 წლის მაისში ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიური და ეთნოლოგიური ფაკულტეტის ფილოლოგიის პრივატდოცენტი და ბერლინის უნივერსიტეტის ფილოლოგიის კანდიდატი) წაიკითხა ოქსფორდში. ეს მოხსენება დაიბეჭდა ფურნალში „Oriens Christianus“ (1932. ტ. 29. სერია 3. გვ. 153-171).

ნაშრომი ქართული უკლესის საწყისი ჩანის შესწავლის ისტორიის სისტე-
მატიზების ცდას წარმოადგენს ამ მიმართულებით კვლევა-ძიებათა მომავალში
ხელშეწყობისა და პროვოცირების მიზნით. განხილულია ოთხი უმნიშვნელოვანესი
საკითხი: ქართველთა განმანათლებლის ვინაობის, „წმ. ნინოს ცხოვრების“ (უმთავრესი
ქართული წყაროს) წყაროთმცოდნებითი შეფასების, ქართლის პირველი ქრისტიანი
მეფის ვინაობისა და ქართველთა მოქცევის თარიღის პრიბლებით. მათთან მიმართებაში
საკუთარი პოზიციის გამოხატვისას გრიგოლ ფერაძე აღმრავს აკრეთვე სხვა,
ქართველობოვისათვის აქტუალურ თემებს.

ეს საკითხები დღემდე სპეციალისტთა ინტენსიური კვლევის საგანია. ბევრი
რამ, რაც XX საუკუნის 30-იან წლებში ბუნდოვანი ჩანდა, გამოიკვეთა, შეივსო და
დადგინდა. ქვემოთ შევეცდები საცნაუროვო, თუ როგორ წყდება დღეს ის პრიბლე-
ბით, რომელთა შესწავლით ასე იყო დაინტერესებული გრიგოლ ფერაძე.

I. იმ დროს, როცა იწერებოდა გრიგოლ ფერაძის აღნაშნული შრომა, ქართველო-
ლოგიაში საყოველთაოდ გაზიარებული იყო აზრი იმის თაობაზე, რომ წმ. ნინოს,
როგორც განმანათლებლის, თაყვანისცემა ქართველთა შორის ინერცია X საუკუნიდან.
ამ შეხედულების ჩამოყალიბებისას ეყრდნობოდნენ სამ წყაროს: „ეპისტოლეთა
წიგნს“, არსენი საფარელის ტრაქტატი – „განყოფისათვეს ქართლისა და სომხითისა“
და შატბერდის კრებულში დაცულ „მოქცევათ ქართლისამას“.

„ეპისტოლეთა წიგნი“, როგორც ცნობილია, VII საუკუნის დასაწყისში ქართველ
და სომები იურანულთა შორის დოკუმატური პოლემიკური მიმოწერის ამსახველი
მასალების კრებულია. აյ დაცულია ქართლის იმდროინდელი კათალიკოსის –
გირიონის წერილებიც, რომლებშიც არსადაა ნახსენები წმ. ნინო. სწორედ ამიტომ
ჩაითვალა, რომ VII საუკუნეში ქართული ეკლესიის მიერ უკვე დავიწყებული იყო
ის ისტორია, რომელსაც ქართველთა ქალი განმანათლებლის შესახებ აფიქსირებდნენ
IV-V საუკუნეების ბერძენ-რომაელი და სომები ისტორიკოსები: გელასი კესარიელი,
რუფინუსი, მოსე ხორენელი და სხვ. IX საუკუნის მოღვაწედ მიჩნეული არსენი



დღოისმშობლის მუქ წმ. ნინოს
წარგზავნა საქადაგებლად.
იღუსტოს წიგნისა
„საქართველოს ხამოთხ“. 1882 წ.

ამ შეხედულების გაღრმავებას. „ეპისტოლეთა წიგნისა“ და არსენი საფარელის შრომის გვერდით მან დაასახელა მოსე ხორენელის, ავათანგელოსის, ლაზარე ფარპელის მოხაცემები. სწორედ მათზე დაყრდნობით მკვლევარი ასკვნიდა. რომ ქართლში წმ. ნინოს თაყვანისცემა უნდა დავიწყებოდათ უკვე V საუკუნის მიწურულიდან და ამ დროიდან X საუკუნემდე აქ თაყვანს სცემდნენ წმ. გრიგოლს, როგორც განმანათლებელს.

ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ აღნიშნული შეხედულება არაკორექტულია: ისტორიული ლოგიკის თვალსაზრისით, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ქართულ ეკლესიაში განმანათლებლის პერიოდული შეცვლის ფაქტი – თავიდან წმ. ნინოს აღიარება, მერე მისი დავიწყება და წმ. გრიგოლის აღიარება, მერე წმ. გრიგოლის დავიწყება და კვლავ წმ. ნინოს აღიარება? აშკარად ხელოვნური, რეალობას მოწყვეტილი მიღვომაა, წყაროების დეტალური ანალიზიც ამასვე ადასტურებს. დასკვნა წმ. ნინოს თაყვანისცემის დაფუძნების გვიანი თარიღის თაობაზე მათი არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია. ირკვევა, რომ არც კირიონ ქათალიკოსის, არც არსენი საფარელის შსჯელობანი ლოგიკურად არ მოითხოვს წმ. ნინოს ხსენებას და, ამრიგად, მათი დუმილის არვუმენტად გამოყენება არამართებულია. ამჯერად შეუძლებელია მთელ იმ კრიტიკულებისათვის წარმოდგენა, რომელთა მოხმობა საჭირო გახდა საჭირო. მოვიყვან მხოლოდ ორ მაგალითს: X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი იყენებს „ეპისტოლეთა წიგნის“ მასალებს და მიუხედავად ამისა, იგი მოუთათებს, რომ ქართველთა განმანათლებელი იყო ხუნე (ნინო) მოციქული. ე. ი. უხტანესი სრულიადაც არ მიაჩნია, რომ მისი წყარო ამ აზრის საწინააღმდეგო ჩვენებას შეიცავს. არსენი საფარელის მოღვაწეობას, როგორც აღვნიშნე, IX საუკუნით ათარიღებდნენ, მაგრამ დაღვინდა, რომ იგი XI საუკუნის შემდგომი ხანით განისაზღვრება (არსენი საფარელი. განყოფისათვეს ქართველთა და სომეხთა ტექსტი კრიტიკულად დაღვინა და ერთხურები დაურიო ზ. აღვენიძემ. ობ. 1980. გვ. 68, 201). ამრიგად, საგულისხმო ვითარება იქმნება: X საუკუნეში „წმ. ნინოს ცხოვრების“ არსებობას ხომ მკვლევართა შორის ყველაზე დიდი სკეპტიკოსებიც

საფარელიც დუმს წმ. ნინოს შესახებ. ამიტომ უიქ-რობდნენ, რომ აღნიშნულ ეპოქაშიც წმ. ნინოს თაყვანისცემა ქართველთათვის უცნობი იყო, განმანათლებლად ქართველებს მიაჩნდათ წმ. გრიგოლ პართელი – სომეხთა განმანათლებელები, ხოლო X საუკუნის შატბერდის კრებულში „წმ. ნინოს ცხოვრების“ შემცველი ძეგლის – „მოქცევამ ქართლისათვეს“ შეტანა მოასწავებდა წმ. ნინოს თაყვანისცემის დამკვიდრებას წმ. გრიგოლის თაყვანისცემის ხანაცვლოდ. ეს ცვლილება განპირობებული უნდა ყოფილიყო ქართველთა გამძაფრებული ეროვნული გრძნობებით – ამ დროისათვის თითქოს მათვის მოუთმენელი შეიქნა სხვისი განმანათლებლის თაყვანისცემა და საკუთარი გაიხსენეს.

ეს თვალსაზრისით კარგა ხანს პრობლემის ერთადერთ გაღაწევეტად იყო მიჩნეული გრიგოლ ფერაბის შემდგომაც და მის გამოძახილს თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაშიც ვხვდებით. 80-იანი წლების დასაწყისში პარუირ შურადიანი შეეცადა

არ უარყოფებ, არსენი კი არ ახსენებს წმ. ნინოს. ეს ფაქტიც ცხადყოფს, რომ არსენის მიერ წმ. ნინოს მოუწენებლობის მიზეზი არცოდნა სუვერენი არაა. ამრიგად, წარსულში ამ წყაროს არასწორი ინტერპრეტაცია ფაქტია.

ასევე ითქმის მოსე ხორენელის, აგათანგელოსის, ლაზარე ფარპელის ცნობათა განმარტების თაობაზეც. მათი განხილვა აჩვენებს: ისინი არამოწყვეტენ წმ. ნინოს თაყვანისცემას ქართლში, პირიქით, აღასტურებენ. ქართლში ქალი განმანათლებლის მოღვაწეობას წმ. გრიგოლის სომხეთში ქადაგების პარალელურად პირდაპირ აღნიშნავს მოსე ხორენელი, ხოლო აგათანგელოსი და ლაზარე ფარპელი აძასვე მიუთითებენ ირიბად.

ასე რომ, ქართული უკლესის არსებობის მოელი ისტორიის განმავლობაში დამკვიდრებული იყო წმ. ნინოს, როგორც განმანათლებლის, თაყვანისცემა. მისი ჩანაცვლება სხვა წმინდანით არასოდეს მომხდარია. ჩანაცვლების დამამტკიცებელი არავითარი საბუთი არ არსებობს. (გრიგოლ ჭოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ იხ. მართა ჩხარტიშვილი. ქართული პაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრიმულებები. „ცხოვრების წმიდისა ნინოსა“. თბ. 1987. გვ. 47-62).

წმ. ნინოს თავდაპირველი ქადაგების დაკავშირება ზან დასავლეთ საქართველოსთან, ზან მესხეთთან გამოწვეული იყო წმ. გრიგოლის შესახებ არსებულ ცნობასთან ამ ინფორმაციის შეთავსების სურვილით, რადგან უცილობლად ითვლებოდა, რომ წმ. გრიგოლი საუკუნეების მანძილზე იყო მიჩნეული ქართველთა განმანათლებლად. წმ. ნინოსათვის საჭირო ხდებოდა „ადგილის გამონახვა“. მას შემდეგ, რაც დაღვინდა, რომ კულტთა მონაცვლეობა ქართულ იკლესიაში არ მომხდარა, ბუნებრივია, ამ თრი განმანათლებლის შესახებ ცნობების ხელოვნური შეთანხმების უცილებლობისგანაც კავისუფლდებით. *

II. აზრი წმ. ნინოს თაყვანისცემის ქართველთა შორის გვიანი გავრცელების თაობაზე, აძავე დროის, უმთავრესი არგუმენტი იყო განმანათლებლის „ცხოვრების“ X ს-ით დათარიღებისათვის. შატბერლული ხელნაწერის შექმნის დრო, ფაქტობრივად, იყიდებოდა „ცხოვრების“ შექმნის დროსთან. აქედან გამომდინარე, IV-V საუკუნეთა ბერძნ-რომაელი თუ სომეხი ავტორების ნაშრომები ითვლებოდა „მოქცევა ქართლისას“ მეორე ნაწილის, ე. ი. „წმ. ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის (მაშინდელი ტერმინითვით, „ახალი ვართანტის“) წყაროებად.

გრიგოლ ფერაძე საკითხს უდგება იმ დროს გაზიარებული შეხედულებების შესაბამისად, თუმცა დანარჩენ მკვლევართაგან განსხვავებით იგი აყენებს „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღვილობრივი წყაროს გამოკვლევის პროცესსაც, რადგან ამნევს, რომ ქართულ თხზულებას აქვს უცხოურ ძეგლებთან შედარებით მეტი უაქტობრივი მასალა, რომლის წარმოსახვა პაგიოგრაფის ფანტაზიის ნაყოფად შეუძლებელია.

ქართულ-უცხოური (ქართულ-ბიზანტიური, ქართულ-სომხური) მასალების შედარებითმა ტექსტოლოგიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ვითარება პირიქითაა, ამოსავალია ქართული ვერსია, ბიზანტიური და სომხური კი მასზეა ლამოკიდებული, როგორც წყაროზე (მართლ ჩხარტიაშვილი. ქართველთა გაქრისტიანების ბიზანტიური ვერსია. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდი. თბ. 1985. II. გვ. 86-91; მისივე. ქართული პაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრიმულები... გვ. 23-62). საინტერესოა, რომ აღნიშნულ ფაქტზე ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს ჭოველგვარი სპეციალური კვლევის ჩატარების ვარეშე მიუთითებდა დიმიტრი ბაქრაძე (იხ. მისი: ისტორია საქართველოს უმელესი დროიდან X საუკუნის დასასრულადე. ტფ. 1889. გვ. 50). მართლაც, ქართული

ტექსტის ავთენტურობა ერთი შეხედვითაც თვალში საცემია. სამწუხაროდ, ეს აზრი კარგა ხანს დავიწყებას მიეცა ქართველობისამი, დაიფარა მცდარი კონცეფციებით და ამიტომ აუცილებელი გახდა კრცელი მტკიცებანი იმ ტრივიალური იდეის დასამტკიცებლად, რომ ქართველთა გაქრისტიანულის შეხახებ ინტერიაციის უპირველესი წყარო ადგილზე შექმნილი თხზულებაა (იხ. მთავარუბისკომის ანია ჯაფარიძე. ხაქართველოს სამოციქლო ეკლესიის ისტორია. I. თბ. 1996 წ. 178-179).¹¹⁹

დადგინდა, რომ ეს „უძველესი ტექსტი შემორჩენილია და ეს არის სწორედ „მოქცევა ქართლისა და სული“ „წმ. ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია. ქმნილებას აქვს თავისებური კომპოზიცია. იგი თავად წმ. ნინოსა და მის თანამოღვაწეთა მოვონებების კრებულის სახით ვაფორმებული მეგლია. მისი ავტორი, თხზულებისავე პოზიციით – რედაქტორ-შემდგენელი, არის ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის რძალი სალომე უქარმელი (იხ. მარიამ ჩხარტიშვილი. „წმ. ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ატრიბუცია. ფურნ. „მნათობი“. 1987. № 5. გვ. 149-154).

აღნიშნულ ფაქტს, ე. ი. „ცხოვრების“ შექმნას ქართლის მოქცევის უახლოეს ხანებში, ზემოთქმულის შედარებითი ტექსტოლოგიური ანალიზის გარდა, ადასტურებს ქმნილების გულტუროლოგიური შესწავლაც. კერძოდ, ირკვევა, რომ „წმ. ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია ასახავს წარმართობიდან ქრისტიანობაზე გარდამავალი ეპოქის მსოფლიხედვას (იხ. რევაზ სირაძე. წმ. ნინო და დედა-უფალი. „მნათობი“. 1985. № 2. გვ. 158).

გრიგოლ ფერაძე ყურადღებას ამახვილებს „ახალი ვარიანტის“ ტექსტში სხვადასხვა ეპოქის პლასტებზე. „ცხოვრების“ ტექსტში რომ შეინიშნება რედაქციული შრები, თანამედროვე ქართველოლოგიაშიც განიარებული აზრია. „წმ. ნინოს ცხოვრება“ ცალკე და შეძლებ „მოქცევა ქართლისა და სთანა“ ერთად საუკუნეთა მანძილზე მრავალჯერ ყოფილა რედაქტირების ობიექტი და მასზე დარჩა სხვადასხვა ეპოქის დანაშრუვები, ოღონდ არცერთი შრე IV საუკუნეზე ადრინდელი არაა, რადგან თხზულება „უამითი უამად“ კი არ იქმნებოდა, იგი ერთდროულად დაიწერა. ამას ასაჩინოებს სიუჟეტების, კომპოზიციის მკაცრი დაქვემდებარება ურთიანი, კერძოდ, მესიანური იდეიისადმი (იხ. მარიამ ჩხარტიშვილი. ქართველთა მოქცევა და იხალი ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება. „მესხეთი“. საისტორიო კრებული. III. თბ.-ახალციხე. 1999. გვ. 6-17), აგრეთვე გულტურული გატეგორიების ერთიანი შინაარსით გამოყენება მთელი ტექსტის მასშტაბით (ლელა პატარიძე. ცხოვრება წმიდისა ნინოსა. ქართლის გაქრისტიანების კულტურულ-ისტორიული საკითხები. თბ. 1993).

„მოქცევა ქართლისა და“ შეიცავს „წმ. ნინოს ცხოვრების“ ორ რედაქციას. ერთი – მცირე რედაქცია ისტორიულ ქრონიკაშია ჩართული ქრონოლოგიურად შესაბამის ადგილას, მეორე – ვრცელი რედაქცია, სალომესეული თხზულება, ერთვის ქრონიკას. გრიგოლ ფერაძე ამჩნევს, რომ ეს ორი რედაქცია სხვადასხვა ავტორის კუთვნილებაა. იგი გამოთქვამს ამ აზრს დაბეჭითებით, ოღონდ არვეუმენტები არ მოჰყავს. მისი ეს შეხედულება სავსებით დასტურდება აღნიშნული რედაქციების ტექსტების სტილისტური ანალიზით, რომელიც ჩატარდა მათემატიკური მეთოდის გამოყენებით (იხ. მარიამ ჩხარტიშვილი. „წმ. ნინოს ცხოვრების“ მცირე და ვრცელი რედაქციების ურთიერთობისა საკითხისათვის. ფურნ. „მაცნე.“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1980. № 1. გვ. 96-106; მარიამ ჩხარტიშვილი, ლევან ჩხარტიშვილი. „მოქცევა ქართლისა და“ ავტორისეული სტილის მათემატიკური ანალიზი. ფურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“. 1981. № 1. გვ. 49-51). ოღონდ უფრო ძველია „წმ. ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია. მცირეს შექმნა, სავარაუდოა, რომ უკავშირდება V საუკუნეს

იხ. მარიამ ჩხარტებიშვილი. „ქართული პაკოვრაფიის წყაროთმცვლეობითი შესწავლის პრობლემები... გვ. 89; ნიკო ნიკოლოზიშვილი, ნათელ-ილი წყლისა და მიწისვან. უკრ. „ლიტერატურა და ხელოუჩება.“ 1991. № 3. გვ. 37-55).

ამრიგად, „წმ. ნინოს ცხოვრების“ წარმოშობის თანამედროვე კონცეფცია მთლიანობაში არსებითად განსხვავებულია იმ კონცეფციისაგან, რომელსაც „ახალ კარიანტთან“ დაკავშირებით აყალიბებს გრიგოლ ფერაძე, თუმცა ცალკეული დაკვირვებანი და მიგნებანი ზუსტია და მათი გათვალისწინება დღესაც აუცილებელი ჩანს.

III. როგორც ცნობილია, ქართველობობის ორი მთავარი მესამირკელე – ივანე ჯავახიშვილი და კორნელი კაკელიძე განსხვავებულად წყვეტდნენ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის ვინაობის პრობლემას. ივ. ჯავახიშვილი იშველიებდა პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ ინფორმაციას და თვლიდა, რომ პეტრეს პაპა დედის ხაზით – დიდი ბაკური – ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე იყო. კ. კაკელიძე კი მიიჩნევდა, რომ აუცილებელია ადგილობრივი ტრადიციის გათვალისწინება, რადგან შეუძლებელია ქართველებს დავიწყებოდათ პირველი ქრისტიანი მეფის სახელი. მისი აზრით, ეს მეფე იყო მირიანი, როგორც ამას გვამცნობს „წმ. ნინოს ცხოვრების“ ციკლის თხზულებები. გრიგოლ ფერაძე აფიქსირებს აზრია სხვადასხვაობის ამ კითარებას.

მას შემდეგ, რაც „წმ. ნინოს ცხოვრების“ ურცელი რედაქციის ავთენტურობა დადგინდა, ალტერნატივა – ბაკური თუ მირიანი? – აზრს კარგავს. რა თქმა უნდა, მირიანი, რადგან ამას გვაუწიყებს თანადროული წერილობითი წყარო. ამასთან, შესაძლებელი ხდება პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ ბაკურის ვინაობის დაზუსტებაც.

IV-V საუკუნეების უცხოური წყაროები ასახელებენ ორ ბაკურს: „დიდ ბაკურს“ (პეტრე იბერის ასურული „ცხოვრება“) და „ფრიად სარწმუნო ბაკურს“ (გელასი კესარიელი, რუფინუსი, ლიბანიოსი, კორონი...). წყაროთა შეჯერება გვიჩვენებს, რომ პირველი მათვანი არის მირიანის უმუალო მემკვიდრე ბაკურ რეკის მე („მოქცევა ქართლისათვის“ ისტორიული ქრონიკის მიხდვით), ივივე ბაქარი („ქართლის ცხოვრებით“). ივი მოღვაწეობდა IV საუკუნის II ნახევარში. ეს იყო პიროვნება, რომელმაც ქართლის მოქცევა ლოკალური ფაქტიდან აქცია რეგიონული მნიშვნელობის მოვლენად, „უძრავლესნი კავკასიანნი“ მან გააქრისტიანა. ამის გამო უცხოური პაგიოგრაფის თვალში ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ შესაძლებელია ის გამოჩენილიყო. ძეორე ბაკური არის მისი ძმისშვილი ბაკურ თრდატის ძე („მოქცევა ქართლისათვის“ ისტორიული ქრონიკით). ეს უკანასკნელი მოღვაწეობდა V საუკუნის I ოცნებულში (მარაშ ჩხარტიშვილი. ქართული პაგიოგრაფიის წყაროთმცოდნებით შესწავლის პრობლემები... გვ. 35-47; მისიერ. ისტორიული პორტრეტები. თბ. 1992. გვ. 32-35).

ბაკურზე ინფორმაციის შესავსებად გრიგოლ ფერაძე მკითხველს პაულ პეტრენსის ნაშრომზე მიუთითებს. აღნიშნულ მკელევარს, მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე ამომწურავი შსჯელობა აქვს ამ საკითხზე, თუმცა მან უცხოური წყაროების მონაცემები ქართულ მასალასთან ერთ დააკავშირა.



კორნელი კაკელიძე



ივანე ჯავახიშვილი



პატარი გიორგი მელიქიშვილი

IV. ქართული ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად დღემდე რჩება ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად დამკვიდრების თარიღის განსაზღვრა. თუკი მისი შესწავლის ისტორიას თვალზ გადავუკუნებთ, აღმოჩნდება, რომ მითითებული იყო ათენულზე მეტი თარიღი: 312, 317, 318, 320, 323, 325, 326, 327, 328, 330, 331, 332, 333, 335, 337, 350-356, 356-357 წლები. ასევე ვრცელია სია იმ მეცნიერებისა, რომლებიც აღნიშნულ საკითხზე პასუხის გაკეთას ცდილობდნენ.

თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში ამ მიმართულებით გამოიქმულია რამდენიმე თვალსაზრისი. ნოდარ ლომიურის აზრით, ქართლის ოფიციალური მოქცევა მომხდარა 324-325 წლების შემდეგ 330 წლამდე (იხ. მისი: ნარევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან. თბ. 1975. გვ. 83); 317-318 წლებზე მიუთითებს ვახტანგ გოილაძე (იხ. მისი: ქართული ეკლესიის სათავურმოან. თბ. 1991. გვ. 83); თამაღა მგალობლიმვილი ტრადიციული თარიღის – 337 წლის – ახალი არგუმენტებით განმტკიცებას ცდილობს (კლარჯული მრავალთავი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიმვილმა. თბ. 1991. გვ. 154). ლელა პატარიაში ანგარიშით, ესაა 326 წელი (იხ. მისი: ქართლის გაქრისტიანების ქრონილოგია. ქრისტიანული არქეოლოგიის მესამე სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა მოყლე შინაარსები. თბ. 1999. გვ. 24-25).

აზრია ამგვარ სხვადასხვაობას იწყებს ის, რომ კრცელ „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ აღნიშნული ფაქტის ზუსტი ქრონილოგიის შესახებ ცნობები არა გვაქვს. არის მხოლოდ მითითება წმ. ნინოს ქართლში მოხვდის შესახებ, ოდონდაც იძევნი შეუსაბამობაა ამ მხრივ ცალკე შატოჭრდულ ხელნაწერში და მერე მის მიმართებაში ჭელიმურთან, რომ რჩება მთაბეჭდილება: ეს ადგილი გვიანდელი ჩანარითა და ამის გამო მასზე დაყრდნობა მნელია.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციაში კი გვაქვს შემდეგი მონაცემები: წმ. ნინო გარდაიცვალა 338 წელს; ეს იყო ქართლში მისი მოხვდილი მეთხუთმეტე წელი; მირიან მეფემ ირწმუნა წმ. ნინოს ქართლში მოხვდილი მეშვიდე წელს. ამრიგად, მეფისა და შესაბამისად, ქვეყნის გაქრისტიანების თარიღი „წმ. ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციით 330 წელია ($338-15=323$, $323+7=330$). ისტორიული რეალობიც ამ თარიღს მხარის უჭერს. „ცხოვრების“ აღნიშნული რედაქცია, მართალია, V საუკუნის ძეგლია, მაგრამ იგი შემოკლებულია აღრიჩევით, ხალომესეული ქმნილების პარალელურად აღმოცვენებული თხჩულებისან და ამდენად, მისი ინფორმაცია ნდობას იმსახურებს.

* * *

ოთხი ზემოთ დასახელებული პრობლემის გარდა, როგორც ითქვა, სტატიაში აღმრთულია არაერთი სხვა საინტერესო თემა. თანამედროვე ქართველოლოგიაში ამ თემების კვლევა გრძელდება. ზოგ მათგანს შევეხები მოყლედ.


I. ზემოთ ითქვა, რომ „მოქაცვა ქართლისათვის“ ერთ-ერთი რედაქცია შატბერდის კრებულშია დაცული. გრიგოლ ფერადლებას ამახვილებს მის შედგენილობაზე, მიუთითებს, რომ კრებული შეიცავს როგორც თარგმნილ, ასევე თრივინალურ ლიტერატურას. მეცნიერული წრეების დაინტერესება შეა საუკუნეების კულტურის ამ ლირსტესანიშნავი ძეგლით მაშინ მხოლოდ იწყებოდა, დღეს კი კითარება

სხვაგვარია. გამოქვეყნებულია ხელნაწერის კრიტიკულად დაღვენილი ტექსტი (იხ. პატიკურდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და კ. ჭილაშვილმა, თბ. 1979). აძავე დროს, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული კრებულის კულტუროლოგიური შესწავლის გზაჩე. ამ ძიების შედეგად გამოვლინდა ურიად საინტერესო ფაქტი: ძეგლი შედგენილია ქართველთა მოქადაგის ისტორიის პრობლემატიკის უკეთ წვდომის მიზნით და წარმოადგენს თავისებურ „სახუროვნო კონტექსტს“ „წმ. ნინოს ცხოვრებისათვის“ (იხ. რევაზ სირაძე, „წმ. ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული უიოვრაფისა, თბ. 1997, გვ. 149-162).

2. გრიგოლ ფერაძე წარმოვეიდვებს საინტერესო ნარკვევს საქართველოში წმ. გიორგის თაყვანისცემის ისტორიის შესახებ. დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს ხსენებულ წმინდანთან დაკავშირებული ქართული ტექსტების პუბლიკაცია, აგრეთვე არაერთი ახალი გამოკვლეული (იხ. წმ. გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარი დაუტოვა კ. გაბიძაშვილმა, თბ. 1991; დავით ნინიძე. წმინდა გიორგის კულტის ისტორიიდან საქართველოში. ფურნ. „მნათობი“. 1991, № 11-12, გვ. 163-176; ზვიად გამსახურდა. საქართველოს ხელიური მისამა. თბ. 1990, გვ. 20-22; აბაკოლია N. მიზ ჩრდილოების გამოყენების შესახებ. თბ. 1991, გვ. 14-26, 98-100).

წმ. გიორგისთან დაკავშირებით გამოკვლეული წამოჭრილია ქართული ონთა-მასტიკონში გიორგის გავრცელების ქრონოლოგიის საკითხი. გრიგოლ ფერაძე იძონებს „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ცნობას. ამ ძველში ასახულ გმიქას კი VIII საუკუნით განსაზღვრავს. ამგვარ პოზიციაზე იდგა ქმნილების აღმომჩენი და მისი პირველი გამომცემული მოსე ჯანაშვილი. დღეს VIII საუკუნით „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ აღწერილ ისტორიას აღარავინ ათარიღებს. ამ საკოთხის გარშემო დავაა, ოღონდ მეცნიერთა ნაწილი მჩარს უჭერს VII საუკუნეს, ნაწილი კი – IX-ს. მე ვფიქრობ, მართებულია პირველი თვალსაზრისი. ამის საფუძველს მაძლევს ძეგლში დაცული პირდაპირი ინფორმაცია: წმ. სერაპიონი აქ შიო მღვიმელის მოწაფვის მოწაფედ არის წარმოდგენილი. წმ. შიო, როგორც ცნობილია, VI საუკუნის შეა ხანებში მოღვაწეობდა საქართველოში, აქედან ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ წმ. სერაპიონი VII საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა (იხ. მარიამ ჩხარტიშვილი. მარტვილობამ და მოსმინებამ წმილისა ევსტათი ძცხეთელისამ. ცხორებათ და მიქალაქეობამ წმილისა სერაპიონ ზარზმელისამ. წყაროთმცოდნეობით გამოკვლეული. თბ. 1994, გვ. 54-83). ამრიგად, ჯერჯერობით ჩვენს ხელი არსებული ძასაღებით ქართულ ონომასტიკონში სახელი გიორგი გვხვდება VII საუკუნიდან.

3. სტატიაში ფურადლება გამახვილებულია ქართველთა განმანათლებლის ეპითეტ „ტექნისტე“. გრიგოლ ფერაძე სვამს საკითხს იმის თაობაზე, ეს ეპითეტი პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ თუ გადატანითით. ზოგი მეცნიერი არ გამორიცხავს წმ. ნინოს ტევებას რეალურად, თუმცა, ამავე დროს, ხაზს უსვამს ამ ეპითეტის გააჩრებისას ქრისტიანული სიმბოლიკის გათვალისწინების აუცილებლობას. ცოცხალი აღამიანი ამჟღვნიური საკვრელით არის შებოჭილი, ტყვეა. ან კიდევ: ამჟღვნიური ყოფა არის მწირობა, უცხოება, უთვისტომობა, ტყვეობა (იხ.



ანტიოქიის პატრიარქი
სახარებას გადასცემს
მეუე მირიანს.
სვეტიცხოვლის ურესეა.

რევაზ სირაძე, „წმ. ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აკიოგრაფიისა, გვ. 102-103; ლელა პატარიძე, „ცხოვრება წმიდასა ნინოსი“, ქართლის მოქაევი, კულტურულ-ისტორიული საკითხები, გვ. 90-01; ვახტანგ გოილაძე, ქართული ექლესიის სათავეებთან, გვ. 21).

4. მკითხველის ყურადღებას უსათუოდ მიიპყრობდა გრიგორ ფერაძის აზრი იმის თაობაზე, რომ წმ. ნინოს მოღვაწეობის ხანაში მესხეთი კუროდროსულად ქართველებითა და სომხებით დასახლებული პროვინცია იყო არტმას მოგვანებით ქართველები ბერმონაზონთა თაოსნობით თანდათანობით ეპატრონებიან.

მკლევარი ამ გარემოებას აღნიშნავს რაიმე დასაბუთების გარეშე, როგორც საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს. საქმე ის არის, რომ XX საუკუნის 30-აანი წლებისათვის ამგვარი შეხედულება კავკასიოლოგიაში მიღებული იყო. მესხეთშე სომხეთის პრეტენზიების დასაბუთებას ცდილობენ უკვე XIX საუკუნიდან მხითარისტები. ეს თვალისაზრისი აიტაცა ევროპულმა მეცნიერებამ. განსაკუთრებულ მაქსიმალიზმს მან მიაღწია ნიკო მარის შემოქმედებაში. საქმე ისე წარმოისახებოდა, ვითომც შესხეთის უდიდესი ნაწილი არის დიდი სომხეთის ტერიტორია, რომელიც მოგვიანებით დაიპყრეს ქართველებმა და მოსახლეობაც გააქართველეს. ეს შეხედულება გაიზიარა ზოგმა ქართველმა მეცნიერმაც. მაგალითად, მას მხარს უჭირდა კორნელი კეკელიძე. ნიკო მარისა და კორნელი კეკელიძის ნაშრომები კი ამოსავალია გრიგოლ ფერაძისათვის. აქედანაა მისი დაუეჭვებელი, უკრიტიკო დამოკიდებულებაც ამ ოვალისაზრისისადმი.

აღნიშნული შეხედულების ყოველმხრივი კრიტიკა მოგვცა პავლე ინგოროვამ. მან აჩვენა, რომ ისტორიულ წარსულში, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე შესაუკუნეებში, მესხეთის ქვეყანა მთელი თავისი მოცულობით წარმოადგენდა საქართველოს ნაწილს ეთნიკურად (მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით, ენის მიხედვით). ზოგიერთი მისი მხარის გარკვეული დროით პოლიტიკურად სომხეთის შემადგენლობაში მოხვედრას გავლენა არ მოუხდება არც მათ ეთნიკურ სახეზე და არც კულტურაზე (იხ. პავლე ინგოროვა. ვიორგი მერჩელე. ქართველი მწერალი მეოთე საუკუნისა ნარკვენი ტელი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფო ცხოვრის ისტორიადან. თბ. 1954. გვ. 400-544 და ა. მ.). მავრამ ამ ნაშრომის გამოსვლისას გრიგოლ ფერაძე უკვე გარდაცვლილი იყო.

ასეთია მოკლედ ის კომენტარი, რომლებიც აუცილებელი ხდება დღეს, „საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორიის პრობლემების“ ქართული თარგმანის პუბლიკაციისას.

„აქ, უკროპაში, შესაბამისი მასალა მაკლია. მე მხოლოდ მსურს, ყურადღება მივაქცევინო ქართველ მეცნიერებს ამ საკითხებისა და პრობლემებისადმი“ – შენიშნავს ერთგან გრიგოლ ფერაძე. „ახლა, უპირველეს ყოვლისა, მინდოდა ქართველ მკვლევართა ფურადღება მიმექცია ჩვენი ძველი კულტურის ამ დოკუმენტისათვის და განმეორები ისინი შემდგომი კვლევა-ძიებისათვის“ – ასე ასრულებს იგი თავის ნაშრომს.

ეს სიტყვები მე აღვიქვი როგორც კითხვები „მიურიოგან შემდგომთა მომავალთა“ უამთააღმწერელთა წინაშე. ამიტომ, როცა ზემოთ მოყვანილ ვანმარტებებს კწერდი, არ მშორდებოდა გრძნობა, რომ ამას ვაკეთებ არა მარტო თანამედროვე მკითხველისათვის, არამედ ვპასუხობ, ანგარიშს ვაბარებ ღვაწლმოსილ წინამორბედს. მეცნიერთა თაობების ამგვარი თანამშრომლობა უწყვეტია, ისევე როგორც დაუსირულებელია ჭეშმარიტების შემეცნების პროცესი.

პატიოლოგის გაგება. პარიზის და მათონის მართლადიდებული თაოლოგიაში *



გრიგოლ ჭერიძე

(პოლონერიდან თარგმა ეთერ კვირიკაშვილმა)

აღმატადული სახეობადასაცავი!

ჩემთვის ნამდვილად ბედნიერება და სიამოვნებაა საუბარი ისეთ მნიშვნელოვან, მართლაცდა საერთაშორისო და კონფესიონალური დარგზე, როგორიცაა პატიოლოგია – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ეკლესიის წმინდა მამათა ცხოვრებას, მათ ეპისტოლურებას და ქადაგებებს. დღეს მას ორმაგი მნიშვნელობა აქვს. პატიოლოგია, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, გულისხმობს მეცნიერებას, რომელიც დაინტერესებულია ეკლესიის იმ წმინდა მამებით, რომლებიც პირველი შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრუბის მიმდინარეობის დროს შონაწილეობდნენ საეკლესიო კანონებისა და ქრისტიანული დოგმატების ჩამოყალიბებაში. ეს მამები ჯერ კიდევ ახალდაარსებულ, სუსტ ეკლესიებს გაძლიერებაში ეხმარებოდნენ, სთავაზობდნენ იდეალებს, უყენებდნენ ამოცანებს. ისინი მათ განუმარტავდნენ ეკლესიის დამფუძნებლის ჰუშმარიტ სიტყვას. ხწორულ ამ წმინდა მამათა მითითუბებით მოქმედებს დღეს მსოფლიო ეკლესია.

პირველ ყოვლისა, პატიოლოგია დღემდე დაინტერესებულია ეკლესიის იმ მამებით, რომლებიც ცხოვრობდნენ VIII საუკუნის ბოლომდე. კერძოდ, აღმოსავლეთში ეს პერიოდი ემთხვევა ითანე დამასკელის (754 წ.), დასავლეთში კი გრიგოლ დიდის (604 წ.) ან ისიდორე სიცილიაკელის გარდაცვალებას (636 წ.). უკაველია, რომ აღნიშნული პერიოდი უმნიშვნელოვანესია მსოფლიო ეკლესიის ცხოვრებაში და ბუნებრივია, რომ პატიოლოგიის ამოცანა, უპირველესად, ამ მამების (ცხოვრების შესწავლა იყო).

ხახვასმით აღვნიშნავ სიტყვა „ბუნებრივს“, რადგანაც არსებობს სხვა, ასევე უფლებამოსილი და ფურადსაღები მიმართულებაც, რომელიც თვლის, რომ პატიოლოგია გულისხმობს ქრისტიანული ლიტერატურის საყოველთაო




გრიგოლ ჭერიძე



წმ. იოანე დამასკელი.
ფრესკა იერუსალიმის
კვრის მონასტრიდან.

* საინუგურო გამოსვლა კარტვის უნივერსიტეტში 1933 წლის 7 დეკემბერს (რედ.).



კონსტანტინოპოლი (თანამედროვე სტამბული). წმ. სიტყოთს ტაძარი.

ისტორიის შესწავლას ან, უფრო ზუსტად, ყველა ქრისტიანი ხალხის, საეკლესიო ლიტერატურისა, რომელიც შექმნილია არა მარტო პირველი რვა საუკუნის/ძანძილზე, აღმოსავლეთისთვის არა შესრულებული ზღვარი არის კონსტანტინოპოლის დაცემა, დასავლეთისთვის კი — რეფორმაცია. პატროლოგიის ეს მეორე მიმართულება დროთა განსავლისაში იმენს უფრო მეტ მიმღერებს, განსაკუთრებით გერმანიაში, საურანგეთში და მას მომავალიც აქვს. მისი კვლევის სურვია აღმოსავლეთის ქრისტიანული ხალხების მრავალფეროვანი ლიტერატურა. ოუგავითვალისწინებთ, რომ სიტყვა ლიტერატურა კულისხმობს ამ ხალხების ქრისტიანულ მემკვიდრეობას, მაგალითად, წმინდა წერილთა ნიმუშებს ან კომენტარებს, აგრეთვე, ლიტერატურულ-პომილეტიკურ (მეცნიერება ბიბლიური თემებზე ლოცვების შექმნის შესახებ) წოგნებს და სხვადასხვა უთიკურ-ასკეტური ხასიათის ნაშრომს, ასევე მათ მიერ შექმნილ, არანაკლებ მნიშვნელოვან ქრონიკებს, რომლებიც დიდად ფასეულია არა მარტო ეკლესიის ისტორიისათვის, არამედ ძირიდან მასალას გვაწვდიან საურო ცხოვრების შესახებაც, გასავები განდება, რომ პატროლოგიის ამოცანას წარმოადგენს ეველა ქრისტიანი ხალხის კულტურათა კვლევაც.

ეს არის პატროლოგია, ამ სიტყვის ფართო გავებით, მაგრამ მუხლავად იმისა, რომ იგი ახერხებს ჩვენს დაინტერესებას არაერთი მოვლენით და ამასთან, ბევრ მოულოდნელ პერსპექტივას გვისახავს, მის მთავარ ამოცანად მაინც რჩება დაინტერესება იმ მამათა საქმიანობით, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ეკლესიის დაფუძნებასა და დოგმატების განმტკიცებაში. ჩემს ლექციებში შევეხები ამ გარემოს, ძირითადად წმინდა მამათა წერილებს, მათი ნაშრომების კითხვასა და ანალიზს. უპირველესი ამოცანა იქნება ის, რომ ამ წერილებმა და მათი შექმნის პერიოდში დაწერილმა ნაშრომებმა ნათელი სურათი წარმოვიდგინონ თვით ამ მამების შესახებ. ჩვენ თვალწინ გაცოცხლდებიან არა მუდმივად ასკერნი ან მუდმივად მოსაწყენი და სევდიანი პიროვნებები — როგორებადაც მათ ზოგიერთი მიიჩნევთ — ან ის ადამიანები, რომლებიც თავითი იღების ფანატიკოსები არიან და ბრძან, ცხოვრებისა და სამყროს გაუაზრებლად ესწრაფებიან ეკლესიის შექმნას თუ შეწებლობას. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც ურთ იღეას მისდევდნენ, მათ ბევრი რამ გადაიტანეს, ბევრი რამ განიცადეს, თავიანთი განვლილი გზის მიხედვით წარმართეს საკუთარი ცხოვრება



წმ. პავლე
მოციქული.
ბიზანტიური ხატი.
XIV ს.

განვლილი გზის მიხედვით წარმართეს საკუთარი ცხოვრება

და შეასრულეს თავისი საქმე. ამ ეპოქის სათავეში მოციქულები დგანან. მათ პირადად იხილეს ქრისტე და მისი ცხოვრებისა და ჯვარცმის მოწმებმა ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება ქვეყნიერებას ახარეს. შემდეგ მოვიდა პატარი, რომელმაც დამასკოს მისადგომებთან გამოცხადება იხილა. მას შემდეგ კი იყო ყველა ის მამა, რომელიც ქრისტეს ჭვრეტდა და ამ განცდების საფუძველზე წერილა. ეს კი

უკვე მაშინ განსხვავდებოდნენ აღმოსავლეთის მამები და საკვლეულის შაშქისაგან, თუმც არც ისე დიდად. რასაკეთი უკვე მათ შორისაც არსებობდა გარკვეული ერთობა, ურთიერთგავიბა ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, იყო ერთობლივი მოღვაწეობა. როდესაც ეს ურთიერთობები დაირღვა, რელიგიური წინამდღოლობა აღნიშნული პერიოდიდან მერვე საუკუნეებდე აღმოსავლეთმა ითავა. აღმოსავლეთში იყო შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების ადგილი; აღმოსავლეთში მოხდა უდიდესი მიეკლენა — შეიქმნა ახალი აღთქმის წიგნთა კანონი; აღმოსავლეთმა დაადგინა კათოლიკური ეკლესიის სარწმუნოების სიმბოლი; ანტიოქიისა თუ აღექსანდრიის უდიდესი თეოდოროვოურ სკოლებში ეკლესიის მამები ქრისტიანულ ლიტერატურას ქმნიდნენ. ეს კი ახალგაზრდა ეკლესიისათვის დიდ საშიშროებაზე — წარმართებულ ფილოსოფიაზე გამარჯვების ნიშნავდა. ბოლოს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთმა შექმნა უმნიშვნელოვანესი რამ როგორც საერთო, ისე საეკლესიო კრიფტებისათვის — კანონები.

ზუმრითქმულოდან კაშომდინარე აღვიდლი გასაგებია, რომ
ადგისავლების უდიდესი მამები, ისეთები, როგორუბიც არიან
ათანასე ალექსანდრიული, ორივე გრიგოლი – ზაზიანზელი
და ნოსელი, ბასილი დიდი, იოანე ლვითისმეტყველი, სხვები
რომ აღარ ჩამოვთვალოთ, ძალიან კარგად იყვნენ დასავლეთში
ცხობილნი და დიდი პატივისცემითაც სარკებლობდნენ.
პატიროლოვია უპირველესად სწორედ ამ მამებით არის
დაინტერესებული და შემდეგ დასავლეთის მამებით. ასეთი
მიღვომაა კათოლიკურ უნივერსიტეტებშიც კი და ბუნებრივი
და გასაგებია, რომ ასე უნდა იყოს მართლმადიდებლურ
ფასტლტებზე.



წმ. ბახველი დოკო,
ატენის სიციხის ფრესკა,
XI ს.



წმ. გრიგოლ
ლვოსმეტყველი
(ნაზიანზელი). ატენის
სიონის ფრესკა. XI ს.

არაურთხელ წამოჭრილა კამათი იმის დასადგენად, თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანი და ავტორიტეტულია ძველი აღთქმა ქრისტიანული ეკლესიისათვის. საკმარისია გავიხსენოთ მარკიონი და მისი მოწინააღმდეგე ტერტიულიანე. ძველი აღთქმის დაცვის იმ მეოლებსა და საშუალებებზე დაკვირვება, რომელიც შესძლება თავდამსხმელების საწინააღმდეგრდ გამოიყენება, შეიძლება დღეს მისი აპოლოგიისათვის კარგ გაკვეთილად და მასწავლებლად იქცეს.

პატროლოგიამ შეიძლება შეამაგროს და მხარი დაუჭიროს არა მარტო ძველ აღთქმას, არამედ თეოლოგიის შემადგენელ ისეთ მნიშვნელოვან საწილებსაც, როგორიცაა ახალი აღთქმა და ქრისტიანული ეკლესიის საწყისი პერიოდის ისტორია.

ის ფაქტი, რომ ეკლესიის მამებმა სახარებიდან, მოციქულთა საქმეებიდან და ეპისტოლებიდან კანონიკურად მხოლოდ ოთხი სახარება და რამდენიმე ეპისტოლე აღიარეს, დანარჩენი კი აპოკრიფებად ჩათვალეს, სახარების მეცნიერული კვლევისათვის ითვლება პრობლემად, რომლის გადაჭრაც სწორედ პატროლოგის დახმარებით არის შესაძლებელი. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქრისტიანული ლიტერატურის შექმნის საწყის პერიოდში საერთოდ ვერ ვხვდებით მოციქულთა წერილებს ან სახარებას. ჩანს მხოლოდ ანონიმური თხზულებები, მაგალითად, დიდაქტ და სხვ. ამ ლიტერატურამ, თავის მხრივ, დიდი გავლენა მოახდინა სახარების ტექსტზე. ასე რომ, არა მარტო სახარება ახდენდა ეკლესიის მასწავლებლებზე გავლენას, არამედ პირიქითაც, თვით ეკლესიის მამები და მასწავლებლები ზემოქმედებდნენ სახარების ტექსტზე, რაც მის მოღიუვაციას იწვევდა. ყოველივე ეს კი ახალი აღთქმის კვლევის საქმეში პატროლოგის როლს უფრო მნიშვნელოვანს ხდის.

ჯრუჭის სახარება. მეორედ მოსვლა.
მინიატურა. XII ს.

ახალი აღთქმის კვლევისათვის კარდინალურ პრობლემად ითვლება სახარების ტექსტის თავდაპირველი სახის აღდგენა, აგრეთვე ე. წ. დიატესარონი, რომელიც იმდენად მნიშვნელოვან და მთავარ საკითხად იქცა, რომ კულტურული ქვეყნების მკვლევარი უდიდეს ძალისხმეული ხარჯავნ ამ საკითხზე მუშაობისას. ეს პრობლემაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლებელია პატროლოგიამ გადაწყვიტოს.

იგივე შეიძლება ითქვას თეოლოგიის სხვა დაწესების მიმართ პატროლოგიის დამოკიდებულებაზე. პატროლოგია არ წარმოადგენს საეკლესიო კრებათა ისტორიას, მაგრამ მან დიდი ყურადღება უნდა გააძვიროს მათ საქმიანობაზე. პატროლოგია ასევე არ წარმოადგენს ეკლესიებისა და სექტების ისტორიას, თუმცა დაინტერესებულია ეკლესიისა და ერესის ისტორიითაც. ეკლესიის მამები ხომ იმავე დროს



ის პიროვნებები იყვნენ, რომლებიც თავისი მოღვაწეობის პერიოდში ქმნიდნენ კლესის ისტორიას და დაუნდობლად უზრუნველყოს. ამიტომ გვლესისა და სექტების ისტორიის შესახებ ცოდნის მიღება შეუძლებელია. პატროლოგის ღრმად გააზრების გარეშე. მართალია, პატროლოგია არ არის მისტიკიზმის ან ასკეტიზმის ისტორია, ან მეცნიერება ქრისტიანული თუ პომილურული უფრო ასკეტიზმის, ან მოძღვრობის შესახებ, მაგრამ იგი მაინც ფართოდ ეხება მისტიკიზმა ასკეტიზმს, თავის თავში აერთიანებს ასევე პომილეტიკისა და მოძღვრობის კლასიკურ ფორმებს. ქრისტიანული მსოფლმხედველობა და ფილოსოფია სათავეს იღებს პატროლოგი-იდან, ქრისტიანული აპოლოგეტიკა კი პატროლოგიდან იღებს იმ ბრძოლების მაგალითებსა და ნორმებს, რომლებიც მიმართული იყო ჯერ კიდევ ჩამოუყალიბე-ბელი ქრისტიანული ეკლესის დასაცავად. დოგმატების ისტორია პატროლოგიის პირმშოდ ითვლება, იგი დროთა განმავლობაში ვითარდებოდა და XIX საუკუნეში აყვავების წანას მიაღწია. მას გააჩნია კავშირი პატროლოგიასთან და მისივე ინტერესებიდან გამომდინარე არ უნდა გაწყვიტოს ეს კავშირი.

დღეს პატროლოგია თავის თავში აერთიანებს ბევრ ისეთ საკითხს, რომელთაც დამოუკალებელ მეცნიერებად ჩამოყალიბების უფლება აქვთ. მაგალითად, ჰავაიურიავა, კანონებისა და აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურის ისტორია, რომელ-თაც არაერთხელ შევეხები ჩემს გამოსვლაში. მაგრამ დღეს, რწმენის სფეროში გამეფეხებული კრიზისის დროს, თუკი მივატოვებო ამ დარგებს და ბედისწერის ამარა დაუტოვებოთ, ეს ნიშნავს, რომ მათ დასაღუპავად ვწირავთ. პატროლოგია მოვალეა მოძებნოს დრო და თავის ძირითად პოლიანუბთან ურთად დაინტერესდეს იმ პრობლემებით, რომლებიც დიდ ფურადლებას იმსახურებენ.

მოკლედ რომ კოქი კოქი, პატროლოგიაში დღეს ყველა თეოლოგიური მეცნიერების გაგებისა და ყველა პრობლემის გადაწყვეტის მოძიება შეიძლება. ამიტომაც ყველამ უნდა აღიაროს პატრო-ლოგის აუკილებლობა და მისი დიდი მნიშვნელობა.

სწორედ ამიტომ კულტურულმა მსოფლიომ პატროლოგიას დიდი ხნის წინ მიაქცია ყურადღება. იგი, ამ სიტყვის სრული გაგებით, ხაერთაშორისო ცნებაა. მას არ გააჩნია სამშობლო და იქ ვითარდება კარგად, სადაც მასზე ზრუნავენ. ადამიანთა დიდი ჯგუფები მოღვაწეობენ პატროლოგიის სფეროში ჯერ კიდევ წმ. იერონიმეს დროიდან. ეს მუშაობა ორშაგ წასათს ატარებს: 1) ძებნა, შეგროვება, კატალოგების შედგენა და ტექსტების გამოცემა; 2) სისტემატური შესწავლა და ზოგიერთი მამისა და ცალკეული საკითხების შესახებ მონოგრაფიების შექმნა.

გვლესის მამათა შესახებ ტექსტების გამოცემით დაკავებულნი არიან მდიდარი ორდენები ან დიდი აკადემიები და ეს გასავებიცა: საკითხი ეხება იმ ტექსტებს, რომელთაც არცთუ ბევრ ქვეყანაში პყავთ ფართო მკითხველი და მითუმეტეს



კონსტანტინოპოლის. წმ. სოფიის ტაძარი. ინტერიერი.

მყიდველი. ძალიან შორის წავიდოდით, თუკი გავიჩინებდით ყოველივე იმას, რაც სხვადასხვა პატრიარქებმა, პატებმა ან ღიგმა მონასტრებმა გააკეთეს პატრიოლოგიისათვის ჯერ კიდევ ბეჭდვითი საქმიანობის დაწყებამდე. ასეთ შემთხვევაში საუბარი იქნებოდა აღმოსავლეთის მამებზე და, ცხადია, ძირითადად ბერინგზე, რაღაც სწორედ ბერინგზე აღმოსავლეთმა შეასრულა უდიდესი მოწლევა ამ საქმეში. მაგრამ მართლმადიდებლური აღმოსავლეთი თურქთა ბატონობის ჭავჭავაძეების განიცდიდა. გარდა ამისა, ჯვაროსნებმა გაიტანეს ფასდაუდებელი ხელნაწერები. აღბათ ამიტომაც ბეჭდვითი საქმიანობის დაწყების შემდევ მართლმადიდებლურ აღმოსავლეთის პატრიოლოგიის სფეროში წამყვანი როლი დასავლეთისთვის უნდა დაეთმო.

დასავლეთში პატრიოლოგის შესწავლის საქმეში დაღი ნაბიჯი გადადგა პუმანიზმა, ასევე რეფორმაციამ, რომელიც მხურვალებ დაეწავა მის შესწავლას. რეფორმატორთა მისწრაფება რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მიერ მივიწყებული თავდაპირველი ეკლესიის ტრადიციებისაკენ მიბრუნება იყო. რომი, რომელიც თვის მხრივ მიიჩნევდა, რომ რეფორმატორთა თეზისები ამანინჯებდა ეკლესიის სულისკეთებას, ცდილობდა დაუმტკიცებონა ამ თეზისების მცდარობა. თუმც, ამსთანავე, საკითხს მთელი ძალისხმევით იკვლევდა.

XIX საუკუნეში წმინდა მამების შესახებ გამოცემებზე მუშაობა უფრო ინტენსიური გახდა. პრუსიის აკადემიამ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა მოემზადებინა 50-ტომიანი კრებული, რომელშიც შეკიდოდა გამოცემები ნიკეის კრებამდელი ეკლესიის მამების შესახებ. აქედან გამომვემულია 38 სანიმუშო ტომი. ვენის აკადემია, რომელიც მხოლოდ დასავლეთის მამების ნაშრომების გამოცემით არის დაინტერესებული, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია კრაკოვში, ასევე ფრანგული, ინგლისური და ამერიკული სამეცნიერო საზოგადოებები, მიზნად ისახავენ ეკლესიის მამათა ნაშრომების გამოცემას. ასე შეიქმნა არცოუ უშეცდომი და სიმირად არცოუ საუკეთესო ხელნაწერებზე დაყრდნობით შექმნილი უდიდესი და ძალიან საჭირო გამოცემა „Migne“ — დასავლეთისა და აღმოსავლეთის სხვადასხვა ბიბლიოთეკის მრავალფეროვანი კატალოგი.

ახლა შესაძლებელია იპოვო ეკლესიის რომელიმე უცნობი მამის ნაშრომი, ან აღმოაჩინო პირველი საუკუნეების რომელიმე უცნობი მწერალი, მუცამი ყოველივე ეს შემთხვევითობაა. ძირითადი სამუშაო მაინც უკვე დასრულებულია და მის საფუძველზე მშვიდად შეიძლება გადასვლა მუშაობის შეორე ეტაპზე — ცალკეულ მამათა მონოგრაფიებზე. კათოლიკურ და ანგლიკანი სწავლულები ძირითადად ეკლესიის ავტორიტეტის იკვლევენ. აბსოლუტურად სხვა საუკუნერზე ზოგიერთი კერძანები სწავლულის შრომები. მათ კვლევის საგნად აირჩიეს არა იმდენად ეკლესიის ავტორიტეტი, არამედ პირველ რიგში სხვადასხვა ერები და ეკლესიდან განდგომა. წერა იმ აღმოანგებზე, რომელიც გაკიცხვას იმსახურებს, დაუფასებული საქმიანობაა, თუმცა, შეორე მხრივ, ძალიან საინტერესოა და გვეხმარება ეკლესიის მამებისა და ეკლესიის საქმიანობის უკეთ შესწავლაში. მუშაობა ამ მიმართულებით პროტესტანტულისათვისაც სახითვათოა. ფაქტია, რომ ამ მეზღუდულ სფეროში კვლევამ

შეუძლებელია საკითხი სრულად გააშეფას. ასევე ფაქტია ისიც, რომ თუ მკვლევარი არ არიან ორიენტირებული ექლესიაზე და არცერთ დიდ კონცეფციის არ ემორჩილებიან, სწრაფად ექცევიან თავიანთი გმირების გავლენის ქვეშ და იწყებენ მათ გაიდეალიზას. ასე იყო აღფრთოვანებული ციოკლერი ევაკურე პირზე უკუნისა, პარნაკი – მარკონით და ა. შ.

* * *

პატროლოგიას, როგორც მუცნიურებას მართლმადიდებლობის შესახებ, განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია. ეს გამოძინარების მართლმადიდებლური ეკლესიის იმ განსაკუთრებული პოზიციიდან, რომელიც მას უკავია კათოლიკურ და პროტესტიანტულ ეკლესიებს შორის და ასევე იმ დიდი დაინტერესებიდანაც, რომელიც გაჩნდა ევროპაში პატროლოგიის მიმართ. ამ ინტერესს დიდი მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებლური ეკლესიისათვის. აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით ამ მეცნიერების ევროპულ კავშირებზე. ახლა მოკლედ უნდა შევეხოთ იმას, რაც სწორედ ამჟამად გვაინტერესებს – აღმოსავლურ კავშირებს. თუკი ვისაუბრებთ აღმოსავლეთის ქრისტიანობაზე, მაშინ მკვეთრად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ჭუშმარიტი მართლმადიდებლური ეკლესია ერესული ეკლესიისაგან, რომელსაც დღესაც კი ზოგიერთი დასავლელი მუცნიური მართლმადიდებლურს უწოდებს. მართლმადიდებელ ხალხებს მიუკუთხმებიან: სლავები (თუკი კათოლიკები არ არიან), ბერძნები, ქართველები, რუმინელები, არაბები და ზოგიერთი ჯგუფები დიდი და ძველი ეკლესიებისა, რომლებიც დროთა განმიავლობაში მოსწოდნენ მართლმადიდებლობას. ერეტიკულ ეკლესიებს (მონოფიზიტურს, ნესტორიანულს და იაკობინურს) კი მიეკუთვნებიან დიდი ხაწილი სომხებისა, ხირიულებისა, კოპტებისა და ყველა ეთიოპელი.

პატროლოგია ღრმად არის დაინტერესებული ამ ხალხების ლიტერატურით და თუკი იგი, პირველ რიგში, მართლმადიდებლურ ლიტერატურას იკვლევს, არ შეიძლება ვთქვათ, რომ მან თავი უნდა აარიდოს ამ ერეტიკოსი ხალხების ლიტერატურის შესწავლას. ეს ხალხები და მათი თეოლოგები ხომ სწორედ ისინი იყვნენ, რომელთაც აიძულეს ეკლესიის შამები პოლემიკაში ჩართულიყვნენ. ამიტომაც ამ ხალხებით დაინტერესება აუკილებელია ეკლესიის შემათა მოღვაწეობის შესწავლისათვის. რადვანაც ეს ხალხები მართლმადიდებლურ ეკლესიას ჩამოსცილობნენ, მათი მსოფლიშხდეველობის გასავებად საჭირო წყაროები სწორედ მართლმადიდებლურ და არა სიცა ეკლესიებში უნდა ვეძებოთ. სწორედაც მართლმადიდებლური პატროლოგია უნდა ყოფილიყო წამყვანი ამ სფეროში. მართლმადიდებლურ თეოლოგიას, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შრომას და არაჩვეულებრივ კოლექციას, ამ მიმართულებით სისტემური არაფერი გაუკეთება. ხელმძღვანელები და მცოდნები ამ საქმეში სხვები არიან. მაგალითად, საფრანგეთში, სადაც გამოვიდა სეციალური გამოცემა – „Patrologiae Orientalis i Corpus Scriptorum christianorum orientalium“, უდიდესი პატროლოგები არიან: გრაფინი – სირიული ლიტერატურის მცოდნე და შაბთ – ეთიოპიური ლიტერატურის სპეციალისტი. ლუკენის სკოლა დიდად არის დაინტერესებული კოპტურის ღრმა შესწავლით, ისევე როგორც ლეფორტი და ლებონი სომხურითა და სირიულით. ინგლისშიც ეს



წმ. ქონსტანტინე და წმ. ელენე.
გელათის ფრესკა. XVI ს.

საკითხი სათანადო დონეზეა დაყენებული – ამ გარდაცვლილი ოქსფორდული სწავლული კონბერი საუკეთესო ძვოდნე იყო სომხური და ქართული პატროლოგისა, ხოლო თანამედროვე კეშჩრიჯელი სწავლული – ბურღლიტი საკემპის სტანდულოვანი ავტორიტეტია ძველ სირიულ პატროლოგიაში; რომს ძირითადად იქმუიტები წარმოადგენენ; მათ არ ჩამორჩებიან გერმანულებიც – ლავარდე, გუსენი, კარლ შმიდტი, ბაუმბტარკი, გეორგ გრაუ. დღეს პატროლოგიას არ შეუძლია სამეცნიერო კვლევაში მხოლოდ ბერძნული და ლათინური ენებით ისარგებლოს.

არ შეიძლება, რომ ყველა მკვლევარს მოვთხოვთ ყველა აღმოსავლური ენის ცოდნა, მაგრამ არანაკლებ ორი ენის ცოდნა მაინც საჭიროა, რათა მეცნიერმა შეძლოს თავისი ნაშრომების გაძლიერება

ამ ენებზე. სხვა ენების ცოდნა კი იმდენად სჭირდება, რამდენადაც უნდა შეძლოს სხვათა ნაშეშევრების შემოწმება. ვარმავის მართლმადიდებლურ ფაკულტეტზე, ბერძნულ და ლათინურ პატროლოგიასთან ურთად, თავისი აღვიდი უნდა იპოვოს სხვა აღმოსავლურ-ქრისტიანულმა ლიტერატურამაც.

ყველაზე ცუდად დგას ქართულ პატროლოგიასთან ურთიერთობის საკითხი, რადგანაც ამ სფეროში მოღვაწენი ძალიას მცირებიც ხოვანის არიან. არადა, ეს კვლევის აბსოლუტურად ახალი სფეროა და აქ ჩატარებული მუშაობა ნამდვილად დაფასდება. საქმე ეხება მაღლან ძველ ქრისტიან ხალხს, რომელმაც ქრისტიანობა კონსტანტინეს დროს მიიღო, ხოლო IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში პქანდა არაჩვეულებრივი ლიტერატურა, რომელიც ნაწილობრივ თარგმანებს მოიკავდა, ნაწილობრივ კი ორივინალურ ნიმუშებს. ამ ლიტერატურას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ყველა სხვა საეკლესიო ლიტერატურას, სირიულებისა იქნება, სომხებისა თუ ბერძნების. ქართული პატროლოგია ყველა თეოლოგიურ დისკიპლინას პირველხარისხოვან ნაშრომებს სთავაზობს. მოკლედ რომ გაგაცნოთ ეს ლიტერატურა, შეიძლება მოვიშველიო რეზოლუცია, რომელიც 1928 წელს ბონში გამართულ გერმანული ორიენტაციისტიების მე-5 კონფერენციაზე ჩემი გამოსვლის შემდეგ პლენარულ სხდომაზე მიიღეს. იგი წარედგინა პრესიის მინისტრს, რომელიც პირადად ესწრებოდა ამ კონფერენციას: „პატროლოგიასთვის ქართული ფილოლოგიის შესწავლის უდიდესი მნიშვნელობის გამო საჭიროა მოვითხოვთ მისი სწავლების დაწერგვა და გაყრცელება მთელ გერმანიაში.“

რესევორის სასულიერო აკადემიაში მართლმადიდებლურის პატროლოგიაში მხოლოდ ბოლო წლებში მაქსიმიან გურალება მისთვის ასე აუცილებელი და მნიშვნელოვანი ქართული ნაშრომების შესწავლას.

რესტორის მართლმადიდებლური ეკლესიას, რომელიც ყველაზე მდიდარია მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის, XIX საუკუნეში ფართო შესაძლებლობები პქნინდა პატრიოლოგის განვითარებისათვის და ამდენად, თავისი შესაძლებლობების გამოყენებით, მოახერხა ეთარიგმა რესტორად წმინდა მამათა ნაშრომები, ასევე ფავად შექმნა შრომები ცალკეულ წმინდა მამებზე. მაშინდელი თარგმანები ჭრიველოფეს უკი იყო საკმარისად დამუშავებული, ჩვენი დროისათვის ისინი მოძველებული ითვლება და დღეს მათ მხოლოდ ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობა ენიჭებათ. შემდგომში ახალი ტექსტების გამოცემას ხელი მოჰკიდეს ბერძენმა თეოლოგებმა. მათგან საკმარისა გავიჩინოთ არქიეპისკოპოსი ფილოთეოს ბრიონიოსი და მისი შრომები. მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აკრეთვე იმ ფაქტს, რომ პატრიოლოგისთვის უმნიშვნელოვანესი წყაროები დღემდე შემოვარინახა ათონის მოის, სინას და იერუსალიმის მართლმადიდებლურმა მონასტრებმა.

რაც შეეხება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შემონახულ მემკვიდრეობას, მათი წყალობით XX საუკუნის მართლმადიდებლური პატრიოლოგია აღმართ ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიკავებს. ქართული მემკვიდრეობის წარმოჩენა შესაძლებელი გახდა კიუვის სასულიერო აკადემიის აღზრდილის – დეკანზე კ. კაკელიძის გამოკვლევების მეობებით. მისმა ნაშრომებმა მთელი კულტურული მსოფლიოს ფურადლება მოიქცა.

ვინაიდან მართლმადიდებლური პატრიოლოგია ასეთ ჩინებულ წყაროების ფლობს, შეუძლია მოგვაწოდოს არა მარტო პირველხარისხოვანი, არამედ ისეთი ნაშრომები



სინას მთა. წმ. ეგატერინეს მონასტერი.



ათონის მთა. იერუსალიმის მონასტერი.

და წყაროებიც, რომელთაც მუჯდივი ფასეულობა გააჩნია. საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ თუ გარემოებაზე: რაღვანაც პატრიოლოგია საერთაშორისო მეცნიერებაა, საჭიროა ჩვენი ნაშრომები შესრულდეს იმ მეთოდების გამოყენებით და იმ ფორმით, როგორც ეს ეკროპული მეცნიერებისათვის არის მიღებული. ვარდა ამისა, კვლევებს უფრო კრიტიკულად უნდა მივუდგეთ, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა. მეორე მხრივ, ვინაიდან პატრიოლოგია რელიგიათა-შორისი მეცნიერებაა, საჭიროა მის შესწავლას ობიექტური კუთხით მიკუდგეთ, რათა უფრო დრიმად ვაკერპეთ ქრისტიანულ ეკლესიაში არსებულ მოელ რიგ უთანხმოებებში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღეს პოლონეთში დიდი ფურადლება და ინტერესი კლინდება პატროლოგიის მიმართ. იწყება კლინიკის მამათა ნაშრომების პოლონურ ენაზე თარგმნა. პოლონეთის რელიგიურ-სამეცნიერო ფურნალები დაინტერესებულნი არიან პატროლოგიაში არსებული ძირითადი საკითხებით და უკლიევებით. მართლმადიდებლურმა პატროლოგიამ, თავის მხრივ, ინტერესი უნდა გამოხატოს ამ კვლევების მიმართ, უფრო მეტიც, საჭიროა მხარი დაუჭიროს ამ საჭირობას და თავისი წელილი შეიტანოს კულტურის საერთო საგანმურბაოში.

ეს არის მოკლედ მეცნიერების ამ უდიდესი დარგის ამოცანები და მეთოდები. დიდად მოხარული ვიქენები, თუკი მოვახერხებ და ჩემს მსმენელმი მის მიმართ სიყვარულსა და ინტერესს ნაწილობრივ მაინც აღეძრავ.

ამოცანა ძალიან დიდია, მოღვაწეობის სფერო საკმაოდ ფართო. დღეს კი დრო არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მთელი ძალისხმევა მიმართული იყოს ამ საკითხების კვლევისა და მათთვის შემდგომი შესწავლისაკენ. ჩემი გამოსვლა მინდა დავაძთავრო ცნობილი პატროლოგის – ი. ვიტიგის სიტყვებით: „ანაზღაურებული და დაფასებულია შრომა და ძალისხმევა, რომელიც მივუძღვენით ჩვენს მშვენიერ, საყვარელ მეცნიერებას ეკლესიის მამების შესახებ.“

•

Pojecie, zadania i metody patrologii w teologii prawosławnej

[პატროლოგიის გავება, ამოცანები და მეთოდები მართლმადიდებლურ თეოლოგიაში].

ფურნ. „Elpis“. 8. fasc. 1. Warszawa. 1934. გვ. 209-218.

მასალები გრიგოლ ვერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ

ერიკ გურიაშვილი

ერიკ გურიაშვილი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მაგა ვრიგოლ ფერაძის წმინდანად შერაცხვის შემდეგ ინტერესი მისი პიროვნების მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა. 1997 წელს გურიაშვილი პალე-ვიტენბერგის მარტინ ლუთერის სახელობის უნივერსიტეტის ოცნებობის ფაკულტეტის პრიორებისა პერმან გოლცემა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესა და უნეტარეს ილია II-ს, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კამპულინის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტსა და ფერადეების ოჯახს (კრ. ფერაძის მხინულის, ბატონ რომელის ფერატეს) გამოუყვავნა ახლები დოკუმენტებისა, რომლებიც იოპანეს ლექსიუსის არქივში მოუპოვებია. ეს ასლები ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

პ. გოლცემ განხრახული აქტს ამ დოკუმენტების გამოცემა კომენტარიუმით სამეცნიერო-ტეოლოგიურ ჟურნალში „Ostkirchliche Studium“ (გერმანია, ვორტკებურგი). „მე ასევე იმედი მაქვს, — წერს ივა, — რომ დოკუმენტები გამოიცემა ქართულიად ქართულ-გერმანული პერსპექტივიდან დაჩახული საერთო კომენტარების თანხლებით.“

ბატონი პერმან გოლცემ ეხმა ამ დოკუმენტების მნიშვნელობას და შენიშვნას: „შეიძლება ასეთი გერმანიიდან საქართველოში ჩამოტანილი წმინდა ვრიგოლის აღრევერმანული პერიოდის დოკუმენტებიდან ზოგი რამ არარისებითად მოვალეობოს, მაგრამ ისინი მნიშვნელოვანი საბუთებია ქართველი წმინდანის ცხოვრებაში გერმანიის მეტისმეტად არაერთგვაროვანი როლის სრულად წარმოსაზღვრად. წმინდა ვრიგოლის აუშვიცის ხაკონცესტრაციის ბანაკში სიკვდილმა ყველას ნათლად დაანახა გერმანიის ბნელი მხარე. მეორე მხარის გავლენა კი მის ცხოვრებაზე ასე ფართოდ ცნობილი არ არის. — ესაა წრე გერმანული ნაცნობებისა, რომლებიც თეოლოგიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტს დაქმარინენ, რათა გამხდარიყო XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო თეოლოგი-ქართველობისა.“

ამ აზრს უთქვედ გაიზიარებს და დაემოწმება ყველა, ვინც გაეცნობა ხსენებულ დოკუმენტებს, რომლებიც შედგენილი და ხელმოწერილია ჩვენი ახლო წარსულის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეების მიერ, როგორებიც იყვნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, გერმანიელი მწერალი და საქართველოს დიდი მეფობარი არტურ ლაისტი და სწერი.

სწორედ ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ჩვენც გაგვიჩნდა სურვილი, გამოვხმაურებოდით პროფ. პერმან გოლცემის წინადაღებას და მკითხველისათვეის მივერწოდებინა ხსენებული დოკუმენტების ქართველი თარგმანი მცირეოდენი კომენტარების დართვით.

დოკუმენტები მოცულობით საქართველოდ დიდია (27 ქრისტენი). ისინი, როგორც აღნიშნეთ, დაცულია ი. ლეფსიუსის არქივში. იოპანეს ლექსიუსი იყო გერმანული თეოლოგი და მოღვაწე, რომელმაც დაარსა აღმოსავლეური სამისიონერი სახო-

გადოება, ასევე უკრნალი „Der Orient“, სადაც აქტიურად თანამშრომლობდა და სტატიებს ბეჭდავდა გრ. ფერაძე.

წერილების ერთი ნაწილი ეხება გრიგოლ ფერაძის გამგზავრებას გერმანიაში უმაღლესი განათლების მისაღებად და მისი იქ განსწავლის ჩანას. როგორც ცნობილია, ივი 1921 წელს სწავლის გასაგრძელებლად ვაემგზავრა გერმანიაში. არტურ ლაისტისა და კოსალიკოს ამბობის მიერ გრ. ფერაძის სარეკომენდაციოდ დაწერილი წერილების აღრესატია გერმანიის საელჩო და იოპანეს ლეფვისუხა.

წერილების ნაწილი თავად გრიგოლ ფერაძეს ეკუთვნის. ივი სწერს იოპანეს ლეფვისუხას, რომელთანაც გააგზავნეს არტურ ლაისტმა და კათალიკოს-პატრიარქმა. იოპან ლეფვისუხას დიდი მონაწილეობა მიიღო გრ. ფერაძის გერმანიაში მოწყობისა და განათლების საქმეში. გრიგოლი თავის წერილებში ყოველთვის დიდ მაღლიერებასა და პატივისცემას გამოხატავს ლეფვისუხას მიმართ და თავს მის შვილობილს უწოდებს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გრ. ფერაძეზე ზრუნვას განაგრძობდა აღის ლეფვისუხა.

წერილებში მოხსენიებულია ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი გრ. ფერაძის ცხოვრებიდან – მისი გადასკლა პარიზის წმ. ნინოს ეკლესიაში ქართული ემიგრაციის სულიერ მამად და მღვდლად, მანამდე ბონში მისი მუშაობა სადისერტაციო ნაშრომშე – „ქართული ბერმონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1064 წლამდე“, რომელიც ბონშივე დაიცვა. ნაშრომის დედანი ჯერვერობით ვერ მოიძებნა, გამოქვეყნებულია მისი შხელოდ ნაწილი, ფერნალის 40 გვერდი.

ზოგიერთ წერილში, რომლებიც ეხება ი. ლეფვისუხის საქმიანობასა და მის პიროვნებას, სულ რამდენიმე ფრაზაა ნათქები გრ. ფერაძესთან დაკაუშირებით. ასეთ შემთხვევაში შხელოდ იმ ფრაგმენტების თარგმანი მოვაქვს, რომლებიც გრ. ფერაძეს შეეხება. ზოგი ფრაგმენტი ერთი შეხედვით თითქოს არაფერს მატებს გრიგოლის შესახებ ჩვენს ცოდნას, მაგრამ მისი პორტრეტისაოვის გველა პატარა დეტალიც კი საინტერესოა, ამიტომ თითქმის ყველა წერილს ან წერილის ფრაგმენტს ვაქვეყნებთ, გარდა თრიოდე ბარათისა, რომლებიც მნელად იკითხება, ან შხელოდ რამდენიმე უმნიშვნელო ჩანაწერს შეიცავს. შემოკლებული ადგილები მრავალწერტილით არის აღნიშნული. წერილები ქრონოლოგიური პრინციპითაა დაღაგებული.

ვფიქრობთ, ეს დოკუმენტები მნიშვნელოვანი დეტალებით ამდისწერებუნ ჩვენს წარმოდგენას გრიგოლ ფერაძის ცხოვრების, მისი სწავლისა და მოღვაწეობის, მეგობრების შესახებ, უფრო რელიეფურს ხდის მის პორტრეტს.

01 ამარ ჭუმბურია

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი



ამბროსი ხელია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის –
ამბროსის წერილი
გერმანის საელჩოსადმი თბილისში

6. IX. 1921 წ.¹

საქართველოს ეკლესია ამჟამად კრიტიკულ ძღვომართობაშია, რაც
ახალგაზრდა, განათლებული სასულიერო პირების დიდი ნაკლებობის
გამო უფრო უარესდება.

წინათ ქართველი ახალგაზრდები უმაღლეს თეოლოგიურ განათლებას
იღებდნენ რუსულ სასულიერო აკადემიებში, სადაც თეოლოგია „ოფიცი-
ალურ“ საგნად იყო მიჩნეული და დღევანდელი მეცნიერებისავან ძალიან
შორს იდგა. ახლა, დროის შესაბამისად, შევვიძლია უარი ვოქვაო რუსულ
თეოლოგიაზე და როგორც სომხურ და ბერძნულ ეკლესიებშია მიღებული, გავვნავნოთ
ახალგაზრდა თეოლოგები გერმანიაში, სადაც თეოლოგია როგორც მეცნიერება ძალიან შალალ
დონეზეა.

კრიკოლ² ფერაძე ამ ქართველობაზ პირებითა, რომელსაც განზრაბული აქვს მოძავალში
თავისი ცოდნა და ენერგია ქართულ ეკლესიას მოახმარის.

მე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ამ ღვთის მოსაწონ საქმეში მას კურთხუას
ვაძლევ და მესამე საეკლესიო კრებამაც ერთხმად დაადგინა შესაძლებლობის ფარგლებში
ძატერიალურად დაეხმაროს ნიჭიერ ახალგაზრდას.

ფერაძე გერმანიის დიდი მოყვარული და თაყვანისმცემელია, ასევნად, მისი სამშობლოში
დაბრუნების შემდეგ საშუალება გვექნება საეკლესიო საკითხებში გერმანიასთან დავაძყაროთ
კავშირი.

ფერაძე პირველი თეოლოგია, რომელიც გერმანიაში მიდის, შეძლებ კი სწერიც გაცემების
მის კვალს.

ვალიათის ძინასტერი.
1921 წლის 6 სექტემბერი.
ამბროსი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

არტურ ლაისტის წერილი იოპანეს ღეფსიუსისადმი

10. X. 1921 წ.

ღრმად პატივცემული ბატონი,

ამ წერილის მომტანი, ბატონი კრიკოლ³ ფერაძე, ქართველი ახალ-
გაზრდა, აპირებს ბერლინში ევანგელისტური თეოლოგიის შესწავლას,
რათა შეძლებ თავის სამშობლოში ქართული სამღვდელოების სულიერი
და მორალური აღმავლობისათვის იზრუნოს. ბატონი ფერაძე ძალიან
მონდომებულია და მე იგი ძალიან თბილად წარმომიდგინა ქართული
ეკლესიის მწევმებთავარსა (კათოლიკოსმა). თუმცა ახალგაზრდა კაცის
უკულადი სახსრების სიძირისა და ქართული ეკლესიის მმართველობის



არტურ ლაისტი

¹ გერმანული თარგმანი შესრულებულია არტურ ლაისტის მიერ და დაწერილია შილივე ხელით.

² არტურ ლაისტი კათოლიკოს ამბროსის წერილის თარგმანში შეკვდომით გიორგიდ მოიხსინება გრიგოლ ფერაძეს.

³ ღედანშია „გიორგი“ – არტურ ლაისტი აქაც შეცდომით გრიგორის ნაცვლად გიორგის წერს.

ამჟამინდელი გაჭირების გამო საქართვის უინანსური შესატანის იმედი არ უნდა გვქონდეს, მაგრამ გერმანიის კულტურული პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს კულტურის ჩართვა გერმანული მეცნიერების გავლენის სფეროში და ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ ახალგაზრდა კაცის ბერლინში ფინანსური და ხმარებას გაუწევდნენ. იქნება მოჩარჩოება, რომ ბერლინში აშერიკულია ქრისტიანულმა საზოგადოებამ (American Christian Society) მას ყოველთვიური დახმარება მისცეს. რამდენადაც ვიცი, ეს საზოგადოება საცხარეულო დახმარებას (400 მარკამდე) უწევს ახალგაზრდებს, რომლებიც ბერლინში ჯერ მხს სახლისა ხდიავლობენ.

მრავალი წელია, რამდენადაც შეძილდა, ვიღვწი საქართველოში გერმანიისადმი კეთილგანწყობის⁴ შესახარჩუხდებოდ და საქართველო-გერმანიის მევობრობის განსამტკიცებლად. ახლაც ყოველ ღონის ვხმარობ, რათა ხელი შევუწიო ჩვენს სავარეო კულტურულ პოლიტიკას. მთელი წინა აზია გერმანული ორიენტაციის მატარებელია, ვარდა სომხებისა, რომლებიც ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დაწყებამდე იდგნენ ჩვენი მტრიების მხარეზე, ხოლო ომის დროს კაშკასიაში ყოველივე გერმანულის წინააღმდევ იღაშქრებდნენ. როცა ინგლისელებმა დაიკავეს კავკასია, სომხები ისევ ძალიან გამომწვევად გამოვიდნენ ჩვენ წინააღმდევ და ახლაც მსოფლიო იმპერიაშე შეანელეს მტრობა გერმანულებისადმი, რომ დარწმუნდნენ ანტანტასან მათი მკობრობის უსარიგებლობაში. მე ბევრი მიწერია სომხებზე: 1912 წელს ბერლინში გამოვაქვეყნე ერთი ტომი – სომხერი ლექსების გერმანული თარგმანი, 30 წელი მევობრული ვიწყვი განწყობილი მათდამი, მაგრამ ახლა საბოლოოდ „განვიკურნე“ ამ მევობრობისაგან. ბატონ გენერალ ფრედ კრეს (ამჟამად გერმანიის სამხედრო სამინისტროშია, ბერლინში), მისი აქ ყოფნის დროს, 1918 წელს, ბევრი რამ მოვუყევი სომებთა უმსგავსო საქციელზე. ახლა მან იგივე შეიტყო სხვებისგანაც და დარწმუნდა, რომ ჩვენ ძალიან კარგად ვიქცევით, გერმანია-საქართველოს მევობრობას რომ ვერწყობთ ზელს.

ამიტომ ვანდობ თქვენს კეთილ ზრუნვას ბატონ ფერატესაც და აქე გახსნებო ნაწყვეტის თარგმანს ერთი წერილიდან, რომელიც საქართველოს ეკლესიის შეუძლიერებელია აქაური გერმანულებისათვის გადმომცა.⁵

ღრმა მატიურიკურნი, არტურ ლაისტი, მწერალი.
თბილისი, 1921 წლის 10 ოქტომბერი.

იოანეს ლეფხიუსის წერილი მამა ლაანსიხა და მიხი მეუღლისადმი

12. I. 1922 წ. ⁶

ჩემი ძვირფასო ბატონო და ძმაო, ღრმად პატივისუმულო ქალბატონო!

ხომ გახსნეთ ისტორია მუკამედისა, რომელმაც მორეულ მთას უბრძანა, მასთან მისულიდ, მაგრამ მთა არ მივიდა. მაშინ მუკამედია ოქვა: თუ მთა არ მოდის მუკამედოან, ოვითონ ძოციქული მივა მასთან. ღმერთი კი პირიქით აკეთებს – რაკი ჩვენ ურავის ვგზავნით აღმოსავლეთში, აღმოსავლეთი მოდის ჩვენთან.

[.]

4 იანვარს ახალგაზრდა თეოლოგი სტუდენტი მოვიდა ჩემთან თბილისიდან, ქართველი, საქართველოს ეკლესიის წერილით. ეს ეკლესია, რომელიც ისევე მცელია, როგორც სომხერი

* დედანშია Deutschium („გერმანულობა“, გერმანული ნაციონალობა, გერმანული სული). შესაძლებელია აეტორი გულისხმობეს იმღროინდელ გერმანულ კოლონიასაც საქართველოში.

⁵ იოანეს ლეფხიუსის არქევები დაცულია ამ წერილის ნაწყვეტის თარგმანიც, შესრულებული და გადაწერილი არტურ ლაისტის მიერ. ხად ინახება თეოთონ წერილი, ჩვენთვის უცნობია.

⁶ წერილი ძალიან საინტერესოა იოანეს ლეფხიუსის პაროვნებისა და მისი საქმიანობის გახაციობიდან, მაგრამ აქ კვლავ ეითარგმნებით იმ მონაცემთ, რომელიც უშუალოდ კრ. ლურამეზე საუბარი. აკლია დასაწევისი, ხადაც ი. ლეფხიუსი ეხება თავის მისაონერულ მოღვაწეობას – სომხერი სამისიონერო საზოგადოების ხელმძღვანელობას, შეკიცარიელებისა და დანიელების დამარებით აღმოსავლეთში სამისიონერო საქმიანების, მაპადიანებისა და გვზავნის რესერის სამხრეთში და ა. შ.

და კონსტანტინე დიდამდეა დაარსებული, ერთი ხაუკუნის წინ მოლიანად რუსულმა მართლ-მადიდებელმა ეკლესიამ მოტყუებით შიიქოთა, კათაღიკოსი გქვემდებარებოდა პეტერბურგის წმ. სინოდს. ქართველი ახალგაზრდა თეოლოგები იძულებული იყვნენ კუკმი ან ჰოსკოვში ესწავლათ თეოლოგია. ახლა რესული კავკასიის გათავისუფლებამ ქართველი მაღლესიაც გაათავისუფლა და კათაღიკოსს შეუძლია თავისი სასულიერო სემინარიის კურსდამსავარუბულები აქ გაგზავნოს, სადაც მოესურვება. მაგრამ ქართველი ეკლესია ბოლშევიკებმა ტექურისტულების, რომ იგი სრულიად გალატაკდა. მთებედავად ამისა, კათაღიკოსი ღვთის იძულების სამსახურისა თავისი სემინარიის ერთი ნიჭიერი მოსწავლე გერმანიაში და რაჯი ჩემს შეხახებ სმენოდა, მოხოვა დავეხმარო, რათა აქ თეოლოგია ისწავლოს. ასე ჩამოვადა ახალგაზრდა ფერაძე, როგორც პირველი ქართველი თეოლოგი სტუდენტი გერმანიაში, ჩამოვიდა სრულიად უსახსროდ, მაგრამ ჩვენი შისის ხაზით აქ პოტსდამში კუმოეთ ბინა და შემდეგშიც ვიზრუნებ მას ზე. ეინაიდან საქართველოს ეკლესიას არ აქვს თეოლოგიური სახელმძღვანელოები ქართველ ენაზე და ბიბლიის თარგმანიც კი არ ვაჩინია თანამედროვე ქართულ ენაზე, ფერაძე აღსავსეა სურვილით, შეავსოს ეს ნაკლი ბერლინის თეოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ. რაკი იგი მოლიანად მე მომენდო, რათა ვუხელშძლვანელო, კათაღიკოსის სურვილის თანახმად, ე. ა. მე ღვთისაგან შივიღე ეს დავალება. ერთი შეიძლება გაძრავლდეს, რითაც ევანგელისტური თეოლოგია და კარს იპოვის უძველეს ქართველ ეკლესიაში.

პატივცემულო მამაო და ძვირფასო ქალბატონი ჩვენი რწმენის გულწრფელ თანახმართ და ვისურვებო მხნე, ხალისან ხანდაზმულობას. კულითადი კრისტულებით, ა. ლ.

იოპანეს ღეფსიუსის წერილი მამა ღაანსისადმი?

12. I. 1922 წ.

ძვირფასო შეკობარო!

შენმა წერილმა პატივდან მაღიან გამამჩნევა...

ახალი წლის პირველ დღეებში უკავი მოვიდა პირველი მერცხალი ქაქასიძან – ახალგაზრდა ქართველი თეოლოგი, რომელიც საქართველოს პეტარების კათაღიკოსმა გამომზარუნა, რათა მან აქ გერმანული თეოლოგია შეისწავლოს. აქამდე უკავი ქართველი სასულიერო პირი კიუმი ან მოსკოვში სწავლობდა რესულ თეოლოგიას.

გელითადი მოკითხვით, ... მაღლიერი სიყვარულითა და ერთგულებით, შენი ი. ღეფსიუსი.



იოპანეს
ღეფსიუსი

გრიგოლ ფერაძის წერილი იოპანეს ღეფსიუსისადმი

1922 წ.

ძვირფასო ბატონო ღოქტორო!

მომიტეკეთ, რომ აძლენ ხანს ვერ შევძელი მოსკლა, დღესაც ვერ მოვალ – ნაშადღევს ბერლინში უნდა ვიყო, უნივერსიტეტში. მე რამდენიმე სხით შეინჩება 1) Kittel: „Geschichte des Volkes Israel“ და 2) Oestreicher über Deuteronomium⁷ [.].

გთხოვთ, ბატონო ღოქტორო, ცოტა სხით მათხოვოთ ეს წიგნები.

უღრმესი გელითადი მოკითხვა თქვენ, თქვენს მუქლდეს და მოელ თქვენს ოჯახს.

ოქენი შვილობილი გრიგოლ ფერაძე.

⁷ წერილი საქმაოდ ვრცელია, დაახლოებით ორი ფურცელი, მაგრამ ჩვენ მოგვიავს მხელოდ ის მონაცემი, რომელიც გრიგოლ ფერაძეს შეეხება.

⁸ წიგნები და სტატიები დასახულებულია ზუსტად ისე, როგორც მითითებული იყო წერილში.

არტურ ლაისტის წერილი იოპანეს ლეფსიუსისადმი

თბილისი,
1922 წლის მაისის დასაწყისი.

ღრმად პატიკუმულო ბატონო,

დიდ მადლობას გიძლვნით იმ კეთილი და მამობრივი მიღებისაზე ერთ უცხოულოც თქვენ აღმოჩინეთ ახალგაზრდა ქართველ თეოლოგს ბატონ ფერაძეს. ბატიქტის ფერაძემ შაცნობა, რომ თქვენ განზრახული გქონიათ წერილი მიგეწერათ საქართველოს პატრიარქისათვის. რაიმე ასეთი კერჯერობით არ ჩამოსულა, რაც ძალიან დასახანია, რაღვან ეს ბიძვს მისცემდა კათალიკოსის სხვა თეოლოგებიც გამოევავნა. კერძანელ ნალხს აქ მნიშვნელოვანი კულტურული მისია აკისრია და მე იმყდი მაქვს, რომ თქვენც, ღრმად პატიკუმულო ბატონო, ყურადღებას მიაკციროთ აღმოსავლეთის ამ ნაწილს.

აქე გიგზაუნით შუამდგომლობას უშორჩილესი თხოვნით, ხელი შეგვიწყოთ მის შესრულებაში. გთხოვთ თქვენი პასუხი აქაური გერმანელი წარმომადგენლის მემვეობით გამოშევზავნით, ე. ი. წერილი აქ გადმოსაგზავნად ბერლინში საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცეთ.

ღრმა პატიკუმული მისამართისადმი არტურ ლაისტი.

მერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის ხახულობის უნივერსიტეტის ცნობა ეჭვმა უცხოელთა გადასახადისავან გათავისუფლებას]

16. VI. 1922 წ.

ბატონი მინისტრი მეცნიერების, ხელოვნებისა და განათლების სფეროში 1922 წლის 14 ივნისის ბრძანებით ათავისუფლებს ბატონ ვრივოლ ფერაძეს 1922 წლის ზაფხულის სემესტრში უცხოელთა გაზრდილი გადასახადისაგან.

•

იოპანეს ლეფსიუსი

აღმოსავლეთი ჩავალიან მოდის⁹

იანვრის პირველ დღეებში მომძებნა ახალგაზრდა ქართველისა, რომელიც ჩემთან ცნობილი გერმანელი ქართველობოვის არტურ ლაისტის წერილით მოვიდა. არტურ ლაისტი მრავალი წელია გერმანული სულისა¹⁰ და გერმანიის საქართველოსა და სომხეთისა მევობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის იღვწის კავკასიაში. მისი წერილიც ეხებოდა სურულებ, კიდევ ერთი ახალი კავშირი გაბმულიყო საქართველოსა და ვერმანიას შორის. წერილი, რომელიც ბატონ არტურ ლაისტის ბარათს ახლდა, უფრო დაწვრილებით ცხობებს იძლევად მომტანის პიროვნებისა და სურვილების შესახებ. მას ხელს აწერდა საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი, რომლის საპატრიარქო რეზიდენცია გელათის მონასტერშია.

არტურ ლაისტისა და ქართველი ეკლესიის პატრიარქის წერილები მოიტანა ახალგაზრდა თეოლოგმა, სწორედ მან, ვისზეც ლაპარაკია წერილში.

ბატონი ფერაძე გერმანულ ენას ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. ასე რომ, მას არა მარტო გერმანული წიგნების კითხვა შეუძლია, არამედ ჩემთანაც შეძლო საქმარე კარგად საუბარი, მიუჩვდავად იმისა, რომ ლაპარაკის პრაქტიკა არ პქონია. თავისი განათლების შესახებ შემატეობინა, რომ დაუმთავრებია თბილისის სასულიერო სემინარიის 6 კლასი. ამ 6 კლასიდან, რაც ზედა საფეხურია ასევე ექვსკლასიანი დაწყებითი

⁹ ეს ტექსტი დაცულია ლეფსიუსის არქივში წერილებთან ერთად. ჩვენთვის უცნობია, დაბეჭდა იგი საღმე თუ მიმართვის სახით დაიგზავნა.

¹⁰ Deutschtum.

საფეხურის შემდეგ, 4 კიბნაზის განათლებას უდრის, რომლის დამთავრებაც რუსულ უნივერსიტეტში სწავლის უფლებას იძლევა, თუმცა კლასი კი – მეხუთე და მეაქტე – განსაზღვრული იყო სახულიერო აკადემიამი სწავლისათვის მოსამადებლად. მისი თანაკურსელები, რომლებსაც არ სურდათ სახულიერო საქმიანობას გაპყოლოდნენ, თუმცა კლასის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში წავიდნენ. შხოლოდ სამი, რომლებსაც მსგავსი სურვილი გაუჩნდათ, უკრო დიდხანს დარჩნენ სემინარიაში, რადგან უნივერსიტეტში სწავლის სახსრები არ ჰქონდათ.

გრიგოლ¹¹ ფერაძეს, როგორც ქართული სოფელის მღვდლის შეიღს, სურდა ოეოლოგი გამხდარიყო. მან ერთადეურობა დამთავრია სემინარია



გრიგოლ ფერაძე

სახულიერო აკადემიისათვის საჭირო სიმწიფის ატესტატით. შეძევ, როგორც ეს მიღებული იყო რუსეთისაგან დაპყრობილ ქართულ ეკლესიაში, მას შეეძლო ესტავლა კიევის ან მოსკოვის სახულიერო აკადემიაში. სომხურის მსგავსად ქართული ეკლესიაც – აღმოსავლეთის ეს უძველესი ქრისტიანული ეროვნული ეკლესია – XVIII საუკუნის ბოლომდე სრულიად დამოუკიდებელი იყო, მაგრამ 1801 წლიდან, მეფე ალექსანდრე I-ის მიერ საქართველოს რუსეთის შეერთების შემდეგ, ისე დაჩავრა და შეავიწროვა რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიაში, რომ დამოუკიდებლობა მოლიანად დაკარგა და როგორც იმპერიის ეკლესიის ნაწილი, მასაც პეტერბურგის წმ. სინოდი მართავდა. რუსეთის რევოლუციამ და გერმანული ჯარების მიერ კავკასიის დაკავებამ შექმნა პირობა, რომ კავკასიის ხალხებს – ქართველებს, ხომხებსა და თათრებს შეუძლიათ რუსეთისაგან დამოუკიდებელი გახდნენ და თავიანთი სახელმწიფო მოაწყონ. ქართული ეკლესია ქართული ხალხის მაგალითს გაპყვა და გაწყვიტა არანგაულობითი კავშირი, რითაც მანამდე დაკავშირებული იყო რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ამით ქართულმა ეკლესიამ ერთი საუკუნის შეძევ პირველად მიღიო უფლება – გააგზავნოს თავისი ახალგაზრდა თეოლოგები მეცნიერელი განათლების მისაღებად რუსეთის გარდა სხვა უნივერსიტეტებში. გამოცდილება, რაც ქართველებმა რუსეთის ბატონობის ქვეშ მიიღეს, გასაგებს ხდის, რომ ქართველებსა და საქართველოს ეკლესიას ისე არაფერი ეჯაურებათ, როგორც აზრი, რომ დაბრუნდნენ კვლავ „დედა რუსეთის“ ქალთის ქვეშ. პირველ ახალგაზრდა თეოლოგებს, გრიგოლ ფერაძეს, რომელსაც შეკუმლია თავისეუფლების პარიზით ისუნთქოს, დიდი ხანია უნდოდა გერმანიაში დაესრულებინა სწავლა. კათალიკოსმა ამბროსიმ და ქართული ეპლესიის კრებამ მოიწონა მისი გადაწყვეტილება და გამოგზავნეს გერმანიაში სურველით, რათა სწავლა, თუკი ამისი სახსრები მოიძებნება, უვანგელისტურ ფაკულტეტზე დაასრულოს. პატივცემული პატრიარქი თავის წერილში გამოთქვაში იმის იმედსაც, რომ ქართული ეპლესიის მიერ გერმანიაში გაგზავნილ პირველ თეოლოგს სხვებიც მოჰყვებიან.

ქართულმა ეკლესიამ, როგორც ბატონი არტურ ლაისტი მწერს და გრიგოლ ფერაძე ადასტურებს, კავკასიაში ბოლშეკომუნისტების შექრის შეძევ დაკარგა თავისი ქონება. ისე რომ, ძალიან დიდ გასაჭიროება ამის გამო პატრიარქმა თავისი სემინარიის მოსწავლე მეტად მცირე ხახსრებით მოამარავა, რაც მგზავრობასა და გერმანიაში პირველ ხანებში ცხოვრებას ეყოფა შორეულ გზას. ხანგრძლივი და მძიმე მგზავრობის შეძევ თავის საბოლოო მიზნამდე მოაღწია. ქართული ეკლესია თავისი კრონწული და რელიგიური მოვალეობის შესახულებლებიდან თუ რამდენად საჭიროებს მეცნიერელი განათლებულ თეოლოგების, იქიდანაც ჩანს, რომ მას არ გააჩნია არც ახალქართულად ბიბლიის თარგმანი, არც ქართულ ენაზე დაწერილი თეოლოგიური სახელმძღვანელოები. საკულტო ლიტერატურა კერ ისევ ძველ ქართულ ენაზე სრულდება, ქართველი თეოლოგები კი იყენებენ მხოლოდ რუსულად დაწერილ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმძღვანელოების.

ჩვენ მივიღეთ ბატონი გრიგოლ ფერაძე ჩვენთან პოტსდამში იმ იმედით, რომ ჩვენი შეცობრები დაგვეხმარებიან მისი ცხოვრებისა და სწავლისათვის საჭირო სახსრების მოძიებაში. მან ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიური ფაკულტეტის პირველი სემინარი უკვე

¹¹ დედანშია გორგა.

გათარა. იმჯერთ სხვა თეოდორებისაც გამოყენებაში აღმოსავლეთის ძველი ქრისტიანული ეკლესიებიდან, რათა, ისევე როგორც მსოფლიო ომის წინ, მომავალშიც გავაფართოოთ მუშაობა აღმოსავლეთში ჩვენი დამხმარე დაწესებულების ფარგლებს გარეთაც. ძველი ეკლესიებისათვის სულიერი მოსისუნილებების დაკმაყოფილება მატერიალური გასაჭიროების აღმოსავლეთი პრობლემა. უძვობესია კუმსახუროთ უძველესი ქრისტიანული ერების აღორძინებას და მათ როგორც სულიერად, ისე მატერიალურად დავეხმაროთ.

როდესაც მუკამედმა ერთხელ მოას უბრძანა მასთან მისულიყონ! მთა ჟირ მხატვარულა, მოციქულმა სწავლა უხერხულობიდან თავის დაღწევა და თქე: „თუ მთა არ მიღის მოციქულობა, მოციქული მიუა მთასთან.“ ჩვენთვის საწინააღმდეგო ქმჯებაა გამოსავალი. რაკი ჩვენ ვერ მივდივართ აღმოსავლეთში, აღმოსავლეთი მოდის ჩვენთან.

პოტსდამი, 1922 წლის სექტემბერი.

იმ ახალგაზრდა თეოდორების ცხოვრებისა და სწავლისათვის განკუთვნილი შესაწირავი, რომლებიც ძველი აღმოსავლეთის ეკლესიებიდან არიან, გაუგზავნეთ დოქტორ ლეფხიუსს – პოტსდამი, აღმოსავლეთის მისია (სომხეთის დახმარების საზოგადოება¹²).

როგორიცაცის წევრებად გახდებიან შემომწირველები, რომლებიც 20 მარტს მანც გადაიხდიან დაწესებულების წლიური შემოსავლისათვის და განაცხადებენ წევრობის სურვილს. წევრები უფასოდ მიღებენ დაწესებულების ბეჭდვით თრიუმფს.

დოქტ. ლეფხიუსის (აღმოსავლეთის მისია) ძველი ქრისტიანული აღძისავლების კულტის გარდა სურს დაქმართს აღმოსავლეთის ხალხებსაც, განსაკუთრებით ქრისტიან სომხებს, სირიელებსა და ქართველებს. საშინელი გასაჭირის გამო საქართველოსა და სომხეთში განხაუთოებული მოთხოვნებია – აუცილებელია ათასობით ობოლი ბაკუთ შევროვდეს და გადამდები ავადმყოფობებით დაავადებულებს სამედიცინო დახმარება გაუწიოთ. გთხოვთ დახმარებას ჩვენს საქმეში.¹³

ორპანებ ლეფხიუსის წერილი არქიეპისკოპოს ნათან ზოუდერბლომისადმი

პოტსდამი,
19. X. 1923 წ.

დიდად პატივცემულო ბატონო დოქტორო ზოუდერბლომ,

ღირსო ბატონო არქიეპისკოპოს!

თქმავ კვლავ ქრისტიანული კუთილგანწყობა გამოავლინეთ ჩემი აღმოსავლეური მისიასა და სომხეთის დახმარების საზოგადოების მიმართ. ნება მიბოეთ, განსაკუთრებული მდგრადიობის გამო, კვლავ თქვენ მოვმართოთ თანავრძნობისათვის. ლმისა და მშვიდობის გასული 9 წლის განმავლობაში, ღვთის შეწევნით, ვეცადე წინ წამეწია მისიას ჩვენთვის საყვარელი საქმე, რომელიც სულ უფრო რთულდება. დღეისათვის დოლარი 10 მილიარდადეთა და პუნი 1 მილიარდი ღირს. მე აქ პოტსდამში შესანახი მყავს ერთი მაპმადიანი მოლა ნებიში, რომელიც 1909 წელს მოვნაოდეთ და ერთი ახალგაზრდა ქართველი ოეოლოგი გრიგორი უკრაძე. იგი გამომიგზავნა 1922 წელს საქართველოს ეკლესიის არქიეპისკოპოსმა, კათალიკოსმა, რომელიც უცნაველისტურ თეოლოგიას სწავლობს. 100 წელია, ყველა ქართველი მღვდელი კიუკში ან მოსკოვში სწავლობდა რუსულ ლექსისმეტყველებას. ჩემს მოღაწე სომხებ მეცნიერებს კოსტივე, ახალგაზრდა ქართველისათვის კი მინდა შვედეთს კონტაქტი დახმარება. ყველაზე კარგი იქნებოდა, ის შვედეთში გამეგზავნა, რაღაც იქ უკეთესად მოეწყობოდა. თუკი უნიკარტისტები თავისუფალ აღვილს მიიღებდა, მაკრამ მან 20 თვეში ბერინგი, ებრაული და გურიანული მეისწავლა ისე,

¹² საზოგადოება ღააარსა ა. ლეფხიუსმა.

¹³ აღნიშნული ტექსტი ერთგული დეფენსის წერილი.

რომ ადვილად ისმენი თეოლოგიაში ღვეულებს ბერლინში და საშინელება იქნებოდა, კიდევ ურთი ახალი უნის შესწავლა დაგვევალებისა მისთვის. ამასთან, რადგან ივი პირადაც მე მომანდებ, მინდა თავად გარვაგრძი მის განათლებაზე ზრუნვა. იქნებ თქვენ გაქვთ ტამე ფრთხი, ან იცით რომელიმე შვედური საზოგადოება, რომელიც დაეხმარებოდა იმჯრით აღსაკენ ქართველ თეოლოგს თავისი კეთილი მიზნების აღსრულებაში. ჩვენ მისთვის და მისი სწავლისათვის თვეში დაახლოებით 20 კრონი გვჭირდება.

დიდი ხანია არაუკრი მსმენია ჩემი პატივცემული მეგობრის, პროფესიონალურ და უფრო მეტანის შესახებ. წინა ათწლეულებში მეც ბევრს ვძოგჩაურობდი (და უფრო სამოგზებით წავიდოდი შვედეთში, ვიდრე გერმანიაში), მაგრამ ჩვენ, გერმანელები, თითქოს უკაცრიელ კუნძულზე ვართ და რობინზონიადას უნდა შეკეგეოთ. რობინზონ კრუზოსაც თავისი მისია ჰქონდა.

ღრმა პატივისცემით და მშენი მოკომებით,
თქვენი მდგრადი მომსახურის მიმსახური დოკტ. იოანეს ლევაბიუსი.

გრიგოლ ფერაძის წერილი იოანეს ლევაბიუსისადმი

როდმა (დაბია),
20. VIII. 1924 წ.

ქვირფასო ბატონო დოქტორო!

დკანის შეწევნით, ორი კვირის წინ მშეიდობით ჩამოვედი როდიში. აქ, მართალია, ცოტა უკეთ ცხოვრობენ, მაგრამ არ არის კარგი სამუშაო პირობები. მე მუდმივი საცხოვრულებელი აღიღილო არა მაქვს და ერთი სახლიდან მყორები უნდა ვიარო, ამიტომ არც ხიმშეკიდე მაქვს და ამდენად, არც სურვილი დიდი ხნით აქ დარჩენისა. ხალხი ძალიან თავაზიანია და კეთილი ჩემ მიმართ. პირველი ვიზიტი მქონდა მღვდელთან — ისიც და მისი მეუღლეც ძალიან თავაზიანები იყვნენ.

სხვამნივ კარგად ვარ, ჯანმრთელად. შეიძლება ცოტა წნით კოპენჰაგენში წავიდე, ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ძალიან მინდა.

გულითადი მოკითხება თქვენს მეუღლესა და ქალიშვილებს.

გადაეცით ჩემი მოკითხვა ბატონ ბრაუნსაც.

თქვენი შეიღობილი გრიგოლ ფერაძე.

გრიგოლ ფერაძის წერილი იოანეს ლევაბიუსს

რობია,
1924 წლის ავგისტო.

ქვირფასო ბატონო დოქტორო!

მომიტევეთ, გეთაეთა, რომ ამდენ ხანს არ მოისწერო თქვენთვის. ახლა უფრო ხშირად მოგწერთ ხოლმე, რაკი კრითი ბატონისაგან საფოსტო ბარატები მიეღიდე. არ არის საჭირო, რომ თქვენ მოპასუხოთ. ღმერთის კონცერტები და თქვენი საყვარელი ოჯახი კარგად, ჯანმრთელად იყოთ და განკითხვის ემს ღმერთმა დავითაროთ.

მე ძალიან კარგად ვარ, კუსმარები მღვდელს მინდორსა და ბალში, ბევრი თავისუფალი დრო ძაქვს სწავლისათვის. ახლა უმეტესად ბერძნულს ვსწავლობ და ვკითხულობ ახალ აღთქმას, ვიმეორებ ეკლესიის ისტორიას. მღვდელს გერმანული წიგნები არა აქვს და არც განსაკუთრებულ ინტერესს იჩინს თეოლოგიისა თუ მეცნიერების მიმართ, ძველი აღმოსავლური ქრისტიანობისა და ეკლესიების შესახებ არაფერი იცის და არც სურს იცოდეს. გოთიკთ, შეანსენით ბატონ დეკან შეფერს, კულტურის მანისტრს, უცხოური გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ უნივერსიტეტში მუამღვომლობა გაძოგჩავნოს. სოფელი, სადაც მე კუსოვრობ, ძალიან პატარაა, არავინ ლაპარაკობს გერმანულად. მე დიღხანს

არ მინდა აქ დარჩენა, მსეული ძალე ისევ გერმანიაში დაკარგუნდე — თუმცა იქ ყოფნა ახლა მეტად ძნელი და საშიშია.

გრიგორი მოკომახევი ქადაგისატონი ბრივი და მავშვები.
თქვენი შეიღობილი გრიგორი უკანასკნელი

ერთონის
გრიგორი მოკომახევი

გრიგორი ფერაძის წერილი იოანეს ლეფხიუსისადმი

ნილი,

26. IX. 1924 წ.

ძვირფასო ბატონო დოქტორო!

გულითადი მოკითხვა თქვენ, თქვენს მუედლესა და ოჯახს. როგორ პრინციპით? მე ვერა ვარ მაინც დამაინც კარგად. იმის გარდა, რომ აქ მუდმივი საცხოვრებელი არა მაქვს და ერთი სახლიდან მეორეში უნდა ვიხეტიალო, ცუდი ცნობები მომდის ჩემი ქვეყნის შესახებ. არეულობა, ჩაგვრა, ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარის მკულელობა... ის ჩემი მცენობარი და მასწავლებელი იყო და ძალიან ბევრი გააკეთა ჩემი გერმანიაში გამოვზარნისათვის. 68 წლის მიტროპოლიტი ერთ წელიწადზე მეტ ხანს ციხეში იჯდა. ასლახან ვამოუშვეს და ქუთაისში ცხევრიობდა. ბოლშევიკებს, რომლებსაც ეკლესიის გახლება სურთ, უნდოდათ მისოვის პატრიარქობის გადაცემა, რადგან მისი უწმინდესობა პატრიარქი ამბროსი ავადაა და ჯანმრთელობა შერყეული აქვს. მიტროპოლიტმა, რა თქმა უნდა, უარი თქვა ამაზე... მასთან ერთად დავკარვე ყოველივე საუკეთესო, რაც საშმიდლოსთან მაკავშირებდა და მახარებდა.¹⁴ ცოტა ხნის წინ წერილი მივიღე ბატონ შეფერისავან. არ ვიცი, ცნობილია თუ არა თქვენთვის მისი შინაარსი. არ მესმის, რატომ უნდა ჩემი წყვინინება. მე თქმომბრის შეა რიცხვებში ჩამოვალ. გულითადი მოკითხვა ბატონ შეფერს და ნებიში-უფრენდის.

სამარტინი თქვენი პადლიერი და მოგვარული გ. ფერაძისაცამ.

გრიგორი ფერაძის წერილი იოანეს ლეფხიუსისადმი

დაჭრიული, 1925 წ.

ძვირფასო ბატონო დოქტორო!

კურთხეულ და ბედნიერ ახალ წელს ვისურვებთ. დიდი მოკითხვა თქვენს მუედლესა და ქალიშვილებს. 20 დეკემბერს, შაბათს, შუადღეს ჩამოვედი კელნში, ბატონი პროფ. გუსენი ბაქანზე დამხვდა. ერთად ვისალილეთ, მერე სწრაფად დამათვალიერებინა კელნი და შემდეგ ბონში წავედით.

როდესაც გზაში ვკითხე, სად უნდა ვიცხოვოთ და რა პტვია ოჯახს-მწოქი, მითხრა: „შოავარია, დიასახლისი კარგ საჭმელებს ამზადებდეს და აცხომდეს. მე ჩამორად მოვალ ხოლმე ყავის დასალევად.“ შაბათს ჩემს ახალ ბინაში შიმიდვანა. ეს ოჯახი ძალიან თავაზიანი და ყურადღებიანია. აქ მომხიბლავი სიწყნარეა და კარგი პირობები მაქვს, ასე მცირე დროში

¹⁴ ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი (1855-1924) მის თანამომე მარტივილებთან ერთად (კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, ეპისკოპოსები — ალექსანდრე და გაბრიელი, ბერი თევდორე...) საქართველოს ეკლესიაში წმინდანად შერაცხა. ეს უცნაური და დამატებით შეხვედრაა — გრიგოლ ფერაძე, რომელიც 1924 წელს თავის მამობრივად მზრუნველ მეგობარს ნაზარის დასტირის, როგორც ბოლშევიკერი დევნის მსხვერპლს, თვითონ ფაშისმის მსხვერპლი გახდა და ნაზარის მოწამეობრივი სიკვდილიდან 71 წლის შემდეგ მასთან ერთად წმინდანად შეირაცხა.

მთავარი მასალა მაინც რომ შევკრიბო. პროფ. გუსენი ჩემ მიმართ ძალიან თავაზიანია და კეთილგანწყობილი. მაბათს მისგან წინასწარ მივიღე Lexicon syriacum Brockelmann.

ივი ხშირად მოღის. იმ ოჯახში, სადაც მე ეცხოულობ, გუსენი ძალიან უყურო. ჩემი სახლის პატრონი მემაშულება და უშუალოდ ბონში არ ცხოვრობს — მას მოისუბი ჰყავს, ცხენები და სხვა საქონელი. პროფ. გუსენი ჩემგან მოშორებით ცხოვრობს, მთაშე, მონასტერში. იქდან მშენები ჩედები იმღება — დრაკონის კლდე, კელნის ტაძარი.

მე აქ დაახლოებით 6 იანვრაშდე დაერჩები და მერე დავბრუნდები.

თქვენ და თქვენს საყვარელ ოჯახს ბედიერ დღესასწაულს ვისურებთ, გოზოვთ მოიკითხოთ თქვენი მუჟლლე, ქ-ნი ბრიგიტე, ქ-ნი ვიოლა, ანგელა და ბატონი ბრაუნი.

რამდენიმე დღის წინ ბარათი მივიღე ვისბადებიდან. თქვენ მწერთ, ბონიდან ვისბადენში ჩამოვიდე, ახლა, სამწუხაროდ, არა მაქვს დრო. ბონის უნივერსიტეტი ლამაზია და დიდი, განსაკუთრებით მშვენიერია რაინი ზაფხულში, როცა ჭრელი გემები დაცურავენ.

მე აქ სტატია ვიპოვე საქართველოშე და გიგზავნით მას ამონაბეჭდის სახით. კიდევ ერთხელ ყოველივე კარგს კუსურივებ თქვენს ოჯახს და გემშვიდობებით.

თქვენი გრიგოლ ფერაძე,
ძირი.

გრიგოლ ფერაძის წერილი იოანეს ლეფხიუსისადმი

5. I. 1925 წ.

ძვირფასო ბატონო დოქტორო!

ღვთის კურთხევას, ჯანმრთელობასა და ძალის ვისურებით ახალ წელს! გულითადი მოკითხვა თქვენს მუჟლლეს და თქვენს საყვარელ მეოულებს. მე კარგად ვარ და გადაწერაც თითქმის დავამოავრე — ბერლინში მოკაწესროგებ კიდევ და კორგმი იმას, რაც სათავემნელად მნელი იყო.

სემესტრი უკვე იწყება, მე ისევ ბერლინში უჩდა წავიდე და ყველაფერს პირადად მოვიყებით ჩემს აქ ცხოვრებასა და საქმიანობას.

დიდი მოკითხვათ, თქვენი გრიგოლ ფერაძე.

P. S. აქ ხალხი ძალიან კეთილია, დიდი სიყვარული და ყურადღება გამოისულავნეს ჩემდამი, ახლა დროა, შინ წავიდე — მხოლოდ მეზავრობის ფული არა მაქვს.

იოანეს ლეფხიუსის წერილი თ. შნაიდერისადმი

პოტსდამი,

4. III. 1925 წ.

დიდად პატივცემულო ბატონო!

დიდი წნის ავადმყოფობის გამო ვერ შეეძლი პასუხი გამეცა თქვენს თავაზიან წერილზე და მაღლობა გადამენადა ჩემი საყვარელი მეცობრის ავეტარანიანის საფლავის ფოტოსურათისათვის, ავრეთვე თქვენი ყველა სიკონისათვის, რაც ბატონი ფერაძისადმი გამოიჩინეთ. სამწუხაროდ, სანატორიუმში ვერ მოგიძებნით სტატიას.

ჩვენი სამისიონერი საზოგადოებისათვის თქვენი მეგობრული სამსახურით და იმ მართლივი შზრუნველობით, რაც გრიგოლ ფერაძისადმი გამოიჩინეთ, ბევრი კარგი გაკეთეთ. მე მოსარელი ვიქნები, თუ შესაძლებლობა მექნება თქვენთან შეჩვედრისა და პირადად მაღლობის გადახდისა.

ღრმა პატივისცემით, თქვენი ერთგული იოანეს ლეფხიუსი.

ოთხანეს ლეფსიუსის წერილი თ. შნაიდერისადმი

დიდად პატიკეცებული ბატონო,

მე ინტერესით წავიკითხე თქვენი ბროშურა... და დავრწმუნდი: არავითარი საფუძველი არ არის კიურაულოთ, რომ თეოლოგიურად სიხვაგვარად კუიქრობ, კუდრე თანა, თუნდაც ვაზევეტიკისა და წყაროთა კრიტიკული შექმასების ცალკეულ საკითხებში აჩროა სიხვაგვარისა იყოს...

როგორც ჩანს, თქვენ მცდარი შეხვეულება შევემნათ ჩემი თეოლოგიური შეხვეულებების შესახებ, ამიტომ მადლობის ჩიშნად იმ სიკეთისათვის, რომელიც ბატონ თეოლოგ ვრიგოლ¹⁵ ფერაძისადმი გამოიჩინეთ, ვიგზავნით ჩემი წიგნის – „იქნოს ცხოვრების“ კრიტიკულარის.

ვანსაურუსული პატიკისცემით, თქვენი ითხმ ლეფსიუსი.

ოთხანეს ლეფსიუსის წერილი გრიგოლ ფერაძისადმი

25. X. 1925 წ.

საყვარელო გრიგოლ!

გმადლობთ ბონიდან სხვადასხვა დროს გამოგზავნილი თქვენი ბარათებისათვის, ასევე ბოლო წერილისათვის ვისბადენიდან. მე უფრო ხშირად მოგწერდით, მოელი უს დრო რომ მძიმედ არ ვყოფილიყავი ავად და ჩემი მცირე ენერგიის დაზოგვა არ დამჭირვებოდა. მოხარული ვარ, რომ ასეთი წარმატებები გაქვთ მუშაობაში.

მე დაახლოებით 8 კვირით მივდიუან მერანში დასასვენებლად. შობისათვის, ვფიქრობ, ისევ სახლში ვიქნები.

კულითადი მოკოთხვით, თქვენი ი. ლეფსიუსი.

გრიგოლ ფერაძის წერილი ითხმ ლეფსიუსს

9. XI. 1925 წ.

ძვირფასო ბატონო დოქტორო!

იმედია, ბეღნიერად ჩამოხვედით და თქვენი ჯანმრთელობაც გაუმჯობესდა. 31. X – გავემგზავრე ვისბადენიდან. 2. XI – ბატონ პროფესორ ქალესთან ვთქავი. მან მირჩია ზოგი რამ შემეცვალა. იმედია, ამ თვის ბოლომდე მოვრჩები. ვადაწერა აღარ მჭირდება, 100 მარკა მაინც დაიზოგვება. შემდეგში ნაშრომი – ძას ასე სურს – კიდევ ერთხელ უნდა ვადავამუშავო. მე ბატონ შეფერს მოვწერე და შევატყობინე, რომ თქვენი კეთილი თანხმობით სემესტრის ბოლომდე ბონში დავრჩები. ჯერჯერობით პასუხი არ მიმიღია. ამ თვის ფული ჯერ არ ამიღია (არც იქტომბრის). საბედნიეროდ, პროფ. გუსენი ამ სემესტრში სომხურს კითხულობს – ჩვენ ფავსტოს ბიზანტიელის ქრონიკები წავიკითხეთ. ის ქართულსაც კართულობს დამწევებთათვის. მე მოვისმენ სომხურის შ ქურსს, ებრაულ გრამატიკას, არაბულს დაძუფლობოვის და თუ უკელაფერი კარგად იქნა, თებერვლის ბოლომდე დავამთავრებ სწავლას. გულითადი მოკითხვა თქვენს მეუღლესა და ქნ დოქტორ ცელერს.

დიდი გულითადი მოკოთხვით, თქვენი შეილობილი გრავოლ ფერაძე

¹⁵ დედანშია გიორგი.

გრიგოლ ფერილი იოანეს ღევთხისადმი

16. XI. 1925 წ.

ძვირფასო ბატონო ღოქტორო!

იმედია, კარგად ბრძანდებით და ოქტონი ჯანმრთელობაც გაუმჯობესდა — მოქლი გულით გისურვებთ გამოჯანსაღებას და ენერგიას ახალი მუშაობისათვის. ერთი რეზულტა.

სამუშაო უკვე დამთაკრდა და მაღე გადავცემ. საბედნიეროდა ჩრდილიშიდა გადაწერა. ძალიან მიხარია, რომ დავზოგი სამუშაო დრო და, პირველ ყოვლისა, ფული.

შეიძლება, ზოგი აღვიდი და ბოლო ნაწილი ცოტა შეიცვალოს და გადაიწეროს. პროფ. გუსენის აზრით, სამუშაოს ამ სახით გადაცემა შეიძლება. შეძლები, დაბეჭდვის წინ, თქვენი დახმარებითა და რჩევებით, პოტხლამში (ალბათ მარტში) შესწორდება და შეძლება.

დღეს გადავცემ უაკულტეს განაცხადს: შეიძლება თუ არა, გამომცადონ ქართულსა და სომხურში. მოუთმენლად კელი პასუხს. თუ უარს მეტყვიან, მთავარ სავალ რელიგიის ისტორიას, სემიტოლოგიასა და სლავისტიკას ავილებ გოუცთან.

თქვენთან დიდი თხოვნა მაქს, ძვირფასო ბატონო ღოქტორო! გაფორმებისას გამომცემლის ცნობა უნდა დაუკურთო, რომელშიც ნათქვამი იქნება, რომ ნაშრომი შემდეგში (1-2 წლის განმავლობაში) მასთან დაიბეჭდება, თორემ არ მიიღებენ. თქვენი ძალიან მაღლობელი ვიქები, თუ ბატონი შეფერი, თქვენი თხოვნით, ასეთ ცნობას მომცემს. მოგვიანებით მე ნაშრომს გადავამუშავებ, როგორც ოქვენ გსურთ და როგორც საჭირო იქნება. ეს ცნობა სასწრაფოდ მჭირდება.

მე უკვე გამოგიგზავნიდით ნაშრომის, მაგრამ ამჟამად კარგი ეგზემპლარი მხოლოდ ერთი მაქს, რომელიც უნდა გადავცე. ნაშრომი კიდევ ერთხელ რომ გადამეწერა, ასეს გამოგიგზავნიდით.

როგორც დამიბრუნებენ, მოგაწვდით.

ბატონი შეფერისაგან ჯერ არა მაქსი რაიმე ცნობა, თუმცა ბევრი ბარათი მივწერე. ამ სემესტრში ცოტა მეტი მჭირდება, რადგან საერთო გადასახადებს დაცვის¹⁶ გადასახადი ემატება — დაცვა 200 მარკა ღიას.

მიხარია, რომ აქ, გერმანიაში, დაწყებული ხწავლა ამ სემესტრში მთავრდება. დიდად ძალიან გადამობელი ვარ თქვენი, ბატონო ღოქტორო, ამ სიხარულისათვის. ამ მაღლობას არა მარტო სიტყვით დავადასტურებ, არამედ საქმითაც.

გულითადი მოკითხვა თქვენს საცვარელ მუკლებს, ქნ ღოქტორ ცელებს, მაღე გამოჯან-მრთელებას გისურვებთ და გემშვიდობებით.

თქვენი მინა მორჩილი და მაღლიერი გრიგოლ ფერი.

აღის ღევთხისის წერილი რ. შეფერისადმი

ბერლინი,
7. I. 1930.

ძვირფასო ბატონო შეფერ!

ბატონი ფერაძე ძალიან მახარებს და მაოცებს, რა გატაცებით დაიწყო ახალი საქმე.¹⁷ ეჭვიც არ მეპარება, რომ კარგად გამოუვა, ყოველ შემთხვევაში პარიზში მუშაობა ცოცხალი საქმე იქნება და უფრო ძეტ ქმაყოფილებას მოუტანს, ვიდრე ღექტორობა. ჩემი ქმარი დიდი სიხარულით მიესალმებოდა თავისი მოწაფის ამ ახალ წინსვლას.

გულითადი მუკლები, თქვენი აღის ღევთხის.

¹⁶ იგულისხმება, დისერტაციის დაცვა. როგორც ვიცათ, გრ. უკრაძემ ბონის უნივერსიტეტში დაცვა დისერტაცია თემაზე — „ბერმონაზენობის დახასიტი საქართველოში“. სამწუხაროდ, დედანი მიკალებული არ არის. გამოქვეყნებულია მხოლოდ 40 გვერდი.

¹⁷ ლაპარაკია გრ. უკრაძის მიწვევაზე პარიზში, საღაც მან ქართველი ემიგრანტების სულიერი მოძღვრობა იტვირთა წმ. ნინოს სახელობის კედებისაში.

რ. შეფერის წერილი აღის დეფენსიუსისადმი

პოტი სდ. მო,
8. I. 1930 წ.

დიდად პატიკეცემულო, ძვირფასო ქალბატონო დოქტორო!

ფერაძეს პარიზში თავისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს. პარნაკმაც¹⁸ ურჩია არ წასულიყო, უნდოდა ბონში მისი უკუთხესობელისათვის ეზრუნა. მე მკონია, რომ მას მეცნიერული მოღვაწეობა უფრო შორს წააჭინოს, უზრუნველყოფილობა და სულიერ მამად არჩევა.

გულიოსი მუკითხვით, თქვენი ერთვული რ. მ.

¹⁸ ადოლფ ფონ პარნაკი — გერმანელი მეცნიერი, მოღვაწეობდა ბონში, ფერაძის მასწავლებელი.

რამდენიმე საბუთი გრიგოლ ვერაძისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობის ისტორიიდან

ერეკლესი
ბერძოლისა

1918 წლის 26 იანვარს თბილისში გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომლის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1919 წლის დეკემბრიდან რექტორი, ივანე ჯავახიშვილი იყო.

გრიგოლ ფერაძე უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი 1918 წელს გახდა. 1921 წელს მან სწავლა ვერმანიაში, ბერლინის უნივერსიტეტში განავრით.

1993 წელს პროფ. გურამ შარაძემ გამოაქვეყნა საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საინტერნო არქივში დაცული 2 დოკუმენტი, რომლებიც გრიგოლ ფერაძისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობას შეეხება. 1923 წლის 13 დეკემბერს გრ. ფერაძემ ივ. ჯავახიშვილი შემდეგი შინაარსის წერილი გამოუვავნა: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს – ივანე ჯავახიშვილს ბერლინის უნივერსიტეტის თვოლოვის ფაკულტეტის სტუდენტის გრიგოლ ფერაძის თხოვნა. გახლებთ რა ამასთანავე ბერლინის უნივერსიტეტის თვოლოვის ფაკულტეტის დეკან პროფ. დაისმანის რეკომენდაციას, უმორჩილესად გოხოვთ დამინიჭნოთ ამჟამად ჩემ გაჭირვებულ ნივთიერ მდგრამარიუმის გამო თქვენ განკარგულებაში ძეოთ წყაროდან სტაციონდა. 1921 წლის დეკემბრიდან ვიღრე ამ წლის შემოდგომაშე სტაციონდას ვიღებდი გერმანულ ორიენტ. საზოგადოებიდან, რომელიც თანამედროვე პირობების გამო აღარ არსებობს. კითელები ამჟამად მე-4 სემესტრზედ და ჩემ მიზანს მომავალში შეაღენს ქართულ საეკლესიო ისტორიის მეცნიერების და ქართულ ბიბლიოლოგიის დარგში სამსახური“ (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 471. აღწ. I. საქმე № 163. ფურც. 4; იბ. 2. 396).

გრიგოლ ფერაძის თხოვნა ივანე ჯავახიშვილმა 1924 წლის 3 იანვარს მიიღო, ხოლო 8 იანვარს წერილი გაუგზავნა საქართველოს განათლების სახალხო კომისარის – დავით კანდელაკეს, რომელიც აღნიშნავდა: „როგორც ჩვენ მიურ მიღებულ პროფესორ დაისმანის რეკომენდაციიდან სჩანს, ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტი გრიგოლ ფერაძე სპეციალურად სწავლის ებრაულ და ასურულ ენებს. ამჟამად ეს სტუდენტი მეტად გაჭირვებულ მატერიალურ მდგრამარეობაში იძყოფება და ამის გამო საშუალება არა აქვს წესიერად იმეცადინოს. სახელმწიფო უნივერსიტეტს აღნიშნული ენების მცოდნე პირი ძლიერ ესაჭიროება და ამვეარ პირად შეიძლება გამოვიყენოთ სტუდენტი ფერაძე. ამიტომ ეშუამდგომლობ თქვენს წინაშე, დაენიშნოთ სტუდენტ ფერაძეს სახელმწიფო სტაციონდა ორი წლის განმავლობაში მაინც“ (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 471. აღწ. I. საქმე № 114. ფურც. 17; იბ. 2. 396).

თბილისის უნივერსიტეტის რექტორის შეამდგომლობა უშედეგო გამოდგა – საბჭოთა ხელისუფლებას მეცნიერი თვოლოვები არ სჭირდებოდა. ივ. ჯავახიშვილისა და გრ. ფერაძის ურთიერთობა შემდგომშიც გაგრძელდა. 1976 წელს ანა ბაქრაძემ და ნათელა ჯავახიშვილმა გამოსცეს ქ. ქაველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა, სადაც, სხვა მასალებთან ერთად, მოცემულია გრიგოლ ფერაძის

ამჟამად ჩვენ საშუალება გვაჭის აღნიშნული წერილები მკითხველის პირული სახით შეეთავაზოთ და შემოვიტანოთ საქცენტო მიმოქმედაში. წერილები ქრონოლოგიურად 1925-1939 წლებს განეკუთვნება და მუზემი უკუკუჭული ცნობები უაღრესად საინტერესოა როგორც გრ. ფერაძისა და ავტოგრაფების ურთიერთდამოკიდებულების, ისე ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

წერილების შინაარსი ამგვარია:

1) 1925 წლის 2 თებერვალი (ბერლინიდან): გრიგოლ ფერაძე ენება თავის მუშაობას გერმანიაში, სამოძალო გეგმებს და სოხოვს დაეხმაროს სამშობლოში დასაბრუნებელი ვიზის მიღებაში;

2) 1929 წლის 7 აპრილი (ბონიდან): ეხება ბონის უნივერსიტეტში ქართული განყოფილების გაძლიერებას, სოხოვს მხარდაჭერას ქართული მეცნიერების პროპაგანდისათვის გერმანიაში, აცნობებს თავისი მუშაობის მიმდინარეობას;

3) 1929 წლის 26 ივნისი (ბონიდან): ეხება ბონის ორიენტალისტთა V კონგრესს, მის მიერ წაკითხულ მოხსენებასა და კონკრეტის მოხაწილეთა მიერ მიღებულ რეზოლუციას. კვლავ აცნობს ივანე ჯავახიშვილის თავისი მუშაობის მიმდინარეობას;

4) 1939 წლის 28 ივნისი (კარშაკიდან): ეხება თავის მუშაობას პატროლოვის პროფესორად გარმავის უნივერსიტეტში და ამასთან დაკავშირებულ სიძნელეებს; გამოთქვამს სამშობლოში დაბრუნების სურვილს; წეს თავისი ბიბლიოთეკის მომავალ ბეჭედს.

უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი ურთიერთობა გრიგოლ ფერაძესა და ივანე ჯავახიშვილის შორის ცალმხრივი არ ყოფილა, თვით გრიგოლ ფერაძის წერილებიდანაც, რომლებსაც ქვემოთ მოცემული, ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილი ინარჩუნებდა მასთან კონტაქტს (ურთვან გრ. ფერაძე მიუთითებს: „თქვენ მიერ გაძლიერდი წერილი უკვე რამდენიმე დღეა, რაც მივიღე“). ივანე ჯავახიშვილის წერილები გრიგოლ ფერაძისადმი ამ უკანასკნელის პირად არქივში ინახებოდა. სამწუხაროდ, როგორც გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვაში მიუვარდით, მისი პირადი არქივი ამჟამად დაკარგულია ითვლება.

აქვე გთავაზობთ ხსენებულ დოკუმენტებს (ავტორის სტილი უცვლელად დაკრიტიკით, ზოგ ადგილას მხრივოდ პუნქტუაციის ნიშნები შეცვეალეთ; გრიგოლ ფერაძის მიერ შემოკლებულ ხიტყვებს დასრულებული სახე მიეკვით, ხოლო დამატებული ასოები თთხულისა ფრჩხილებში ჩავსვით (მაგ. საექსლესიო მუზეუმი)).

პუბლიკაციას ბოლოში დაუტოვეთ კომენტარები.

გრიგოლის ბიბლიოთი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
თბილისის სამართლებრივი ინსტიტუტის გარემონდის დოკუმენტი

ლიტერატურა

1. ანა ბაქრაძე, ნათელი ჯავახიშვილი. იუნი ჯივა- 2. გურამ შარაძე. უცხოეთის ცის ქვეშ. 2. თბ. ხიშვილის პირადი არქივის აღწერილი. თბ., 1976.
2. გურამ შარაძე. უცხოეთის ცის ქვეშ. 2. თბ. 1993.



1.

ა. გიგალიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.
ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი. № 2271. ფ. 1-3.

ფურც. 1

დიდათ პატივცემულო ბატონო რეკტორო!

ამასთანავე ერთად უმორჩილესად გიხსოვთ, მომიხერხოთ უნივერსიტეტიდან ვიზა სამშობლოში დასასრუჩებლად. გამოველ საქართველოდან 1921 წელს ნოემბერის კანონიერ გზით ვერმანეთში თეოლოგიურ განათლების მისაღებად. თეოლოგიური კურსი ბერლინში პრინცესის [ოფიციალურ] პარნაკის¹, პოლოლის² და დაისმანის³ ხელმძღვანელობით უკვე კანდიდატის ხარისხით დავასრულე.

ამასთანავე ერთად და თანდათანობით ჩემთვის ცხადი შეიქმნა აუცილებლობა ჩეენ სიძველეთა გამოსაკვლევათ ორიენტალურ ენათა ჰედმიწევნით ცოდნა, უპირველესად ყოვლის, ებრაულ, სირიულ და სომხურისა – პირველის მხოლოდ ჩეენი ბიბლიის ძველ-აღთქმის ტექსტის ისტორიისათვის, ხოლო ორ უკანასკნელ, საერთოდ, ჩეენ კულტურულ ისტორიისათვის.

ფურც. 2

ებრაულ ენაში უკვე ჩავაბარე გამოცდა ბერლინში პრინცესის [ოფიციალურ] ხელმძღვანელობან⁴; სირიული ენა დავიწყე პრინცესის ბროკელმანის⁵ ხელმძღვანელობით და შემდეგ სემესტრში გადავდივარ ბონნის უნივერსიტეტში⁶ ამ ენის პრინცესის ბაუმშტარკუთან⁷ შესასწავლად; სომხური ენა დავიწყე აქ პრინცესის მარკვარტთან⁸ და ბონნში გავაგრძელებ გუსისენთან⁹. ბონნში ვაპირებ ორიენტალურ ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოხვეჭას და ჩემ შემდეგ მიზანს შეაღენს ჩეენ უნივერსიტეტში სამსახური ებრაულ და სირიულ ენათა კათედრებზედ. სადასერტაციო თემა ათონის სკოლის ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ უკვე მაქვს აღებული.⁹

წინასწარი განათლება მივიღე თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის სრული ვათავება, თუმც მისი დახურვის გამო არ მეღირსა, მაგრამ მიუხედავად ამის, საქათალის [იკონის] საბჭოს დადგენილებით იქნ გადაწყვეტილი ჩემი გერმანიაში თეოლოგიის შესასწავლად გამოვჩავნა.

თბილისში მცნობს ბატონი პრინცესის [ოფიციალურ] კეკელიძე.¹⁰

ფურც. 3

დიდი მადლობელი ვიქენები, თუ უნივერსიტეტით სამშობლოში დაბრუნების საშუალებას მომცემთ. მზად კარ თქვენ შეკითხვაზედ საბუთები გამოვიგზავნოთ.

ვიხდი ბოდიშს თქვენი შეწუხებისათვის და ვრჩები მარადის თქვენი პატივისმცემელი.

გრიგოლ ფერაძე.

P. S. 1923 წლის გასულს გამოუგზავნე უნივერსიტეტს თხოვნა საბუთებითურთ¹¹, მაგრამ არავითარი პასუხი არ მიმიღია.

Potsdam, Elisabetstr. 18.

St. phil. or. Gregor Peradze.

ბერლინი. 2. II. 25.

2.

პ. კეცელიძის სახელობის ხელნაწერთ, ინიტიტუტი.
ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი. № 2272. ფ. 1-3.

ერთიანი სამართლი

სამართლის სამართლი

ფურც. 1

დიდად პატივცემულო ბ[ატონო] პროფესორო!

თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილი უკვე რამდენიმე დღეა, რაც მივიღე. სამწუხაროდ, პასუხის მოწერა დამიგვიანდა. გულითადი მადლობა მისოვის. გიგზავნით ამ წერილს ტფილისში, ვინაიდან ამ წერილის მიღების ხანებში თქვენ უკვე, თქვენი წერილის თანახმად, ტფილისში შეგულებით.

დიდი მადლობელი ვარ რჩევა-დარიგებისათვის. სირიულ Gram[matik-ის] შესაღენად პრ[ოფესორ] Baumstark-ს მოველაპარაკე. მანაც თქვენი აზრი მოიწონა და ყოველგვარი დახმარება აღმითქვა. მისი დახმარება კი აუცილებლივ საჭიროებას მოითხოვს, ვინაიდან მიუხედავ[ად] მრავალ სირიულ სახელმძღვანელოების, არცერთი რიგიანი სირ[იული] სახელმძღვანელო არ არსებობს. პეტრე ქართველის¹² გარდა მეგულებიან რამდენიმე სხვა ტექსტები, სადაც საუბარია ქართველებზედ. სამუშაო ბევრი მაქვს და თუ გარანტია მომეცემა მის დაბეჭდვის, შევუდგები თადარიგს.

რაკი საბინინის გამოცემა აბიბოს ნეკრ[ესელის] ცხ[ოვრების არც ისე დამახინ-ჯებულია და ბ[ატონმა] კაკაბაძემაც¹³ უკვე ე. წ. „არხეტიპები“ გამოსცა, იმ ცხ[ოვრების გადაწერა საჭირო აღარია და დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ შევაწუხეთ. სამავიეროდ, სხვა რამეს გთხოვთ. კეცელიძის „უცხო ავტორების“¹⁴ ერთი ნაწილი უკვე ვთარგმნე გერმანულად და „ა“ უკვე დაბეჭდილია „Oriens christianus“-ში¹⁵ (ამონაბეჭდის რომ მივიღებ, გამოგიგზავნით). დიდი მადლობელი ვიქმნები, თუ მანდ ვისმეს ბასილი დიდის ეპისტოლეთ, სახელდობრ: საეკლესიო] მუზ[უმი] 171₄₄₈₋₄₅₇; 584₂₄₈; 292₃₄₆₋₃₅₈ (კეცელიძე, მოამბე, VIII, 112, 8_{2,3,4}) ამოაწერინებთ და გამომიგზავნით. სამწუხაროდ, ამ შრომის გადათარგმნა, თუ ასე შეიძლება ითქვას, გაცილებით მნელი აღმოჩნდა. საქმე იმაშია, რომ ავტორები მაინცდამაინც დიდ აკრიბით არ არიან და სხვადასხვა ავტორების ქადაგებათ ერთმანეთში ურუკებ. მაგ. ოთანე თქრ[ოპირის] ქადაგებანი ათანასე აღექსან-დრიელის და ბასილი დიდის ქადაგებათ შორის ურევიან და სხვა და ხანდისხან საათობრივ ჯდომა მჭირია Migne-ში¹⁶ ერთ ქადაგების პოვნისათვის. იმედია, რომ აგრეთვე მაღლ მიიღებთ ჩემ რეცენზიას კეცელიძის ქართველთ მოქცევის და სხვა Zeitschrift für Kirchengeschichte-ში¹⁷, რომელშიც თქვენ აზრისა ვარ. გარდა ამისა, მცირე მუშაობა დავწერე პარიზის „კავკასიონისთვის“ ქართველ წარმართობის შესახებ. ეს მუშაობა

ფურც. 2

პირველი ნომერია სერიის „წერილები ჩვენ წარსულ ცხოვრებიდან“.

მარკოზის სახარებას, ვგონებ, შობამდისინ დავასრულებ. შობის არღადეგვებში მაქვს ბერლინში პაემანი ჰარნაკთან, სადაც ის ლიცმანთან¹⁸ ერთად ამ შრომას განიხილავენ და თუ რიგიანი აღმოჩნდა, „Notgemeinschaft“-ის] ხარჯით დაიბეჭდება. შეიძლება თანხაც გადასდონ დანარჩენ სახარებათა ქართულ ეკრისიების შესასწავლად. ჩემი მოხსენების – „წინაპირობის ლიტ[ურგია]“¹⁹, რომელსაც ბონნში ის რეზოლიუცია მოჰყვა, ერთი ცალი პრ[ოფესორ] შანიძის²⁰ მისამართით გამოგიგზავნეთ (უკვე მთლად დაბეჭდილი Le Muséon-ში) და იმედია, რომ უკვე მიიღეთ (პრ[ოფესორ] კეცელიძისთვისაც იყო გამოგზავნილი). დიდი მადლობელი ვარ თქვენ შრომათა ჩემთვის გამოსაგზავნად გადაცემისათვის.

გამოდის თუ არა ტფილისში უკრინალი ბიბლიოგრაფიული ხასიათის. უნივერსიტეტის გამოცემათა კატალოგი გვაქვს, მაგრამ არსებობს თუ არა ასეთი კატალოგი „სახელგამის“ ან სხვა გამომცემლობათა? იმ რეზოლუციის თანახმად, ქართული წიგნების ყიდვაში (გაცელის სახით) „Notgemeinschaft“ დიდ დახმარებას გვაწევს და კატალოგებიც რომ მქონდეს, სიებს წიგნების შესაძენად უფრო ადგილზე წევაჩვენდი. მოვებსენებათ, რაც უფრო მდიდარი იქნება აქაური ქართული განკურიფილება, მით უფრო მტკიცე საფუძვლიანიც იქნება იგი და შეიძლება გერმანელთ შემდეგში ლექტორატის მაგივრად კათედრაც დააარსონ. საქმე მხოლოდ ეხლა იწყება და ამის გამო, უპირველესად ყოვლისა, თვით ქართველნი უნდა იყვნენ დაინტერესებულნი ამ საკითხში. პროფესორი მარიო²¹ ყოველგვარ დახმარებას მიწევს და ასეთ დახმარებასაც ჩვენ უნივერსიტეტიდან] გამოვედი. მაგალითებრ, აქაური ლექტორები: ჩინურ, არაბულ, საანიურ და, აგრეთვე, ებრაულ (ტალმუდი) იღებენ დახმარებას თავიანთ მთავრობებიდან და არიან აქ თავიანთ ქვეყნის კულტურის პროპაგანდისათვის. რაც პროპაგანდას შეეხება, ჩვენ მეცნიერებისთვის საკმაოდ ვწევ, მაგრამ ზურვი არ მაქვს გამაგრებული სამშობლოდან. ჯამაგირებსაც ეს ხალხი იღებენ თავიანთ მთავრობებიდან, გერმანულ ჯამაგირს მხოლოდ 150 მარკას] თვეში და ამ თანხით ცხოვრება შეუძლებელია. ზედმეტია ლაპარაკი წიგნების შეძენის და მეცნიერულ მიზნით მოგზაურობის. ამის გამო, დიდი მადლობელი ვიქმნებოდი,

ფურც. 3

თუ უნივერსიტეტის] რამდე თანხა თავისუფალი აქვს, ჩემზედაც მოგექციათ ყურადღება.

რომ სირიულ მამათა არსეტიპები არის ისეთი შესანიშნავნი არიან, როგორც კეპელიძეს ან უორდანიას²² პკონიათ, აღნიშნული მაქვს ღისსერტაციის 2 შენიშვნა]ში. და მოხარული ვარ, რომ თქვენც ამ აზრისა ხართ გამოდის თუ არა „ჩვენი მეცნიერება“²³ და შეიძლება თუ არა იქ წერილების გზავნა?

დიდ ბოლიშს ვიხდი შეწუხებისათვის. თქვენი მარადის ლრმა პატივისმცემელი გრიგოლ ფერაძე.

Römerplatz 1.

Bonn an Rhein.

7. IV. 29.

3.

ქ. კეპელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.
ავ. ჯავახიშვილის პირადი არქივი. № 2273. ფ. 1-2.

ფურც. 1

დიდათ პატივცემულო ბ[ატონო] პროფესორო!

რამდენიმე დღეა, რაც საქართველოდან „Notgemeinschaft der deutschen Wissenschaft“-ის საშუალებით მივიღეთ ტფილ[ისის] უნივერსიტეტისა და საერთოდ ახალი ქართული გამოცემანი, მათ შორის აგრეთვე ოქვენი „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე გამოცემა²⁴. მადლობას ვიძლვნით ყოველ იმ ობიექტურ და ჩემთვის არა მხოლოდ დიდათ სასარგებლო, არამედ აგრეთვე საინტერესო აზრებისათვის 13 სირიულ მამათა, კერძოდ, აბიბოს ნეკრესელის შესახებ. სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნე (გვ. 4 შენ. 1), არ მქონდა ხელთ ბროსეს და პლ. იოსელიანის ნამუშევარნი²⁵ შესახებ. ამ ორ

მეცნიერთა შესახებ ცოტაოდენი ნამახსოვარი წამომყვა. არც კეკელიძეს აქვს აღნიშნული რაოდე აზრი ამ ორ მეცნიერ[ზე] თავის გამოკვლევაში] 13 სირ[იელ] მამათა შესახებ. ეხლა კი უკვე გავუცან ამათ აზრს და აზრად მაქვს, კერძოთ, აბიბოს ნეკრესელის საკითხს ხელმეორედ დაუუბრუნდე. მხოლოდ საბინინის გამოცემა, როგორც მოგეხსენებათ, შეცდომებით სავსეა. დიდათ დამავალებდით, თუ უისმეს ტუილისშეკეფლონაწერიდან გადმოაწერ[ინებდეთ] აუტენტიურ ტექსტს და გამომიგზავნიდჲუ პეტრე მაიუმელის²⁶ შესახებ, კოარგმნე Raabe-ს²⁷ ვიტა სირიულიდან ქართულ[აღ], აკრეთვე V. Linn-ის მიერ გამოცემული წმ. მ[ამა] იაკობის ცხოვრებაში მოთავსებული ცხოვრება პეტრესი, აქამდისინ მეცნიერ[ებაში] ჯერ გამოუყენებელი ითანე მაიუმელის²⁸ პლეროფორიებიდან ცნობანი პეტრეს შესახებ და ვრცელი წინასიტყვაობა დაურთვე ამ ტექსტებს, სადაც ვცდილობ ისავოგიურ საკითხების გარკვევას [უვაროვას²⁹ მიერ მარიამის მართვის არის რაოდე განსხვავება თუ არ ან სად იმყოფება დღეს ეს ხელონაწერი?].³⁰ მინდოდა თქვენთვის მეთხოვნა,

ფურც. 2

თუ რასაკვირველია შესაძლებელია, მისი გამოცემა თვით საქართველოში სახელვაძის ანდა უნივერსიტეტის] გამომცემ[ლობის] შემწეობით. დიდი მადლობელი ვიქებოდი, თუ დამავალებთ და ერთგვარ რეკომენდაციას გამიწევთ. ხელონაწერს დასრულებისას გადმოვიგზავნით. უეჭველია, მიღებდით ჩემ ამ მცირე შრომათ „ქართულ ლიტურ[ლიის]“ და აგრეოვე „საქარ[თველოს] წინაბიზანტიურ ლიტურლიის შესახებ“, რომელიც პროფესორ] შანიძის მისამართოთ გადმოვიგზავნეთ. ამჟამად ვწერ მუშაობას მარკოზის სახარების შესახებ და შალე დაიბეჭდება ჩემ მიერ გერმანულად თარიღმნილი კეკელიძის „უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში“. ამ მუშაობამ უამრავი დრო წამართვა. ტექსტი სწერია, მაგალითებრ, ბასილის ანდა ათანასეს ქვეშ და სინამდვილეში კი იგი ეკუთვნის ითანეს ანდა სხვა რომელიმეს. ჩანდისხან მხოლოდ ერთი ქადაგების იღენტიფიკაციისთვის] მთელ ნასაღილევის დროს Migne-ში ვცვეთდი.

მოგეხსენებათ, „საქართველოს წინაბიზანტ[იური] ლიტურლიის შესახებ“ გავაკეთე მოხსენება VIII. 28 ბონნში გერმანულ მეხუთე ორიენტ[ალისტურ] კონგრესზედ. მოხსენების შემდეგ ჯერ და მერმე პლენარულ სხდომაზედ იქმნა გამოტანილი შეძლევი რეზოლუცია: „Angesichts der hervorragenden Bedeutung, die den Denkmälern der altgeorgischen und vorbyzantinischen Literatur und Liturgie zukommt, bringt die V. Votum (Christliche Orient und Byzanz) der 5 Deutschen Orientalistentagung in Bonn einstimmig den nachdrücklichsten Wunsch nach eifrigerer Pflege und zielbewusster Förderung der georg[ischen] Studien zum Ausdruck“³¹ (გამოქვეყნდა შემდეგ ZDMG-ში)³².

დიდი მადლობელი და დავალებული ვიქები, თუ ზემორიე აღნიშნულ თხოვნებზედ (აბიბოს ნეკრ[ესელის] უცვლელი ტექსტი; შესაძლებელია თუ არა საქართველ[ოში] პეტრე მაიუმელის შესახებ ვრცელი მონოგრაფიის გამოცემა) შეძლებისდაგვარად დახმარებას გამიწევდეთ. გულითადი საღმით თქვენი მარადის დროს პატივისმცემელი გრიგოლ ფერაძე.

26. VII. 29.

Bonn an Rhein.

Quirinestr. 30.

4.

ა კაცულობის სახელობის ზელნაწერთა ინსტიტუტი.
ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი. № 2274. ფ. 1-2.

1937 წლის 1 იანვარი

ბათუმის გარემონტი

ფურც. 1

დიდათ პატივცემულო ბატონო] პროფესორო!

1937. VII ყოფილ ავსტრიიდან გაღმოვეგზავნე წერილი დაზღვეული განათლების კომისარიატის სახელზედ ტუილისში თხოვნით, მოეცათ ჩემთვის ნებართვა საქართველოში დასაბრუნებლად და მუშაობის ჩვენ უნივერსიტეტში. სამწუხაროდ, აქამდისინ არავითარი პასუხი არ მაქვს. ვძედავ და ვვნავნი წერილს ხელმეორედ ოქვებს როგორც ტფილისის] უნივერსიტეტის რეკტორის და ჩვენი მეცნიერების მესკეურისა. უპირველესად ყოვლისა, საუკეთესო სურვილებით თქვენ 40 წლის მოღვაწეობის წლისთავზედ.

ვარ უკვე 1933 წლიდან პროფესორად პატრისტიკის ვარშავის უნივერსიტეტში. მეგონა, რომ აქ მაინც შევძლებდი მეცნიერულად მუშაობას და პატარა კერის შექმნას, მაგრამ სამწუხაროდ მჩელია აქ ძლიერ მუშაობა. მაქვს უამრავი დაბრკოლებანი, აგრეთვე უსიამოვნებანი თვით აქაურ ეკლესიიდან, რომლის წარმომადგენერლი, ხალხი მუელი იდეოლოგიისა, სცდილობენ, რომ შემიფერხონ მუშაობა. მომიწდება აქვთანაც აღბათ მაღა წასვლა და ბიბლიოთეკა (2000 წიგნის, ამათში ხელნაწერები და 21 ფურცელი პალიმუსესტი, დღიურები მოგზაურობის ათონის მთაზედ, პალესტინაში და შავ მთაზედ და სხვაგან), რომელსაც ვავროვებდი საქართველოსთვის, აირევ-დაირევა. პარიზში ძლიერ ძნელია ჩემთვის მეცნიერული შუშაობა. ისევ საქართველოში, სადაც მეტი ნიადაგია და ინტერესი. ჩემი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი იყო ყოველთვის ლოიალური და თუ მომეცემა ნებართვა საქართველოში დაბრუნების და ტფილისის] უნივერსიტეტში მუშაობის, არ მივიღებ აქტიურ მონაწილეობას საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში; ვიმუშავებ მხოლოდ მეცნიერულად – ძველი ქართული ტაქსტების შესწავლა ფილოლოგიურად და ისტორიულ-ლიტერატურულად (აგრეთვე ვიცი უნები – ძველი სირიული, ბერძნული, ძეველი ებრაული და ძველი სომხური). თუ საჭიროა, ვადმოვგზავნი აქაურ (ვარშავა) საბჭოთა საელჩოს სამუალებით ჩემ სრულ ცხოვრების აღწერას და დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. მხოლოდ თუ ოფიციალურად მომცემუნ აქაურ საელჩოდან წინადადებას, რადგან ჩემთვის აქ მდგომარეობის გამო, იქ მისვლა

ფურც. 2

შეუძლებელია. ამჟამად ვმუშაობ ჩემ მიერ აღმოჩენილ პეტრიწონის მონასტრის წესდების ქართულ ვერსიაზე.

ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის. გულითადი სალმით გრიგოლ ფერაძე.
ვარშავა. 26. VI. 39.

კომიტარები

- 1 ადოლფ ფონ პარნაკი (1851-1930) – გერმანელი თეოლოგი, მის მიერ დაარსებული კაიზერ ვილჰელმის სახოვადოების პრეზიდენტი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი.
- 2 კარლ პოლი (1866-1926) – გერმანელი თეოლოგი, ქრისტიანული ლიტერატურის მაცლევარი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი.
- 3 ადოლფ დაისმანი (1866-1937) – გერმანელი თეოლოგი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი.
- 4 ერნსტ ზელინი (1867-1945) – გერმანელი თეოლოგი, სემიტოლოგი, არქეოლოგი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი.
- 5 კარლ ბროკელმანი (1868-1956) – გერმანელი სემიტოლოგი და არაბისტი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი.
- 6 ანტონ ბაუმბარკი (1872-1948) – გერმანელი თეოლოგი, ქრისტიანული ლიტერატურის მკვლევარი, ბონის უნივერსიტეტის პროფესორი.
- 7 იოზეფ მარკვარტი (1864-1930) – გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, არმენოლოგი, ლიტერატორი, ენათმეცნიერი, ბონის უნივერსიტეტის პროფესორი.
- 8 პაინრიხ გუსენი (1863-1927) – გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, თეოლოგი, ქრისტიანული ლიტერატურის მკვლევარი, ბონის უნივერსიტეტის პროფესორი.
- 9 გრიგოლ ფერაძემ 1927 წლის 17 დეკემბერს ბონში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ქართული მონაზონობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1064 წლამდე“. ამ ნაშრომისათვის მას ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.
- 10 მხედველობაში პყავს კორნელი კეკელიძე.
- 11 გრიგოლ ფერაძეს მხედველობაში აქვს 1923 წლის 13 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელზე გამოგზავნილი წერილობითი თხოვნა, რომლის სრული ტექსტი შესავალში მოვიტანება.
- 12 პეტრე ქართველი, პეტრე იბერი (411-491) – ქართველი ფილოსოფოსი, თეოლოგი, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი.
- 13 მხედველობაში პყავს სარგის კაკაბაძე.
- 14 ჭ. კეკელიძე. უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე. 1927. VIII. გვ. 99-102.
- 15 Gr. Peradze. Die altchristliche Literatur in der georgischen Überlieferung. ფუნ. „Oriens Christianus“. Dritte serie. Band. 6. Leipzig. 1931. გვ. 240-244.
- 16 ჟაკ-პოლ მინე (1800-1875) – ფრანგი თეოლოგი, უერნალის და შატერელის მაცლევარი; სამეცნიერო სერიების – „Patrologie Latine“ და „Patrologie Graccae“ გამომცემელი.
- 17 Gr. Peradze. Kekelidze K. – Die Bekehrung Georgiens zum Christentum. Zeitschrift für Kirchengeschichte (ZFK). Stuttgart. № 49. 1930. გვ. 95-99.
- 18 პანე ლიცმანი (1875-1942) – გერმანელი თეოლოგი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი.
- 19 Gr. Peradze. Zur vorbyzantinischen Liturgie Georgiens. ფურნ. „Le Muséon“. 42. fasc. 2. Louvain. 1929. გვ. 90-99.
- 20 მხედველობაში პყავს აკაკი მანიძე.
- 21 მხედველობაში პყავს ნიკო მარი.
- 22 მხედველობაში პყავს თელი ფორმანია.
- 23 „ჩენი მეცნიერება“ – ქართული კოველოვაური სამეცნიერო-პოლიტიკური გრებელი, გამოიცილა 1923-1926 წლებში თბილისში.
- 24 თბილისი, 1928.
- 25 აქ ერთი სიტყვა ვერ ამოვიყითხეთ.
- 26 პეტრე მაიუმელი – პეტრე იბერი. 452 წლიდან პეტრე იბერი მაიუმელის ეპისკოპოსი იყო.
- 27 რიხარდ რააბე – გერმანელი თეოლოგი, ქრისტიანული ლიტერატურის მკვლევარი.
- 28 იოანე მაიუმელი, იოანე ლაზი (ვარდ. დაახლ. 464-465 წწ.) – პეტრე იბერის თანამოაზრე და მეგობარი.
- 29 პრასკოვია უვაროვა (1840-1924) – რუსი არქეოლოგი.
- 30 აქ თეხტუსა ფრჩხილები გრიგოლ უერაძისეულია.
- 31 „ძეელი ქართული და წინაპიშანტიური ლიტერატურისა და ლიტერატურის ძეგლების უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბონში ვამართული გურმანელ ორიენტალისტთა კონგრესის შე-5 სხდომის მონაწილეებმა კრისტენ გამოხატეს ქართული ლიტერატურული ნაშთების გულმოღვანე მოკლისა და მიზანმიმართული პოპულარიზაციის მტკიცე სურვილი.“
- 32 ZDMG – „Zeitschrift der deutschen morgenländischen Gesellschaft“. Leipzig/Wiesbaden.



բարձր միջնորդական զբան
հայութեան :

კრიკეტის ფერიდან ივანე ჯავახიშვილისადმი

(ქ. კვერცხის სახელობის ზელნაწურთა ინსტიტუტი. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი.
№ 2271. ფურც. 1)



The historical journal

ARTANUJI

(Special issue: GRIGOL PERADZE)

№ 11, 2003

Tchavtchavadze ave. 17 b. 0179 Tbilisi, Georgia.

გარეკანის პირველ გვერდზე: წმ. მღვეღელმოწამე გრიგოლ ფერიაძე.

გარეკანის ბოლო გვერდზე: წმ. ნინოს ჯვარი. გრიგოლ ფერიაძის რედაქტორობით გამოცემული
უკრნალის – „ჯვარი ვაზისას“ გარეკანის ფრაგმენტი.



გამომცემლობა პროგრესი

